

საქართველო სულავენი

1974.10

საჭროთა სელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალი

10/1974

შინაარსი

ბაღუდბაეული ამოცანები	2
ნოდარ რუხაძე — ბრადიცი და ნოვობორობა	6
თამაზ ჭილაძე — ალექსანდრე ქაზბეგი	14
ნათია ამირჯიბი — ალექსანდრე ქაზბეგი და ქართული კინო	18
ანატოლი როზანოვი — ანდრონიკ ბაქრაძის საფორტეპიანო კონცერტები	24
გიორგი ჩიგოჯიძე — პრეიმბოტურის ურის ბავებისათვის სინფონიის გამოცემა	32 39
ნატო შიოსწრაფიშვილი — კონცერტები და კრებსა	40
კეტი შაჩაბელი — ალექსი კაპანაძე	43
თამაზ ხანიჭიძე — სანდრო ბოტინჩაილი დილოზი (ო. მელუიენოვი-ტუცესოვი)	48 56
არამ სააკიანი — ქართული გოგონები საზოგადოების უხეილულებანი კებ- რის აღმშენებ	56
ლილია თაბუკაშვილი — გულდა კალაძე	70
გ. მ. — ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია	76
იასონარი კევაბაძე — იასონარის შვიდწილი შოგილი	80
ოლეა თაბუკაშვილი — ქუსიკა — ფილმის უსწორბირი კომპონენტი	89
ელდარ გიორგაძე — „ალბანური“ „ფინსა“	92
დისკუსია „თეატრი და მყურებელი“ საუბარი ფოთის მ. გუნის სახე- ლოვის სახელმწიფო თეატრის თანამშრომლებთან და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან	94
აჯაი ვასაძე — მოცინებები და ფიქრები	106
ქრეონიკა	113

თეატრი მუსიკა მხატვრობა კინო არქიტექტურა ფორმოგება

მთავარი რედაქტორი —
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ზაქარაძე,
მანანა ბერიძე,
გივი გოგუაძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ ბაგუნიანი,
ვანო კვიციანი,
ნოდარ გვალაშვილი,
ზურაბ ნიშანაძე,
ნათელა ურუხაძე,
რამაზ ჩხიშიძე,
ანდრო წულუკიძე,
ნიკო ბაგვაშვილი.

ნომერში დაბეჭდილია მ. ბაბოვიას და პ. შევჩენკოს ფოტოები და
ფოტორეპროდუქციები.



გ ა ლ ა უ ლ ე ბ ე ლ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

დიდი ეკონომიური და სულიერი აღმაშენების ინტერესებით ცხოვრობს დღეს ჩვენი რესპუბლიკა.

საქართველოს მშრომელების ნიჭი და უნარი, ცოდნა და გამოცდილება ერთ მიზანს ემსახურება—რაც შეიძლება უკეთ წარმართოს მუშაობა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის მიერ აღებული კურსით, რაც შეიძლება მალე გამოისწორდეს ნაკლოვანებანი, ვიხეიშთ ახალი გამარჯვებანი.

ამ გამარჯვებების საწინდარია ისეთი პარტიული დოკუმენტების სწორი გაგება, ვაზრება და, რაც მთავარია, შესრულება, როგორცაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება პარტიის ობილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პერიოდის პლენუმებისა და აქტივის კრებების გადაწყვეტილებანი, განსაკუთრებით კი წლევიანდელი მაისის პლენუმისა, რომელმაც რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების არნახული პერსპექტივები დასახა და წარმოაჩინა.

ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ განვითარებაზე პარტიის ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვის ნათელმა გამოხატულებამ—სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის ისტორიულმა დადგენილებამ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ განსაკუთრებულ ენთუზიაზმით განაწყო ქართველი ხალხი და ერთსულოვნად დარაზმა საპატიო ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

მიმდინარე წელი რესპუბლიკის მშრომელების ამ დარაზმულობისა და მხალყოფნის, მე-9 ხუთწლედის დაეკლებათა და ვალდებულებათა შესრულებისათვის მათ მიერ გაწეული მუშაობის ანალიზის წელია, რადგან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წელი მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების წელიწადად დასახა.

სწორედ მას უნდა მიუძღვნას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი (მე-14) პლენუმი. ამ პლენუმზე ანგარიშით წარსდგება ფაქტურად მთელი რესპუბლიკა, ვინაიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიღებული პარტიული დადგენილებანი მოიცავენ საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის თითქმის ყველა დარგსა და უბანს.

ეს იქნება საქართველოს მუშათა კლასის და კომუნურენ გლეხობის, ინტელიგენციის, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ანგარიში, ყველა მიღწევისა და ხარვეზის ჩვენებით, რეზერვების სრული გამოვლინებით, პერსპექტივის კიდევ ერთხელ და უკეთესად დასახვით.



უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მიერამო-
 ლებულ დადგენილებათა შორის რამდენიმე საგანგებოდ მიმართულია შემოქ-
 მედებითი კავშირების, ორგანიზაციების და კოლექტივების მუშაობის უკეთ
 წარმართვისკენ. ამ პარტიულ დოკუმენტებში შეჯამებულია საქართველოს
 კულტურის მუშაკთა, ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენელთა
 შრომა და ვარჯი პარტიის მიზანდასახულებათა შესახებრულებლად, ხალხისა-
 თვის და ხალხზე მალაოდუერი, მალაბროფესიული მხატვრული ნაწარმოე-
 ბების შესაქმნელად, მშრომელთა ფართო მასების მორალურ-ესთეტიკური
 დონის ასამიღებლად.

კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასულ
 წლის 27 ნოემბრის დადგენილება „რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრების
 რეპერტუარის შესახებ“ ანალიზებს რესპუბლიკის სცენის მუშაკთა, დრამა-
 ტურთა, კომპოზიტორთა, კულტურის სამინისტროს შესაბამის განყოფილე-
 შთა მუშაობის უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე, აღნიშნავს დადე-
 ზით მომენტებს მათს საქმიანობაში, ამასთანავე მკაცრად მიუთითებს ნაკლო-
 ვანებებზე და სახავს მათი დაძლევის გზებსა და საშუალებებს.

დადგენილების მიღებიდან თითქმის ერთი წელი გვიდა, ჩაიარა ერთმა თე-
 ატრალურმა სეზონმა.

რა გავიქოდა ამ წნის განსაულოებაში, რა მიღწევები შეეინარჩუნეთ და გან-
 ვიქტიკეთ, ვიპრავეთ, რა ნაკლი ვერ გამოვასწორეთ? რა შეუძლიათ უპა-
 ტაკონ დღეს პარტიის პლენუმს საქართველოს თეატრალური ხელოვნების
 მოღვაწეებმა და ამ ორგანიზაციებმა, რომლებიც მოწოდებულნი არიან რეს-
 პუბლიკის თეატრალურ ცხოვრებას გაუძღვეან და უხელმძღვანელონ?

პირველ რიგში, დადგენილების თანახმად, საქართველოს ყველა სახელმწი-
 ფო თეატრმა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და პარტიის შესაბამის
 —სიოლო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად გადასინჯა თავისი
 რეპერტუარი, მკაცრად იმჯეილა თითოეული სპექტაკლის თიბაზე, მის ღირ-
 სება-ნაკლოვანებაზე და სკამარისი რაოდენობის იდურად და მხა-
 ტერულად უსუსური პიესა თუ სპექტაკლი ამოიღო რეპერტუარიდან, შეძლე-
 მისდაგვარად შეეცადა მთ ნაცვლად სხვა, მალალი დონის ნაწარმოები შე-
 ეტნა, თადარიგი დაიჭირა მომავალი თეატრალური სეზონის და პერსპექტი-
 ვული რეპერტუარის შესაქმნელად (ამ უკანასკნელს საერთოდ ადრე არც ად-
 ვენდნენ და არც ამტკიცებდნენ სამინისტროს კოლეგიაზე).

თეატრებმა კრიტიკულად გადახედეს თავიანთი საზოგადოებრივ საბჭოების შე-
 მადგენლობასაც. პასიური და არაკომპეტენტური წევრები ბევრგან საქმის-
 მლოდნე და აქტიურმა წევრებმა შეეცაღეს.

საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების
 ერთობლივი შეცადინებოთ წარმატებოთ ჩატარდა რესპუბლიკური კონკურ-
 სი საუკეთესო თანამედროვე პიესაზე. კონკურსი, რომლის თემა შეცნებო
 ხუთწლისის გმირი, ხელსვაიანი აღმოჩნდა. რამდენიმე გამარჯვებული პიე-
 სა უკვე შეტანილია თეატრების მიმდინარე სარეპერტუარო ვეგუმებში. ამ პი-
 ესებში ასახულია ჩვენი სინამდვილის აქტუალური მოვლენები: მეცნრე ხუთ-
 წლისის მშენებლობები და მთ ფონზე კომუნისტური საზოგადოების აღმო-
 ანის ფორმირება; პიროვნების ზნეობრივი პასუხისმგებლობა და დანაშაულის
 მისჯების ძიება და ვარკვევა; პარტიული ხელმძღვანელის სახე, მისი მორა-
 ლი, იბიქტურობის გამოცდა მძიმე სიტუაციაში; მანკიერების მხოლება,
 პროტექციონიზმის დაძლევა; რწმენის ძალით დაბრკოლებების გაღალახვა
 და მიზნის განხორციელება.

მიმდინარე წელს სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო საბავ-
 შო პიესაზე. (შედგები შეჯამდება 1975 წლის იანვარს), მიიღო დადგენილე-
 ბა საქართველოს თეატრებში ორ წელიწადში ერთხელ საბჭოთა ხალხთა
 დრამატურგის მუდმივმოქმედი რესპუბლიკური ფესტივალის ჩატარების შე-
 სახებ. დიდ სამართლო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავთან
 დაკავშირებით შეადგინა სარეკომენდაციო პიესების სია და დაუგზავნა რეს-
 პუბლიკის სახელმწიფო თეატრებს. ამასთანავე რამდენიმე ცნობილ ავტორს

გაუფორმა სელსეკრულუბა სამხედრო-პატრიოტულ თემაზე პიესების მწეალად.

საქართველოს თეატრები აქტიურად ჩაებნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დრამატურგიის საკავშირო ფესტივალში, რომლის შედეგები მომავალი წლის ოქტომბერში შეჯამდება, და თავიანთ რეპერტუარში შეიტანეს სათანადო პიესები.

ბევრი რამ გამოსწორდა, უწინდელზე უკეთ გაკეთდა, მაგრამ გასაუმჯობესებელი და გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და კულტურის სამინისტროს მითითებისა, 1974-75 წლების სეზონის რეპერტუარი ყველა თეატრმა ვერ წარმოადგინა სრული სახით, ზოგიერთს კი იგი საერთოდ ჯერაც არ შეუდგენია; რაც შეეება პერსპექტიულ რეპერტუარს, იგი მხოლოდ რამდენიმე თეატრს გააჩნია; არცერთ თეატრს არ წარმოუდგენია მიმდინარე სეზონის მოქმედი რეპერტუარი.

შარშან სამინისტრომ ორჯერ იმსჯელა კოლეგიაზე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარის შესახებ და დაამტკიცა იგი 1975 წლის იანვრამდე. როგორც ჩანს, ამ თეატრის სეზონის II ნახევრის რეპერტუარი ახლო მომავალში საგანგებო და სერიოზული მსჯელობის საგანი ვაბდება, რადგან ფალიაშვილის სახელობის თეატრის გასული სეზონი, მიუხედავად საბალეტო რეპერტუარისა და დადგმებში გარკვეული პროგრესისა, მნიშვნელოვანი ხარვეზებით აღინშნებოდა.

თეატრები ვერ ვანიკურნენ ზოგიერთი ძველი „სენსიზან“; ისევ შეაქვთ მიმდინარე სეზონის რეპერტუარში წარსული სეზონებისათვის სამინისტროს კოლეგიაზე დამტკიცებული (წლიდან წლამდე) განუზოროციელბელი პიესები (მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, ქუთაისის ლ. მესხინაშვილის, ბათუმის ო. ჭავჭავაძის სახელობის თეატრები); კვლავ ვერ ელევთან იღვრებოდა მხატვრული თვისი თეატრისათვის აშკარად უმწიფარ პიესებს; ისევ სათანადოდ ვერ აფასებენ ისტორიულ-რეველუციური თემატიკის, რუსული კლასიკური, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა და ბურჟუაზიული სამყაროს მამხილებელი დასავლეთის თანამედროვე პროგრესული დრამატურგიის მნიშვნელობას.

ჩვენმა სახელმწიფო თეატრებმა ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტეს საბავშვო სპექტაკლების დადგმის პრობლემა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის ორი მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების სამი თეატრი, რომელთაგან თინი თბილისშია და ერთი, თოჯინებისა, ქუთაისში, ამ ორი ქალაქის ბავშვების მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს, სახელმწიფო თეატრების პოზიცია ამ საქმეში ყოვლად გაუმართლებლად უნდა მივიჩნიოთ.

დღემდე ძალაშია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შენიშვნაც, რომ: „რეპერტუარში შეტანილი პიესები ჟანრობრივად ერთფეროვნად გამოიყურებიან“, რომ „რეპერტუარის ფორმირებაში სუსტია შემოქმედებითი კავშირების—მწერალთა და კომპოზიტორთა და რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების, მათი სათანადო გავყოფილებების და სექციების როლი“, რომ „ყველა სახელმწიფო თეატრში, მათ შორის აკადემიურებშიც, დაბალია მრავალი დადგმის მხატვრული დონე. თითქმის არ ხდება რიგითი სპექტაკლების ხარისხის შემოწმება. პრემიერების შემდეგ მათი დონე მნიშვნელოვნად უარესდება“. საქართველოს თეატრებმა ფაქტიურად მხარი ვერ დაუჭირეს სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის თაოსნობას: „ყოველი სპექტაკლი—პრემიერების დონეზე“.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიუთითებს სხვა გარემოებაზე დაც, რომლებიც ხელს უშლის თეატრების სწორი სარეპერტუარო პოლიტიკის წარმართვას: იმაზე, რომ თეატრები არაა დაკომპლექტებული მაღალი კვალიფიკაციის რეჟისორებითა და მსახიობებით. (ოპერის თეატრში გუნდის მომღერლების და ორკესტრის მუსიკოსების ნაკლებობა შეუძლებლად ხდის ზოგიერთი ოპერის დადგმის განხორციელებას). საქართველოს ზოგიერთ სახელმწიფო თეატრში მთავარი და დამდგმელი რეჟისორის დანიშვნა ვადაუპრეტ პრობლემად იქცა.



ვერ მოგვარდა თეატრებში ცალკეულ დადგმებზე სხვა რესპუბლიკების მხინელ რეჟისორთა მოწვევის საქმე და რესპუბლიკის შიგნით—თბილისის ცნობილი მსახიობების გამოსვლა ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების სპექტაკლებში. ჯერჯერობით მხოლოდ მოზარდ მსახიობთა რუსულმა თეატრმა მოიწვია რიგული რეჟისორი ი. შაპირო, რომელიც სპექტაკლს დგამს ა. გიდიარის „ბუმბარაშის“ მიხედვით და მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა—„სოვრემენკის“ მთავარი რეჟისორი ვ. ვოლნჰეი მ. შატროვის პიესის „ჩეალინდელი ამიღის“ დახადგმულად. ჯერაც უყურადღებოდა დატოვებული მსახიობების ორგანიზაციის პრობლემა. კვლავ ადგილი აქვს სპექტაკლების გასინჯვა-ჩაბარების დადგენილი წესების დარღვევას, რაც ზოგჯერ გაუთვალისწინებელ გართულებებს იწვევს. კერძოდ, ამან განაპირობა „ყვარ-ყვარეს“ პრემიერის გაჭიანურება რუსთაველის სახელობის თეატრში; სპექტაკლების ფართო რეცენზირებას არა მარტო პრესის, რადიოსა და ტელემაშუალეობით, არამედ საჯარო განხილვებზე, თეატრის კოლექტივის და მშრომელთა შეხვედრებზე, მსახიობებელთა კონფერენციებზე სისტემატური ხასიათით ვერ მიეცა, მიუტკეპებელ პასიურობას იჩენენ თეატრმცოდნეები ცოცხალი შემოქმედებითი პროცესის მიმართ.

სახელმწიფო თეატრების რეპერტუარის შესახებ დადგენილებების მიღებას წინ უსწრებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული ფართო ხასიათის რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა წინა თეატრალური სეზონის შედეგები და ახლის ამოცანები, დასახა საქართველოს სახელმწიფო თეატრების მუშაობის გაუმჯობესების გზები.

1973 წლის 27 ნოემბრის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „სახელმწიფო თეატრები ვარკვეული ასპექტით ვერ აცდნენ იმ არაჯანსაღი მივლენების გავლენას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა თავის დროზე რესპუბლიკაში“, რომ „თეატრები ერთგვარად აღარ წარმოადგენენ ტრიბუნას, მშრომელთა იდეურ-მხატვრული აღზრდის ცენტრს.

საქართველოს თეატრებმა უნდა დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები. ისე უნდა გაშალონ შემოქმედებითი, ორგანიზაციული, აღმზრდელითა მუშაობა, რომ სრულად გადაჭრან ხელოვნების, კერძოდ თეატრის მუშაკების წინაშე პარტიის 24-ე ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

თეატრებმა უნდა შექმნან და განახორციელონ რეპერტუარი, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებას, სულიერი კულტურის გამდიდრებას.

იდეური, მატალ მხატვრულ დინეზე დაწერილი პიესები, მწკავე მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემებით, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების — მუშების, გლეხების, ინტელიგენციის სისხლსაყვე ცხოვრებას, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჰუმანურ არსს, რესპუბლიკის დღევანდელ სახეს, შრომის ვებრებს, კავიტალისტური სამყაროს მკლურ განონებს, ამ სამყაროს უპერსპექტივობას, განწირულებას და მასთან აქტიური შერკონების აუცილებლობას—ასეთი პიესები და მათი მიხედვით შექმნილი მატალბრიფიციული სპექტაკლები სჭირდება დღეს რესპუბლიკის მშრომელებს. ესაა დღეს საქართველოს თეატრების უპირველესი ამოცანა.



**გერმანიის დემოკრატიული
რესპუბლიკის შიშის
25 წლისთავი**

**ტრალიცია და
ნოვატორგია**

თეატრი და კინო

ნოდარ რუხაძე

არსებობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხატვრისა და კარიკატურისტის ჰერბერტ ზანდბერგის ერთი მეტად საკულისსმო მგობრული შარტი — ნახატი, რომელზედაც ბერტოლტ ბრეჰტი გამოსახული. ბრეჰტს ხელში წიგნი უჭირავს, პირში აკვამლეული სივარა აქვს გაჩირხილი და საკმაოდ რთულ მექანიკურ დანადგართანაა მიმჯდარი. იგი ამ რთულ მექანიკურ დანადგარს დინჯავს ანუ მანქანას. ეს დანადგარი იწმუნდა რთულია, რომ მანქანის ნაწილი მიწის ქვეშ, სარდაფშია ჩატანილი, ნაწილი კი დედამიწის ზედაპირზეა განლაგებული. გოთური სტილის შენობის სახურავზე, რომლის ქვეშაც დანადგარია მოქცეული, აღმართულია მსოფლიოში სახელმწიფოები თეატრის, ბერტოლტ ბრეჰტის თეატრის ცნობილი ემბლემა — „ბერლინერ ანსამბლი“. მხატვრის მიერ მიწის ზედაპირზე გამოხატული შენობა თავისივე ემბლემათ, სწორედ ბრეჰტის თეატრის შენობის ასლია, რომელიც ბერლინში „ამ შიშაუბრემდე“ მდებარეობს, ხოლო მექანიკურ დანადგართან საქმიანად მემკვიდრეობრი ბრეჰტი, სიმბოლურად უკვე მიგვანიშნებს, რომ უკვე თეატრის სული და გული, მისი მამობრავებული ძალა.

ჩვენ აქ შემთხვევით როდი გავისხენეთ ზანდბერგის ასეთი „რთული“ მეგობრული შარტი. „ბერლინერ ანსამბლი“ გდრ-ის ღირსშესანიშნაობათა შორის ერთ-ერთი პირველია. იგი ეროვნული სიამაყეა, წმიდათა წმიდა ადგილია.

მიუხედავად იმისა, რომ ბერტოლტ ბრეჰტი უკვე თვრამეტი წელია რაც გარდაიცვალა, მისი სახელი თეატრთან ერთად ცოცხლობს, გნებავთ „ბერლინერ ანსამბლი“ თქვით, გნებავთ „ბრეჰტის თეატრი“. ეს ორი სახელი უკვდავდაა ერთმანეთთან შერწყმული; აქ ერთი რეჟისორი არსებობდა და დღესაც იგი განაგებს იქაურობას — ბერტოლტ ბრეჰტი. აქ მხოლოდ ბრეჰტის პრინციპები მოქმედებენ.

არც ისაა შემთხვევითი, რომ გდრ-ის შექმნის 25 წლისთავთან დაკავშირებით დაწერილი მიმოხილვა, რომელშიც გვსურს მოკლედ შევეხოთ გდრ-ის თეატრსა და კინოს, „ბერლინერ ანსამბლით“ დაიწყოთ, რადგან, როგორც ბერტოლტ ბრეჰტის პიროვნებამ, ასევე მისმა თეატრმა უზომოდ დიდი გავლენა იქონია გდრ-ში, უკანასკნელი, ომისშემდგომი პერიოდის კულტურაზე საერთოდ და კერძოდ, ხელოვნების ცალკეულ ჟანრებზე.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა სხვადასხვა სკოლებს შორის. ასეთივე სურათი იყო გერმანიის თეატრებში, აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდა სხვადასხვა სკოლის რამდენიმე რეჟისორი, რომლებიც მთელი ენერჯის დაძაბვით გამოსახვის ახალ ფორმებს ეძიებდნენ. სხვადასხვა მიმართულების იყო ერნსტ ტოლერისა და ბერტოლტ ბრეჰტის, გეორგ კაიზერისა და ერნსტ ბარლახის, მაქს რაინჰარდტისა და იურგენ ფელინგის, ერიკ ენგელისა და ერკინ პოსტორისა და სხვ. დრამები და თეატრალური დადგმები. გერმანიაში შიშავალი სხვადასხვა სკოლის არსებობამ, თეატრალური ცხოვრებაც ძალიან საინტერესო და მიმოწოდელი გახდა, მაგრამ ძიებებით აღსავსე გზაზე შემაფერხებელი ძალა გამოჩნდა ფაშისზმის სახით.

ფაშისტური დიქტატურის გაბატონებამ გერმანიაში, როგორც ჩვეულებრივი ცხოვრება, ასევე კულტურული ცხოვრებაც სულ სხვა გზით წარმართა; განსაკუთრებით ეს დაეტყო ხელოვნების დარგებს და კერძოდ, თეატრს. ფაშისტების ხელისუფლების სათავეში მოხალისთადაც, თაჟმის, ერთი ხელის დაკრთობა გაწყდა კავშირი კლასიკურ მემკვიდრეობასა და თანამედროვეობას შორის. ყველაფერი გებულის პროპაგანდის სამსახურში ჩაღდა. ბევრმა თეატრალმა, დრამატურებმა თუ რეჟისორმა მიატოვა გერმანია და ემიგრაციაში წავიდა. ერთ-ორი დრამატურგი თუდა დარჩა ფაშისტურ გერმანიაში და ისინიც ჩრდილოში დგომას არჩევდნენ. ემიგრაციაში წავიდნენ ბერტოლტ ბრეჰტი, ფრიდრიკ ვოლფი, გეორგ კაიზერი და სხვ. თორმეტი წლის მანძილზე, საკუთარი ფავორიტების გარდა, ფაშისტები თეატრში არავის ვაგრებდნენ. ნაცისტმა დრამატურგებმა დაიპყრეს თეატრი: ჰანს რიო-ბერგის, ფელიკს ლიუტცკენდორფის, ემერჰარდ ვოლფგანგ მიულერის, ვოლკემ უტერმანის „თანამედროვეობაზე“ შექმნილი, ზეიმპერიალისტურმა, უნიჭო და უბადრუკმა პიესებმა უკან დასრეს გერმანული თეატრი. თორმეტი წელი იბატონეს ფაშისტებმა და ეს წლები საკმარისი აღმოჩნდა



იმისათვის, რომ კავშირი გაწვევლიყო ძველი და უახლესი დროის თეატრალურ ტრადიციებთან. ომის შემდეგ საჭირო იყო არა მხოლოდ ამ ტრადიციების აღდგენა, არამედ აუცილებელი იყო ახალი სპექტრების ამგნებმა, ფაქტურად ყველაფრის თავიდან დაწყება.

ყველასთვის საინტერესო იქნება, რას წერდა 1948 წელს ცნობილი გერმანელი თეატრმცოდნე ჰერბერტ იერინგი, რომლის თაობაზე მხოდა ყველაფერს და რომელიც მთელი პასუხისმგებლობით ვერძობდა ომის შემდგომ გერმანიაში შექმნილი ახალი პერიოდის სირთულეს: „მრავალი ათწლეული მანძილზე თეატრი მის მიერ შექმნილ ფაქტურებათა სარჯულზე ცხოვრობდა, მხოლოდ უკანასკნელი თორმეტი წლის მანძილზე გამოცალგეს მას დედამისი და შინაარსი წაართვეს. ამ დროს მდგომარეობა და თავისებურებანი ახალი შინაარსის შესაქმნელად დასვალბებას არ იძლეოდა, რადგან პრინციპულ პოზიციებზე სპეციომის ყველა ცემა, განსაზღვრულ თვალსაზრისზე დადგომა, ჩახშობილი იქნა. თავდაპირველად საჭირო გახდა გადაგვეტანა ჩვენს ისტორიაში ყველაზე უფრო ჯოჯოხეთური კატაკსტროფა, ვარდნის ყველაზე დაბლა წერტილზე უნდა დავერთიკავით, სრულ სიყაროელში უნდა ჩავფლულიყავით, რათა ახალი შინაარსისკენ მისწრაფება გაგვეზოციელებინა. მაგრამ ეს ახალი შინაარსი, ვიდრე იგი დარამატურული ფორმით შეიძისება, კონსტატაციას, გამომომხასველებას, აღწერილობას, მოთხრობას თხოულობს. იგი თავის ჰომეროსს თხოულობს, ვიდრე იგი შესძლებს თავისი სოფოკლე იპოვნოს“.

როგორც ვხედავთ, ომის შემდგომ თეატრს გერმანიაში მრავალი პირველხარისხოვანი სიძნელის დაძლევა მოუხდა. ასაშენებელი იყო არა მხოლოდ შენობა, ასაშენებელი იყო ახალი პოლიტიკური, ეთიკური, მორალური, ესთეტიკური კატეგორიები. ყველაფერს ახალი სახელი უნდა დარქმეოდა.

ახალი კადრების მომზადების საქმეში დიდი როლი ითამაშა ამ დროს გერმანიაში ჩამოყალიბებულმა სამსახიობო სტუდიებმა და საკლემბმა.

ბრეჰტის თეატრის ძალა სწორედ ის იყო, რომ მან ემიგრაციის წლებშიც განაგრძო სიცოცხლე, ცხადია, არა „ბერლინერ ანსამბლის“ სახით, მაგრამ ბრეჰტის უცხო მხარეშიც დაულტავად ესწრაფოდა, რათა ყოველ შესაფერის მომენტში თავისი ჩინაფიქრ განეზოციელებინა.

ბრეჰტი თხოუმეტა წელწლიდ იმყოფებოდა ემიგრაციაში და ამ ხნის მანძილზე, დანიაში იყო თუ აშშ-ში, თორიულად თუ პრაქტიკულად დაულტავად იბრძობდა ევროპული ფაშისმის წინააღმდეგ, ხოლო როცა მას საშუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო და თეატრისთვის შენობაც ემოხდა, დაიწყო მისი დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელბულა, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, „ბერლინერ ანსამბლი“ ბრეჰტის გარეშე ბრეჰტის თეატრია, საოცრად სიცოცხლისუნარიანი და მომავალიძებელი.

მაგრამ ერთხელ კიდევ მოვიშველით ჰერბერტ იერინგი, რომელიც თვალნათლივ აგვიწერს გერმანიაში ომის შემდეგ შექმნილ სიტუაციას; თეატრმცოდნის მიერ 1948 წელს მოცემული ისტორიული ასპექტი ფრადს საინტერესოა და გაანალიზისწინებელი: „ჩვენს თეატრალურ დარბაზებში შესაძლებელია ერთმანეთის გვერდით ისხდნენ თვარმეტა წლის გოგონა, რომლისთვისაც არ არსებობს 1890-1933 წლების

ლიტერატურა, ოცდაათი წლის მასწავლებელი, რომელსაც ჯერ კიდევ ასსოგს ჭაბუკობის დროინდელი რადიკალური სპექტაკლები, შემდეგ კი იგი თავისი თეატრალური განათლებით უსწარულს ვსყვრზე ამოჩნდა. (ამ თაობამ, რომელსაც წარსულზე ძუნწი წარმოდგენა აქვს, დიდი დანაკლები განიცადა). მათ გვერდით ზის ორმოცდაათი წლის ადამიანი, რომელსაც 1933 წლის ყველა მოვლენა ასსოგს, მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული ფაშისვიტირებულ ცოდნის ნამცეცებით იკვებებოდა, ხოლო მათ გვერდით ზის სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტა, რომელმაც მთელი სახელგანთვლილი ლიტერატურა იცის, მაგრამ არა გატეხილი გერმანული კარტილობას, რომელსაც იმ მიმზე დღემდე მიმართავდნენ, მცდელობას, რათა შეენარჩუნებინათ თუნდაც ლიტერატურული ტრადიციის ნარჩენები და მსატერული თეატრის ათინაო“.

გდრ-ის შექმნის მეორე წლის თავზე ევრანებზე გამოვიდ და ჰანრიხ მანის რომანის „ქვეშევრდომი“-ს მიხედვით ვილფელმე შტაუდეს მიერ (1951 წ.) გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმი...

ჰ. მანმა (1871-1950 წწ.) რთული შემოქმედებითი გზა განვლო. სიცოცხლის უკანასკნელი ჩვიდმეტი წელი ემიგრაციაში გაატარა და უცხოობაში გარდაიცვალა. მან დიდძალი და ძვირფასი ლიტერატურული მემკიდრეობა დასტოვა, მაგრამ ახლა ჩვენ ზემოთ ხასსენები ერთი ომის მნიშვნელოვანი რომანი „ქვეშევრდომი“ გვანტერესებს, რომელიც ფილმს დაელო საუფუძლად.

ჰ. მანმა ეს რომანი პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში დასწერა 1911/14 წწ. (იგი ტრილოგიის „იპერია“ პირველი წიგნია).

ვილფელმე შტაუდეს ფილმში „ქვეშევრდომი“ სატირულად იყო ასახული ვილჰელმის ეპოქის გერმანიის სოციალური ყოფა და სამარცხენი ბოშე იყო გაკრული ქვეშევრდომული და მონური სულისკვეთებით გაღვნილი გერმანული ბურჟუასის სახე. ჟიჟისრომა შესძლო მწარედ გამეზოახებინა გერმანიის თავისი წარსული და გერმანული სახლისათვის თვალნათლივ დაენახებინა მათი სავალლო შეცდომების სათავე. ფილმში მოაგარ როლებს ასრულებდნენ ვერნერ პეტერსი, გერტრუდე ბერგმანი, კარლა ბრაუნსიკა, პაულ ესერი, ედუარდ ვონ ბიტერშტაინი და სხვ.

„ქვეშევრდომი“ იყო გდრ-ის კინოსტუდია „დეფსა“ ერთერთი პირველი სერიოზული წარმოდგენათაგანი და რაც მოაგარია, ეს იყო დიდი ვერტმანული მწერლის, ჰუმანისტის, ანტიმილიტარისტისა და ანტისემიტის ჰ. მანის რომანის ევრანისაცია. ოცდასამი წელი გავიდა „ქვეშევრდომის“ გერანზე გამოსვლის დიდად, მაგრამ როცა საჭირო გახდა მისი გასხენება, საოცრად ცოცხლად და თვალნათლივ აღდგა ფილმის ბეჭეტი ღირსსასსოვარი დეტალი და მსახიობების უნაკლ და უხადი თამაში.

მის შემდეგ გდრ-ის ცხოვრებაში მრავალი აქტუალური პრობლემა წამიბოდა, მაგრამ გერმანულმა ხალხმა რაც შეიძლება დროის მცირე მონაკვეთში სწრაფად გადაჭრა ეს პრობლემები. არ რთულ და საპატიო საქმეს მხარში ედგა გდრ-ის კინოხელოვანთა მთელი ჰლეადა, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, სასახელოდ გაართვა თავი მის წინაშე მდგარ რთულ სოციალურ თუ პოლიტიკურ პრობლემებს. ხალხის შეგნებამი მიმხდარი რთული სულიერი ძვრები ერთნა-

ირად პრობლემატური იყო ლიტერატურისათვის, კინოსთვის, ტელეფონის და რადიოსთვის.

აი რას წერდა ვერ კიდევ 1968 წ. გდრ-ის პრინტირთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ცნობილი გერმანელი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ალექსანდრე აბეში: „ჩემი აზრით, დღევანდელი დიდის პრობლემები ყველაზე უკეთ გააზრებულია სატელევიზიო პიესებში: ბენიტო ვოგაცის „პლიერთა მოთინება“, პერმარდ ზევერის „მანიფესტის შოაშომავალი“. უკანასკნელი დროის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფილმებში კონრად ვოლფის „მე ცხრამეტას ვიყავი“ და ოტო გოტშეს რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში „კრიგიო როგის დროში“, ამ ფილმებში ანტიფაშისტური ბრძოლის ტრადიციება ნაჩვენებია...“

ახალი თემების ძიებისა და ახალი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობას ყველა ხელოვანი გრძნობდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გდრ-ის ერთ-ერთი წამყვანი რეჟისორის, ხელოვნებათა აკადემიის წევრის კონრად ვოლფის აზრი, რომელიც მან ამ რამდენიმე წლის წინ ერთ ინტერვიუში გამოთქვა: — გდრ-ის ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის ამჟამად ახალი თემების, ახალი გადაწყვეტილებების ძიება და მახასიათებელი. მხედველობაში მაქვს ადამიანის შეგნების მთელი კომპლექსის გამოსახვა. ჩვენთვის ძლიერ მნიშვნელოვანია, კერძოდ, ვაჩვენოთ, როგორ მოქმედებს ცალკეული ადამიანების ფსიქიკაზე ახალი ეკონომიური სისტემის განხორციელება...“

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ კონრად ვოლფის თითქმის ყველა ფილმი პრობლემატურია, „ლისი“ იქნება თუ „პროფესორი მამოლიკი“, „გახლეჩილი ცა“ თუ „მე ცხრამეტას ვიყავი“, „გოია“ თუ „ვარსკვლავები“ და სხვ. მაგალითისთვის ავიღოთ კრისტა ვოლფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რომანის „გახლეჩილი ცის“ მიხედვით კონრად ვოლფის მიერ გადაღებული ამავე სახელწოდების პრობლემატური ფილმი (სცენარის ავტორები: გერჰარდ ვოლფი, კრისტა ვოლფი, ვ. ბრიუკნერი, კურტ ბარტელი), რომელიც ეკრანებზე გამოვიდა 1964 წლის სექტემბერში. კრისტა ვოლფის რომანი კი 1963 წლის გამოქვეყნდა.

ახალგაზრდა წყვილის რიტასა და მანფრედის ამბავი, ეს არის თითქმის ყველა გერმანული ახალგაზრდის ცხოვრების გზა, რომელიც მათ გაიარეს თავიანთი არსებობის თხუთმეტეოცი წლის მანძილზე.

რიტასა და მანფრედის ირგვლივ სხვადასხვა სულიერი მისწრაფებების, სხვადასხვა მრწამსისა და სხვადასხვა ასაკის ადამიანები ტრიალებენ და, რასაკვირველია, თავისებურ გეულენას ახდენენ მათი მრწამსის ჩამოყალიბებაზე. რიტასა და მანფრედს, რომლებსაც თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი და მათ ბედნიერ მომავალს თითქოს არაფერი ელოდება, ბევრი სიძინელის გადალახვა მოუხდებათ, მაგრამ ბოლოს ისინი ერთმანეთს მაინც დასცილდებიან — მანფრედი დასავლეთ გერმანიაში გარბის.

როგორც რომანის, ასევე ფილმის ყველა დეტალი მხატვრულად სწორადაა გააზრებული და გმირების ყველა საქციელი მოტივირებული, წარსულმა მაინც მომაკვლინებლად იმოქმედა რიტასა და მანფრედის ცხოვრებაზე, ამიტომაც ასე ხელშეასხებია ორი ახალგაზრდის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი.

ახლა მსოფლიოს კინოთეატრების ეკრანებზე არჩვენებენ

კინოსტუდია „დეფა“-ს (დაარსდა 1946 წლის მაისში) მიერ გადაღებული ფილმს. დიდი აღიარება ჰპოვა მომდევნო წლებში გდრ-ის რეჟისორების უმაღლეს დუღოვის, კურტ მეტცხენის, ვოლფგანგ შტაუფის, ერიკ ენგელის და სხვ. ნაწარმოებებმა. შედარებით ძველი თაობის წარმომადგენლებს მალე მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა რეჟისორები, რომლებიც ამ დროს თვითონვე იყვნენ დიდი გარდატეხების მოქმედი გდრ-ის კინოხელოვნების ისტორიაში აღიარებულია, რომ მიუხედავად ფილმების სიმრავლისა, პრობლემატურობითა და მხატვრული სიძლიერით გამორჩეული ფილმები მაინც ცოტაა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა თემებზე შექმნილი კონრად ვოლფის შემოთ დასახელებული ფილმები, აგრეთვე ფრანკ ბაიერის „შოშველი მგლების ხროვაში“, გუნთერ რაიმის „ვიდრე ცოცხალი ვარ“, იოაჰიმ კუნერტის „ვერნერ პოლტის თავგადასავალი“, „მკვდრები



ბერტოლტ ბრეტტი.

ახალგაზრდები რჩებიან“, გუნთერ რიუკერტის „საკუთესო წლები“ და სხვ.

კინოსტუდია „დეფა“-ს ისტორია, ეს არის ახალი სოციალისტური გერმანიის კინოს ისტორია, რომელიც დღესაც, გდრ-ის შექმნის 25 წლისთავზე, ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის იღვწის.

ახალმა სოციალურმა სინამდვილემ თეატრალური გამომსახველობის ახალი ფორმები მოითხოვა. ახლად უნდა წაით-

ხელიყო და დადგმულიყო ფაშისტების მიერ დამახინჯებულ კლასიკური მემკვიდრეობა და რაც მთავარია, შექმნილიყო ახალი იდეოლოგიის, სოციალისტური იდეოლოგიის შესაფერისი თეატრალური სანახაობანი, რომელიც გაგრძელება იქნებოდა გერმანული კლასიკური მემკვიდრეობისა და უახლესი დროის პროგრესულ-რეალისტური თეატრისა, რომელიც გერმანიიდან განდევნილი იყო.

აიტომ გდრ-ის ხელოვნება დანიშნულება პირველი დღეებიდანვე იყო და ახლაც არის, რომ აქტიურად ჩარეულიყვნენ ცხოვრებისეული პროცესების მნიშვნელოვან მოვლენებში, ცხადყოფდა ხელშეხებასა და ერეგებინათ, გაეანალიზებინათ წარსულის მწარე გაკვეთილები, აღმოეფხვრა ფაშისტური სულაცეფება, რომლითაც, სხვათა შორის, დაავადებული იყო აბაღაზრდობის, მოზარდი თაობის მეტი წილი და დაენერგათ ახალი სოციალისტური სინამდვილისათვის შესაფერისი სულიერი მისწრაფებები.

აქვე ისევე, როგორც ზვეით აღენიშნეთ, ძალიან დიდი როლი ითამაშა გდრ-ის თეატრალმა, რომლებიც მრავალჯერა მიმონხევიდა იქნა იყო ყველა ქალაქსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრში. ბერლინის დრამატულ თეატრებსა და საოპერო თეატრებს ტოლს როდი უღებენ ლიუციუსა და დრემდენის, ერფურტისა და ვაიმარის და სხვა ქალაქების თეატრები.

მაგრამ ჩვენ მაინც ბერლინის თეატრებს შევეხებით მოკლედ და მათ შორის „ბერლინერ ანსამბლს“.

მაგრამ ვიდრე გდრ-ის თეატრალურ ცხოვრებას შევეხებოდეთ, მსურს შეიხსენებოთ პატარა მოვრება გავუსაზირო, ჩემის აზრით, ძალიან ნიშანდობლივი გერმანიის თეატრალური ცხოვრებისათვის.

ამ რამდენიმე წლის წინ მთარგმნელების საერთაშორისო კონგრესი იყო მიმსწვიეს ბერლინში. სხვა ქალაქებს შორის ჰალეშიც მიმინდა ყოფნა.

შობის დღესასწაულები იყო დაწყებული. შობა რელიგიური დღესასწაულია და ამიტომ აქვე მინდა ვთხარათ, რომ არავითარი ნიშანწყალი რელიგიური რიტუალისა იმ დღესასწაულს იქ არ ჰქონია.

ჰალეს ცენტრალური ქუჩები თეატრალური დეკორაციებით იყო მოვრებული. ერთხანს ვიფიქრე, რომ ეს ყველაფერი რომელიც მომავალი ფილმის გადასაღებად იყო აღმარებული, მაგრამ ქუჩებისა თუ ქუჩაბანდების გაყოფაზე ერთი-მეორის მიჯრთი ჩამწკრივებულმა დეკორაციებმა დაამაფრუენეს, აქ რაღაც სხვა ხდებოდა. ჩემ თანამგზავრს, იქაური გამომცემლობის მუშაკს, შევეკითხე: ეს რას ნიშნავს-მეოქი. ამ შეკითხვაზე თანამგზავრმა მითხარა: თუკი რამ კარგი ხალხური ზღაპარი, ლეგენდა, გადმოცემა ან ჩვენამდე მოღწეული თეატრალური სანახაობა ვიცოდა, მათ მიხედვით კმნიშნო დეკორაციებს და ჰალეს მცხოვრებლები თავიანთივე თანამოქალაქეების თვალწინ წარმოადგენენ ამ. თუ იმ სიუჟეტზე აგებულ წარმოდგენასო. ყველა წარმოდგენა, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, დიდაქტიურია და როგორც თითქმის ყველა ხალხურ ზღაპარსა და გადმოცემასა, კეთილბადა და ბოროტის ჭიდილი კეთილის გამარჯვებით მთავრდება. შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია ყველა ნიღაბი თუ სხვა საჭირო რეკვიზიტი, რომლებიც საუხეში ფერებიითაა შეღებილი და შავი ტონი მხოლოდ კუდიანების, ალქაჯებისა და ავი სულების სცენების დროს თუ შეიძლება

და ისევ მალე ქრება, როგორც მათ შეტყფერი. პროფესიონალი რეჟისორისა და მსახიობის დაუხმარებლად, ვეღარც ვისაც როგორ შეუძლია, ისეთ მონაწილეობის მიღებას წარმოადგაში. ე. წ. თეატრალური თვითგანსწავლა, ძვალსა და რბილში გამგდარი ტრადიციის გერმანიიში და ასეთ დღესასწაულებზე დიდდაც და პატარასაც საშუალება აქვს თავისი თავი მისთვის სასურველ როლში გამოავლინოსო.

აქი ცოცხლდებიათ თურმე ყოველ წელიწადს ხალხური ზღაპრებისა და თქმულებების, სათავადასავლო რომანების გმირები. ყველა „მსახიობი“ ისე სწინს ამ თუ იმ გმირის სახესა და ხულიერი სამყაროს, როგორც ბავშვობიდან შინ მთავანებს, სკოლაში ასწავლეს.

ცხადია, ყველა დაგვეთანხმება, რომ ასეთი საყოველთაო თეატრალური ატმოსფერო კეთილისმოყფულ გავლენას ახდენს თვით პროფესიულ თეატრზედაც.

როგორც ცნობილია, ბრეტკის თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა და სარგებლობდა კიდევ საკულტო დრამის ძველი ფორმებით, ხალხური თეატრალური ტრადიციებით, ნიღბების თეატრის საშუალებებით. ისიც ცნობილია, რომ ეს უძველესი ბავიური ტრადიციები მთელს გერმანიისა გავრცელებული და ბრეტკის მიერ თეატრალურ სფეროში შესრულებული მისია აღმატება ერთი კაცის ძალასა და ღონეს, მაგრამ მას ისე გატაცებით უყვარდა თეატარი, რომ მაშინაც კი, როცა იგი ემიგრაციის წლებში შემოხვევდა შემოხვევაზე რაიმეს დადგმას განახორციელებდა, უსაზღვრო ბედნიერება აწყობდა. სამაგიეროდ, იგი ბევრს მუშაობდა თეატრზე თეორიულად, რაც შემდეგ პრაქტიკულად „ბერლინერ ანსამბლში“ განახორციელა ძალიან მოკლე დროში.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, ბრეტკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში დარჩენილი მასალებიდან მხოლოდ და მხოლოდ თეატრზე და მხატვრულ ხელოვნებაზე შეადგინეს და გამოსცეს რვატომეული — „წერილები თეატრის შესახებ“.

ბრეტკი, უპირველეს ყოვლისა, იყო უდიდესი რეალისტი, თუცა ყოველთვის მოითხოვდა რეალიზმის ცნების გაფართოებას, ე. ი. ბრეტკისეური რეალიზმი ეს არ იყო ყოველი რეალიზმი, ეს არ იყო გარეგნული რეალიზმი, დეტალების რეალიზმი, ეს იყო სინამდვილის არასი შევლდომი რეალიზმი, რომელშიც შესაძლებელი და დასაშვებელი იყო ყოფითი ნამდვილობა დარღვეული ყოფილიყო. აქ შეიძლება ჩარჩი ჩაპლინის სიტყვები გავისენოთ. იგი ამბობდა: „ჩემი აზრით, რაც ადამიანურია, ის სარწმუნოა, თუნდაც უსულაც არ ჰგავდეს სინამდვილეს“. შეიძლება ბრეტკი ჩაპლინის ამ სიტყვებს საერთოდ არ იცნობდა, მაგრამ ცნობილია მეორე ამბავი, რომ დიდი ხელიანი ჩაპლინი ამ თავის აზრს ავითარებდა ხელოვნებაში, ხოლო ჩარჩი ჩაპლინის ხელოვნება ძალიან მოსწონდა ბრეტკს. „უპირველეს ყოვლისა, ბრეტკს ჩაპლინიში აინტერესებდა სტიქიური რეალიზმი — იქნის ერთგან ბრეტკის შესახებ ბერნარდ რაიკი, ბრეტკის ახლო მეგობარი და მისი შემოქმედების ბრწყინვალე მცოდნე, — ბრეტკს მოსწონდა ჩაპლინის სულოდ საყვარელი „პატარა ადამიანის“ სახისადაც პირველი მიდგომა. „პატარა ადამიანის“ სახეში მსახიობი სწორედ ისეთ თვისებებს ამაშუვლებდა, რომელთაც, ბრეტკის აზრით, მწერლები აუფრენებდნენ. ხოლო, თუ გამოსხავდნენ, ისიც რომანტიზირებული სახიბი“. იგივე პ. რაიკი ბრეტკის შესახებ დაწერილ მონოგრაფიაში შენიშნავს:

„ბრეტტი რეალიზმში ხედავდა შემოქმედებით მიდრეკილებათა და ახრთა წყობის სხვადასხვაგვარობას“. იმავე წიგნში რაიბი ახსენებს თავის აზრს: „ისე როგორც ბრეტტის თეორიული შეხედულებები, ასევე შემოქმედებითი პრაქტიკა, მუდამიანს იცვლებოდნენ... ოცდახუთი წლის მანძილზე მან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და განვითარების დიდი გზა გაიარა“.

მაგრამ გამარჯვებული თუ დამარცხებული ბრეტტი მუდამ რეალისტი რჩებოდა.

ასეთმა დაუღალავმა და თეატრის განუზომელმა სიყვარულმა ბრეტტს შეაქმნევინა დაუვიწყარი პიესები და სპექტაკლები: „გალილი“ და „დედა კურაჟი“, „სამგრომინი ოპერა“ და „არტური უი“, „კაკასიური ცარცის წრე“ და „კორიოლანოსი“, „სეჩუნელი კეთილი ადამიანი“, „პუნტილა“ და სხვ. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან ორგანულად განსხვავდება; სხვადასხვაგვარი, განსხვავებული დრამატურგიული თუ რეჟისორული ჩანაფიქრი და განხორციელება, სხვადასხვაგვარი ტემპი და რიტმი უდევს მათ საფუძვლად, მაგრამ საოცრად ექსპრესიული, შთამბეჭდავი და ემოციური არიან.

მიუხედავად იმისა, რომ აღწერთ, ამა თუ იმ პიესის დაწვრილებით ანალიზით ბევრი ხელშესახები დეტალის გაცნობიერება შეიძლება, მაგრამ ბრეტტის პიესების გარჩევას ჩვენ ბ. რაიბის აზრს ვუერთდებით: — როცა ბრეტტის ახალ

ნაწარმოებებზე რაიმეს იუწყებოდნენ „მის შემოქმედებებზე“ დაკავშირებით ყოველთვის მოჰყავდათ იმ დროს (იგულისხმება 50-იანი წლები—ნ. რ.) რატომღაც უჩვეულოდ მძვინვარეობის და ტერმინები: „ეპიური თეატრი“, „გაუცხოება“, „ინტელექტუალური თეატრი“, „ზონგები“ და ა. შ. მკითხველებისათვის ვისაც საშუალება არ ჰქონდა თვითონ გასცნობოდა ბერტოლტ ბრეტტის პიესებსა და ტრაქტატებს, მთელი ეს ტერმინოლოგია რაღაცნაირად ძალიან არაკონკრეტულ და შემაწუხებელ იდუმალებად რჩებოდა“.

ეს თეზისი დღესაც ძალაში რჩება, რადგან ბრეტტის მიერ პრაქტიკულად განხორციელებული პიესის ანალიზისას ძალაუნებურად ახსნა-განმარტებებში თეორიული მსჯელობა იმლაგვრებს ხოლმე, რაც, თავის მხრივ, ჩქმალავს პიესის მორალური და ეტიკური შემოქმედების მნიშვნელობას.

თბილისელ მაყურებლებს საშუალება ჰქონდათ ბრეტტის თეატრის ორ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სპექტაკლს „სამგრომინი ოპერას“ და „კორიოლანოსს“ გასცნობოდნენ, ამიტომ აქ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

შთამბეჭდავია „ბერლინერ ანსამბლის“ ყველა სპექტაკლი მაგრამ ვინც კი მის მუშაობას იცნობს იცის, რომ ყოველთვის ია-ვრდით როდია მათი გზა მოფინილი; გასულ წელს, ბრეტტის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით „ბერლინერ ანსამბლს“ გადაწყვეტილი ჰქონდა წარმოედგინა ბრეტტის „ტურანდოტი“. სპექტაკლი არ გამოვიდა ბრეტტი-



ებერარდ ეშე — ლანკლოტი.
(ე. შვარცის „ფრთოსანი ურჩხული“).
კადრი ფოლიდან „ქვეშევრდომი“.

სებური, თეატრალური ვარგონით რომ ეთქვას „სპექტაკლი წა-
ვარდა“. უნდა წაიკითხოთ „ბერლინერ ანსამბლის“ მსახიობე-
ბის იურგენ შულცესა და ფრანც ფიშანის ბარათები, რომლებ-
შიც ისინი უსაზღვროდ შეწუხებულნი არიან „სპექტაკლის
ჩაგარდნის“ გამო.


მაგრამ ასეთი რამ „ბერლინერ ანსამბლისათვის“ ან ძალი-
ან იშვიათი რამაა, ან არაა, დროებითი მოვლენა.

ცხადია, ბრეტის ჰყავდა და ჰყავს მოწინააღმდეგეები.
მაგრამ ერთი რამ კი ცხადია და ყველა ერთხმად აღიარებს,
რომ ბრეტმა დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე მსოფ-
ლიო თეატრზე. აი რას წერს საბჭოთა თეატრმცოდნე ზ. ზინ-
გერმანი: „ბრეტის პიესები საშუალებას იძლევიან ეზიარო-
დნა სოციალური იდეებისა და მეტაფორული სახეების ხელთ-
ნებას, — ძნელია, რომ რომელიმე პატიოსანმა და ნიჭიერმა
ხელოვანმა ასეთ შესაძლებლობებს გვერდი აუაროს. იმ სპექ-
ტაკლებშიც კი, რომლებსაც, შეიძლება მოგვეწინათ, არაფერი
საერთო არა აქვს ბრეტთან, იგრძნობა მისი თეატრალური
გამოცდილების გავლენა“. ცოტა ქვევით იგივე ავტორი განაგრ-
ძობს: „მსოფლიო თეატრალურ კულტურას ბრეტის გავლენა
ეტყობა არა მხოლოდ მისი პიესების დადგმით ანდა სპექტაკ-
ლებს, რომლებშიც გამოყენებულია მისი სცენური ხერხები,
გაგულნა ეტყობათ ისეთ პიესებს, რომლებიც მისი შემოქმედ-
ებით ანდა მასთან პოლემიკის გამოა დაწერილი. ომის შემდ-
გომი თაობის დრამატურგები ასე თუ ისე დაკავშირებულნი

არიან ბრეტთან, ეს ფრანგებსაც კი ეტყობათ, რომლებიც, სულ
სხვაგვარი ეროვნული ტრადიციების ერთგულები მსოფლიო
ბრეტის თეატრალური ტრადიციები იმდენად გადამდები გა-
მოდგა, რომ ახლა გერ-ში არ მეგულება თეატრი და რეჟისო-
რი, ბრეტის „ბაცილით“ არ იყოს დაავადებული. ყველაზე
ადრე ეს „ბაცილა“ შეეყარა ექსპრესიონისტული თეატრიდან
მოსულ მსახიობს, შემდეგში ბრეტის მეუღლეს და მის მარჯ-
ვენა ხელს, ბრეტის სიკვდილის შემდეგ მრავალი წლის მან-
ძილზე „ბერლინერ ანსამბლის“ ხელმძღვანელს, აწ განსე-
ნებულ ჰელენე ვაიგელს. ბრეტის ტრადიციების ასე საყოველ-
თაო გავრცელება ხელი შეუწყო თვითონ ბრეტის მოწაფე-
ბის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით დადგმულმა წარ-
მოდგენებმა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე მსოფლიოს მრავალ
ქვეყანაში „ბერლინერ ანსამბლის“ გასტროლებმა.

ბრეტის ტრადიციების გამგრძობელთა შორისაა მსოფ-
ლიოში სახელგანთქმული რეჟისორი ბენო ბესიონი, რომლის
ცხოვრება და შემოქმედება დაკავშირებულია ბრეტთან და
„ბერლინერ ანსამბლთან“, თუმცა იგი „მოხეტიალე“ რეჟისო-
რადაც შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან ბერლინისა და გერ-
მანიის სხვადასხვა თეატრში თანამშრომლობის გარდა მას
შვეიცარიაშიც, იტალიაშიც და საფრანგეთშიც დაუდგამს სპექ-
ტაკლები. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ბრეტ-
ის პიესების ინსცენირებაში. ბედნიერება მქონდა სხვადასხვა
დროს ბერლინის თეატრებში „ბერლინერ ანსამბლი“, „ლი-

კადრი ფილმიდან „ვერნერ ჰოლტის
თავდასასავალი“.
ჰელენე ვაიგელი — ღელა კურაევი.





ჩეს თეატრში“ და „ფოლკსბიუენში“ მენახა ბენო ბესონის სპექტაკლები: მოლიერის „ტარტიუფი“, გვენი შვარცის „ფრთხანის ურჩხული“, არისტოფანეს „მშილიდა“, ბერტოლტ ბრეჰტის „სერუანელი კეთილი ადამიანი“ და სხვა.

გღრ-ში „ვერძანულ თეატრში“ (დოჩინი ელიტერ) ვნახე ბენო ბესონის მიერ დადგმული „ტარტიუფი“.

ეს იყო საოცრად თანამედროვე სპექტაკლი, რომლის კლასიკურობას კოსტუმები და თეატრალური რეჟისოტიკა თუღა მოგაგონებდა, თორემ სხვა წხრიე მსახიობების ცეცხლოვანი და დახვეწილი თამაში ეპოქებს შორის მიჯნას შლიდა. ყოველგვარ მოლოდინს ვადატარბა ცნობილი მსახიობების ფრედ დოურენისა და ინგე კელერის თამაშმა.

კოტე მარჯანიშვილის მემუარებში წაყვიტხა, რომ შეუდარებელ ეკონოთრა დუზეს ვეძლო თურმე სცენაზე საჭიროებისას ნებისმიერად შეეცვალა სახის ფერი, გაწილებულიყო ან გაფთხრებულიყო. და აი ფრედ დიურენის ტარტიუფმა ელმირასთან სცენაზე, რომც იგი ელმირას სიყვარულს ეფიცება, რამდენჯერმე შეიცვალა ფერი. ეს იმდენად „მოულოდნელი“ იყო დარბაზისათვის, რომ თავშეუკავებელი ტრასიციებით შეეგბნენ მსახიობს.

ორიოდ სიტყვით ბენო ბესონის „სერუანელ კეთილ ადამიანზე“. ცნობილია, ბერტოლტ ბრეჰტის ამ პიესის სასცენო ვარიანტი ძალიან მცირდება ხოლმე. ბენო ბესონს მინიმუმამდე დაუყვანია კუპიურები. ასეთი ტემპის მქონე სპექტაკლი იშვიათად შეგვხვება. სურათიდან სურათში ტემპი ისე მძაფრად იზრდება, რომ მსახიობების მეტყველება სისწრაფის მხრივ კულმინაციას აღწევს, თუმცა არ ზარალდება გამომსახველობითი მხარე. თეატრალურ ხელოვნებაში მიზანსცენის ბრწყინვალე ნიმუშად დარჩება ინგ ზუნის (მსახიობი ვინფრიდ გლატცედერი) სცენა, როცა იგი პაულ დესაუს მუხაის რიტმზე რეჟიტატივით (ზონგი) საშუაოსაკენ მოუწოდებს შუმებს სცენა ამაღლებულია, არც ერთი სულიერი სცენაზე არ ჩანს და მსახიობი დარბაზის პირისპირ რჩება; ზუნის ელასტიური მოძრაობა (იგი ოთხზე დგას) გალიაში დამწყვედული ვეფხვის მოძრაობას მოგვაგონებს, პლასტიური და რაზინირებულია მსახიობის მოძრაობა. იგი დარბაზს მოუწოდებს მუშაობისაკენ და დარბაზში მსხდომთ ჭეშმარიტად ასე ჰგონიათ. მგონი არ დარჩენილა დარბაზში ადამიანი, რომელსაც საერთოდ სპექტაკლში და კერძოდ ამ სცენაში თვითონ მონაწილეობა არ მიუღოს. სპექტაკლი ისე დაძაბულად მიდის, რომ დიალოგებს შორის ოდნავი პაუზაც, ოდნავი სულის მოთქმის საშუალებაც კი არ არის; გვერდზე თავი რომ მიბარუნოთ, და თანმხლებს მოწონების ნიშნად რაიმე ანიშნოთ, დარწმუნებული იყავით, აუცილებლად მნიშვნელოვანი რამ გაუწვით სეულიანს.

ერთი გარემოებაც, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანია: ბენო ბესონს თავისებურად წაუვიტხავს „სერუანელი“. პიესის მონაწილე რეალური პიროვნებები, ე. ი. მიწერინი, სპექტაკლში იმდებებს აღკრებენ, ირეალურნი, არარსებულნი, იგივე ღმერთები, ჩვეულებრივ ადამიანებად არიან გაკოყვანილი. ეს ხეხიბ თითქოს ახალი არაა, მაგრამ ბენო ბესონის მიერ „სერუანელი“ ადამიანების ე. წ. გაღმერთებამ და ღმერთების გაადამიანებამ, მრავალმეტყველი გახადა პიესის დედააზრი, მით უმეტეს, პიესაში ზეციდან ჩამოსული ღმერთები კეთილი ადამიანის ტენაში გაწილებულები ისე ზეცას მიაშურებენ...

გღრ-ის თეატრალური ცხოვრება ძალიან ცოცხალი, დინამიკური, მრავალფეროვანია. როგორი სასურველი სტუმარიც არ უნდა ჰყავდეს გერმანულს, ერთი კვირით ადრე გააფთხილებს მის, ამა და ამ დღეს დაკავებული ვარ, თეატრში მივდივართ. ბევრჯერ მინახავს დამატებითი ბილეთის შოვნით შეწყუხებული გერმანელი, რომელსაც თეატრში სტუმრის თან წაყვანა გადაუწყვეტია. ბილეთების შოვნა თითქმის ყოველთვის და ყველა თეატრში ღირს, ან არაა, საერთოდ შეუძლებელია. სწორად ნახავთ საღამოს გაზეთში თავნარგულ შეგობრებს, თეატრისმოყვარულებს, რომლებიც გულოდინებენ ექებენ იმ თეატრს, სადაც ჯერ კიდევ დარჩენილია ბილეთები („საღამოს ბერლინერ ცაიტუნგში“ ეს ყოველთვის ზუსტადაა მითითებული). გაოცდებით, რომ ამ დროს იქაური კინოთეატრები ცარიელია! და მერე არ იტყვიო, რა ფილმები გადის? მსოფლიოში სახელგანთქმული რეჟისორების ნაწარმოებები: „ტკბალი ცხოვრება“, „ახირებულთა ხმალში“ და სხვ.



ბერლინი ჭეშმარიტად თეატრალური ქალაქია! ისევე როგორც ბერლინის „დოიჩე შტატოპერის“ და „კომიშე ოპერის“, ასევე სხვა ქალაქების ოპერის სცენებზე წარმატებით იდგმება კლასიკური და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ფრიად საინტერესო იყო მიმდინარე წლის 16 თებერვალს შტატოპერაში წარმოდგენილი პაულ დესაუს ოპერის „აინშტაინის“ პრემიერა, ლიბრეტო ევუთენის კარლ მიკელს. პაულ დესაუ ცნობილი კომპოზიტორია, მან სახელი მოიხვეჭა ბერტოლტ ბრეჰტთან თანამშრომლობისას შექმნილი შესა-

ნიშნავი მუსიკით. „აინშტაინი“ სათვალავით მეოთხე ოპერაა ლესაუს შემოქმედებაში. მანამდე მან 1951 წელს დაწერა „ლუკულუსი“, 1966 წელს „პუნტილი“, 1963 წელს „ლანცელუტი“.

ოპერა „აინშტაინი“ საქვეყნოდ ცნობილი ფიზიკოსის ალბერტ აინშტაინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება. ვერავითარ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით ბიოგრაფიულ ნაწარმოებად ოპერა „აინშტაინს“ ვერ მივიღებთ, მაგრამ იქ არის ბიოგრაფიული მომენტებიც. „აინშტაინი“ შეეხება მეცნიერის, დიდი პიროვნების პასუხისმგებლობას ხალხისა და კაცობრიობის წინაშე. ოპერის ტექსტში კარგადაა ჩართული გოეთეს, შილერის, პოლდერლინის ნაწარმოებებიდან ციტატები. აინშტაინი სცენაზე ხვდება წარსული დროის კოორდინატებს ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეის, ლეონარდო და ვინჩის, მაგრამ სცენაზე მე-16 და მე-20 საუკუნეების შეხ-

მიეკუთვნა პაინრიპ მანისა და შარლ ველონის (ცენტრში) პრემიები. რომანი ითარგმნა მრავალ ენაზე.

რომანის მოქმედება პრუსიაში ხდება 1874 წელს. წყლის წისქვილების მფლობელი კონკურენტის წისქვილს წააღვეცივნეს... იმართება უთანასწორო ბრძოლა ღარიბსა და მდიდარს შორის. ბობროვსკიმ უაღრესად ხაინტურესოდ დაამუშავა ეს მასალა და ნაწარმოებს მწვავე სოციალური ძვლადობა მიანიჭა.

გდრ-ში უდო ციმერმანის ახალ ოპერას პრუსა მაღალ შეფასებას აძლევს. ავტორს საოპერო მუსიკაში ხალხური სიმღერები გამოუყენებია. უდო ციმერმანის ახალი ნაწარმოები ახალგაზრდა კომპოზიტორის მესამე ოპერაა.

უახლეს ხანებში ბერლინის თეატრებმა წარმოადგინეს ახალი დადგმები, მათ შორის საინტერესოა „ბერლინერ ანსამბლი“ განხორციელებული დადგმები: ფრანკ ვედკინ-



სცენა სპექტაკლიდან „ტარტიუფი“. იმჯე კეულრი და ფრედ ლორენცი. რეჟისორი ბენო ბესონა. „ფროთოსანი ურჩხულის“ რეპეტიციაზე. კინორეჟისორი კონრად ვოლფი.




ვედრა არავითარ უხერხულ სიტუაციაში არ ქმნის, ისინი ორგანულად ერწყმებიან ერთმანეთს.

მიმდინარე წელს გდრ-ის საოპერო ხელოვნებაში ჩაიწერა კიდევ ერთი ღირსსახსოვარი თარიღი. დრეხდენის სახელმწიფო საოპერო თეატრმა წარმოადგინა კომპოზიტორ უდო ციმერმანის ახალი ოპერა „ლევენის წისქვილი“.

1964 წელს გდრ-ში გამოვიდა მანამდე არცთუ მაინც და მაინც ცნობილი მწერლის იოჰან ბობროვსკის რომანი „ლევენის წისქვილი“. რომანი და მისი ავტორი ელვის სისწრაფით გახდნენ ცნობილი და იოჰან ბობროვსკის იმავე წელსვე

დის „გაზაფხული ილიქებზე“ და ეკეპარდ შალის მიერ განხორციელებული ბერტოლტ ბრეჰტის „ედუარდ მეორის ცხოვრება“. საინტერესოა, როგორც პრუსა იუწყება, როსტოკის „ფოლკთეატრის“ პაბლო ნერუდას „სოკაინ მურიეტას ბრწყინვალეობა და სიკვდილი“, სხვადასხვა თეატრებში სტრინდბერგის, გოეთეს პიესების ინსცენირება. ოპერებიდან ალსანიშნავია სერგეი პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“, დონიციეტის „დონ პასკუალე“ და სხვ. რომელთა არასრული ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანდა.



„სიციცხლე მისი მოკლე იყო, მაგრამ სრული“.

„ივერია“ 1893 წ.

არის მწერლები, რომელთა შემოქმედებაც თითქოს თავისთავად მოითხოვს ორჯერ წაკითხვას — ერთხელ ბავშვობაში, მეორედ კი ხანდაზმულობის ჟამს. თითქოს მათი მთლიანად გაგებისათვის საჭიროა, როგორც ყრმის მიამიტი ნდობა, ასევე ჭარბაკი კაცის გამოცდილება თუ სიბრძნე.

გენიოსი უპიკოსის, თავისი დროის საზოგადოების შეუღარბელი მკვლევარის დიკენსის დიდებას ის მდულარე ცრემლის შუქიც ანათებს, „დავით კოპერფილდის“ წაკითხვით გულშეძრულ უამრავ ბავშვს რომ დაუღვრია ამქვეყნად.

ასეთი მწერალია ჩვენთვის ალექსანდრე ყაზბეგი.

ბავშვობაში, როცა პირველ გაუბედავ ნაბიჯებს ვდგამდით იმ თავბრუდამბხვევ, ჯადოსნურ სამყაროში, რომელსაც მწერლობა ჰქვია, თითქმის ყველანი ტყვე ვიყავით მისი წიგნების ფურცლებიდან ამოზრდილი ფათერაკებით სასუე ქვეყნისა. ჩვენ, პოლ ვალერის თქმისა არ იყოს — კითხვის დროს ნეტარებას განვიცდიდით ისე, რომ არ გვესმოდა, ანდა უფრო სწორად — არ გვესმოდა მისი ნამდვილი სილიადე. შეპყრობილნი და გოგნებულნი მისი გმირული რომანტიკით, მთის საცალ-



რომ მისი ჭეშმარიტი ღირსების ამოსაცნობად მარტო მისი ცნობისმოყვარება საკმარისი არ ყოფილა.

ბავშვობის დამთავრებასთან ერთად, დამთავრდა ჩვენი პირველი შეხვედრაც ალექსანდრე ყაზბეგთან. მაგრამ დამთავრდა კი? ის შუქი, რომელიც მან ჩვენს სულში სამუდამოდ ჩატოვა, მერე მუდამ თანამავალ ვარსკვლავივით დაგვეყვებოდა და კეთილშობილების, რაინდობის, სათნოებისა და სიყვარულის გზებისკენ გვიბიძგებდა.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება მოზარდისთვის ბუნების სარწმუნოებითაა, წყალობაა, წაქეზებაა, გაშლილი ხელეზობია, ბავშვს რომ პირველი ნაბიჯის გადასადგმელად ათამამებს. ამ პირველ ნაბიჯზე კი მთელი მისი მომავალი ცხოვრებაა დამოკიდებული.

ჩვენი მეორე შეხვედრა ალექსანდრე ყაზბეგთან, შეიძლება ითქვას, ნამდვილად დრამატულია. უპირველესი, რაც მისი ხელმოწერად წაკითხვის შემდეგ ჩვენს არსებას იპყრობს — მოკლედწმინდობისა და გაოცების გრძნობაა. თურმე იმ კაცს, რომელიც ჩვენი ბავშვობის კეთილ მეგობრად ვაღიარეთ, თავზე ეკლის გვირგვინი ადგას და საჯადოყოფოს რკინის ფანჯრიდან დაღვრემილი შემოგვეცქერის. თურმე მისი კალამი „სისხლის გუბეშია ნაწობი“ და მისი ყოველი სტრიქონი „დამდნარი გულის ცრემლია“ — მეტი არაფერი. თურმე იმ კაცს, რომლის პირველ მოთხრობასაც გზა დიდმა გრიგოლ ორბელიანმა დაულოცა: „ღმერთმა გაკურთხოს, მოწუხებარძივე!“ და რომლის ცხედარიც ვაჭამ და აკაკიმ ლექსებით დაიტკირეს, სიცოცხლეში ლუკმა პური საძებნელი ჰქონია, თუმცა ლუკმა პური რა სათქმელია, როცა უზრალო ადამიანურ თანაგრძნობას ყოფილა მოკლებული. ვაისხენეთ დავით კლდიაშვილის სიტყვები: „ბევრი უსამართლოდ ექცეოდა სანდროს და ხანდახან ცხარე ცრესლითაც ატირებდნენ მას“. თურმე იმ კაცს, რომელმაც სიყვარულისა და მეგობრობის პოემა შექმნა, რომელმაც ხალხის ერთიანობას უმერა, მთელი სიცოცხლე სიმარტოვეში გაუტარებია. თურმე იმ კაცს, რომელმაც ასე ცოტა იცოცხლა და ასე ბევრი იცხოვრა, ერთადერთი სიხარული ჰქონია — ეს იყო შემოქმედება და აკი ბოლომდეც ამოთქვა, დაიცალა, ჩვენს თვალწინ დადნა, როგორც მთიდან ჩამოტანილი ყინულის ლოდი ქალაქის მოედანზე. ჩვენი გონება შეაკრთო იმის გაფიქრებამ, რომ მის მიერ მონიჭებული სიხარულის წყარო თურმე ტანჯავა ყოფილა და ის უკიდვგანო სინათლე, რომელიც დღეს მილიონობით მკითხველს ეფინება, თურმე იმ კოცონის შუქია, რომელზედაც დაიფურცლა ცხოვრება ერთი პიროვნებისა, ერთი მწერლისა.

თურმე რამოდენა სინათლეს გამოსცემს ერთი ადამიანის სული!

ხელოვნებაც ხომ ერთის ბრძოლაა, ერთის თავგანწირვაა, ერთის დგომა მარადისობის, სიმარტოვისა და სიბნელის წინაშე. ეს არის ერთი ადამიანის განზოგადებული ცნების მაქსიმალური შესაძლებლობების, მე ვიტყვოდი — ღვთაებრივი ენერჯის ჩვენება. ამიტომაცაა სწორედ ხელოვნება, ადამიანის საღიბებელი პიში მაშინაც კი, როცა მის ტრაგედიას გადმოგვემს.

ალექსანდრე ყაზბეგმა ყველა თავისი საუკეთესო ნაწარმოები მთელი წლის განმავლობაში შექმნა. ამ ხუთ წელს, შეიძლება, შეუძლია ნამდვილი სიცოცხლე ვუწოდოთ, რომლისთვისაც ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ემზადებოდა. მისი მოთხრობები ერთი ამოსუნთქვით შექმნილი, ერთი დიდი

ალექსანდრე ყაზბეგი

თამაზ ჭილაძე

ფეხო ბილიკებზე ბრმად მივხედვით მას, რადგან შოშისგან სუნთქვაშეკრულებს თვალის გახელის გვეშინოდა და დაბაბულნი ველოდით გმირთა თავგადასავლის დასასრულს, ველოდით კი არა, გვინდოდა, რომ ის უსასრულოდ გაგრძელებულიყო.

თუმცა მაშინაც კი ვცდილობდით ამ უნააური ფერებით აჭრელებულ სამყაროში, ამ იდუმალი და საკვირველი ძალის წყალობით მუდამ ამაღლებულ ფენომენის წიაღში მოგვეძებნა რაიმე ჩვენთვის ნაცნობი, მახლობელი, მაგრამ ერთ დღეს, სწორედ მაშინ, როცა ბავშვობა დამთავრდა, ვიგრძენით,



ტრაგედიის მფუჭავი ნამკერვეები. ამავე დროს ყაზბეგი, როგორც რეიტი ჯარისკაცი, ისე უმსახურებოდა ქართულ თეატრს, რომელიც, მისი სიტყვით: „ყველაზე უკეთ თანაშემწეობს დედა-ენის აღდგენას“. „სიკნაზე თამაშობის დროს თითქოს... ვიცოცხლებდი“... — უთქვამს თურქმა რეჟისორმა მემარქსუნებელი სიტყვა: „ვიცოცხლებდი!“ მისთვის სიცოცხლე, მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებასთან დაკავშირებით იძებნა მნიშვნელობა, ისევე როგორც მისი მოთხრობების გმირები-სათვის ნამდვილი სიცოცხლე მაშინ იწყება, როცა სიყვარული ბედისწერასავით დაატყდებათ თავს.

„აქ თქვენ ჰყვართ ძალას, ტირილს, კენჭებს, მუკარას, ღრიბას, ბრძოლას ერთმანეთში არეულ და იქმნისის მიპყვარაბო, რომ რაღაცა გულის კანკალით თითქოს თქვენც გინდათ ჩაერთო ამ უცნაურ ბრძოლაში“ — ეს სიტყვები ყაზბეგს ეკუთვნის, „მაშის გველიდანაა“ მოტანილი და თუბა სულ სხვა ვითარების გამო დაწერილი, შეიძლება მიიღოს მისი შემოქმედების ეპიგრაფად გამოიყენებოდეს. ეს არის „გულის საძირკველზე“ ამოხრდილი ქვეყანა, სადაც, როგორც პოეტი იტყობდა — მხოლოდ „გული მშრთველობს“. ზოგჯერ გვექვინებნა, თითქოს მებრალის სინამდვილეს შორდება და მიწაზე მხოლოდ თითის წვერებითა დგას, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ნახეთ, როგორი მსურველია, როგორი მიწვირია ანუ როგორი აღდამინურია მისი ზმანებანი, „სიცოცხელი რომ უღრიდნენ რეალობას“ (ვ. ბარბოვი). დე. ნუ შეგვაკითხავს გულის ანუ ემოციური საწყისის პრიმატის აღნიშვნა მწერლის შემოქმედებაში. არ უნდა დაგვაყვარდეს, რომ გინების ნაყოფი თუ-კი გულის ქრებაში არ გაივლის, ისე არაფერ სასიკეთოს არ მოიტყის აღდამინებისთვის.

ყაზბეგის სამყაროსთვის უცხოა შეტაფიზიკური ძალისხმევა ვაგაქვლით ფრაზისა: „რამ შემქნა აღდამინად, რატომ არ მოველ წვიმად“, აქ არის თითქმის ინსტინქტური ქმედება პირველყოფილი ვნებისა, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლის ხის — დღეაფუნების შტოზე ჰკადიდა. აქედან ძალიან შორსაა კამპლექსის „კვლიანი გონების“ შემზარავ ამობახილადე: „ყოფნა? არყოფნა?“ აქ ბატონობს მხოლოდ „ყოფნა“ და ამიტომ ამ სამყაროში სიკვდილი საყოფად სიზიფესავით მოჩანს, რომლის ამოი შორმა — მთაზე ათრული ლიდი — ყოველწამს ისევე ინთქმება მარადელი სიცოცხლის ტალღებში. აქ სიტყვებმა დაკარგული აქეთ თავიანთი ტრადიციული ძალა. გერმანია, გრძნობა, „სისხლის ამადღებელი“ გრძნობა ბატონობს სიტყვაზე, აზრობს მას და სიტყვების ნაცვლად გვესმის გმინვა, ოხვრა, გოდება, კენჭა, ქეთინი... იქ, სადაც ბრძენი აკაკი იტყობდა: „არ მომკვდარა, მხოლოდ სმინასეს“, ალექსანდრე ყაზბეგი ამოვიგინებდა მხოლოდ და რე შემზარავი, რა მრავალსიმოქმელი იქნებოდა ეს ამოგმინვა! ალექსანდრე ყაზბეგის გმირები ერთი დღით ცოცხლობენ, ერთი დღით, ერთი წუთით, ერთი წამით, მაგრამ რა დიდებულა ეს წამი — მარადისობის თეიანის წვეთია, რომეფშიაც ბუნების მრისხანე სახე გამოსტყვიანს. ყაზბეგის გმირები ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბებულ აღდამინებად იბადებიან და ჩვენს თვალწინვე იხოცებიან, მაგრამ აქ სიკვდილი არ არსებობს, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის ბუნებრივი დასასრული, ეს არის ბნელში უცაბედად გაკარვლი ასანი, უფრო მეტიც — ელვის გამოშვება, რომელიც თითქოს კლდში გამოკვეთილ ტრაგიკულად მშვენიერ სახეებს აჩენს. ერთი ქრება და მაშინვე მეორე მოთხრობაში

სხვა მისი მსგავსი იწყებს ნათებას, ამდნად წყვილია. დღეა... ლეილია მრავალი და მრავალი ელვის მახვილით.

თუ რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული, ეს არაერთხელ დამტკიცებიათ აღდამინების თავიანთი სიცოცხლეთა თუ სიკვდილეთა. ყაზბეგის მოთხრობებში ეს არძობა უსაიტაკესი პოეტური შარავანდელითა დამშვენიული. უსაიტაკესია იმდნად, რამდნადაც მამულიერულითა სისხლის ფერია იგი, ხოლო პოეტური ამატომ, რომ მამულიერების ქალღმერთის გამოილ ფურთებს მოვკანონებს. თავის უფლება — როგორც დიდი ილია იტყობდა: „აკათა ნავსაყუდელი“ — ყაზბეგის შემოქმედებაში წარმოდგენილია, როგორც არსებობის აუცილებელი პირობა, რისი მრეხებითაც ეკუს შევსება გამოვლინის ყველა ის თვი-სება, რაც მას აღდამინად აქცევს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბევრ ჩვენს პროზაულ ნაწარმოებში ისე დაეღუმა არ იგრძნობა ქართული ენის შინაგანი ენერჯია, როგორც ყაზბეგის მოთხრობებში. მარტალია, მისი თხრობის მდინარეებს თან მოჰყვება უამრავი ქვა და ღორღი, მაგრამ მშვენიერია თავისი სილადით.

„ნუგუშს მოკლებული ტირად მდუღარად, მწარედ და ჳრძნობას გამოსატყუელად მხოლოდ უსიტყვი ვინჯავს ადამო-ახდენდა. ხმა იყო ცხარე, მწკვეე, ხმა ნამდვილად აღვზნებული გულისა, რომელსაც იტაცებდა ნიაფი, მოქონდა თრთოლვით და ბეჭავის ჭახილისათვის კლდეთა და ღრეთა ბანად ზარს აძლევინებდა...“ — აი, ასე მოიხსი, მოისრუფვის სიტყვა სიტყვაზე, როგორც კლდიდან მომწყვდარი ქვები, ანდა ჳრილობიდან სისხლი...

მწერალი ჩქარობს, სიტყვას არ ამთავრებს, ყლაპავს, სუნთქვა ვერის, როგორც ნარბენ კაცს, გული ამოვარდნაზე აქვს. ეუბები, სახეები, ხმები, უამრავი, უამრავი ხმა... ზოგჯერ თითონვე კითხულობს გაკვირებულნი:

„ღმერთო ჩემო! რა ხმა იყო ის?“
თითქოს მემოხილებისაგან ევოღება პასუხს, მკითხველისაგან. რომლის არსებობასაც, რომლის თვალსაც ის გამოდგებით გრძნობს, როგორც მის მიერვე დადგენილი სექტაკლის მონაწილე, სექტაკალი იმტომ ვასხედა, მწელი არ არის იმის შემწინევა, რომ მისი სამყარო იონდავ თეატრალიზებულია. მისი გმირები ხელისგულის ოღნა სცენაზე, სინათლის წრეში მოქმედებენ და საინტერესოა ის ფაქტი, რომ მკითხველში მათურებელსაც გულს მინიშნობს.

აი, სიკვდილის სცენა:
„ელღუჯავ, რომელსაც ჳერ კიდევ ხელი არ მოეშორებინა თავის ხმლისთვის, თითქოს ხელახლად საბრძოლველად იწვევდა თავის მტრებს, განაპირებთ ვდრო“.

აი, მათია:
„ისე მწერალი, გაფრთხილებული და მოხდნელი მოდიოდა, რომ მტერსაც ექ სასიხარულოდ მიაჩნეული ყველა უტყუარ და დამინებულს თოფს შეაყენებდა, რომ საკამოდ დამტკბარიყო იმის მშვენიებით“.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ ალექსანდრე ყაზბეგი ქართული მწერლობის ისტორიაში პირველი ყველა უტყუარ მნიშვნელოვანი დრამატურგია. საერთოდ ექ მისთვის არ არსებობდა მკვერთად გაკლებული მიჯნები პროზას, პოეზიასა და დრამატურგიას შორის. როდესაც მის პირველ კითხვობ, გრძნობ, თუ რა დიდი დრამატურგია ის და მავე დროს იმასაც გრძნობ, რომ ნამდვილი პოეტია. მას აქვს ენის რიტმის გასათვარი გრძნობა, ამავე დროს სიტყვათა ემოციური ჳგუფების გაწო-



ნასწორების უნარი. მისთვის ცალკე აღებულ სიტყვას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, ის აზროვნებს უნის უსარმაზარი მონაკვეთებით. მისი თითოეული ფრაზა, სქენის რა სიმალღის წაყარობებს, მაშინვე ინთქმება სიღრმეში, საძიარკველის გასამტკიცებლად. მას შეუძლია თქვას: „ორნივე... მიიბრძოდნენ ერთიერთმანეთისკენი“, ზმნით, ამიბრძოდნენ“ შთამბეჭდავი პლასტიკურობა და ემოცია შექმნას, მაგრამ მაინც მისთვის სიტყვა, ან თუნდაც მივლენ ფრაზა მხოლოდ კენჭია, ქვაა, უკეთეს შემთხვევაში — კლდის ნატეხია, რამილითაც შენობის აგებენ. ის უფრო ვარძისის ზურთითმოდერის შთამომავალია, ვიდრე ბექა ოპიზარისა.

ხშირად აღუწინავთ ბუნების განსაკუთრებული როლი ყაზბეგის შემოქმედებაში. მართლაც, ბუნება ყაზბეგისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი რამ კა ღაქტია, ბუნებასთან მიმართებაში ის უფრო ფილოსოფოსია, ვიდრე მხატვარი, მისთვის მთავარია ბუნებისა და ადამიანის, სტიქიისა და ადამიანის გონიერი სულის უცნაური თანდათხვევა, მათი მოქმედებების სინქრონიზმი და უნდა სიამაყით აღვნიშნოთ, რომ ბევრ მწერალს, და არა მარტო ჩვენში, არ მიუღწევია ამ თვალსაზრისით იმ სიმალღისათვის, როგორც ეს ყაზბეგმა შესწლო. ყაზბეგის ბუნება ადამიანის განწყობილების ადეკვატურია, ამიტომ შეიძლება ზოგჯერ ის რეალურად არც კი არსებობდეს, შეიძლება ის მხოლოდ ადამიანის სულის პროექცია იყოს იმ სტენაზე, რომელზედაც აღრე მოგასხენებდით, შეიძლება წარმოვიდგინოთ ვეება ცარიელი ეკრანი, სადაც დროდარბო გამოჩნდება ხოლმე ბუნების გრანდიოზული სურათები — უფრო სწორად — ადამიანის განცდები გარდაქმნილი ბუნების სურათებად, ზოგჯერ მშვიდი, ზოგჯერ კი მიმინვარე და ბოხოქარი. ეს არის ადამიანის არსების „მეტყველი დემონის“ უფსკრულთა ან მღვივანთა შორის მოგზაურობის ეპიზოდები, ანუ დემონის შინაარსი გადმოცემული ბუნების ხმებით. ყაზბეგის გმირები ბუნებას თითქოს თავიანთი არსებობიდან ასხივებენ, ჯადოსნურ აბლაბუდასავით ქსოვენ საკუთარ ოცნებათა და ზრახვათა მსგავს სამყაროს, როგორც ყაზბეგი იტყვოდა: „უგრძნობელ მომხიბვლელ მდგომარეობას“ — და მერე თავად ექვეყიან მისი გავლენის სფეროში.

ყაზბეგის გმირების ხანმოკლე სიცოცხლეში უსათუოდ დება ჟამი, როცა ისინი მთელი სიმძაფრით განიცდიან, გრძობენ, ხვდებიან, რომ ისინი ბუნების ნაწილი არიან. ეს არის სიყვარულის დრო — გაზაფხულის ღელვანი — ერთდროულად სიხარულსა და კავშანს რომ იტყვს. „მათიას ნამდვილი სიხარულის მაგიერად, რადაც სევდა მოაწვა და თითონაც ვერ გაეყო, თუ რასა გრძნობდა და რა უნდოდა?“ აქ იწყება მათი ნამდვილი ცხოვრება, იწყება და მთავრდება კიდევ და სიყვარულით ავსნებულნი და გაბრუებულნი სიცოცხლის დასასრულს ისე ხვდებიან, თითქოს უკვდავებაში გადადიანო. ყაზბეგის მოთხრობებში სიყვარული უცებ იბადება, ერთი შეხედვით, თვალის ერთი შევლებით და მერე ხანძარივით ბოხოქრობს ქალ-ვაკის გულში და მისი წითელი ალით განათებულია მთელი ქვეყანა. ეს არის ძლიერამოსილი ბუნების ზეიმი, თუმცა აქ-იქ შურის, ვერაგობისა და ღალატის ალესილი ხანჯლებიც ელავენ. და აი სწორედ აქ იწყება ყაზბეგის პოეზიის ნამდვილი სიდიადე, მისი პოეზიის ალოგაიური სიმართლე, ერთი შეხედვით თითქოს მარტივი ხასიათების ქვეტექსტების დრამატული მუსიკა. და აი სწორედ აქ ყაზბეგი დიადი რუსთაველის თამამი მოწაფეა, მისი ბოკეერია, მის კვალს მიჰყვება, რადგან

მაინც და მაინც იქით მიიწევს, სადაც ჯერ არავინ გაუკლებია, მისი გმირები ზოგჯერ საკუთარი ხელთ ანგრევენ თავიანთ-თავსა და ნიერებს, დაწყობილ ცხოვრებას. მათ ისევე ადვილად მისი ერთი გული, ისევე მორიდებლად ტირიან, ველად გაჭრილინი ისევე მოსთქვამენ, ისევე დაეძებენ სატრფოს, როგორც რუსთაველის ბრწყინვალე გმირები. მათთვის სიყვარული თითქოს ზღისწყარაა, უფრო მეტიც — უღმერთობაა: „ღმერთი? — ყვირის მათია, — თუ ღმერთია, რად შემაყვარა შენი თივი?“ და მაინც მათთვის სიყვარული სულის მობრუნებაა, ნუგეშია, დღესასწაულია, სადაც სუფრანზე ხელიხელგადახვეულინი სხედან სიცოცხლე და სიკვდილი, რომელიც ამ ზეიმივე ყველაზე საცოდებად გამოიყურება, რადგან არავითარი ანგვირი ძალა აღარ გააჩნია. ყაზბეგის მთელი შემოქმედებაც ხომ სიცოცხლის დამკვიდრებისთვის ბრძოლაა, უფრო ზუსტად — ბრძოლა სიცოცხლის ქემშარტივ გააზრებისთვის. ქართულ მწერლობაში მან განსაკუთრებული ადგილი არა მარტო იმიტომ დანიჭვედა, რომ ბრწყინვალე ბელეტრისტის ციო, არამედ იმიტომაც, რომ იყო ჰუმანიზმის ხმალომდებული მემომარი. ტყუილად კი არ უხარბა ვაჟამ:

„მიუხელო მამა-პაპათა
ამოღებლის ხანჯრითათა!“

შეიძლება ზოგს გაუკვირდეს ხანჯალი სიკეთის მქადაგებლის ხელში, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ სანამ ამ ქვეყნად ბოროტება არსებობს, სიკეთემ მახვილი არ უნდა გადააგდოს.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება დღესაც ცოცხალია, მოქმედებს, იბრძვის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის უკვდავია. ის კიდევ ღერო ბავშვის ოცნებას შეასახმს ფრთებს და ბევრ ჭალარა კაცს ღრმად ჩააფიქრებს.

ალექსანდრე ყაზაბეგი

და ქართული ქინო

პირველი ქართული კინემატოგრაფიული შედეგები, კინოს საკუთარი მხატვრული ერთი მეტყველი ფილმი, ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის „ელისოს“ ეკრანიზაციას წარმოადგენდა.

„ელისომდე“ კი, ოციანი წლების დასაწყისში, მაყურებელმა ეკრანზე ნახა ალ. ყაზბეგის „მოდღარი“ (რეჟისორი ვ. ბარსკვი) და „მამის მკვლელი“ (რეჟისორი ა. ბეგ-ნაზაროვი).

ალ. ყაზბეგის მოთხრობების ემოციური სიმძაფრე, მათში ასახული სიყვარული, მთის ხალხის ყოფილი ადათები, ჩამოსული რეჟისორებისათვის ეგზოტიკური და გასაოცარი იყო ისინი ცდილობდნენ მაყურებელშიც ასეთივე გაკვირვება გამოეწვიათ.

1922 წელს ეკრანებზე გამოდის ფილმი „მოდღარი“. რეჟისორმა მასში რევოლუციის მოტივი შეიტანა, ოღონდ ისე, რომ ამასთან ძირითადად დედინეული ლირიკული მოტივის შენარჩუნება სცადა. ფილმში ასახვა ვერ ჰპოვა თემისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებამ, რაც ესოდენ აქცენტირებულია ყაზბეგთან.

ალ. ყაზბეგის მოთხრობაში „მოდღარი“ ონოფრეს სახე კაცთმოყვარობის მხატვრული ნიმუშია, მოძღვარი ერთგული მურვეა თავისი სალსისა, მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი მომვთა ტანჯვის შემსუბუქებაა. ადამიანთა მიწიერი ცთომილების პატიება, მათი სულიერი შეჭირვების გაგება—ეს იყო მოძღვრის ცხოვრების არსი. ალ. ყაზბეგის მოთხრობაში ონოფრე ღვთისმორწმუნე კაცია და ქრისტეს მოძღვრებით ხელმძღვანელებს.

ეკრანიზაციაში კი ონოფრე ღმერთისაგან განდგომილია, მან უარჰყო ქრისტეს მცნება და რევოლუციური იდეებით აღიჭურვა. იგი ხალხს უქადაგებს: „ვეყით მოთუნა და შორჩილება, თქვენ მუშაობდით თქვენი ბატონიათვის. აღიარეთ თქვენი ძალა. თქვენ უნდა იყვეთ ყველაფრის ბატონ-პატრონი“—და მოძღვრის სიტყვებით ანთებული გლეხებიც თავადის კარმიდამოს ააწიოკებენ; ონოფრე კატორღამიც განაგრძობს რევოლუციურ მოღვაწეობას და პატიმართა გაქცევას მოაწყოს.

რევოლუციური მოტივის შუტრა ფილმში იმ დროისათვის მეტად აქტუალურად ვერღა, მაგრამ ავტორებმა ვერ შექლეს ამ მოტივის მხატვრულად გამართვა. ფილმში იგი სქემად გამოიყურება, ვინაიდან სოციალური მოტივი დაბუშ-შაფებელი აღმოჩნდა, არ იყო ასახული მიზეზები, რომელიც შედეგად სახალხო ამბოხება.

ფილმში „მოდღარი“ ძირითადად მანინ სიყვარულის ამბავია გადმოცემული: მაცყალას ძალად გათხოვება გელაზე, ონისესა და მაცყალას

იდელმალი პეიზაჟები, მათი გაქცევა, საკვარეულო სისხლისმღვრელი შურისძიება, თემის მიერ მაცყალასა და ონისეს გადგენა, მაცყალას შეფარება ონოფრესთან. ყოველივე ამის შემდეგ მაყურებლისათვის სრულიად მოულოდნელია მოძღვრის რევოლუციური პროპაგანდა. ფილმში ასახული რევოლუციის თემა მხატვრულად მოუმწიფებელი ჩნის და დროის მიმართ უბრალო ხარკის გაღებად იკითხება.

ჩვენს კინოხელოვნების გაიფრავებზე ჩამოყალიბებული არ იყო რეჟისორის ოსტატობა, მხატვრისა და ოპერატორის გამომსახველობითი მანერა და სამახიობო შესრულების დონე. „მოდღარი“ დრამატული თეატრების საუკეთესო მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას: გიორგი დავითაშვილი (ონისე), ვალერიან გუნია (მაცყალას მამა), ალექსანდრე იმედაშვილი (გელა), შალვა დდღანი (მოდღარი) და სხვ. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ ესმოდათ კინოხელოვნების სპეციფიკისა და მექანიკურად გადმოქონდათ თეატრალური მიმიკა და ფსტიკულაცია, უფრო მეტიც, ისინი აორმაგებდნენ სცენური გამომსახველობის მანერას, ვინაიდან სიტყვები მუწევი ეკრანიდან არ ისმოდა და ცდილობდნენ ტურების ზუსტი მოძრაობით სიტყვების შინაარს გადმოცემა.

1923 წელს საქართველოს ეკრანებზე გამოდის ალ. ყაზბეგის მოთხრობის „მამის მკვლელი“ ეკრანიზაცია. ფილმის ავტორმა ა. ბეგ-ნაზაროვმა ლიტერატურული პირველწყაროს სიუჟეტურ ქარგას ფილმი დიდად არ დაშორა.

ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან ფილმში გამარტივებული სახით გადმოსული მძაფრი ვნებათაღ-

ნათია ამირეჯიბი

ლგანი მასიურ მაყურებელს იზიდავდა. მაყურებელს ხიბლავდა სასიყვარულო ურთიერთობასთან დაკავშირებული ემოციური კოლიზიები (ქალის მოტაცება, შურისძიება, ძალადობა) და მთის ადათების ჩვენება, რომელიც ფილმში გადაჭარბებითაა მოცემული. მაგალითად, თუ ყაზბეგი დამბობილებს ტყვიების გაცვლით აღწერდა, ა. ბეკ-ნაზაროვი ტყვიების გაცვლასთან ერთად თითების ხანჯლით გაჭრასაც უმატებდა და ამგვარად ეგზოტიკური საღებავებით აფერადებდა ხალხის საუკუნებო რიგ ზნე-ჩვეულებებს.

„მამის მკვლელში“ შენარჩუნებულია მოთხრობისეული არქიტექტიკა, გამარტივებულია ზოგიერთი სიტუაცია, რათა მაყურებლისათვის უფრო გასაგები ყოფილიყო. ეკრანისა და კინოტექსტის შიშის მიერ ომის მზადების ეპიზოდი, რომელიც მოთხრობაში ა. ყაზბეგს ერთობ ვრცელად აქვს აღწერილი. სამაგიეროდ, ა. ბეკ-ნაზაროვმა სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის ამასხველი ეპიზოდი ჩამატა. ეკრანზე მოჩანს დამსჯელი რაზმისა და ადგილობრივი მთიელი მოსახლეობის შეტაკება. უნდა აღენიშნოთ, რომ ეს ჩანამატი მეტად ხელოვნური გამოიგია.

„მამის მკვლელი“ საყურადღებოა აგრეთვე იმიტომ, რომ ეკრანზე ვნის სარაჯიშვილის საეკრანო პორტრეტი შემოგვიანდა. გამოჩენილი მომღერალი ფილმში იავოს როლს ასრულებდა.

კინონაწარმოები მსატერული თვალსაზრისით სუსტია. მისი ძირითადი ნაკლი ისაა, რაც საერთოდ დამასხაიათებელი იყო იმდროინდელი ქარ-

თული კინოსათვის—ჩვენს კინოს ჯერ კიდევ არ გააჩნდა თავისი სპეციფიკური მეტყველება.

იმდროინდელ კინემატოგრაფიის ნიმუშებში ტიტრებით გადმოცემული სიტყვა უფრო ქმედითია, ვიდრე გამოსახულება, სიტყვა გიდის როლს ასრულებს და კინემატოგრაფიულ გამოსახულებას განმარტავს, ხელს უწყობს ეკრანის ქმედითობას.

ეკრანმა ქართული ლიტერატურის ნაწარმოებებისაგან ისესხა წილსკლები (მაგალითად, „მამის მკვლელში“ ნაჩვენებია გლახას ახალგაზრდობა), რომლებიც ნაწარმოების გმირის ბიოგრაფიის გადმოცემის ემსახურებოდა. ეს ხერხი მსატერული სახით გამოქვეყნდა რამდენაღმე ხელს უწყობდა, მაგრამ სახის კინემატოგრაფიულ ნიმუშებს მაინც ვერ ქმნიდა.

იმდროინდელმა კინომ ქართული პროზისაგან გადაიღო თხრობითი კილო, რომლის საშუალებით ეპოქის, დროის გარკვეული მონაკვეთის თუ მოქმედი გმირის სახის გამოქვეყნება ცდილობდა, მაგრამ წარწერების თხრობითმა კილომ იგივე შედეგს ვერ მიაღწია, როგორც პროზაში, და ნაცვლად მსატერული სახეებისა, ეკრანმა მხოლოდ ილუსტრაციული ინფორმაცია მოგვცა. ამ პერიოდში საბჭოთა და საზღვარგარეთის კინოსამყაროში რთული შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობდა. დ. გრიფიტის, ე. შტრომპაიმის, თ. ინისის, ჩ. ჩაპლინის, ს. ეიზენშტეინის, ვს. პუდოკინის და სხვა რეჟისორთა ნაწარმოებებში კინოს დამოუკიდებელი ენა და მსატერული საშუალებები გამოვლინდა.

თვითმყოფი ეროვნული კინოხელოვნების შემოქმედებისათვის საჭირო იყო მსოფლიო კინემა-

ტოგრაფიაში შემუშავებული პოეტურ-მონტაჟური მხატვრული მეთოდის შემოქმედებით გათვალისწინება და ეროვნულ ნიადაგზე გადმონერგვა. სწორედ ეს შეძლო ნიკოლოზ შენგელიამაც, როცა ალ. ყაზბეგის მოთხრობის „ელისოს“ ეკრანიზაცია შექმნა.

რამი მღვრიშვილმა ფილმის „ელისო“ იდეა და რავგარი ევოლუცია განიცადა ალ. ყაზბეგის მოთხრობამ შევანისაგვის შედეგად.

მოთხრობის თემა ეროვნული ჩაგვრა და ამ პირობებში ქალ-ვაჟის უბედური სიყვარული იბრუნა გამონათქვამ კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ პოეტუალური თვითმპყრობელობის რეჟიმი ახშობს ადამიანის ბუნებურებას. მოთხრობაში სიყვარული თანამემამულეებისადმი მოქალაქეობრივი სოლიდარობის გრძნობა უკონსპირდება. შთამბეჭდავადა გადმოცემული პირადი ბუნებურებისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობათა ჭიდილი.

ფილმი გაღრმავებულია მოქალაქეობრივი სოლიდარობის იდეა, რის შედეგად ლირიკულმა მოტივმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. ელისო თავის ბედურულ ხალხთან რჩება და ამის გამო ვაჟისთან გაყრას გადაწყვეტს. კინონაწარმოებში იგი არა მარტო თავგანწირულად შეყვარებული ასულია, არამედ ხალხის ჭირ-ვარამის გამაზიარებელი, მებრძოლი ქალიცაა.

აქცენტების ასეთი გადანაცვლება დროის შესატყვისი იყო. დროსა, როცა ხალხის სასოვა-დობრები ინტერესების დაცვის იდეამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. აგრეთვე უნდა დავგვიწყვიდეს ის გარემოებაც, რომ ალ. ყაზბეგის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ხალხის მიმართ პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი სოლიდარობის თემატიკას საერთოდ ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავს. სწორედ მოქალაქეობრივი სოლიდარობის გრძნობა აღამართინებს ხე-ვისებერ ვოჩას ხანჯალს თავისი ერთადერთი შეილის მისაკლავად. ასე რომ, „ელისოსში“ გათვალისწინებულია, როგორც დროის მახისცემა, ასევე ალ. ყაზბეგის შემოქმედების ძირითადი ტანდენციები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ნ. შენგელისა ფილმი „ელისო“ არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს პასიურ ილუსტრაციას, არამედ შემოქმედებით ვერანისაგვის საუკეთესო ნიმუშია და სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება გააჩნია. რეჟისორმა ყაზბეგის იდეა თემა და იდეა საკუთარ ორგანულ თემათა და იდეათა აქცია და მოთხრობის სიუჟეტური ქარგა რომ გამოიყენა, ამასთან კინოს საუკეთესო მხატვრულ ხერხებს მიაგნო. მან მოთხრობას კინემატოგრაფიული მხატვრული ექვივალენტი მოუძებნა.

ფილმს პროლოგად უძღვის თერგის ოლქის არქივში აღმოჩენილი დოკუმენტების ჩვენება, სადაც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს განმტკი-

ცების მიზნით „ჩვენები თავისი მიწიდან უნდა აყარონ და თურქეთში გადაასახლონ- დოკუმენტური მასალის გამოყენება ფილმში ქრონიკისა და მხატვრული ნაწარმოების სინთეზის იდეით ცოცხალი პირობები, რაც ერთობ პროგრესულ მოვლენად ითვლებოდა ოციანი წლების კინემატოგრაფიაში.

ფილმის შესავალი თხრობითი მონტაჟის ხერხითაა გადმოცემული შენგელის რიტმის საშუალებით გამოხატულია ჩვენთა ყოფა და სიყვარულის ლირიკული თემა.

„ჯამათის“ სცენაში ფეხმორთხმული უხუცესები ღინჯად ბჭობენ ხევსურებისთვის (რომლებსაც წარმომადგენლად ვაჟია გამოგზავნიან) საძოვრების მიერთების შესახებ. ძველი დროიდან შემორჩენილი ამ თავისებური პარალელურ, ამჟამად მხოლოდ ფორმალური ფუნქცია აქვს შენარჩუნებული. საძოვრების გაქრება, რომელიც ძველთაგანვე მის კომპეტენციაში შედიოდა, ახლა გენერლის ხელშია. „ჯამათში“ უწყლება ანკარგა დამოუკიდებელი მოქმედებისა, მაგრამ ეს ეპიზოდი ჩაგრული ხალხის ეროვნულუნებას ასახავს, რაც ფილმის შინაარსობრივი განვითარების თავისებური შემაზაზადებელი ეტაპია.

ჩვენთა ერთსულოვნებისა და სოლიდარობის გამოხატულება აგრეთვე მშენებლობის ეპიზოდს: თანსოფელია ბოჯანო ქვერის ხალხს უშენებენ და ამ საქველმოქმედო შრომას საერთო სახალხო ზეივის ტონი ახლავს.

მიმედ ფიზიკური შრომის და სახალხო ზეივის სურათები იმდენად შერწყმულია, რომ ერთ მთლიანობაში აღიქმება. ქალები ფეხებით ზეუნ ბათქაშს და მათი მოძრაობის რიტმი ცვეკვისებურია. დანაწევრებული კადრების აქტირებული რიტმით და კონტრასტული დეტალების საშუალებით ეკრანზე გამოსახულია დიდი და ნიშანი, ჩასაბერ საკრავზე მისრიალ თითები და კედლის მუსეაჟი ხელი, დილზე დამრტყმელი ხელები და ნიშნიანი ხელები, ტაშის დამკვრელი და აგურის მიმწოდებელი ხელები და სხვ.

ნ. შენგელიას რიტმის გრძნობა მარტო პლასტიკაში არ გამოხატება, მისი რიტმი ხმოვანიც არის, რეჟისორმა მდუმარე ეკრანზე რიტმული კონტრასტის საშუალებით უფაქიშეს განწყობილებათა ნიუანსიარება უშეძლო. მან მშენებლობის ეპიზოდის, სიკეთის ზეივის, პლასტიკური რიტმული ხერხით გამოსახული სიხარული, ბოროტების მსხვერპლთა, გადასახლებული მუხრბული აულისადმი დანაგრძობის მინორული ტონალობით შესცავა. ეკრანზე ღინჯად მიემართებიან გადასახლებულია ჩანდახანი უმრები, ბილიკე მიმაკლი სამშობლიდან დგენილი ჩვენები მთას ზოლვად შემოსვკვიან და ხალხით დასალტული მთა თავის მკვიდრთ თიქთის უკანასკნელად იკრავს მეგრულზე.

ამ ეპიზოდით მთავრდება ექსპოზიცი, რომელშიც ფილმის თემა, იდეური შინაარსი და აგ-

რთველ მხატვრული დამუშავების სტილისტიკა წინასწარ დასახული და მინიშნებულია.

კვანძის შეგვრის კომპოზიციურ პუნქტად „ურიადნიკისა“ და მისი რასმელების პროფიკაციული აქტის ამსახველი ეპიზოდი უნდა მივიჩნიოთ.

„ჩენის მმართველებმა ისურვეს ერთბაშად გამდრება, ისურვეს გაუმაძღარი თვალების გაქრობა და მოიწადინეს ჩენელთ მიწების ხელში ჩაყრა“ — წერს ალ. ყაზბეგი მოთხრობაში „ელისო“: ცხადია, რომ ეს პროზაული მონაკვეთი კინოსანაბობითი ეპიზოდების მოფიქრებას მოითხოვდა, რომლებიც ჩენენთა გადასახლების მიზნს კინემატოგრაფიულად ცხადად აჩვენებდა.

ეს ამოცანა შემდგენარადა გადაწყვეტილი: ვინაიდან აულ ვერდის გადასახლებისათვის საბაზი არ არსებობდა, „ურიადნიკმა“ და „კვარტერიერმა“ პროფიკაციას მიმართეს, მოსყიდულ ოსებს აულის ნახირი გააჩვენეს იმ იმედით, რომ ჩენენები იარაღის საშუალებით საკუთრების უკან დაბრუნებას მოისურვებდნენ. იარაღის აღმოჩენა კი უკვე საკმარისი საფუძველი იქნებოდა გადასახლებისათვის. მაგრამ ვაჟიას მამაქობისა (რომელმაც ოსებს ნახირი ჩამოართვა და იარაღი დააყრდენა) და ასთამურის შორსმჭვრეტელობის მეშვეობით (რომელმაც ოსების იარაღი უმაღ ხელისუფალთ ჩააბარა), ეს პროფიკაციული აქტი მარცხით დამთავრდა. პროფიკატორები სხვა ხრიკს იგონებენ: მოლატეე ჩენენის, საიდულას დანმარებით წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს მოატყუებენ და თითების ანაბეჭდებით აღანიშნებენ თანხმობას თურქეთში გადასახლების თაობაზე.

ავტორების მიერ მოფიქრებული ეპიზოდები ლიტერატურული დედნის კინემატოგრაფიულ გათვალსაჩინოებას ემსახურებიან. ფილმის მოქმედების შემდგომი განვითარება ძირითადად ალ. ყაზბეგის მოთხრობის სიუჟეტურ ქარგას ეყრდნობა.

საინტერესოა ვაჟიას გენერალთან მისვლის ეპიზოდი, რომელიც რეჟისორის მიერ რიტმული კონტრასტებითა და შიდაკადრული დინამიკის საშუალებითაა გადაწყვეტილი.

გენერლის კანცელარიის მოხელეები, მოსწავლეების მსგავსად, მერხებს მისხდომიან. ინდივიდუალობას მოკლებული, კანონის ბრმა შემსრულებელთა საკრებულოს ჩვენებით ჩინოფიკური არსის მხატვრული სახე იძურწება. კანცელარიის გამოთავანებული მოხელეები მომჩივანთ ზანტად პასუხობენ, ძვხვს ზანტად ლონიან. ეს მდორე რიტმი ერთბაშად იცვლება: მთელემარე ჩინოფიკებს გენერლის კაბინეტში ამტყუდარი ალაკითი გამოაფხიზლებით — იქ გენერლის ოფიცრებს ვაჟია ეჩინებათ, რომელიც აულ ვერდის გადასახლების შესახებ დაწერილი ბრძანების გაუქმებას მოითხოვს.

სამშობლოს სიყვარულის იდეა ნ. შენგელიამ



კადრი ფილმიდან „ამის მკვლელები“.

მხატვრული მეტაფორის საშუალებით გადმოსცა. მეჩეთთან შეგვრებილი ხალხი უარის ნიშნად ხელს აქნეს, როცა მათგან სამშობლოს დატოვებას მოითხოვენ. წინააღმდეგობის ამგვარი ფორმა მხოლოდ შესაძლებელი უიარაღო, მაგრამ მამაცი და მამულისმოყვრე ჩენენებისათვის თავითფეხებამდე შეიარაღებული დასჯვლები ცხენებით დაიძებნებინათ მათ გადასათვლად, უკერად, როგორც ერთი ადამიანი, მთელი ხალხი მიწას გაეკვირის, თითქმის მიწამ უნმო, მიწამ მიიზიდა მათგანი შეივლებით.

მიწაზე გართმული ჩენენების სტატიკური კადრი უდიდესი ფსიქოლოგიური დინამიზმითაა აღსავსე და ადამიანთა შინაგანი ძალების ძაბვის გამოხატულებაა. ჩენენთა პატრიოტიზმი რეჟისორმა პლასტიკური სახეების ბრწყინვალე, სტატიკური და დინამიური რიტმის შეწყვეთით, მხატვრული მეტაფორით გამოსახა.

დაცარიელებულ აულს ქუევი დრუბელი დარდად ჩამოსწოლია ეს არის „ტრაულის დრუბელი“, რომელიც ე. ეიზენშტეინის „ჯავშნისანი პოტიომკინის“ შედეგ მწუხარების სიმბოლოდ იქცა. და აი ელისოს მიერ აულში დანთვული ხანძარი ჩაგრულ ჩენენთა თავგანწირული პროტესტია. მათი სტიქიური ძალის და სულიერი პოტენციალის მაჩვენებელი გადასახლებულთა სა-

ერთ ხანძარი და ეცესლის ენჯიზი ერთ მთლიან მხატვრულ სახედ იკეთება.

ნ. შენგელაიამ ცეცსლოკიდებული აულისა და შურისმგებელთა ხანძარს „სხოვანი“ ეპიზოდი რამენათევი ჩვენების გამოლიო ხანჯიქ მდუმარებისა და მიიმე ჩაფურების ეპიზოდი „ესკვალა“. „ბუნებით მხნე, ისე მხიარული ჰქენები, დღეს განუმებულოყენენ, დაყურებულოყენენ, იგი როგორც ქართლისი წინდებ პერი, რომელიც ენჯადება ამ სიმშვიდიდან ერთბაშად გრგვინვად გადაქცევას! — წარს ალ. ყახტევი და აი, რა განმოსახველობითი ზერხებით გამოხატეს ეს „გრგვინვა“ ნ. შენგელაიამ „თავის ენჯეუ“.

ურეში მომაკვდავი ქალი წვეს. ბავშვი დასტრის სულთმობრძაც, ქალი სპოზეს ელისოს ობლად დარჩენილი ბავშვი ნათესავების ნალოქში ჩაბაროს; ქალი კვდება, ელისო ტრის. მოხტაქვის რიტმი ძლიერდება. შემოკლებული პლანები ერთმანეთს ცვლიან. ეკრანზე მიცალალებულის ხელთა, შემდეგ მტირალი ელისო, ქალები თამბეს იწვევავენ მოთქმით, ხალხი მიცალალებულისკენ მიბრის.

დრამატული დაძაბულობის გამოსახატავად ნ. შენგელაია პარალელურ მონტაჟს იყენებს. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან აულოში მოგვიგოზე ხანძრის და მიცალალებული ქალის ახლო ხედები. კადრების მოცულობა თანდათან კლებულობს და ერთ გამოსახულებად გადაიქცევა. ტირილი საერთო ისტრიაში გადადის. ასთამური ხალხის დაშოშინებებს ცდილობს, მაგრამ აპოად.

ეკრანზე ისევე ხანძრის კადრები. ცეცსლა, რომელიც ჩვენთა პროტესტისა და ბრძოლისუნარიანობის გამოხმატვლია, სიცოცხლის განმტკიცების რწმენით აღანთებს ასთამურს. იგი მუსიკოსების უბრძანებს დაუკრან და ცეკვას დაიწყებს. ელისოსაც აძილებს იცეკვოს. ელისო და ასთამური ამ საერთო ისტერიის ფონზე ცეკვავენ. მუსიკარებისკან გაოგნებული ხალხი ნელ-ნელა მოცეკვავეებისკენ გამოემართება, მობირლანი ლოყების სოკვით მათგან იხედვებიან. უნებური, ნელი მოძრაობით მათი ხელები ლოყებიდან ტაშის დასატრავად ჩამოეშვებიან. თანდათან მონტაჟის რიტმი მატკულობს. კვლავ მცირდება კადრების მოცულობა და თავაწყვეტილი რიტმი იპყრობს მასიურად მოცეკვავე ჩვენთ. მოკლე კადრების მსხვილი პლანებით ერთმანეთს სცვლიან: კუნთმაგარი, მისრიალე ფეხები, მიცალალებული, ტაშის დამკვრელი ძლიერი ხელები, მიცალალებული, მუსიკოსები, მოცეკვავენი.

კონტრასტული დაპირისპირების დიაპაზონშია უკიდურესობამდე მიღწეა. ერთმანეთს ეჭიდებიან სიკვდილი და სიცოცხლე, აღგვა პირისაგან მიწისა და დაბადება, მოსპობა და სიცოცხლას განახლება. ამ უკიდურესობათა ჭიდალში სიცოცხლე იმარჯვებს, სიცოცხლე არ ნებდება სიკვდილს; სწორად პლასტიკაში, მარადიულ მოძრაობაში, მოქმედებასა და შემოქმედებაში დაინა-

ხა ნიკოლოზ შენგელაიამ ადამიანის ცხოვრების არსი, უდიდესი დარდის დაოკება მოძრაობით, რიტმით ეს თავისებური პოეტური მეტაფორაა მოახლოებული სიცოცხლის გამარჯვებისა სიკვდილის უარობაზე.

თავადიწყებამდე აცეკვებულ ჩვენთა განწყობილება უცრად რისხვად იქცევა. ხალხი მათკენ მიმავალ ვაჭის შეამჩნევს. „მისი ბრალა, რომ გავგასახლეს!“ — დიყვირებს ქალი და გააფორებული ხალხი მუშტების ქენით ვაჭისაკენ მიიწევს. „მოვალთ!“ — ყვირიან თავგზაბანებული ჩენები და მის ჩასატოლად მირბიან, მაგრამ ელისო აფეხრება ვაჭის, მანდლს დაუგდება ჩვენთ და აუხსნის ნამდილ ვითარებას.

ამობოქრებული ხალხის ტემპერამენტულ სცენას ისევე ლირიული ეპიზოდი სცვლის. ელისო და ვაჭია ერთმანეთს ეთხოვებიან ელისო უარს ამბობს სიყვარულზე და თანამემამულეთა ხეყდრს ინაწილებს. ობლად დარჩენილი ბავშვი ვაჭის ნალოქში მიჰყავს.

გადასახლებულთა ქარავანი უცხოეთისკენ ნელა მიემართება. ეკრანზე ჩანს ხალხით დასალტული მთა, თითქმის ბედვრული ჩენებით გარს უვლიან და ვერ ეღვივან შობოლოურ მხარეს.

ნ. შენგელაიას მიერ შექმნილი პოეტურ-მონტაჟური კინემატოგრაფიის საწყისი და საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, დრამატულიაში უნდა ვეძიოთ. ერთში „ელოსი“ მან სწორად გაითვალისწინა დროის მაკოსებმა, დროის სულიერი მოთხოვნილება და პირველ პლანზე მთავარქობრივი სოლიდარობის იდეა წამოსწია.

ნ. შენგელაიამ ფილმის გმირების შემსრულებელთა შერჩევისას უმთავრესად ტიპაჟის მეთოდით აირჩია, რაც ოციანი წლების კინემატოგრაფიაში ერთობ გარეკლებული იყო. ეს გასაგებობა, ვინაიდან მუნჯ ფილმში გმირის სახის მხატვრული გამოკვეთისათვის გარეგულ ინდივიდუალობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მხოლოდ ტიპაჟი, თუ მას აქტიორული მოწყობებიც არ ახდებს თან, ვერ უზრუნველყოფს გმირის სრულყოფილ მხატვრულ ფსიქოლოგიურ სახეს. საჭიროა ტიპაჟისა და აქტიორული კლემენტების შერწყმა და სწორედ ასეთი შერწყმა იგრძნობა ა. იმედაშვილის მიერ განსახიებულ ასთამურის როლში.

ტრადიციული თეატრის ბრწყინვალე წარმომადგენელს, ოტელის, მეფე ლირის და ანანიას როლების საუკეთესო შემსრულებელს, უბალო მეტყველების წინე მსახიობს უხმო ფილმში მთავარი როლის შესრულება დავისრავ. იმედაშვილმა შესანიშნავად აულო ალღო კინემატოგრაფის სიციფიკას. მოქმედების ლაიონური პლასტიკით, თვალების მიდარი აზრიანი გამომეტყველებით, ინდივიდუალობის გამოხმატვლი ძუნწი ფსტიკუალაციით ალ. იმედაშვილმა ასთამურის კოლორიტული სახე შექმნა. მის მიერ განსახიებებული ასთამური ბრძენი, შორსმჭერტე-

ლი მურგვა თავისი ხალხისა. ალ. იმედაშვილის ბრწყინვალე აქტიორული მომაცემები რომ არა, ასთამურის სახე სიკეთის, კოპარულ სიმბოლოდ“ დარჩებოდა, რადგან სასცენარო მონახაზით იგი ერთ განზომილებაშია გადაწყვეტილი.

ლიტერატურული სცენარის მიხედვით ელიოსის მხატვრული სახე შედარებით რთულია. მასში ლირიული და დრამატული ინტონაციებია შეწყვეტილი, იგი ნაზად მოყვარული, მეოცნებე ქალია და ამავე დროს მრისხანე შურისმგებელიც კარა ანდრონიკაშვილის აქტიორული მომაცემების სახის დრამატული აქცენტების შესატყვისი აღმოჩნდა.

ფილმში „ელიოს“ ნ. შენგელაიას მიერ გათვალისწინებულია ქართული ხალხური სულიერი კულტურა. გარდა იმისა, რომ შენგელაიამ ეკრანისაგანსათვის ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები აირჩია, მან ფილმის თვითმთავრად სახე მისი მხატვრული ფორმიზაც გადაწყვიტა, კერძოდ, პლასტიკით და რიტმით შესაძლოა, მშენებლობის ეპიზოდში ასახული ფერხული ხალხური შრომითი ცვეთის ზუსტი ასლი კი არა, რეჟისორის მიერ იმპროვიზებული სიკეთისა და ქველმოქმედების პლასტიკური გამოხატვა იყოს, მაგრამ მისი წინამძღვარი მაინც ქართულ ხალხურ საცეკვაო ხელოვნებაში უნდა ვეძებოთ.

გენერალთან ცეცვის ფარკაობისა და ფილმის თანხური ცეცვის ეპიზოდების მონაკეთი მან დოლურის რიტმის მიხედვით ააგო (სამონტაჟო მაგიდაზე იგი ხელით უკრავდა დოლურს და შემონტაჟე ვ. დოღენკო ფირის სიგრძეს ამ რიტმზე აკრებდა).

როდესაც ნ. შენგელაია სიცოცხლის დასაწყისის გამარჯვებას მის დამორჯვებულ ძალებზე ცეკვის პოეტური მეტაფორით გამოხატავდა, ალბათ ფიქრობდა, რომ ქართული ხალხური ცეკვა თავისთავად პლასტიკაში გამოხატული შეტაფორაა, რომლის ქვეტექსტში საქართველოს ისტორიისა და მისი სულიერი კულტურის ამოკითხვა შეიძლება.

მართალია, ფილმი „ელიოს“ ჩიჩქენტა ცხოვრებას ასახავს, მაგრამ იგი სიმბოლურია მარად მებრძოლი და სიკოცხლისუნარიანი ქართველი ხალხის ყოფსათვის, ხალხისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ებრძოდა და მამაკრებლებს, მაგრამ მაინც შესძლო თავისი სულიერი პოტენციალის შენარჩუნება.

1965 წელს გამოვიდა ეკრანზე ფილმი „ხუვისბერი გოჩა“ (დამდგმელი რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი, ოპერატორი ფ. ვისოცკი, კომპოზიტორი რ. ლალიძე, მხატვარი რ. მიჩხაშვილი).

ფილმის ავტორები კეთილსინდისიერად შეეცადნენ, რაც შეიძლება სრულად გადმოეცათ ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის ში-

ნაარსი და დღეა. სცენარსა და ფილმში აკი კიდევაც ზედმიწევნით იქნა შენარჩუნებული პროზაული პირველწყაროს ფაბულური კონსტრუქცია, მაგრამ კინემატოგრაფიული საშუალებებით ვერ იქნა გახსნილი ყაზბეგის ნაწარმოების მხატვრული სახეები. მოთხრობის ფაბულის პირდაპირი ასლი უმოაფრესად სათავედასაველ ამბების სახით წარმოვიდინა ეკრანზე ეკრანის მიღმა დარჩა მოთხრობაში დახატულ ადამიანთა ბედის ისტორიული კანონზომიერება. ფილმის ავტორების უფრო გაბეჯული შემოქმედებითი დამოკიდებულება მართებდათ მოთხრობის მიმართ, უფრო უნდა გაედრებინათ ძირითადი მომენტები, მით უმეტეს, როცა ამ მხრივ ფილმში გამოვლინდა კიდევ მათი საუკეთესო შესაძლებლობები ისეთი ცალკეული კადრების შემქმნისა, რომლებიც კინემატოგრაფიულ ენაზე ამეტყველებენ ყაზბეგის მოთხრობის პასაჟებს. სამწუხაროდ, ასეთი კადრები მხოლოდ ცალკეულად იქნა გამოვლენილი და მთლიანობაში ვერ იქნა მიღწეული მწერლისეულ სახეებთან შინაგანი მსგავსება.

„იმას (ონსე — ნ. ა.) მიეჭვია პირი ქარტა და თოვლისკენ, რომელთაც ადარაფერი უშლიდა და სხაპა-სხუპით სცემდა პირსახეში. ის მათგან მოელოდა რამდენადმე შედგავას და დამწვიდებას.“

იმას ეგონა, რომ შუბლის გავრღობისთანავე სისხლიც დაუშვნიდებოდა და ავარდნილი გული თავისივე დონეში ჩავარდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფიქრი ატყუვდა და დადღობებული ხედავდა, რომ მის გულში აღმოუფხვრელად ჩასახულიყო ძიძის სახე და წყნარად, ფრთხილად და სიამოვნებით არხედა; არხედა იმ სიფრთხილით და მზრუნველობით, როგორც მშობელი თავის პირშვის, როგორც ყაჭის ჭარჭა ნახა ნიაგი, რომელსაც ძვირფასის ქმნილების აღორძინება ბუნებისგანვე ჰქონდა მიწდობილი“.

სიყვარულის ამაგარი მძინვარებმა და ამავე დროს სინაზე კინოში ვერ „გადართარგმნა“ და ამიტომაც ეკრანზე გათამამებული ტრაგედია უეზოციო აღმოჩნდა.


ფილმის შემქმნელებმა ვერ დახატეს საყვარულის ის სიციცხლის მომნიჭებული და ამავე დროს დამანგრეველი ძალა, რომელმაც სამშობლოს ერთგული შვილი უნებურ მოვალატედ აქცია. ყაზბეგისეული შინაგანი წიგა ფილმში ზედაპირულ გრძნობათა ილუსტრაციამ შესცვალა.

ყაზბეგისეული სიყვარული კი სიყვადილ-სიციცხლის მიჯანჯვა ყოველთვის. ქალის, მეგობრის, სამშობლოს სიყვარულის უკიდურესი სიმძაფრე ხშირად ერთმანეთს ეჯახებინა და სწორედ მაშინ, ამ კეილიშობილ ვრძნობათა ჭიდილში, ტრაგიკული კოლიზია იქმნება.

ალექსანდრე ყაზბეგის ბრწყინვალე პროზის საუკეთესო ნიმუშების ეკრანისაგანის სილვას კვლავ ელის ჩვენი მაცურებელი.

ყიპშილი დიდი მხატვრის შემოქმედება აღინიშნება საე-
ტაპო ნაწარმოებებით, რომლებშიც აისახება და განზოგად-
დება მისი სტილის უმნიშვნელოვანესი ნიშნები: სწორედ ამ-
გვარ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი ქართ-
ველი ხელოვანის, სსრკ სახალხო არტისტის, საბჭოთა კავში-

ეს კონცერტი და ახლახან დასრულებული „რომანტიკული
ლი ციკლი“ (თორმეტი პიესა ფორტეპიანოსთვის) დამაკე-
რებლად ადასტურებს, რომ მათი ავტორი თანამედროვე ინს-
ტრუმენტული შემოქმედების მწკეფარე დინებაში მიდის სა-
კუთარი, დამოუკიდებელი გზით.



ანდრია ბალანჩივაძე.
ფოტო დ. დავიდიანისა.

რის სახელმწიფო პრემიებისა და რუსთაველის სახელობის
პრემიის ლაურეატის ანდრია ბალანჩივაძის მეოთხე საფორ-
ტეპიანო კონცერტი, რომელიც ერთხელ კიდეც ნათელაყყოფს,
რომ ყოველ შემდგომ ნამუშევარში კომპოზიტორი „მარად
იგივე და მარად ახალია“.

სწორედ ამ ღირსებებმა განსაზღვრა მეოთხე კონცერტის
წარმატება პრემიერაზე (1969 წ., ლენინგრადი, სოლისტი
ჯარჯი ბალანჩივაძე) და საზღვარგარეთაც (გდრ).¹

ნაწარმოები საშემსრულებლო ტრადიციის შემუშავების
პროცესშია და უახლოეს ხანებში უნდა მოველოდეთ მის ახ-
ლებურ აქტურობას (თბილისში, მოსკოვში, იაროსლავლში,
ნოვოსიბირსკში). მსმენელებს კვლავ მიეცემათ შესაძლებლო-
ბა განიხილონ „ღია გულის მუსიკის“ სილამაზითა და

* სტატია დაწერილია ჩვენი ჟურნალისტისათვის.

კუთმობილებით. მასში სომ ბალანჩივაკემ შესძლო ორგანულად შეერწყა დაუოკებელი ძალა და გულმინამწევდომი პოეზია, გოლიათური შემართება და მითითლვარე ლირიზმი, წარსლის სიპირქმე და საგაზაფხულე განასლების სხივონობა. დიხ, ესოდენ ფართო სახეობრივი სპექტრია თხზულე-

სი შემართებული, დიდებული დროის ქემარტიკი შვილი. მეოთხე კონცერტის თავისებურება (ამ ნაწარმოებზე 1969-მ წელს შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემია მიენიჭა) განაპირობა კომპოზიტორის ხანგრძლივმა მუშაობამ საყვარელ ქანში — საფორტეპიანო კონცერტის ქანში. შემთხვევითი როდია, რომ მისი შემოქმედების თითოეული საფეხური ხასიათდება საფორტეპიანო კონცერტის შემწიით (1935, 1946, 1952, 1967).

ანდრია

ბალანჩივაკის

საფორტეპიანო

კონცერტები*

სიმფონიასა და ბალეტთან ერთად, საფორტეპიანო კონცერტი — ბალანჩივაკის მუსიკის წამყვანი ქანია. როცა ამ სფეროში ყველაზე ტიპური და მხატვრის სტილისთვის საერთო ნიშნებს გამოვყოფთ, უნდა აღვნიშნოთ ბალანჩივაკის მუსიკაში მუდამ არსებული, სიცოცხლის დამამკვიდრებელი საწყისი, სახეობრივ სფეროთა ფართო რკალი (გმირული ალტყინებანი და ბუნების სურათები, დრამატული დამაბულობის პათოსი და ტაბუკობის სათუთი საწყარო, ფერადვანი ქანრული ჩანახატები), გამოვლენილი თანადროულად ქმედითი რიტმებით.

მეოთხე კონცერტი (კონცერტი-სიმფონია)² ქართული საფორტეპიანო კულტურის განვითარების ახალ საფეხურს მოასწავებს. უფრო მეტიც, იგი ეხმიანება საბჭოთა ინსტრუმენტული კონცერტის სფეროში მიმდინარე პროცესებს³.

მეოთხე კონცერტმა ფოკუსში მოაქცია ქართველი კომპოზიტორის საფორტეპიანო სტილის სახასიათო ნიშნები. სწორედ ამ მომენტმა უბიძგა ამ სტრიქონების ავტორს მკითხველისთვის შეეთავაზებინა მოკლე „რეტროსპექტივი“ ბალანჩივაკის საკონცერტო ქანისა, რათა დაგვედგინა ყველაზე უფრო თვალათლივი ინდივიდუალური თავისებურებანი, მისი საფორტეპიანო შემოქმედების თავისებურებათა განმსაზღვრელი.

რა შეიძლება მივიჩნიოთ ამ ქანრის ძირითად „ოორდინატებად“? რა საერთოს და განმსაზღვრელს შეიცავს ოთხი საკონცერტო პარტიტურა? რა ქმნის ბალანჩივაკის საფორტეპიანო სტილს?

ამგვარი კითხვებით ვვსურს დავიწყოთ ჩვენი მცირე ექსკურსი.

მხატვრისეული პიანისმის ესთეტიკის უმნიშვნელოვანეს ნიშანთა შორის უნდა გამოვყოთ მისი სწრაფვა განზოგადებული ან კონკრეტული პროგრამულობისკენ.

პირველი სამი კონცერტი — ეს არის ნაწარმოებები განცხადებული პროგრამის გარეშე. მაგრამ შინაარსის მიმართებით თითოეულ მათგანში ადვილად შეიგრძნობა სინამდვილესთან დრმა კავშირი, ისმის თანამედროვეობის მაჯისცემა.⁴

მეოთხე კონცერტს კი ავტორმა პროგრამა წარუმძღვარა. იგი კომპოზიტორის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანეს თემას — სამშობლოს თემას ეძღვნება. მხატვარი გვიამბობს მშობლიური ბუნების სილამაზეზე, მის მამაც ხალხზე. კონცერტის თითოეულ ნაწილს, საქართველოს ერთ-ერთი კუთხის იერს რომ წარმოგვისახავს, თავისი სურათოვან-სახეობრივი სახელწოდება და ქანრული ორიენტაცია გააჩნია: 1. „ჯვარი“ (პრელუდია), 2. „თეთნულდი“ (პასაკალია), 3. „სალამური“ (პასტორალი), 4. „დღია“ (ტოკატა), 5. „როინის ტყე“ (რომანსი), 6. „ცხრა-წყარო“ (თემა ვარიაციებით).

ბალანჩივაკისთვის საერთოდ დამახასიათებელია პროგრამულობისაკენ სწრაფვა. ასეთია მისი სიმფონიური სურათები: „დნებრი“ (გოგოლის „სამინელი შურისძიების“ მიხედვით),

ბაში, რომელიც კომპოზიტორმა ჩაიფიქრა, როგორც სამშობლოს მუსიკალური პანორამა.

მუსიკალური ფერწერით შთაგონებული სურათოვნება ამ კონცერტის უმნიშვნელოვანესი, მაგრამ ერთადერთი ასპექტი როდია. არსებობს სხვავე, განსჯასა და დამაბულ ფიქრებზე აღმოცენებული. ბალანჩივაკე აქ გვევლინება არა როგორც მემატჩანე, მხოლოდ „შორეულ დღეთა ამბებზე, უხსოვარი დროის ლექსებზე“⁵ რომ მოგვითხრობს, არამედ როგორც თავი-

ანატოლი როზანოვი



„როის ტბა“, „ზღვა“, ვალი „თბილისის ზღვაზე“, „კრწანისის ბრძოლა“, ასეთია ახლახან დასრულებული „რომანტიკული ცვალი“.

პროგრამული სიმფონიზმი, როგორც ცნობილია, დიდად და განვითარებული ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებაში. ა. ბალანჩივაძისთან ერთად აქ უნდა მოვიხსენიოთ მ. მშველიძე, ა. მაჭავარიანი, ო. თაქთაქიშვილი და სხვები.

ა. ბალანჩივაძის საფორტეპიანო კონცერტების არანაკლებ სტაბილურ ნიშნად გვევლინება მათი სიმფონიზმი. სულ სხვადასხვა სტილის ოთხი კონცერტიდან სამი ამკლავებს „მსხვილ სტრიხის“ დრამატურებისაკენ, ეპიკურისაკენ სწრაფვას (ამ მხრივ, რამდენადმე, გამოსაკლმ აქ მესამე კონცერტი).

ქართულ მუსიკაში ბალანჩივაძემ პირველმა გაააზროცვლა ეპიკური და დრამატული სიმფონიზმის სინთეზი. კომპოზიტორისთვის ეპოსი და დრამა ერთნაირად მახლობელია. მის ნაწარმოებებში, როგორც წესი, გაღრმავებული, სახემეცვლელი ხალხურ ინტონაციები, კოლექტიური სახეების „სურათების“ შთამბეჭდავი დიდებულება (ქართული სასიმღერო ეპოსის თვისება), ნაწილების მკაფიო კონტრასტული დაპირისპირება მჭიდროდა დაკავშირებული ღრმა სახეობრივ ტრანსფორმაციებთან, დიდი ფორმის ნაკვობობათა დინამიკურ განვითარებასთან.

კომპოზიტორის შემოქმედებაში სიმფონიური დრამატურების სინთეზურობა მომდინარეობს სინამდვილის მოვლენათა ფართო აღქმადან, რაც სათავეს იღებს პირველ კონცერტში, რომლის დრამატურგის ეპიკურ-დრამატული ენა ბალანჩივაძის შემდგომ თხზულებებში პოულობს განსაზღვრებას: მეორე და მეთხუთე კონცერტებში, პირველ სიმფონიაში, საფორტეპიანო „ბალადამი“ და სხვ.

ეპოსისა და დრამის ერთიანობაში, ჩვეულებრივ, წამყვანი ხდება დრამატურგის ეპიკური ენა. ეს მომენტი აიხსნება მხატვრის შემოქმედების შინაარსით, სადაც პირადლის, კერძო გახსნა მოცემულია მასობრივის, ხალხურ-ეპიკურის კვიდით.

ბალანჩივაძის მუსიკაში გარკვეულ გარდატეხას იძენს ქართული სიმფონიზმის შტოც. ასეთია პირველი კონცერტის მესამე ნაწილი (სკერცო), მეორე კონცერტის ფინალის მეორე ნაწილი, საფორტეპიანო „რაფსოდია“, მეთხუთე კონცერტის მესამე ნაწილი („სალამური“).

მესამე კონცერტიდან დაწყებული, ხდება კომპოზიტორის მუსიკის ლირიკული სფეროს გაფართოება და გაღრმავება. შეიძლება აღინიშნოს მეორე სიმფონიის ლირიკულ-ეპიკური სიმფონიზმი, დრამატული და ლირიკულ-მინორლიგიური ელემენტების დიდი როლით (ფინალი). ბალანჩივაძის ლირიკის „ობიექტიური“ ხასიათი, უპირატესად, ბუნებრივად ისწრაფვის ეპიკურ (ხალხურ-ენარული და სურათოვან-სახეით) საწყისთან სინთეზისკენ. ლირიკის ტენდენცია დამახასიათებელია ბალეტ „მწირის“ სახეობრივ მიმართულებისთვისაც. ლირიკურ პლანია გადაწყვეტილი „რომანტიკული ცვალის“ დრამატურგია.

მაგრამ ლირიკული სფეროს გაძლიერებასთან ერთად პერიოდიული საწყისი კლავიანიდებურად ძლიერად ბალანჩივაძის 50-იანი, 60-იანი წლების შემოქმედებაში: მეორე სიმ-

ფონია, ბალეტი „მწირი“, მეთხუთე საფორტეპიანო კონცერტი.

პირველმა კონცერტმა მისი ავტორის შემოქმედებითი სიმწიფის დასაწყისი ვეგმინო.

„ამ კონცერტში — გვიამობის კომპოზიტიორი — პირველად გამოიკვთა ჩემი საატორი მანერა, ჩემი სტილი. თუმცა მანამდე უკვე ბევრი მქონდა დაწერილი თეატრისა და კინოსთვის“.

1935 წელს შექმნილი ეს კონცერტი არა მარტო კომპოზიტორის პირველი დიდი ფორმის ნაწარმოებია, არამედ ქართული სიმფონიზმის ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნიმუშიცაა.

სახეობრივ ტრანსფორმაციათა სიღრმე, განვითარების გამჭობალ ხაზებზე ორიენტაცია, ციკლის ინტონაციური მთლიანობა, რიტმის განმარტოვებულობა როლი, „როგორც ექსპრესიონისა და ცხოვრებისეული აღმავლობის სტრუქტურისა“ — აი, პირველ ყოვლისა, რამ განაპირობა ამ კონცერტის სიმფონიურ გაქანებას.

სამატერესა აღინიშნოს, რომ აქ თემატური ნაწილების ინტონაციური მთლიანობის საფუძვლად გვევლინება აღმავალი დიატონური მინამული (ერთგვარი „ლიტეზაზი“).

თემატური კონცენტრაციის მეთოდი მკაფიოდ მვლავნდება მეორე საფორტეპიანო კონცერტში. სამწაწილიანი ციკლი ძირითადად აიგება პერიოდიული ხასიათის ერთ ლეიტმოტივზე. მისი გარდასახვანი სხვადასხვა სახეთა აღმოცენება იწვევს: დრამატულად-დაძაბულ, ლირიკულ, სკერცოვალ, პასტორალურ, ეპიკურ-პერიოდიულსა და სახეობრივ-პათიოფორუსს. ლეიტმოტივის (ერთგვარი თემა-ძახილი) შინაგანი შესაძლებლობის თანდათანობითი გახსნა მიმდინარეობს მისი ფუნქციულად გადაცივანებათა მათთვის ენარში გააზრებად. ფინალის მეორე თემად მოცემულია ხალხური შრომითი სიმღერა — ერთი, ორგანულად რომ ერთვის მუსიკალურ განვითარებას და კიდევ უფრო აფართოებს თემატურის ჩარჩოებს.

ლეიტმოტიური განვითარების დინამიზმი დამახასიათებელია ბალანჩივაძის ბალეტისთვისაც „მთების გული“, „ცხოვრების ფურცლები“, „მწირი“. (ეს უმანაკნელში მუსიკალური მასალის საფუძვლია სამი ლეიტმოტივი), ასევე მეორე სიმფონიაში. ამრიგად, ბალანჩივაძე ხშირად მიმართავს თემატური კონცენტრაციის მეთოდს, რითაც ახდენს კიდევ სახეობრივ-ემიციური სფეროს გაფართოებას და თემატურის თაქისუფალ „გადანაცვლებას“ სხვადასხვა ქართულ ასპექტებში.

ანალიტიური სურათის ვხვდებით პირველ კონცერტშიც, სადაც თემატურის კონცენტრაცია (უკვე ნახსენები „ლეიტმოტივის“ საფუძვლად) ბუნებრივად წინასწორდება მისივე ინტენსიური განვითარებით.

მეორე კონცერტში, ისევე როგორც პირველში, პერიოდიული საწყისია წამყვანი. იგი სხვადასხვა ასპექტში ვითარდება ციკლის პირველ და მესამე ნაწილებში. პერიოდიული, შინაგანი დამაბულობითაა გამსჭვალული მეორე ნაწილის კულმინაციური მომენტი (ლირიკული ინტერმედი). აქ ლირიკის პერიოდიული, ბუნებრივი, აძლიერების კონცერტის წამყვანი საწყისის გამჭობალ განვითარებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლირიკული ცენტრის პერიოდიული სახე ავტორის მიერ ჩაფიქრებულია, როგორც სახე-სახეობა, სახე-მოხლავება ერთდროულად ეს რეტროსპექტიაცაა და მომავლის ჭკრტაც-ამ-



კვარი დრამატურგიული ხერხი, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანად განვითარდა თეატრალურ და კინო მუსიკაში.

50-იან წლებში შექმნილი მესამე საფორტეპიანო კონცერტი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ბალანჩივასის შემოქმედებაში. სახერა რკალითა და მუსიკის ხასიათით იგი ბავშვთა და მოზარდთათვის განკუთვნილ თხზულებათა სფეროს მიეკუთვნება.

ბალანჩივასის საკონცერტო უნრის სხვა ნაწარმოებისგან განსხვავებით მესამე კონცერტი უფრო გაშვებულია. ამ თხზულების ინდივიდუალურ პროფილს განსაზღვრავს: ციკლის შედარებით მცირე ზომები, ფაქტურის გამჭვირვალება, ორგანის უმადგელობა (სიმინდური კინტეტი) და სხვ. ამასთან ერთად, ციკლის დრამატურგიული კომპლექსში შეიმჩნევა სიმფონიურობის ზოგიერთი ნიშანი (ინტონაციური მსგავსებისა და ცალკეული თემების ტრანსფორმაციის ელემენტები, სამარტო ინტონაციის განვითარება და სხვ.).

მეოთხე კონცერტის ციკლური ფორმა აგებულია სიმფონიზირებული სიუჟეტის პრინციპზე.

კონცერტის დამოუკიდებელი, მაგრამ ჩანაფიქრით ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილები კონტრასტულია ხასიათით, მოძრაობის ტიპით, კომპოზიციური პრინციპით, ფაქტურით. ციკლის მთლიანობა მიღწეულია მკაფიოდ გამოსატყლი ერთგულად ხასიათით, ჟანრულობას, სახვითობას რომ ეყრდნობა და ფინალის სინთეზირებული როლით, ტრანალური მოძრაობის ლოგიკით (ასე, მაგალითად, პირველი ნაწილის შესავალ ნაგებობებში წინასწარ განჭვრეტულია ნაწარმოების ყველა ნაწილის ტრანალიბები). ნაწილებს შორის გაეშორი გაძლიერებულია მრავალფეროვნოვანი სახეობრივ-თემატური თაღებით: საქართველოს ამა თუ იმ სურათს რომ ხატავს, ბალანჩივამ მუსიკალურ განვითარებაში აქუსეს ან წინაპორბებიდ სხვაობებიდ აღებული თემის ნაწილებს, ან აშხადღეს ახალ მასალას შემდგომი ნაწილებისთვის. ფინალი წინაპორბებიდ ნაწილების თემატური მასალის სრულ განზოგადებას იძლევა.

სინტრესოა ყურადღების მიპყრობა ბალანჩივასის შემოქმედებით სტილის იმ ნიშანდობლივი თავისებურებისთვისაც, როგორცაა ფინალის შენელებული ტემპი. ამგვარი ხასიათისა პირველი და მეორე (ფინალის კოდა) კონცერტები, „რომანტიკული ციკლი“, აგრეთვე პირველი და მეორე სიმფონია.⁸

ბალანჩივასის სიმფონიური მეთოდი შეიცავს სხვადასხვა ეანრის თავისებურებათა ნაირგვარ განსახიერებას. აქ არის როგორც განზოგადებულ-მატურული მნიშვნელობის ეანრები (მარკო, ვალსი, რომანსი, ტოკატა, სკერცო და სხვ.), ისე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქართული ხალხური მუსიკის ეანრები. ამ უკანასკნელთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საცეკვაო ეანრი: ქართული, ფერხული, ხორუმი, სამაია, ლაგვამი და სხვ. ბალანჩივასის მუსიკის ეანრული გამოკვეთილობა ხელს უწყობს მსმენელზე უფრო კონკრეტულ ზემოქმედებას, აძლიერებს მისი ემოციონობის ხალხურ წყობას. მხატვარი ღრმად იჭრება ხალხურ მასალის თვით არსში და პოულობს მისი ხელახლა გაავრების, განზოგადების, ჭეშმარიტ სიმფონიზაციის საშუალებებს (ასეთია, მაგალითად, ერიოს გამოყენება მეორე კონცერტში, ლაგვამისა — მეოთხეში). ხალხური მასალის დამუშავების ამგვარი მეთოდი, პროფესიულ მუსიკაში ახალი

ეანრების შეტანასთან ერთად, პრინციპულად წინშეწინააღმდეგარული მოვლენად იქცა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

ქართულ ხალხურ მუსიკასთან ორგანული კავშირი ბალანჩივასის საფორტეპიანო კონცერტებისა და, საერთოდ, მთელი მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

ამ კავშირთა სიმდიდრე მიღწეულია როგორც ხალხური მუსიკის ნიმუშების გამოყენებით, ისე კომპოზიტორის მხატვრული აზროვნების საერთო წყობაში ერთგულად განხილვით. პირველწყაროს გამოყენება უცვლელი, ან თითქმის უცვლელი სახით მხოლოდ ერთგული შემთხვევაა ბალანჩივასის ნაწარმოებებში. საფორტეპიანო მუსიკაში ამის მაგალითებია: „სალამი, ჩიტუნები“ (მესამე კონცერტი), „მრავალფაშიერი“, „გუგუნი შეიფინი გურჯანენი“, „დილა“ (მეოთხე კონცერტი).

ა. ბალანჩივასისთვის ტიპურია ერთგულის გამოვლენის სხვა, უფრო რთული ფორმები. აქ არის ხალხური ნიმუშის ხელახალი გააზრებაც (ლაგვამი, ხორუმი, ქართული და სხვ.), საქართველოს რომელიმე უცხოის — გურის, სამეგრელის ხალხური ხელოვნების თავისებურებათა (მაგალითად, პოლიფონიის, თემატიზმის...) შემოქმედებითი გამოყენება და საერთოდ საქართველოსთვის სახასიათო მელიდორ-ინტონაციური, კილოპარმონიული, მეტრო-რიტმული, ტემპრული სპეციფიკის ათვისება.

ნათელი ინდივიდუალობის ხელოვანი — ა. ბალანჩივამ ერთგულში ამახვილებს შინაარსის ინტენაციონალურ, საერთო-საკავშირის ასპექტებს. ერთგული სინთეზი მრავალრიცხოვან ტრადიციებთან — პროფესიული მუსიკის ფორმებთან საგრძნობლად აღზრდება მისი შემოქმედების ინერუსთეტიკურ ძალას. ა. ბალანჩივასის მუსიკალური ენა (რომლის სტილურ ერთიანობაში ორგანულადაა „შეუღლებელი“ ინდივიდუალურად განუყოფელი და ერთგულ-სახასიათო საერთო საკავშირისთან) ახალ საფეხურს მოწოდებს ერთგულ კულტურის განვითარებაში. ერთი სიტყვით, ერთგულ ნიადაგზე აღმოყვნიებული მისი შემოქმედებით ინდივიდუალობა ამიდრდება თვით ერთგულ სტილს, აფართობს მის ჩარჩობებს.

უკვე პირველ კონცერტში ბალანჩივამ მთლიანად დასძლია მისივე ამოცანა, რომელიც მამინ ქართველ კომპოზიტორთა წინაშე დგავს: ევროპული ჰიანიზმის მიღწევათა სინთეზირება ხალხურ სამშემოებულ პრაქტიკასთან, ერთგული ხელოვნების ფორმებთან. ბალანჩივასის საფორტეპიანო სტილის დაბადება იყო შედეგი, ერთი მხრივ, ერთგული ჰიანიზმის შექმნის ობიექტური აუცილებლობისა, ხოლო, მეორე მხრივ, — კომპოზიტორის მხატვრული პიროვნების სუბიექტური თავისებურებისა.

ევროპული ჰიანიზმის ფორმულების (პირველ რიგში კი — ლისტის) შესაბამა ხალხური მუსიკირების ფორმებთან ხალხური ინსტრუმენტული და სასიმღერო ფექტების გამოყენებასთან⁹, ბალანჩივასის მუსიკაში წარმოქმნის სხვადასხვა ხერხების არა მექანიკურ გაერთიანებას, არამედ ხარისხობრივად ახალ მოვლენას — თვითყოფად საფორტეპიანი სტილს, რომელიც, ლისტის ტერმინოლოგიის მიხედვით, ხელოვანის „მუსიკალური აზრის ადეკვატურია“.

მართლაც, ბალანჩივასის საკონცერტო შემოქმედება (გან-



საკუთრებით მეორე, მესამე და მეოთხე კონცერტები) ამჟღავნებს ჩანაფიქრისა და ხორცმსხმის ერთობობასაც. ეს უნდა მივიჩნიოთ ჰუმანიტარად თანამედროვე კომპოზიტორის სტილის კლასიკურობის (ამ სიტყვის არაღივანებული) საიმედო სიმბოლოად.

სწორედ ამით აიხსნება ბალანჩივადის მრავალი ნაწარმოების ფართო პოპულარობა. ამ მხრივ სამავალითა პირველი სიმფონია, მესამე საფორტეპიანო კონცერტი (თორმეტჯერ რომ გამოვიტყუა), რომელიც წარმატებით სრულდება არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. მეოთხე კონცერტიც ასევე წარმატებით გავიდა საერთაშორისო არენაზე.

საერთაშორისო ნარკვევის ჩარჩოები, ბუნებრივია, არ იძლევა შესაძლებლობას სათანადო სისრულით განვიხილოთ ბალანჩივადის საფორტეპიანო ხელწერის ყველა თავისებურება. აქ ბალანჩივადისეული პიანისზმის მხოლოდ ზოგიერთ მომენტს აღვნიშნავთ.

ამასთან, კომპოზიტორის სტილის ესა თუ ის ნიშანი მჭიდროდ უერთიანებდა მას უნდა იქნას განიხილული. მხოლოდ სტილისტური სიმეტრია გამოიყენებს მხატვრის ინდივიდუალური ხელწერის თავისებურებებს.

ბალანჩივადის საფორტეპიანო ხელწერა ორკესტრულობის ნიშნებს ავლენს. კულმინაციურ ზონებში კომპოზიტორი არცთუ იშვიათად მიმართავს სახედავ მყდრ აკორდულ-ოქტავურ კომპლექსებს, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავს ინსტრუმენტის ვეპერირება დიაპაზონს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის ფორტეპიანო წარმოქმნის ორკესტრის მძლავრ ელერადობას.

ორკესტრულობა იგრძნობა ენერგიულ ტრემოლოში, პარალელურ სექსტაკორდებში. დროდრო ბალანჩივადის კონცერტებში შეიგრძნობა დაფხადების, ფლეიტის ხმოვანების, სიმების საარავთა შტრების იმიტაცია, ხშირად გვხვდება არფისმგავსი ფიგურაციები, legato-სა და staccato-ს ელერადობის კონტრასტები. აღსანიშნავია ბეგერის „განდობის“ ხერხი, რომელიც ფაქტს ფილირებას ითხოვს. მაგალითად, მეოთხე კონცერტის ფინალის ელერადობა თანდათან ნელდება. ამ შენელებას აგვირგინებს „სიჩუმის“ ტაქტები. ნაწარმოები მთავრდება ოთხი „ცარელი“ ტაქტით. აქ ბალანჩივადე მოითხოვს პიანისტის ხელების პოზიციას კლავიშზე დაქერის გარეშე (ავტორის მითითებით ეს „აკუსტიკური სიკრუე“). ასეთი ხერხი მოგვაგონებს სიმებიანი ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელ ფეფქტს — ხმის პოზიციის შეარჩევნება ბეგერის წარმოქმნის გარეშე.

„საფორტეპიანო ინსტრუმენტობით“ აღწევს ბალანჩივადე მუსიკალურ ფერწერას, პეიზაჟურობას. ასეთია მეოთხე კონცერტში წყაროსა რაკაკის („ცხრა წყარო“), ტყის შრიალის („როინის ტყე“), ჩიტების ჭიკჭიკის წარმოსახვა (ალე-ატორისაგან დაფუძნებული „დიღას“ ფრაგმენტი), ჭეჭა-ქუხილის სურათის ხატვას ფერადოვანი მოვლარე აკორდები „თურულდღან“. ასეთია მარწყნავლ საფორტეპიანო კანფენიაც „სალაშურდღან“, სადღე ელვის გამოწახება და ქუხილი რევისტრების ფერადოვანი შეპირისპირებებით წარმოსახება. თვალსაჩინოა აგრეთვე ზარების რეკვის იმიტაცია: მოგუხუნე ნაბეჭდიან მხიარულ „გადაძახილამდე“.

ა. ბალანჩივადის მუსიკის ფაქტურული თავისებურებანი წარმოიქმნება ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების

უნარულ სახეთა ორიგინალური, ასლებური გააზრების ნიშნებით, მაგალითად, მამაკაცთა შემართული, დრამატული ცეკვა „ხორუმის“ ლირიკული ტრანსფორმაცია მეოთხე კონცერტის ფინალში, სადღე ბალანჩივადე ანელოდ ტემპს და მასში სინკოპები შეაქვს (რაც ამ დანს არ ახასიათებს). ამასთან ერთად, თავისუფლად მონაცვლობენ ტაქტები სინკოპირებული და არასინკოპირებული რიტმით. შენელებულ მოძრაობასთან შერწყმული სინკოპები მუსიკის განსაკუთრებულ გრაციოზულობას ანიჭებენ, ხელს უწყობენ მის ლირიზაციას. ამრიგად, თავისებურმა მუსიკალურმა ჩანაფიქრმა განაპირობა ფაქტურის რიტმული განსაკუთრებულობა.¹¹

თავის კონცერტებში ა. ბალანჩივადე მისამართავს ევროპული პიანისზმისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა გამოხატულებით ხერხებს. შეიძლება აღინიშნოს ლისტისა და პროკოფიევის ფაქტურული პრინციპების გამოყენება პირველ კონცერტში, მუშაობა — მეორეში, დებიუსისა და სკრიანინისა — მეოთხე კონცერტში. ტრადიციების საინტერესო „შედგენა“ ჩანს მესამე კონცერტშიც. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ბალანჩივადის შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებში, რეკენიზიები აღნიშნულია, და არცთუ უსაფუძვლოდ, მოცარტის სტილისტიკის ზეგავლენა. ამასთან ერთად, მესამე კონცერტში შეიძლება აღმოვაჩინოთ მსგავსება ფრანგული კლასიციზმის, და, პირველ ყოვლისა, რამოს სტილთან.¹²

როდესაც აღვნიშნავთ ბალანჩივადის საფორტეპიანო თხზულებათა ფაქტურაში ბარიკოს, კლასიციზმისა და რომანტიზმის ზოგიერთი პრინციპის არსებობას, უნდა გავსთვოდეს, რომ თავისთავად, ეს არაა განმსაზღვრელი პირობა კომპოზიტორის ხელწერისთვის. აქ არსებითია თუ გამოხატულებით სასურველთან როგორ კონტრასტობა, ამასთან, რა მუსიკალური აზრის გადმოსაცემად მიმართავს ავტორი გამოთქმის ამა თუ იმ ხერხს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ძველი“ ე. ი. საფორტეპიანო პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებული ფაქტურული ხერხები ბალანჩივადის მუსიკაში მუდამ შერწყმულია თანამედროვე ინტონაციურ წყობასთან. (ისევე როგორც XX საუკუნის კომპოზიტორთა მიერ პლგადასთან, მაგალითად, პროკოფიევიან, შოსტაკოვიჩთან, შნედრინთან, ჰინდემიტთან და სხვ.)

ავიღოთ თუნდაც პირველი კონცერტი. იგი ფაქტურულად გადაწყვეტის თვალსაზრისით, უდავოდ, უახლოვდება ლისტისებს. ამასთან, ბალანჩივადის საფორტეპიანო ფაქტურის იმპოზანტურობას სრულიად არაფერი აქვს საერთო ლისტის რომანტიკულ დემონიზმთან. იგი აღბეჭდავს იმ ენთუზიაზმსა და ზაუწყულ განწყობილებას, რაც ესოდენ დამახასიათებელია ოქტომბრის რევოლუციური წლების საბჭოთა ხელოვნების აქმის ფერისთვის. „შუა გავისენებში, რომ 30-იანი წლების საბჭოთა ხელოვნებაში ფართო გავრცელება ჰპოვა სწორედ პერიოკულ-პათეტურება სახეებმა (შრომის თემა, ასალი ცხოვრების მშენებლობის რომანტიკა და სხვ.), მაშინ ბალანჩივადის კონცერტის მარწყნებური, ჰიმნური, პერიოკული მითიები მკაფიოდ მოწმობენ ამ ეპოქის თემატიკასთან მიახლოებას, — სამართლიანად აღნიშნავს საბჭოთა ინსტრუმენტული კონცერტის მკვლევარი ლ. რაბენი.¹² ამ კიდვე მესამე კონცერტში ფრანგული კლავესინისზმისთვის დამახასიათებელი ეროვნულ ინდივიდუალობას და ჩვენი ახალგაზრდობის ჭა-



ბუკური გზებითაა დამუშავებული. ამრიგად, დავსავეთვერო-პული პიანისთვის დამასასიათებელი ზოგიერთი ხერხი ქართულ ოსტატთან ახალ მხატვრულ შინაარსს იძენს. ბუკურივე, იცო ახალ რაკურსში წარმოდგენილა ეს ხერხები რამდენადმე ივლიან თავის ფორმას, ინარჩუნებენ სა პირველწარმოთან ნათესაობას, გარკვევენ მასთან ინტერუბობას.

ბალანჩვიასი თსხულებების ფაქტურული თავისებურებები განპირობებულია აგრეთვე იმ პოლიფონიური სტილითაც, ქართულ ხალხურ მუსიკას რომ ასასიათებს. როგორც ცნობილია, ამ სტილის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია არმიტაციური კონტრაპუნქტი. ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ სამხიანნი წყობის მანწარმოებები, რომელთა შორის განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევიან ვოკალური ნიმუშები.

ბალანჩვიასი საფორტეპიანო თსხულებებშიც ნაკლებად შესვდებით იმიტაციური პოლიფონიის მომენტებს.

მეთიხე კონცერტის მეთე ნაწილი („დღლია“) მკაფიო მკალითა ბალანჩვიასი პოლიფონიური აროგებობის კავშირისა დავსავეთ საქართულის სიმღერების მრავალხიან სტილითან. იგი განსაკუთრებულია გურული საკუნდო სიმღერების (მსოფლიო მუსიკალური ფოლკლორის უბადლო პოლიფონიური ნიმუშების) კანონზომიერებთა შემოქმედებითი გამოყენების თვალსაზრისით. ერთგული პოლიფონიის, თემატიკის, აგრეთვე ტემბრალური ემპქების (კრამანტულის ხერხი ზედა რევისტრში) ინდივიდუალურმა გადაჯარებამ განაპირობა ამ ნაწარმოების საფორტეპიანო გამოხსველობის სპეციფიკა.

ბალანჩვიასი საფორტეპიანო სტილს თავისებური, ორნამენტული მელოდია ასასიათებს, რაც აგრეთვე ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში იღებს სათავეს, ქართულ ხალხურ სიმღერაში ორგანულადაა შერწყმული ორნამენტიკა, რეიტატიკა და ინსტრუმენტული წყობის ინტონაციები (ასე მკალითად, გურულ ხალხურ სიმღერებში კრამანტულის ინსტრუმენტალში ხშირად ორნამენტულ ხასიოს იძენს).

ინსტრუმენტული, ვოკალური და სამეტყველო (მელოდიური რეიტატიკი), ინტონაციების შეთავსების სვებებით ა. ბალანჩვიასი მუსიკაშიც, რა თქმა უნდა, ეს ელემენტები ყოველთვის როდია სინთეზირებული ერთ მელოდიაში. მთლიანობაში კომპოზიტორისთვის უფრო დამასასიათებელია ინსტრუმენტული წყობის მელოდური შერწყმა რეიტატიკასთან. გავისაზნოთ თუნდც მესამე კონცერტის მეთე ნაწილი, მადაც მელოდიური რეიტატიკა თითქოს ინსტრუმენტული მიმამღერებიათა ინტრუსტირებული.

ბალანჩვიასი ნაწარმოებებში ხშირად შესვდებით მოკლე თემებს, რაც ხალხური სიმღერების კულტურ ფორმასთანა დაკავშირებული. ამასთან ერთად, კომპოზიტორი შესანიშნავად ავებს ფართო სუბტილს მელოდიებს. მისი სტილის მელოდიური ევოლუცია წარადგინა ამ ტენდენციის განვითარებასთან, განმარბობის პრინციპის გადაღობვით არის დაკავშირებული, რასაც მოწმობს, მკალითად, კაპიტალური თსხულებები, შემქნილი 60-70-იან წლებში: ბალეტი „მწირი“, მეთიხე კონცერტი, „რომანტიკული ციკლი“.

ბალანჩვიასი მელოდიური ნახატი ერთდროულად შეიცავს სიმკაცრისა და იმპროვიზაციულობის ელემენტებს, რაც ხალხური შემსრულებლობისათვის ესოდენ დამასასიათებელი ორნამენტის ხელუნიებია მომდინარეობს. ამ თვალსაზ-

რისის დამადასტრუბელ მკაფიო მკალითად გამოდგმობლია დილოგური თემა „რიონის ტყიდან“. მისი პირველი ქლმქმნეტის სიმკაცრე ეხამება მეორის, იმპროვიზაციულ-ორნამენტულ ხასიათს.

სელოვანის სტილის ერთ-ერთი ხასხსიათო ნიშანია რიტმული სიმღიდრე. მისი საწყისებიც ღრმად ეროვნულია. ქართული ხალხური რიტმებისთვის დამასასიათებელი სისადავე და მრავალფეროვნება, იმპროვიზაციულობა და სიმკაცრე, ოსტინატურობა, სინკოპების სუსხვე — ამიღერებს ბალანჩვიასის შემოქმედებს.

ბალანჩვიასის მუსიკას განსაკუთრებულ ქმედითობას, წინასწარფიქრითობას ანიჭებს ხალხური იმპროვიზაციულობის მომდინარე ტეხილი რიტმები, სინკოპები. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამარში და საცეკვო რიტმებსაც. ეს უკანასკნელიც სათავეს იღებს ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორთან.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბალანჩვიასის მელოდიკის ევოლუცია ძირითადად დაკავშირებულია განმეორების პრინციპის გადაღობვასთან. ანალოგური ტენდენცია შეინიშნება რიტმისა და პარნიის სფეროშიც. მხატვრის გვიანდელ ოპუსებში ნაკლებად სვებებით მსგავს მელოდიურ, პარნიონულსა და რიტმულ კომბინაციებს. ამ სტრიქონების ატორთან საუბარში კომპოზიტორმა აღნიშნა (მას ძირითადად მხედველობაში ჰქონდა თავისი უფრო გვიანდელი ნაწარმოებები), რომ ამ ნაწარმოებებში „აზრის განვითარება მიიღინარეობს სიტყვთა განმეორების გარეშე“. ეს დებულება ვრცელდება ფაქტურაზეც, რომელიც ბალანჩვიასისთან აზროდეს ყოფილა „ნეიტრალური“, მუსიკის შინაარსისგან დამოუკიდებელი. მართლაც, პირველი და მეთიხე კონცერტები მკაფიოდ აშვლანებენ კომპოზიტორის ინტერესს მუსიკალური სფეროლის შემქმნელი კომპონენტების მუდმივი განახლებისადმი.

წინესლისკენ, ტემპარტიკი ნოვატორიზმსკენ შეუწელებელი სწრაფვა ბალანჩვიასი სტილის ხასხსიათო ნიშანია. გეზეთ „ზარია პოსტოვას“ კორესპონდენტთან საუბარში კომპოზიტორი ამბობს: „აუცილებელია ახალ საშულებათა გაბედული ძიება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სრულად გამოფხატოთ წვენი თანამედროვეობის სულსკვეთება. ამასთან, შესაძლოა, უკიდურესობაში გადავარდნაც, რაც არ უნდა იქნას დაშვებული და მხედველობაში მაქვს ცრუნოვატორობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ფორმალისტურ ძიებებს გულისხმობს. ნამდვილი, ტემპარტიკი ხელუნიება აზრის სიღრმეს, ემოციას, დიდ სიმატრელესა და მოქიხას ითხოვს“¹³.

ბალანჩვიასის მუსიკალური ნიშის გართულება უკანასკნელი წლების ნაწარმოებებში („მწირი“, მეთიხე კონცერტი, „რომანტიკული ციკლი“) ახალი იდებებით, დროის ახალი ტენდენციებით არის ნაკარნახევი.

თუ პირველ, მეთე და მესამე კონცერტებში დიატონიკა, შედარებით სადა პარნიონიური წყობა ბატონობდა, მეთიხე კონცერტის სტილისტურ „იერს“, პირველ რიგში, განსაზღვრავს რთული პარნიონები, პოლიტონალურ შესამებათა სიუხვე, პოლიფონიის მზარდი რაობი, სერიული ტექნიკის ელემენტების გამოყენება.

ბუნებრივია, ა. ბალანჩვიასის მუსიკალური ენის განახლება უდრდა, მკვეთრი ნახტომით როდი მოხდა. ასე მკალითად, მეთიხე კონცერტის მუსიკისთვის ნიშანდობლივია



კილოს ბგერითი მოცულობის გაფართოება, რაც შეინიშნება უკვე მეორე და მესამე კონცერტებშიც, აგრეთვე მეორე სიმფონიაში, რომელშიც მრავალ პოლიტონალურ შესაძლებლად იზოიტი (განსაკუთრებით მესამე ნაწილში).

მეოთხე კონცერტის მუსიკალური ენის გამახვილება არ გამოირჩევა მის ტონალურ შეფერილობას¹⁴. ტონალური გაურყვევლობის, კილოური პოლიფონიის მიმოქცემა აქ გამომსახველობის ერთ-ერთ ფორმად გვევლინება. მაგალითად, „ჯგანო“ შუა ნაწილში მკაფიო სტრუქტურის ქონზე საორკესტრო მასალა (გაფართოებული A-moll) უერთდება ფორტეპიანოს პარტიას, რომელიც თორმეტ განუყოფრდება ბგერათა რიგს შეიცავს.

ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით, დოდეკაფონური პრინციპი მოწოდებულია მოახდინოს მკაფიო ტონალური ორიენტაციის ნეიტრალიზება, ხოლო ამის შედეგად წარმოქმნილი ტონალური გაურყვევლობა აძლიერებს დრამატიზმს.

ა. ბალანჩივაძე სულ უფრო ხშირად მიმართავს ტონალობათა მკვეთრ შეპირისპირებას. ამ მხრივ სანიშნოა კადენცია, რომელიც „რიონის ტყე“ იწყება. პირველ ყოვლისა, სწორედ მოულოდნელი ტონალური ძვრები ანიჭებს ამ ნაწილს ინდივიდუალურ თავისებურებას, რომლის სახიფათო რამდენადმე უახლოვდება რიმსკი-კორსაკოვის პროგრამულ მუსიკას.

საგრანობი ცვლილებები, კომპოზიტორის მუსიკალურმა ენამ რომ განიცადა, სრულიადაც არ გამოირჩევა მისი ხელოვნების უფუძვლელ პრინციპებს. პირაქით, სწორედ შემოქმედებითი განვითარების პროცესში ვლინდება ბალანჩივაძის უნიშვნელოვანესი ესთეტიკური პოზიციის სიმკაფიო. მისი სტილის სიმდრადე, ისევე როგორც ადრე, კომპოზიტორის ისწრაფვის თავისი შემოქმედების ძირითად წაყვანილ ხაზების შერაზუნებისაკენ (პერსონა, ლირია), იგი კარბული ფოლკლორის ტრადიციების ერთგული რჩება. ბალანჩივაძის მუსიკა კვლავაც აღსავსეა რომანტიკით, რომელიც მკაფიოდ აშქვავს მის შემოქმედებით პიროვნებას.

როცა კომპოზიტორის მუსიკალური ენის სოვიერთ მხარეებს ვეხებოდით, აღვნიშნეთ, რომ ბოლო დროის თხსულებში ბალანჩივაძე თვითგამოხატვის ლაკონიზმზე ამასვილებს ყურადღებას. „მე ვთვლი, — ამბობს ავტორი, რომ რაც უფრო ხანში შედის მხატვარი, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ხარისხს. უნდა იყოს უფრო ბრძენი და უფრო ლაკონიური“¹⁵.

გამომსახველობით საშუალებათა მაქსიმალური ეკონომია განუყოფელია მუსიკალური ხელწერის გამჭვირვალებისაგან. პირველი, მეორე და მეოთხე კონცერტების შედარებიდან თვალსაჩინოდ ჩანს კომპოზიტორის მისწრაფება ბგერადი ნაგებობების გამარტივებისკენ, ისეთი გამომსახველობისკენ, რომელიც მაქსიმალური სიმკაცრითა და სისუსტით გადმოსცემს ნაწარმოების შინაარსს.

მრავალგვარმა სახეებმა და ორი ნაკადის (ხალხური და პროფესიული) ზემოქმედებამ ა. ბალანჩივაძის საფორტეპიანო სოვილო საორდებ ტყვეად და სინთეზური გახდა: ერთ-ხმინა მღვდლიდან, დახვეწილი არაბესკიდან დიდებულ აკორდულ მრავალბგერადობამდე. იგი შეიცავს ასკეტისმს, სისხადვესა და ელვარებას, რთულ ფიგურულ ნახაზებს, სიმკაცრესა და იმპროვიზაციულობას, გრავილელობას და ფერად

დღვნებას... ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ავტორის ნაწარმულად გრძნობის საფორტეპიანო ფაქტურის ბუნებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამა თუ იმ ფაქტურულ მიგნებებს კომპოზიტორი ყველა ნაწარმოებში მოი იყენებს, არ აქცევს მათ ფორმულებად. აქედანვე ჩანს, რომ ფაქტურის თვისებებს ბადებს მხატვრული შთანაფიქრი, იდეა, სახე.

კონცერტებში კომპოზიტორი შევითად მიმართავს თანამედროვე პანინსტრუმენტის კატაბიურს, ომბინო ნოტების ტექნიკას (პარალელური ტერცები, სექსტები). მცირეტივანია გამისმავარი პასაჟები, ოქტავების კასკადები, იშვიათად ოქტავური უნისონებიც.

ქართველი სტატის კონცერტებში, ძირითადად, დაცულია სოლისტისა და ორკესტრის თანაბარუფლებიანობის პრინციპი. მაგრამ აქ აღვნიშნება ერთი ნიუანსი: ფორმის განვითარებად ნაწილებში ფორტეპიანოს პარტია წაყვან როლის იძენს (ასეთია, მაგალითად, მეორე კონცერტის პირველი ნაწილი).

დაბოლოს, ისევ დაავრუნდებით მეოთხე კონცერტს.

ამ ნაწარმოების სტილისტიკური ფესვები განსაკუთრებით მრავალფეროვანია. ა. ბალანჩივაძის წინამორბედ ნაშრომებთან შედარებით, აქ ყველაზე ცხადად გამოვლინდა მისი მხატვრული აზროვნების ისეთი არსებითი ნიშანი, როგორიცაა რომანტიკისკენ სწრაფვა¹⁶. რომანტიკულ სწრაფვთა გაფართოებაზე მეტყველებს მეოთხე კონცერტის პროგრამა, მუსიკალური ფერწერისადმი განსაკუთრებული ინტერესი, ბალადურობა. ვფიქრობ, შეიძლება ვილაპარაკოთ მთელი ნაწარმოების ბალადურ ხასიათზე. მართლაც, მთხრობების სახის გამოჩენა, თხრობითი და დრამატული ვიზოვების შეპირისპირება, სურათოვნება, მუსიკის სახეიობობა, ამასთან, ტრადიციული ფორმებისადმი გვერდის ავლა — ყველა ეს მონენტი დამახასიათებელია ბალანის ძანრისთვის. მეოთხე კონცერტის სიახლოვე რომანტიზმის სტილისტიკასთან ვლინდება თემატიზმისა და ფაქტურის ნათესაობით შუბერტის, შოპენის, გრიგის, სკრიაბინის სტილთან. გარკვეული გავლენა იქონია იმპრესიონიზმსაც (დებუსი).

ამავე დროს, მეოთხე კონცერტი მუსიკალური ენის ზოგიერთი ასპექტის მხრივ (დოდეკაფონია¹⁷, პოლისხერხებისადმი თავისუფალი დამოკიდებულება) ორგანულადა დაკავშირებული თანამედროვეობასთან. აქ ვერ შეხვდებით სონატური ფორმის დაწერულ ვერც ერთ ნაწილს, სონატურობის ვერც ერთ ელემენტს. ინსტრუმენტულ კონცერტში ეს უარტყედენტრო შემთხვევაა.

სონატურობის ნაცვლად კომპოზიტორი ფართოდ იყენებს ვარიაციულობის პრინციპებს. იგი მიმართავს ვარიების ტრადიციულ მეთოდებს (სახეობრივ, ენარულ-ფაქტურული, კილოური, რიტმული) და ამავე დროს საკუთარ ხერხებსაც გვთავაზობს, რომლებიც ხალხური მუსიკების პრაქტიკიდანაა აღებული: მეტრის, თემის ცალკეული უჯრდის, პოლიფონიის ვარირება. ამრიგად, „განდობლი“¹⁸ სონატურობის კომპენსირება ხდება ვარიაციული მეთოდების ფართო გამოყენებით.

ანდრია ბალანჩივაძის საფორტეპიანო შემოქმედება ქართული საბჭოთა მუსიკის მნიშვნელოვანი მონაშეკარია. კომპოზიტორის ინსტრუმენტული კონცერტები — დიდი დიაპაზონის თხსულებებია, რომლებიც, ისევე, როგორც ყოველი



საყურადღებო მხატვრული მოვლენა, ერთგულის საზღვრებს სცილდება და ზოგადეროვნული ხელოვნების სფეროში გადადის.

ბალანივაქმე შექმნა საკუთარი საფორტეპიანო სტილი, რომელმაც ორგანულად განაზოგადა ქართული ხალხური და პროფესიული კულტურის სახეობრივ-გამომსახველობითი პრინციპები. ამიტომაც, რომ ამ კლასიკოსის საფორტეპიანო

სტილი ერთგვარ თრინტრად იქცა ქართველ კომპოზიტორთა მთელი პლადისთვის.

ბალანივაქმე საკომპოზიტორო შემოქმედების მწვერვალზე და გვეს არ იწვევს, — ჩვენი თანამედროვენი მოწმენი განდებინ ამ დიდი ოსტატის ასალი, ვევაერ თხზულებების დაბადებისას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა ბ ი :

1 საბოლოო, ექვსწლიანი ვერსიისგან განსხვავებით (ის ვერ არ შესრულებულა) ცილი რვა ნაწილი-სუბიოგან შედგებოდა.

2 ეს სახელწოდება კონცერტმა მიიღო საორკესტრო პარტიის დამოუკიდებელი მნიშვნელობის გამო. ამ ნიშანზე, კერძოდ, მიუთითა ა. შავერაშვილმა (იხ. სტატია „ვენერის თბილისი“, 6, III 1968. „დარიფორის პულტან — ავტორია“).

3 როგორც ცნობილია, სიმფონია-კონცერტის პირველი ნიმუშები მოიგვს და შოსტაკოვიჩმა (პირველი საყოლინო კონცერტი) და ს. პროკოფიევიმა („სიმფონია-კონცერტი“ ეილონჩლოსთვის ორკესტრთან ერთად). უფრო გვიანდელ წლებში ამ შეიძლება მოიხსენიოთ ს. სლონიმსკი, ი. რიაკისი და სხვ.

4 ზოგიერთი მკვლევარი (იხ. მაგალითად, ე. ბრალდოს რეცენზია, დაბეჭდილი ეტრნალ „მუსიკაში“ 16. XII. 1937) პირველი კონცერტის სახეობრივ წყობას უკავშირებს საბჭოთა ავიაციის თემს. თუმცა ეს დებულება მეტად სადგეოა, მაგრამ მინც შეიძლება აღენიშნოთ, რომ „საავიაციო“ თემის შერჩევა ერთდელ მოვლენაა როგორც 30-იანი წლების საბჭოთა სიმფონიურ მუსიკაში. მოვიგონოთ, კერძოდ, მისაქოსკის მეთექვსმეტე ე. წ. „საავიაციო“ სიმფონია, რომლის სახელწოდებებზე ავტორმა უარი თქვა.

5 ს. მარინაშვილი — შემოქმედებითი ძალებისა და ტლანტის გაფორჩქენა (ანდრია ბალანივაქმე 60 წლისა). გაზ. „ვენერის ტბილისი“. 1. VI, 1966 წ.

6 ა. ასაფიევი — მუსიკალური ფორმა, როგორც პროცესი. მუსიკოლოგი. ლენინგრადი, 1963 წ., გვ. 261.

7 ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული სიმღერის — ერთის ჰეროიული გადაზარება მეორე კონცერტში.

8 ასე, პირველი ნაწილი ოთხ დამოუკიდებელ თემს — სახეს შეიცავს, — რომელთაგან თითოეული გარდასახვის მნიშვნელოვან გზას გადის.

9 ამასთან დაკავშირებით მოვიგონოთ, რომ დიდი ფორმის ციკლურ თხზულებებში ტემპური დრამატუგის „გალანცივა“ — XX საუკუნის მუსიკალურ ესთეტიკაში იშვიათი შემთხვევა არაა.

10 ხალხურ ინსტრუმენტთა ხმოვანების იმიტაცია — ამერიკაეკოსის კომპოზიტორთა ხელოვნების დაზამთავებელი ნიშნისა. ა. ხანატურაან თავის საფორტეპიანო კონცერტში ქემანჩისა და დუდუკის ტემპრთა იმიტაცია შეკავს. ი. თაქთაიშვილის საფორტე-

პიანო კონცერტის პირველ ნაწილში ჩონგურის ტემპრის იმიტაცება ხდება. ხალხური ინსტრუმენტების შეყვანა ორკესტრში (მაგ., ა. ბალანივაქმის მიერ დილაიტოს ჩართვა პირველ და მეოთხე კონცერტებში) შეიზნეოდა ვერ კიდევ ერთდელ საოპერო სკოლების ფუძემდებლებთან.

11 ხორუმის ლირიულ გადაწყვეტას ბალანივაქმე არა მარტო საფორტეპიანო ფანრში მიმართავს. ამ შეიძლება დავასახელოთ ბალები „წიჩიჩი“, რომელმაც ხორუმე ქალთა ცეკვდაა გააზარებულა.

12 ამ თვალსაზრისის იზიარებს ავტორიც.

13 ლ. რაბენი. საბჭოთა ინსტრუმენტული კონცერტი. გამოცემილობა „მუსიკა“, ლენინგრადი. 1967. გვ. 92.

14 „თანამედროვეობა და ჰემანშიზმი“ (გვიამბობს კომპოზიტორი ანდრია ბალანივაქმე) გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 15 მისი, 1963.

15 უკანასკნელი წლების ნაწარმოებებში კომპოზიტორის მიერ ტრციული სტრუქტურის აკორდების გამოყენება, როგორც წესი, არ განხილვრავს ტონალობას; მისი ფქსირება ძირითადად ხდება სექტაკორდული ტიპის თანხმობებით.

16 ს. მარინაშვილი — შემოქმედებითი ძალებისა და ტლანტის გაფორჩქენის ხანა (ანდრია ბალანივაქმე 60 წლისა). გაზ. „ვენერის ტბილისი“. 1 ივნისი, 1966.

17 უკანასკნელი 5-10 წლის საბჭოთა მუსიკაში მნიშვნელოვან განვითარებას იტენ ნეორმანტეცული ტენდენცია. ეს შეიზნევა სხვადასხვა რესულტიტებისა და სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა თხზულებებში. ამ მაგალითობიც; მეოთხე კონცერტის შემდეგ თვალსაზრისთა ბალანივაქმის „რომანტიკული ცილი“. მუსიკალური „შემუარების“ ამ ფანრს მიმართავს მსკოვანი საბჭოთა კომპოზიტორი ან. ალექსანდროვი, რომელმაც ახლახან შექმნილ თავ ს. საფორტეპიანო ობესს „რომანტიკული ცილი“ უწოდა. სიმფონიურ შემოქმედებში ანალიგიური მაგალითებია რ. შჩედრინის სეიტა „რომანტიკული მუსიკა“, შექმნილი მისივე ბალტის „ანა კარენინას“ საფუძველზე.

18 ინსტრუმენტული კონცერტის ფანრში სერიული ტექნიკის გამოყენება გზებდით მთელი რიგი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებაში: დ. შოსტაკოვისის მიერ საყოლინო კონცერტი, რ. შჩედრინის, ა. ეშაის მიერ საფორტეპიანო კონცერტები.



მშველს დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე, ატომისტური მატერიალიზმის ფუძემდებელი, ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე (ძვ. წ. 460-370) მუსიკას „ხელოვნებათაგან უმცროსად“ ავილიდა, რასაც იმით ხსნიდა, რომ „გაჭირვებამ კი არ შექმნა, არამედ უკვე განვითარებული ფუნქციებისაგან წარმოიშვა იგი“. ¹ თუ ამ აზრის ლოკას გავყვებით, შევძებოდა დაჯავსენათ, რომ არ-

არქიტექტურაზე“ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დაიწერა.

მიუხედავად არქიტექტურისა და არქიტექტურული შეცნირების ასეთი სიძველისა, არქიტექტურის არსის გაგება დღემდე უფრო აქტუალური და ნაკლებად გადაჭრილი პრობლემად რჩება, ვიდრე ადამიანთა საქმიანობის რომელიმე სხვა დარგის არსის გაგება.

მართალია მ. ი. ტოსუნოვა, როდესაც იძულებითი ცდისას „ზოგადი სახით“ მაინც განმარტოს არქიტექტურის ბუნება, წერს: „არქიტექტურა თითქმის იმდენივე ხანია არსებობს ღეღამიწაზე, რამდენიც ადამიანთა საზოგადოება. საზოგადოებრივ ცვლილებებთან ერთად არქიტექტურა ვითარდებოდა, განიცდიდა აღმავლობისა და დაცემის პერიოდებს.

მაგრამ რა არის არქიტექტურა, როგორ განვსაზღვროთ მისი რთული და მრავალსახოვანი არსი?

შეცნირებამ ჯერ ვერ მოგვცა ადამიანთა მოღვაწეობის ამ სფეროს საკმაოდ ღრმა და სრული განსაზღვრა. ²

ამ დებულების დასადასტურებლად განვიხილოთ თანამედროვე ოფიციალურ წყაროებში—ენციკლოპედიებში, ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებში მოცემული განსაზღვრებები არქიტექტურის არსისა.

დავიწყით თუნდაც „ესთეტიკის მოკლე ლექსიკონიდან“. ამ წიგნის 40 ავტორი ერთხმად და ყოველგვარი მერყეობის გარეშე ხელოვნების გარკვეულ დარგებად თვლის: გრაფიკას, დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას, ფერწერას, კინოს, მხატვრულ ლიტერატურას, მუსიკას, სამრეწველო ხელოვნებას (დიზაინს), ქანდაკებას, თეატრს, ქორეოგრაფიას, ცირკს და, ასე გასინჯეთ, ტელევიზიასა და საესტრადო ხელოვნებასაც კი ამასთანავე, ყოველი მათგანის არსი ასეთი ფორმულითაა განსაზღვრული: x (x -ის ნაცვლად ჩასმულია ერთ-ერთი, ადამიანთა მოღვაწეობის ჩამოთვლილი სახეთაგანი) არის ხელოვნების დარგი, რომელშიაც სინამდვილის გამომსახველ საშუალებად გვევლინება y (y -ის ნაცვლად ჩასმულია ჭეშმარიტების გამოსახვის საშუალება ან საშუალებები, როგორცაა: ერთი ფერის ნახატი, გარკვეული მხატვრულ-ესთეტიკური თვისებების მქონე საგნები, ფერი ნახატთან უწყვეტ კავშირში და სხვ.)³. მაგრამ არქიტექტურის არსის განსაზღვრისას იგივე ორმოცი ავტორი თვლის, რომ „არქიტექტურა (ბერძნ. architekton მშენებელი) — არის სამშენებლო ხელოვნება, ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის განსაკუთრებული სახე, რის შედეგად იქმნება ნაწარმოები, რომელიც განასახიერებს საზოგადოების მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ერთიანობას“.⁴ ამგვარად, ისინი ვერ ბედვენ გარკვევით თქვან, რომ არქიტექტურა ხელოვნებამ

არქიტექტურის

არსის

გაგებისათვის

გიორგი ჩიგოგიძე

ქიტექტურა ხელოვნებათაგან უძველესია, რადგან იგი ადამიანის უპირველესა გაჭირვებამ — უამინდობისა და გარეული მხეცებისაგან თავშესაფრის ძიებამ — წარმოიშვა.

ახალგაზრდა არქიტექტურის თეორია: მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია ძველბერძნულ ნაწარმოებებს არქიტექტურის შესახებ (რომელთა არარსებობა ძნელი წარმოსადგენია კლასიკური არქიტექტურისა და მაღალი ფილოსოფიური აზროვნების საშუალებად და ეპოქაში), მაგრამ რომელი არქიტექტორის ვიტრუვიუსის ჩვენამდე მოღწეული ტრაქტატიც კი („ათი წიგნი



ერთ-ერთი დარგია. ხოლო იმის აღიარებებიდან, რომ „არქიტექტურა სამშენებლო ხელოვნებაა“, ისევე როგორც „კულინარია სამზარეულო ხელოვნებაა“, ჯერ კიდევ არ გამოძინდნარეობს ის, რომ ადამიანთა მოღვაწეობის ეს დარგები ხელოვნებას მიეკუთვნება.

სახელმძღვანელოების უმრავლესობაში არქიტექტურის არსი ასეა განმარტებული: „არქიტექტურა — მშენებლის, ნაგებობებისა და მათი კომპლექსების აშენების ხელოვნება...“⁴⁵. ამ განმარტებითაც არქიტექტურა იმდენადვე შეიძლება მიგაკუთვნოთ ხელოვნების დარგად, რამდენადაც — კულინარია თავისი საყოველთაოდ მიღებული განმარტებით: „კულინარია — საკვების მომზადების ხელოვნება“⁴⁶.

ვიღუე ლე დიუკი დახლოებით ასევე ხსნის არქიტექტურის არსს: „არქიტექტურა სამშენებლო ხელოვნებაა“, — წერს იგი და ამასთანავე აღნიშნავს, რომ „არქიტექტურა ორი ელემენტისაგან შედგება — თეორიისა და პრაქტიკისაგან“⁴⁷. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის მნიშვნელობას არაფერი მოაკლდება თუ ვიტყვით, რომ ამ უკანასკნელი ფრაზით ავტორი ფაქტურად არაფერს მატებს არქიტექტურის არსის განმარტებას, რადგან ამ ორი ელემენტის თანარსებობა მხოლოდ არქიტექტურის თავისებურებას არ წარმოადგენს და ერთნაირად დამახასიათებელია ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერი დარგისათვის.

წიგნში: „მარტინსმ-ლენინის მიხედვითის ესთეტიკის საფუძვლები“ ხელოვნების სახეობებსა და ჟანრებს: სპეციალური თავი ეთმობა „რომელიმე ხელოვნების სახეთა წამთვლავ არქიტექტურით იწყება. ამგვარად, მარტისსტულ-ლენინური ესთეტიკის ამ ფუნდამენტური ნაშრომის ავტორები სრულიად სამართლიანად თვლიან არქიტექტურას ადამიანთა მოღვაწეობის ისეთ სახედ, რომლისთვისაც დამახასიათებელია ობიექტური რეალობის ასახვის ესთეტიკური ფორმა.“

მაგრამ, ამავე თავის მეორე პარაგრაფში, რომელიც არქიტექტურის არსის განსაზღვრას ეთმობა, ვკითხულობთ: „არქიტექტურა ადამიანის შრომით შექმნილი ის ნაგებობაა, რომელიც გარემოა, რომელშიაც ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობს.“⁴⁸ კი, მაგრამ, ეს ხომ არქიტექტურული ნაწარმოების არსის განმარტებაა (რასაც მხოლოდ გადატანითი აზრით უწოდებენ „არქიტექტურას“) და არა არქიტექტურისა. ჩვენ ხომ არქიტექტურის, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგის, არსის განსაზღვრა გვინტერესებს, თორემ გადატანითი მნიშვნელობით „არქიტექტურას“ უწოდებენ არა მარტო არქიტექტურულ ნაწარმოებს, არამედ აგრეთვე ნაშენის არქიტექტურულ ხარისხსაც („შენობას კარგი არქიტექტურა აქვს“), რაიმეს სტრუქტურასაც („სახის არქიტექტურა — სახის სტრუქტურა“)

და ფრანკმასონთა ლოგოში წარმოდგენილი გეგმასაც კი „morceau d'architecture — არქიტექტურის ნატივს“⁴⁹ და არ შეიძლება განმარტებისას არქიტექტურის არსი ამ ტერმინის რომელიმე გადატანითი მნიშვნელობის არსით შევცვალოთ.

დახლოებით ასეთივე (და არა მარტო ასეთივე) ულოგოგობით ხასიათდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემაში შეტანილი განსაზღვრა არქიტექტურის არსისა, რომელიც პირთ. ა. ვ. იკონიკოსს ეკუთვნის.

«Архитектура (лат. Architectura от греч. architekton строитель), зодчество, — система зданий и сооружений, формирующих пространственную среду для жизни и деятельности людей, а также само искусство создавать эти здания и сооружения в соответствии с законами красоты. Архитектура составляет необходимую часть средств производства (промышленная архитектура — здания заводов, фабрик, электростанций и др.) и материальных средств существования человеческого общества (гражданская архитектура — жилые дома, общественные здания и др.). Ее художественные образы играют значительную роль в духовной жизни общества. Функциональные конструктивные и эстетические качества архитектуры (польза, прочность и красота) взаимосвязаны.

Произведениями архитектуры являются здания с организованным внутренним пространством, ансамбли зданий, а также сооружения, служащие для оформления открытых пространств (монументы, террасы, набережные и т. п.)»⁹

ამ განმარტებაში ვერ გაიგებ, რა არის არქიტექტურა და წარმოადგენს თუ არა იგი ხელოვნების ერთ-ერთ დარგს? დასაწვისშივე ავტორი აყენებს თეზისს: „არქიტექტურა არის არქიტექტურული ნაწარმოები და აგრეთვე („ა также“) ადამიანთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგი“, რაც, სულ ცოტა რომ ვთქვათ, არალოგიკურია, რადგან, ჯერ ერთი, არქიტექტურა თავისი არსით არქიტექტურული ნაწარმოები არ არის და, მეორეც — არქიტექტურა, თავისი არსით, უპირველეს ყოვლისა (და არა „а также“) ადამიანთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგია. მაგრამ ამ „а также“-ს შემდეგაც, როდესაც ა. ვ. იკონიკოსი ამბობს, რომ არქიტექტურის არსი «...само искусство создавать эти здания и сооружения в соответствии с законами красоты», იგი თითქმის ზუსტად იმეორებს არქიტექტურის ტრადიციულ „კულინარულ“ განმარტებას „დიდი ფრანგული ენციკლოპედიიდან“, რომლის მიხედვით: „არქიტექტურა (ლათ. architectura) არის შენობათა აგების ხელოვნება პროპორციებში და განსაზღვრული წესების მიხედვით“¹⁰.

საქმე იმაშია, რომ ნამცხვარიც ყველა ამ პირობის დაცვით მზადდება (ქიშნება): „...პრო-



პორტივში და განსაზღვრული წესების მიხედვით“ და „... в соответствии с законами красота“, მაგრამ ნამცხვარი ხელოვნების ნაწარმოებად არასდროს არავის ჩაუთვლია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აზრი დასახლისისათვის ქათინაურის თქმა უნდოდათ), რადგან მას არ გააჩნია ხელოვნების ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისება: არ შესწევს უნარი მხატვრულად ასახოს ობიექტური რეალობა.

ყველა მსგავს განმარტებაში („არქიტექტურა — სამშენებლო ხელოვნება“, ან: „არქიტექტურა — შინაობების, ნაგებობებისა და მათი კომპლექსების აშენების ხელოვნება“) ავტორები ეფარებიან ორასოზრავან მნიშვნელობის ტერმინისა — „ხელოვნება“, რომელიც (ისევე, როგორც ლათინური „Ars“, ფრანგული „L'art“, ინგლისური „Art“, გერმანული „Kunst“, ჩეხური Umění, რუსული „Искусство“, უკრაინული «Мистецтво», ფინური „Taide“). „ხელოვნებასაც“ აღნიშნავს და „დახელოვნებასაც“¹¹. ხოლო მოცემულ კონტექსტში უდავოდ დახელოვნების მნიშვნელობის მატარებელია და არა ხელოვნებისა.

კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიღწევად ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე, უმაღლეს მემკვიდრეობად, ... რომელიც ბერძნებმა ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში გადმოიტანეს¹², ე. ფეგელის თვლის, რომ იყო... დასაწყისი ხუროთმოძღვრებისა, როგორც ხელოვნებისა¹². ამგვარად, არქიტექტურა, როგორც ხელოვნება, სათავეს ჯერ კიდევ ბარბაროსობის ეპოქიდან იღებს და ხელოვნების ერთ-ერთ დარგად იმიტომ ბეჭედვლინება, რომ მისი ნაწარმოებები ესთეტიკურად ასახავს მისი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას.

გაგება ტერმინისა „ხელოვნება“ და ხელოვნების დარგთა კლასიფიკაცია, თავისთავად, უდავოდ, ისტორიული კატეგორიაა. აზროვნების განვითარების თანამედროვე დონეზე ამ ტერმინის განსაზღვრის კრიტერიუმად, მისი ნამდვილი გაგებით, ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს როგორც კავშირს, ისე განსხვავებას ხელოვნების სხვადასხვა დარგს შორის, ითვლება ობიექტური რეალობის ასახვის ხასიათი: ასახვის ერთგვაროვანი თვისება-სახიზრება (ან სახეობითობა) აერთიანებს მათ საზოგადოებრივი ცნობიერებისა და აღაბიანათა მოვლადეობის ერთ საერთო ფორმად, რომელსაც ხელოვნებას ვუწოდებთ, ხოლო ასახვის საშუალებათა სხვადასხვაობა აცალკევებს მათ ხელოვნების სხვადასხვა დარგად.

ხელოვნების დარგების განსაზღვრის ამ პრინციპიდან გამომდინარე, „ესთეტიკის მოკლე ლექსიკონში“ ჩამოთვლილი ხელოვნების 14 დარგიდან უნდა გამოირიცხოს საესტრადო ხელოვნება და ტელევიზია.

საესტრადო ხელოვნება არ შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ცალკეულ დარგად იმიტომ, რომ მას არ გააჩნია თეატრალური ხელოვნებისაგან პრინციპულად განსხვავებული რაიმე საშუალებები ობიექტური რეალობის ესთეტიკური ასახვისა და თეატრალური ხელოვნების მხოლოდ სახესხვაობას წარმოადგენს (დრამის, საოპერო, მუსიკალური, თოჯინების, მინიატურებისა და თეატრალური ხელოვნების სხვა სახესხვაობათა მსგავსად).

რაც შეეხება ტელევიზიას, საერთოდ გაუგებარია — რის საფუძველზე ჩათვალეს იგი ხელოვნების დარგად! ტელევიზია არ შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების დარგად ისევე, როგორც — პაერი, რომელსაც ჩვენს სმენამდე მოაქვს ბეთოვენის მუსიკა, ან სინათლე, რომელსაც ჩვენს მხედველობამდე მოაქვს მიქელანჯელოს ნახატი. ხელოვნების მისი განსწავლული თავისებურება — სახიზრება, ტელევიზიას კი არ გააჩნია, არამედ ხელოვნების იმ დარგის ნაწარმოებს, რომელსაც იგი გადასცემს. ტელევიზია, შეძლებისდაგვარად, სრულად ასახავს და უცვლელად გადასცემს დიდ მანძილზე ხელოვნების (და არა მარტო ხელოვნების) ნებისმიერ ნაწარმოებს. შეცნობრებას ტელევიზიის მისაკუთრების იმდენივე უფლება აქვს, რამდენიც ხელოვნებას. ტელევიზია ინფორმაციის გადაცემის ყველაზე უფრო სრულყოფილი საშუალებაა ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ამაში მდგრადობის მისი სიძლიერე, სიძლიერე, არსი და არა იმაში, რომ იგი, აბსოლუტური სრულყოფის მიუღწევლობის გამო, ჯერ კიდევ უცვლის ელფერს თავის მიერ გადაცემულ ხელოვნების ნაწარმოების. სატელევიზიო ფილმი ან სპექტაკლი, რომელთაც გარკვეული ინდივიდუალური თავისებურება ახასიათებთ, შესაბამისად, კინოხელოვნების ან თეატრალური ხელოვნების სახესხვაობას წარმოადგენს და არა რაღაც ახალი „სატელევიზიო ხელოვნების“ დარგს (ისევე, როგორც რადიოთი გადაცემული პოეტური ნაწარმოები ვერ მიეკუთვნება, ტელევიზიოზე უფლებების მქონე, რაღაც „რადიოხელოვნების“ დარგს), რადგან ხელოვნების დარგთა შორის განსხვავების კრიტერიუმად ობიექტური რეალობის მხატვრული ასახვის საშუალებათა თავისებურება მიღებული და არა მხატვრული ნაწარმოების მსმენელადე მიტანის საშუალებათა თავისებურება.

ამგვარად, დარჩა ხელოვნების 12 დარგი, რომელთა ურთიერთკავშირი ერთიან სისტემაში — „ხელოვნება“, შეიძლება გამოიხატოს ნახ. 1-ზე წარმოდგენილი სტრუქტურული მოდელის სახით.

ამ მოდელში ხელოვნების დარგები განსაზღვრულია მათ მიერ ობიექტური რეალობის მხატვრული ასახვის საშუალებათა სხვაობის პრინციპით.

პით, სოლო დაჯგუფებული და განალაგებულია ხელოვნების ყოველი ამ დარგის ნაწარმოების შემქმნის პრინციპზე მატერიალურ საშუალებათა უშუალო ზეგავლენის ზრდის მიხედვით. სუფთა ხელოვნებაში შემოქმედებითი ხარისხის უშუალო კავშირი მატერიალურ წარმატებასთან უმნიშვნელოა (რისთვისაც მას პირობით „სუფთა“ ეწოდება), შემდეგ ეს კავშირი იზრდება სახვით ხელოვნებაში, მნიშვნელოვანაა ხდება სინთეზურში და განმსაზღვრელ მნიშვნელობას ღებულობს შემქმნით ხელოვნებაში. აქ ლაბარაკია შემოქმედებითი პროცესის მხოლოდ და მხოლოდ უშუალო ყოველდღიურ კავშირზე მატერიალურ წარმოებასთან, ხოლო რაც შეეხება ხელოვნების, როგორც ზედნაშენის საერთო ისტორიულ კავშირს საწარმოო ძალთა განვითარებასთან, როგორც ბაზისთან, ეს კავშირი სტაბილურია ხელოვნების ყველა დარგისათვის.

ტერმინი „შემქმნითი ხელოვნება“, რომელმაც ასე კარგად ჰპოვა ადგილი მოდელში სისტემისა „ხელოვნება“, პირველად დიდმა საბჭოთა არქიტექტორმა და არქიტექტურის თეორეტიკოსმა ანდრეა კონსტანტინეს ძე მუროვმა დაწერა; ჯერ კიდევ 1943 წელს იგი წერდა: Архитектура — искусство не изобразительное, а созидательное. Оно не изображает предметы, а созидает их.¹³

ამ სტრუქტურული მოდელის განმარტებას შემოიღება დამატის შემდეგი: 1. არქიტექტურის არსისა და ხელოვნების დარგთა შორის მისი ადგილის განსაზღვრის ლოკალური ამოცანიდან გამომდინარე, მოდელი შემოფარგლულია ხელოვნების მხოლოდ ჯგუფებისა და დარგების ჩვენების რადგან იერარქიის შემდეგი საფეხურის — ხელოვნების დარგთა ქანრების ჩვენება განსახილველი საკითხის ფარგლებს სცილდება; 2. ხელოვნებათა ყოველ ჯგუფში ორ-ორი დარგი (სუფთა ხელოვნებაში — მუსიკა და ქორეოგრაფია, სახვითში — ფერწერა და გრაფიკა, სინთეზურში — თეატრი და ცირკი, შემქმნითი — გამოყენებითი ხელოვნება და დზხანი) ობიექტური რეალობის მხატვრული ასახვის საშუალებათა მსაკვსებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე მესამე.

არქიტექტურის ჩათვალა სახვითი ხელოვნების დარგად არქიტექტურული შემოქმედება მიჰყავს ფორმალისზამდე, არქიტექტურული ნაწარმოების სარგებლიანობის (ვიტრუვიუსის გამოთქმით თუ ვისარგებლებო) უკუგველყოფამდე, ან, ყოველ შემთხვევაში, მის ესთეტიკურ და უტილიტარულ თვისებათა შორის ორგანული კავშირის გაწყვეტამდე, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება არქიტექტურის არსის გაგებას.

სწორედ ამ ნაკლს თუ ვუსაყვედურებთ უნგრელ პროფესორსა და არქიტექტორს მათე შაიორს, რომლის აზრითაც: «...специфика архитектуры состоит в том, что она является такой

разновидностью изобразительного искусства, произведения которой прежде всего представляют собой крупные предметы потребления, созданные в результате коллективного труда промышленным путем, но одновременно (как свидетельствует об этом известные до сих пор значительные явления архитектуры) выполняют функцию искусства самого высшего порядка — выражают свое общество».¹⁴

არქიტექტურის თეორეტიკოსების (და პრაქტიკოსების დიდი ნაწილის) მიერ არქიტექტურის ასეთმა არასწორმა ჩათვალა სახვითი ხელოვნების დარგად, გამოიწვია უკიდურესობამდე მიყვანილი საწინააღმდეგო რეაქცია: არქიტექტურის თეორეტიკოსების მეორე ჯგუფის მიერ არქიტექტურის (აგრეთვე არასწორი) სრული მოწყვეტა ან გამოყოფა ხელოვნებისაგან.


ასეთ მაგალითს წარმოადგენს გერმანელი პროფესორისა და არქიტექტორის გურტ მაგრიტცის მიერ შედგენილი სტრუქტურული მოდელი (ნახ. 2) არქიტექტურის (ა) კავშირისა ხელოვნებასთან (ბ), მეცნიერებასთან (გ) და წარმოებასთან (დ).¹⁵ რომელშიც არქიტექტურა წარმოგენილია ხელოვნებისა, მეცნიერებისა და წარმოებისაგან განსხვავებული და გამოყოფილი კატეგორიის სახით ისე, რომ ცენტრალური ადგილი უჭირავს მათ შორის და უშუალო კავშირი აქვს მათთან.

კ. მაგრიტცის ეს მოდელი, თავისი გარეგნული შეხედულებითა და საკითხის დასმის თვალსაზრისით, ძალიან გავს სამყაროს პტოლომეოსისეულ გეოცენტრულ მოდელს, იმ განსხვავებით, რომ თავის დროზე პტოლომეოსს ალბათ მეტი საფუძველი ჰქონდა (თუნდაც ეიზუალური) დედამიწა სამყაროს ცენტრად ჩათვალა, ვიდრე დღეს კ. მაგრიტცს — არქიტექტურა ჩათვალს ხელოვნების, მეცნიერებისა და წარმოების თავშესაყრელად. უაზრად გამოიყურება იმის მტკიცება, რომ ხელოვნების ერთ-ერთი დარგს (არქიტექტურას) კავშირი აქვს ხელოვნებასთან, თანაც ისეთივე, როგორც მეცნიერებასთან და წარმოებასთან. ასეთი ლოგიკით ზომ ან მოდელში, არქიტექტურის ნაცვლად, ადამიანთა მოღვაწეობის ნებისმიერი დარგის (მაგალითად, კინოსხელოვნების, ან ფიზიკის) ჩასმა შეიძლება და მაშინ რაღა განსხვავება ამ დარგებს შორის?!

რა თქმა უნდა, ჩვენი მხრით, სწორი არ იქნება არქიტექტურის მნიშვნელობის დამცირება ან, მით უმეტეს, უგულვებლყოფა საზოგადოების მატერიალური წარმოებისა და კულტურის წინსვლაში, უდავოა მისი წამყვანი როლი ხელოვნების დანარჩენი დარგების განვითარების უზრუნველყოფასა და მათი სინთეზის განხორციელებაში, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არქიტექტურა ხელოვნების (ეგრეთვე, შემქმნითი ხელოვნების) ერთ-ერთი დარგია და გავისხენებთ კ. მაგრიტცის



საქართველო



ახ. 1.

სის ცნობილ სიტყვებს იმის შესახებ, რომ „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს“,¹⁶ მაშინ მატერიალური წარმოების (მწ), მეცნიერების (მ), ტექნიკისა (ტ) და ხელოვნების (ხ) ურთიერთდამოკიდებულება წარმოვიდგება ნახ. 3-ზე მოცემული სტრუქტურული მოდელის სახით (რომელშიაც არქიტექტურა თავისთავად მონაწილეობს, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, ნახ. 1-ზე მოცემული სტრუქტურული მოდელის შესაბამისად).

ლიტერატურული ნაწარმოები (მაგალითად, ლექსი) იქმნება მატერიალური წარმოების საშუალებათა თითქმის გამოუყენებლად და, თავის მხრივ, არაფერს მატერიალურს არ აძლევს მას, მაშინ როდესაც წარმოდგენილია არქიტექტურული ნაწარმოების (მაგალითად, სამრეწველო შენობის) შექმნა მატერიალური წარმოების საშუალებათა გამოყენების გარეშე და, თავის მხრივ, იგი წარმოადგენს მატერიალური წარმოების არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელ, მატერიალურად ორგანიზებულ სივრცით გარემოს. მაგრამ ის ფაქტი, რომ უშუალო მატერიალური ურთიერთკავშირი მატერიალურ წარმოებასა და შემოქმედებით პროცესს შორის მხატვრულ ლიტერატურაში გაცილებით უფრო ნუსტიკა, ვიდრე არქიტექტურაში, ნების არ ვგაძლევს ჩავთვალოთ, რომ საერთოდ მატერიალური წარმოება (როგორც პირველად) ნაკლებ შემოქმედებას ახდენს მხატვრულ ლიტერატურაზე, ვიდრე არქიტექტურაზე და, რომ, თავის მხრივ, მხატვრული ლიტერატურის (როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის) უკუშემდება მატერიალურ წარმოებაზე უფრო ნუსტიკა, ვიდრე არქიტექტურისა.

მატერიალური წარმოებისა და ხელოვნების ნაწარმოების ურთიერთშემოქმედების დონე ხელოვ-

ნების დარგზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მისი ნაწარმოების ხარისხზე.

ობიექტური რეალობის მხატვრული ასახვის საშუალებად არქიტექტურაში, მატერიალურად, ორგანიზებული სივრცითი ფორმა გვევლინება და ამიტომ ის ფაქტორები, რომლებიც ქმნიან არქიტექტურული ნაწარმოების კონკრეტულ სივრცით ფორმას (ფორმის შემქმნელი ფაქტორები) ობიექტურად განსაზღვრავენ მის ძირითად ესთეტიკურ ღირსებას.

არქიტექტურულ პრაქტიკაში ცნობილია ნაწარმოების კონკრეტული სივრცითი ფორმის განსაზღვრელი სამი ძირითადი ფაქტორი: ფუნქცია, კონსტრუქცია და გარემო.

არქიტექტურული ნაწარმოების ფუნქცია (ან დანიშნულება) წარმოადგენს მისი შექმნის მიზანს, რადგან, როგორც ინგლისური მატერიალიზმის მამამთავარი ფრ. ბეკონი (1561-1626) წერდა: „სახლს იმისთვის აშენებენ, რომ იცხოვრონ მასში და არა იმისთვის, რომ უყურონ მას“;¹⁷ კონსტრუქცია წარმოადგენს ამ მიზნის მიღწევის საშუალებას, ხოლო გარემო — არქიტექტურული ნაწარმოების არსებულ ან მოსალოდნელ ბუნებრივ და ხელოვნურ გარემოცვას, რაც პნიშენვლეობად მოქმედებს მისი არსებობის პირობებზე.

ვინაიდან ჩამოთვლილი ფაქტორები თავისში შეიცავს არქიტექტურული ნაწარმოების უტლიტიკურ სივრცეობას და ამასთანავე აპირობებს მის ესთეტიკურ ღირსებას (სილამაზეს), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემოქმედების პროცესში არქიტექტურულ ნაწარმოებს უნდა წაყვედნოს შემდეგი სამი ძირითადი მოთხოვნა: 1. დანიშნულებისადმი შესაბამისობა; 2. სტრუქტურული ლოგიკა; 3. ორგანული კავშირი გარემოსთან. ან, თუ ვიტრუვიუსის სტილით ვისარგებლებთ, შევიძლია ვთქვათ: არქიტექტორმა თავისი ნაწარმოები უნდა შექმნას სარგებლიანობის, სიმტკიცისა და გარემოს გათვალისწინებით.

ამ სამი ძირითადი ფაქტორის ზეგავლენით იქმნება არქიტექტურული ნაწარმოების კონკრეტული მატერიალური სივრცითი ფორმა, ყველა თავისი ღირსებითა და ნაკლით, იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულყოფილად იყო გათვალისწინებული და რეალიზებული ეს ფაქტორები შემოქმედებით პროცესში.

ამ სამი ძირითადი მოთხოვნების რაფინირებული რეალიზაციით გამოირჩევა არქიტექტურის აღიარებული შედეგები: ძველბერძნულისა — პართენონი (ძვ. წ. V ს.), ქარაულისა — ჯგირი (VI ს.), რუსულისა — ლეონისმოზის საბურჯის ეკლესია ნერლიზე (XII ს.), საბჭოთა არქიტექტურისა — ლენინის მავზოლეუმი (1930 წ.) და სხვ.

საბიექტური დამოკიდებულება, ობიექტურად არსებული ამ სამი ძირითადი მოთხოვნების მიზანშეწონილობისადმი, ერთი მხრივ, და საკუ-

თარი შემოქმედებითი მრწამსის რეალიზაციის უნარი (ან, როგორც უწოდებენ — ნიჭი), მეორე მხრივ, განსაზღვრავს საბოლოო ჯამში არქიტექტორის შემოქმედებით ინდივიდუალობასა და არქიტექტურული ნაწარმოების მხატვრულ დონეს.

ოცი საუკუნის წინათ ვიტრუვიუსმა თავისებურად განსაზღვრა და ჩამოაყალიბა არქიტექტურული ნაწარმოების მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები. გულისხმობს რა შენობებს, ნაგებობებსა და მათ კომპლექსებს, იგი წერს: „ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს სიმეტრიის, სარგებლიანობისა და სილამაზის მხედველობაში მიღებით“¹⁴. და იქვე განმარტავს, რომ სიმეტრიე მიიღწევა სტრუქტურული ლოგიკის დაცვით, სარგებლიანობა—დანიშნულებისადმი შესაბამისობით, „...ხოლო სილამაზე — ნაგებობის სასიამოვნო და მორთული შესახედობით, და იმით, რომ მისი ნაკეთების თანაფარდობა შეესაბამება პროპორციის საჭირო წესებს“¹⁵.

ვიტრუვიუსის მიერ არქიტექტურული ნაწარმოებისადმი წაყენებული ამ მოთხოვნებიდან („სიმეტრიე, სარგებლიანობა, სილამაზე“), სილამაზის მოთხოვნებზე უსაგნოა და ულოგიკო. უპირველეს ყოვლისა, „სასიამოვნო შესახედობა“ — კონკრეტულად არაფრისმოქმედა მოთხოვნები, ხოლო „მორთული შესახედობა“ ან მორთულობა (რასაც ვიტრუვიუსი სილამაზის საზო-

ლიც ესთეტიკურად ერთნაირად შეესაბამება ნებისმიერი დანიშნულების, ნებისმიერი კონსტრუქციული გადაწყვეტისა და ნებისმიერი გარემოცვის არქიტექტურულ ნაწარმოებს.


სხვა მტკიცებას რომ თავი დავანებოთ, სილამაზე თვითონ წარმოადგენს მიზნის, საშუალებისა და გარემოს სინთეზურ მოთხოვნებდათა ნიჭიერი განხორციელების შედეგს და თუნდაც ამიტომ მისი დაყენება, არქიტექტურული ნაწარმოებისადმი წაყენებულ ამ მოთხოვნებთანაა გვერდით ემიონააღმდეგება ლოგიკას. ისევე, როგორც უპირობო იქნებოდა გვეთქვა: არქიტექტურული ნაწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სამ მოთხოვნებებს: 1. შეესაბამებოდეს დანიშნულებას, 2. ექვემდებარებოდეს სტრუქტურულ ლოგიკას და 3. იყოს კარგი.

დანიშნულებისადმი შესაბამისობის, სტრუქტურული ლოგიკისა და გარემოსთან კავშირის გარეშე, არქიტექტურული ნაწარმოების სილამაზე, შეიძლება მხოლოდ „აკადემიზმის“ მიმდევარა წარმოდგენაში არსებობდეს, სინამდვილეში კი არა სწორედ „აკადემიზმის“ ასეთი მიმდევრები ჰყავდა მხედველობაში ა. კ. ბუროს, როდესაც წერდა: «Присходит какая-то трагическая ошибка. Мы признаем Парфенон безусловно прекраснейшим произведением человеческого гения, с огромной силой воздействующим на нас и сегодня. Но отсюда делается абсурдный вывод, что если мы построим так и сейчас, то получим произведение такой же силы воздействия»¹⁶.

არქიტექტურული ბიონიკისადმი ინტერესის სწრაფი ზრდა, რაც ამ ბოლო დროს შეიმჩნევა, ერთხელ კიდევ ადასტურებს ობიექტურად განპირობებული ფორმათშექმნის უფლებამოსილებასა და მოესთეტო-სუბიექტური ფორმა-ძიების, ან „აკადემისტური“ ფორმათმიძიების სრულ უსაფუძვლებობას არქიტექტურულ ხელოვნებაში.

ამ გვლევის ძირითად დასკვნად გამოდგება ალბათ არქიტექტურის არსის მოკლე განსაზღვრა, თუ მას ტერმინის ეტიმოლოგიასაც დავუმატებთ, რადგან არსებულ ოფიციალურ წყაროებში არც ეს უკანასკნელი გამოირჩევა განმარტების საჭირო სიზუსტით.

არქიტექტურა (წარმოებული ლათინური სიტყვიდან architector, რომელიც, თავის მხრივ, შეიქმნა რომ ძველი ბერძნული სიტყვისაგან archi — თავსართი მნიშვნელობით: „მთავარი“ და tekton — მშენებელი), ხეროთომოდებრება (წარმოებული ძველი ქართული სიტყვიდან ხეროთომოდვარი, — ორი ძველი ქართული სიტყვისაგან: ხეროთ—ხეროების ე. ი. მშენებლების¹⁷ და მოძღუარი — იდურა ხელმძღვანელი) არის ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგი, რომელიც მხატვრულად ასახავს ობიექტურ რეალობას, — თავისი თანამედროვე საზოგადოე-



ახ. 2.

მად თვლის). უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მორთავს ნებისმიერ საგანს, მაგრამ მისი ვალამაზება მას არ ძალუძს, სილამაზე საგნის (ან მოვლენის) ორგანული თვისებაა.

გარდა ამისა, საგნის სილამაზის უზრუნველყოფილ, უნივერსალური „პროპორციის საჭირო წესები“ (როგორცა ვიტრუვიუსი მოითხოვს) საერთოდ არ არსებობს ბუნებაში, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია ისეთი კონკრეტული კომპოზიციისა და პროპორციების მქონე მოკულობით-სივრცითი ფორმის წარმოდგენა, რომე-

ბის ცხოვრების პირობებს, თვით ამ თბიქტურირეალობის, — საზოგადოების ცხოვრებისათვის აუცილებელი, მატერიალურად ორგანიზებული სივრცითი გარემოს შექმნის გზით.

ამგვარად, არქიტექტურა თავისი ბუნებით შემქმნითი ხელოვნება (სხევე, როგორც გამოყენებითი ხელოვნება და დოზინი).

არქიტექტურული ნაწარმოებია: შენობა, ნაგებობა ან მათი კომპლექსი.

შემოქმედებით პროცესში მიზნის (ე. ი. დანიშნულებისადმი შესაბამისობის, ანუ ფუნქციის), საშუალებისა (ე. ი. სტრუქტურული ლოგიკის ანუ კონსტრუქციის) და გარემოს (ე. ი. ბუნებრივი და ხელოვნური გარემოცვის) თბიქტურად განპირობებული მოთხოვნილებებია: შესრულების დონე განსაზღვრავს არქიტექტურული ნაწარმოების ყოველგვარ ღირსებას, მათ შორის ესთეტიკურსაც.

არქიტექტურა, რომელიც ცალკეულ შენობებსა და ნაგებობებს ქმნის, იწოდება მოცულობით არქიტექტურად, ხოლო რომელიც შენობათა და ნაგებობათა კომპლექსებს ქმნის — ქალაქგეგმარებად. ასეთი დაყოფა, გარკვეული აზრით, ეყრდნობა აღმდგემა ნაშენის შიგაგეგმარებით და ქალაქგეგმარებით გადაწყვეტათა განუყოფლობის უდავოდ სწორ თეზისს, მაგრამ გამოწვეულია არქიტექტურული შემოქმედებისათვის საჭირო ინფორმაციათა გაზრდილი რაოდენობის შეზღუდვის აუცილებლობით და კომპენსირდება არქიტექტურის ამ ორ ფორმალურ ქვედანაყოფს შორის მჭიდრო შემოქმედებითი კავშირის არსებობით. იმავე მიზნით, დანიშნულების მიხედვით, შენობებისა და ნაგებობების მიღებული კლასიფიკაციის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ საბინაო, საზოგადოებრივ, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო არქიტექტურას.

არქიტექტურის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის იმ თავისებურების გამო, რომ არქიტექტურულ შემოქმედებაში საზოგადოების ცხოვრების მხატვრული ასახვა განუყოფელია მისი პირობების განმსაზღვრელი, მატერიალურად ორგანიზებული სივრცითი გარემოს შექმნისაგან, — არ-

ქიტექტურული ნაწარმოები ყოველთვის სინქრონულად და სიმართლით ასახავს თბიქტურირეალობას. არქიტექტურა ხალხის ცხოვრების უტყუარ სარკეს წარმოადგენს და ეს განპირობებს მისი არსის განსაზღვრისა და, აქედან გამომდინარე, პრაქტიკულ გადაწყვეტათა (ერთიანი მიღებული სისტემის მწყობრი დებულებების, შენობათა ტიპიზაციის, საზოგადოებრივ პრინციპის და სხვ.) რეალიზაციის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა არქიტექტურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

შ ა ნ ი ზ ზ ა ნ ა ი:

¹ Античные мыслители об искусстве, М., 1937, стр. 36.

² Тосюнова М. И., Архитектурные проектирование, М., 1968, стр. 9.

³ Краткий словарь по эстетике, М., 1964, стр. 60, 73, 96, 148, 181, 211, 282, 324, 361, 366, 411, 426, 456.

⁴ Краткий словарь по эстетике, М., 1964, стр. 12.

⁵ Михайлов В. П., Архитектура гражданских и промышленных зданий, т. I, М., 1967, стр. 7; Сербинишч П. Э., Орловский Б. Я., Архитектура, 1970, стр. 9; Черкасов Н. А., Архитектура, Киев, 1968, стр. 9.

⁶ Словарь иностранных слов, М., 1949, стр. 350.

⁷ Viollet-le-Duc, Dictionnaire raisonne de l'architecture, P., გვ. 116.

⁸ „ა“ Основы марксистско-ленинской эстетики, М., 1960, стр. 462, 472.

⁹ БСЭ, третье издание, том 2, М., 1970, стр. 296.

¹⁰ Grande Larousse encyclopedique, P. 1960, ტ. 1, გვ. 541.

¹¹ Основы марксистско-ленинской эстетики, М., 1960, стр. 192.

¹² კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ჩრეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, ობ., 1950, გვ. 217.

¹³ Буров А. К., Об архитектуре, М., 1960, стр. 39.

¹⁴ Профессор Матэ Майор, архитектор, Актуальные проблемы социалистической архитектуры, «Архитектура СССР», 1959, № 11, стр. 49.

¹⁵ Magritz Kurt, Aufbau eins Modells, «Deutsche Architektur», 1967, № 9.


¹⁶ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ჩრეული ნაწერები, ტ. I, ობ., 1963, გვ. 406.

¹⁷ Основы теории советской архитектуры, М., 1958, стр. 188.

¹⁸ Витрувий, Десять книг об архитектуре, том I, М., 1936, стр. 28.

¹⁹ Буров А. К., Об архитектуре, М., 1960, стр. 46.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, ობ., 1946, გვ. 144-148.



ნახ. 3.



საინტერესო

გაეოფენა

საქართველოს სურათების გალერეაში ექსპონირებული გამოფენა „მუღამ მზადყოფნაში“ დიდი საკავშირო გამოფენის ნაწილია. საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის შემდეგ იგი თბილისსაც ესტუმრა. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ნაწარმოებები ეძღვნება საბჭოთა მილიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების რთულსა და მამაცურ საქმიანობას, მათ გმირულ ისტორიასა და დღევანდლობას.

ექსპოზიცია თითქმის ყველა რესპუბლიკის მხატვართა ნამუშევრებს შეიცავს და ეს უთუოდ აძლიერებს მისდამი ინტერესს. გამოფენა დარგობრივადაც მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. ფურწერაში, ქანდაკებაში, გრაფიკაში, პლაკატში ასახვა კბოვა ბევრმა ორიგინალურად ჩაფიქრებულმა თქმამ. ნაწარმოებებს შორის მრავლად გვხვდება როგორც იდეური შინაარსის, ისე მხატვრული გადაწყვეტის მხრივ საყურადღებო, მაღალპროფესიულად და არამშობონურად გადაწყვეტილი ტილოები, დაზვური გრაფიკული ნამუშევრები თუ ქანდაკებები.

გამოფენაზე მონაწილეობენ, და საკმაოდ საინტერესოდაც, ქართველი მხატვრები: საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი რ. სტურუა, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრები: შ. ხოლუაშვილი, ჯ. ხუნდაძე, ა. ვეფხვაძე, ზ. ნივარაძე, თ. ლენინაშვილი, ფ. მზარეულაშვილი, ი. ქიაია, მხატვრები: გ. კალანდაძე, ზ. რაზმაძე, ბ. შველიძე, თ. ფიცხელაური, ჯ. მირზაშვილი, ნ. მესხიძე.

- ბ. მჭერბაკივი.
- ა. ამანგელდიევი.
- ი. ქიაია.
- ე. შირიკოვი.
- ლენინი და ფ. ძერჯინსკი.
- ნეპაყოფლობითი რაზმი.
- მუღამ მზადყოფნაში.
- სასამართლო შოღის.



კონსერტები და პრესა

ნატო მოისწრაფიშვილი

რმაშპლმის თითქმის ყველა გაზეთი მეტ-ნაკლები რეგულარობით აშუქებს მიმდინარე საკონცერტო ცხოვრებას. მრავალრიცხოვანი ავტორები სხვადასხვა სახის (ინფორმაცია, სტატია, რეცენზია, პორტრეტი და ა. შ.) მასალას არაღებენ მკითხველს. წლების მანძილზე გაზეთებში დასტამბული მასალა საკმაოდ ნაირგვაროვანი, და რაც მეტად სამწუხაროა, უმეტეს შემთხვევაში, უხარისხოა. ამ მასალების გაცნობის შემდეგ წამოიჭრა გადაუწყვეტელ პრობლემათა მთელი წრე. სწორედ ამ კუთხით მივუდგებით პერიოდული პრესის განხილვას და ყურადღებას უფრო მეტად იმ ნაკლოვანებებზე ვაგამახვილებთ, რომლებიც დროულად უნდა ამოიფხვრას.

პირველი, რამაც ჩვენს გაზეთებში მოიკიდა ფეხი, ესაა ამა თუ იმ მუსიკალური მოვლენის დაბეჯითებული ანონსირება. ეს, რა თქმა უნდა, საჭირო და აუცილებელია რეკლამის თვალსაზრისით, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება ამავე მოვლენის პროფესიული განხილვა-შეფასება. ეს ნაკლები ახასიათებს ურნალ „საბჭოთა ხელოვნებასაც“, რომელიც მოწოდებულია გამოეხმაუროს მიმდინარე მუსიკალური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. ურნალის ფურცლებზე კი იშვიათად ხდება კონცერტების რეცენზირება.

გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდიოე გრუზია“, „თბილისი“ და „ვეჩერნი ტბილისი“ რეგულარულად, თითქმის ყოველი თვისა და ყოველი კვარტალის დასაწყისში აქვეყნებენ მომავალი საკონცერტო ცხოვრების შესახებ ვრცელსა თუ მოკლე ინფორმაციებს. ეს მასლების კონცენტრაცია მიზიდავს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებას. მაგრამ ერთი კია: ანონსებმა შთანთქმეს ურნალისტიკური აზროვნება. ამ მხრივ სასიამოვნო განთხავისიანია გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“, სადაც ანონსების გვერდით ჯეროვანი ადგილი ეთმობა რეცენზიებს. რეცენზიები მეტ-ნაკლებად სხვა გაზეთებშიც ისტამბება ხოლმე, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ მხოლოდ „ვეჩერნი ტბილისის“ ფურცლებიდან იკრძაბა თვით რედაქციის აქტიური დაინტერესება მუსიკალური ცხოვრებით. ამის დასტურია არა მხოლოდ მუსიკალური მასალის სიჭარბე, არამედ ხარისხი და თვით რედაქციის მიერ შემოკრებილი ავტორთა წრეც. ქართველ მუსიკოსმოდინთა წევრილები შედარებით უფრო ინტენსიურად სწორედ „ვეჩერნი ტბილისის“ ფურცლებზე ისტამბება, რაც, აღბათ თვით გაზეთის ინიციატივას უნდა მივაწეროთ. მაგრამ ხარვეზებისაგან არც გაზეთი „ვეჩერნი ტბილისია“ დაზღვეული. ასე მაგალითად, გასული წლის I/IV რუბრიკით „Сегодня“ დაიბეჭდა ინფორმაცია, რომელიც იუწყებოდა,

რომ კომპოზიტორთა კავშირში შედგა მ. ვანსაძის წიგნის „ნარკვევები ქართული საფორტეპიანო მუსიკის ისტორიიდან“ განხილვა. მოხსენებით გამოვიდა თ. კუროშვილი. მსჯელობის დროს აღინიშნა ამ წიგნის ღირებულება. ჯერ ერთი, მომხსენებელი იყო არა თ. კუროშვილი, არამედ მუსიკისმცოდნე თ. ხუროშვილი, ხოლო მთავარი კი ისაა, რომ როცა გაზეთი კიოსკებში იყიდებოდა, სწორედ მაშინ მიმდინარეობდა ამ წიგნის განხილვა, სადაც აღინიშნა მისი უამრავი ნაკლოვანი მხარე და არა ღირსებები. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია არასარწმუნო წყაროდან იყო მიღებული.

იგივე „ვეჩერნი ტბილისი“ 1973 წლის 6/II-ის ნომერი იუწყებოდა, რომ „უკვე 8 წელია „რუსთაფი“ ბიბლავს სხვადასხვა ქვეყნის მსმენელებს. „რუსთაფი“ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის ლაურეატია“. როგორც ცნობილია, „რუსთაფი“ გათავი ვოკალური ანსამბლია, რომელიც IX მსოფლიო ფესტივალის დროს საერთოდ არ არსებობდა. ფესტივალზე მონაწილეობდა მომავალი ანსამბლის ხელმძღვანელი ანსარი ერქომაიშვილი, რომელიც იმხანად ანსამბლ „კოროლავს“ წევრი იყო. სწორედ „კოროლავს“ გახდა ლაურეატი.

სამწუხაროა ისიც, რომ ზოგჯერ ჩვენს გაზეთები გუნდრუკს უკმევენ ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა მუშაობა შესასწავლი და სმირ შემთხვევაში გასაკრიტიკებელია. იგივე „ვეჩერნი ტბილისის“ (1973 წლის 23/IV) ფურცლებზე გამოქვეყნებული ც. ჩხეიძის ვრცელი წერილი «Очаг народного творчества» ეძღვნება კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელს, მის ღირსეულ წარსულს და შესანიშნავ აწყობას. მაშინ როცა უკვე რამდენიმე წელია კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი მუშაობა იმდენად ჩაშლილია, რომ ამ საქმეს საგანგებოდ განიხილავდა კულტურის სამინისტრო.

ამეგარ ნაკლოვანებებს სხვა გაზეთების ფურცლებზეც შეხვდებით. მა არის ამის მიზეზი? უპირველესად ის, რომ გაზეთებში მოღვაწე ურნალისტთა ანაბარა სტოვებენ. სწორედ მკითხველს გამოეხატოს გარდა, ძირითადად, საერთაშორისო რანგის მუსიკოსთა მოღვაწეობა. ჩვენს ყოველდღიურ მუსიკალურ ყოფას კი ჩვეულებრივ ახალბედათა ან თვით პრესის ორგანოებში მომუშავე ურნალისტთა ანაბარა სტოვებენ. სწორედ ეს განაპირობებს სავაჭეთო მასალათა სიჭრელესა და არათანაბარ ხარისხობებს. ბუნებრივია, რომ არაპროფესიონალები გვერდს უვლიან მცნებურულ ანალოზს, იმიტკერულ შეფასებას, კრიტიკას. ამიტომ გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობა ინფორმაციულ ხასიათს ატარებს.



პრესაში ფილარმონიული ცხოვრების შესახებ თითო-ორ-ოლა მენაჯელებად საინტერესო წერილი თუ გამოჩნდება ხოლმე, ავტორების წრეც, ძირითადად, ერთი და იგივე სახელითაა შემოიღობილი: პ. ხუჭუა, ა. წულუკიძე, გ. ტორაძე, ა. შავერსაშვილი, რ. გაბრიჭაძე, მ. ფინასაძე, მ. ამხეტელი, ნ. ქავთარაძე და კარგედ ორივედ ახალგაზრდა მუსიკოსებიცდნენ. რაც შეეხება ქართველ მუსიკოსთა იმ დიდ არმიას, რომელიც შემოქმედებითი კამპირშია გაერთიანებული და ართუ უფლებამოსილი, არამედ მორალურადაც ვალდებულია პერიოდულად გამოემხაროს ამა თუ იმ მოვლენას, როგორც წესი, ძალზე ინტერესულ ძალად რჩება და არავითარ მონაწილეობას არ იღებს მუსიკალურ ცხოვრებაში.

ქართველ მუსიკოსთა და ჟურნალისტთა ინტერესებს მიღმა რჩება მრავალი საინტერესო მოვლენა: სახელოვანი გასტროლორები, რომელთა კონცერტების საუკეთესოები ახალთა ერთგვარი სკოლა გახდებოდა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთათვის; ქართველ მუსიკოსთა კონცერტები, ახალი მუსიკალური ნაწარმოებები, საშემსრულებლო კოლექტივები და ა. შ. ჯერ მარტო 1973 წლის პირველ კვარტალში გაზუთებშივე ანონსირებული იყო ისეთი მაღალი ინტენსივობის მუსიკოსთა გასტროლოგი, როგორცდენ არანა: ინსტრუმენტული ტრიო ნატალია გუმბანის, ოლეკ კაგანისა და ელზავეტა ლეონისკაის შემადგენლობით, მეორე ტრიო — ვიქტორ მალინინის, ედუარდ გრანისა და ნატალია შაბოუსკაისა შემადგენლობით, პიანისტო ლევ ვლასენკო, მოსკოვის კამერული ორკესტრი რუდიოლფ ბარშაის ხელმძღვანელობით, ცნობილი მუსიკოსები ბულგარეთიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან, აშშ-დან... არც ერთი შემოღობსახელებული მუსიკოსის კონცერტს არ გამოემხანა უნდა ჩვენი მუსიკოსებიცდნენ. სხვა რომ არა, უნებურათა თვით სტუმრების მიმართ, რადგან ყოველი მათგანი თუთოდ ელოდა მისი გამოსვლის შეფასებას. მაშინ, როცა ჩვენი გაზეთები აპრულებულია საკავშირო თუ სასწავლებლო პრესაში გამოქვეყნებული გამოხმაურებებით ამა თუ იმ ქართველ მუსიკოსსა და სამემსრულებლო კოლექტივზე. გავისწინთა, რუ ირ-იცხე ინფორმაციის გვაწოდებენ გაზეთები თუნდაც საესტრადო კოლექტივების — „სალზინოსა“, „ორიასა“, „ივერიასა“, „მოურიასა“ და სხვა ანსამბლების გასტროლებზე. ჩვენი სტუმრების მიმართ კი, რომლებმაც ჭეშმარიტი სიაშიონება მოგვაჩინეს, უდავოდ ვალში დავჩრთო.

ამ შხარე არც ქართველი მუსიკოსები არიან განვიგირებულინი. უკანასკნელ ხანებში „მუცა დაუღიბა“ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო სიფონიურ ორკესტრს, რომლის ახალი მთავარი დირიჟორის ვასილ კასიძის ნაშეშვარმა დიდი დანტრეშება გამოიწვია მუსიკალურ წრეებში. მართლაც, საქართველოს სახელმწიფო სიფონიურ ორკესტრის 1973-74 წლის ხუზონის პირველ ოთხ კონცერტს უხვად მიეძღვნა რეცენზიები, რომელთა უმრავლესობა საინტერესოდ იყო აღწერილი. მასალები ამ კონცერტების შესახებ დაიბეჭდა ყველა რესპუბლიკურ თუ სკადაშის გაზეთში. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი რეცენზია, რომელიც 1973 წლის 19 ოქტომბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. მისი ავტორია მუსიკოსმცოდნე ანტონ წულუკიძე.

სიტყვაში მოიხატა და აქვე დავსძენ, რომ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით შეიმჩნევა აღნიშნული გაზეთის დანტრეშება მუსიკალური ხელოვნებით, დაიბეჭდა ქართველ მუსიკოსმცოდნეთა რამდენიმე ვრცელი, საინტერესო, პრობლემა-

ტური წერილი, რომლებმაც პოვეს ფართო საზოგადოებრივ რეზონანსი. მათ შორის ქართული საზოგადოებრიობის სახელმძღვანელო ინტერესი აღძრა მუსიკისმცოდნე გივი ორბანიკიძის პუბლიცისტური აღვრადობის წერილმა „როლი პრობლემების წინაშე“ (1974 წლის 8/11), რომელშიც ავტორმა განიხილა ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური, სახელოვან, ფილარმონიული ცხოვრების მრავალი საჭირობოტო საკითხი.

ზემოთ აღნიშნული რეცენზიის დასასრულად ანტონ წულუკიძე დღის წესრიგში აყენებს ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, კერძოდ, სიმფონიურ კონცერტებზე მსმენელის მიზიდვის პრობლემას, რომელსაც უპირისპირებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პრაქტიკიზმს დაბალ ხარისხის მუსიკალურ კონცერტებით, საღაროს შემოსავალს რომ ზრდის. ავტორი ასკვნის: „პირდაპირ ვიტყვი: სიმფონიურ ხელოვნებას ჭირდება საზოგადოებრიობის მხარდაჭერა, ამასთან არა მხოლოდ საზეიმო შემთხვევებში. სიმფონიურ ორკესტრს დიდი შემოქმედებითი გეგმები აქვს და თუ ასეთი მხარდაჭერა არ გავრძედა, შესაძლოა ეს შესანიშნავი მუსიკალური კოლექტივი ვერ აღმოჩნდეს იმ დონეზე, ახალი ხეზონის გასწინას რომ იხიზიოთ“. ანტონ წულუკიძის ამ სიტყვებს დავემატებდი იმას, რომ ასეთი საზოგადოებრივი მხარდაჭერა ჭირდება არა მხოლოდ სიმფონიურ ორკესტრს, ჩვენდა საავალოდ, კამერული მუსიკის კონცერტებსაც იწვიათადა ესწრება მსმენელი. ამაზე მეტყველებს პრესაც. მაგალიათად, აღნიშნულ პერიოდში სახელიად უყრადღებოდ იყო მოიგებული საქართველოს კამერული ორკესტრი. დასამალი როდია, უკანასკნელ ხანებში, სხვადასხვა მიზეზის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ამ კოლექტივის არსებობის საკითხი. მით უფრო, რომ აქ ნიჭიერი მუსიკოსები მიღავწოდნენ. სწორედ კრიტიკულ ვითარებაში სტრადებოდა ორკესტრის მხარდაჭერა. ორკესტრთან მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა დირიჟორებმა — ტარიელ დულაძემ და შავლე შილაკაძემ, ორივემ ცალ-ცალკე გამართა კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ შემსრულებლები, დირიჟორები, კომპოზიტორები, მუსიკოსმცოდნეები... მაგრამ, მიხდა ისე, რომ კამერული ორკესტრის არცერთი კონცერტი არ ახსულა პრესის ფურცლებზე.

ამ მხრივ სახარბილო მდგომარეობაში არც საქართველოს სახელმწიფო კვარტეტიცაა. გაზეთებმა არ განიხილეს ბუდაპეშტის კონცერტში გამარჯვების შემდეგ ამ შესანიშნავი კოლექტივის მიერ გამართული კონცერტები.

სამაგიეროდ, გაზეთების ფურცლებზე ფართოდ ხდება მოსწავლეთა რიგითი აკადემიების და სოლო კონცერტების აღწერა. ასეთი სურვილებიც საქარია. მაგრამ სამწუხაროა, რომ მათ ძალზე უწრებეჭურია, აპოლოგეტიკად მდებარე ტონი ასე-ე. ამ ტრადიციულ „პოლოცენზიებში“ დახვადებულია „დიდი მომავლის მქონე“ ნორჩი შემსრულებლებისა და კომპოზიტორების სახელები. საოცარია, რატომ იბეჭდება ასეთი აფუგასიანი და ყალბი დიტირამები? პროტექციონიზმის ამკარა გამოვლინებისთან ხომ არ ვაკვირ? როგორც ჩანს, ეს პრესის მუშაებასაც ალღევეთ. ამაზე მეტყველებს ციტატა გაზეთ „თბილისის“ 1973 წლის 8 ივნისის ნიშერში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილიდან — „მღერის გიგონების გუნდი“, რომელსაც ხელს აწერს ამავე გაზეთის მუშაკი, კულტურის განყოფილების გამგე დავით მეღუხა: „არ დასამალია, ეს ჩვენს სენად იქცა — ისე უწრებუდა და განუკითხავად ვარიგებთ ხობტა-ქებას, თითქოს მხოლოდ ზრდადსრულებულ



შესრულებულს — ამომავალ ვარსკვლავებს უგზავნდით. ასე გადავატყუეთ რიგითი საანგარშო კონცერტები მხატვრულ მოვლენად და უკლებლივ ყველა მოზარდი — ვუნდერკინად, ჩვენი მუსიკალური კულტურის საიმედო მობალოდა. შემდეგ ატორი მითითებს მოზარდთა ხელოვნების შეფასებისას „საქმიანი ანალიზს, გულწრფელ, პირუთენელ სიტყვას, საიმედოს გამორჩევას საშუალოთა გამოურჩეველი მასისაგან...“ სასესიებით ვთანხმები წერილის ავტორს და აქვე დაესძინა: გაკვირვებას იწყებს ის ფაქტი, რომ თვით გაზეთი „თბილისიც“, სადაც მუსიკალური თუ ხელოვნების სხვა დარგების ლიტერატურა დავით მელუხას „ხელში გადის“, არ არის ხოლმე დაზღვეული ამგვარი ხარვეზებისაგან. ამის მაგალითად იკმარებს თუნდაც ნ წლის კომპოზიტორის — კობა მერგულიშვილისადმი მიძღვნილი მასალები. ერთგან, კერძოდ 1973 წლის 25 მაისის ნომერში, გაზეთი იუწყება, რომ „ორკესტრის (იგულისხმება ბავშვთა რიტმული ორკესტრი, რომელსაც კობა მერგულიშვილი დირიჟირებს — ნ. მ.) პროგრამაშია ზ. ფალიაშვილის, ს. რახმანინოვის, ანდრონიკაშვილისა და მერგულიშვილის ნაწარმოებები“. ვფიქრობთ, უხერხულია ამ დიდ კომპოზიტორებთან (ფალიაშვილი და რახმანინოვი) ქ. ანდრონიკაშვილისა და ნ წლის ბავშვის — კ. მერგულიშვილის გვარებისა თუ ნაწარმოებების გათანაბრება.

კიდევ ერთი მაგალითი: ახალბედა მომღერლის თემურ ხიხაძის სამივე კონცერტი ფარდობდა ლინიშნა ქართულ და რუსულ გაზეთებში, დაბალი ხარისხის რეცენზიების გვერდით გამოქვეყნდა საქინფორმის ოფიციალური ცნობებიც. ეს მაშინ, როცა არაფერი ითქვა თუნდაც სახელმწიფო კვარტეტის კონცერტებზე.

ამგვარი ხასიათის წერილებს უფრო ხშირად ხელს აწერენ არაპროფესიონალი ავტორები. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი ხარისხზე, ლიტერატურულ დონეზე, ობიექტურ შეფასებაზე. ეს უსახური (მცირედს გამოხატავს გარდა) მასალა სავესტა უხეში, მიუტკეველი შეცდომებითაც. ამიტომაც ყურადღებას ვამახვილებ სწორედ არაპროფესიონალთა „ნამოღვაწარზე“, რომლითაც ესოდენ გადატვირთულია ჩვენი გაზეთები.

1973 წლის 25 მაისის „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ კირა კვიციხის წერილი — „ნორჩი კომპოზიტორის სამყარო“, რომელიც ეძღვნება მოსწავლე დათო ვევენიძეს. აპოლოგეტური ტონის გარდა წერილი შეიცავს მიუტკე-

ვებულ შეცდომებს. მაგალითად, დათო ვევენიყ ყოფილა ტორი საფორტეპიანო კონცერტისა ვიოლინოსათვის. არჩვენული მამაცობითა

გაზეთ „თბილისის“ 20/1-ის ნომერში ეპიდემი ასეთი გამოთქმას: „ქართვლმა მოცეკვავეებმა შესარულეს ხ ა ლ ხ უ რ ი ქორეოგრაფიული ფ ო ლ კ ო ლ რ ის ნიმუშები“.

მსგავსი მაგალითები ძალზე ბევრია და მათი ჩამოთვლა შორს წავიყვანდა.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვით შევეხები კორექტურას. კორექტურა არსებობს ორგვარი — უცოდველი და ზიანის მიმტახი. უცოდველი კორექტურა ხშირად მივთვლეს შეუმჩნეველად კ რჩება, რადგან იგი ნაცნობ სიტყვებს მექანიკურად სწორად კითხულობს. მაგრამ არის ისეთი კორექტურა, რომელიც ამახიჯებს აზრს, შეცდომამ შეჰყავს მითხველი. ასეთი შემთხვევები ბევრია, მაგალითად: ბახის ბერე პარტია (პარტიტის ნაცვლად), ბახის ტოკატა და რე მინორი (ფუგა გამოტოვებულია. „თბილისი“, 1973 წ. 29/III), რახმანინოვის რაფსოდები პავანინის თემაზე (უნდა იყოს რაფსოდია. „თბილისი“, 1973 წ. 31/III)..

ამ ორივე წლის წინ გაზეთ „თბილისში“ გაიბარა ასეთი კურორული შეცდომაც: 1971-72 წლის სიმფონიური მუსიკის სესონი თბილისში გაიხსნა ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის კარლ ორფის კანტატით „კარმინა ბურანას“. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა გამოაქვეყნა ანონსი, რომელიც იუწყებოდა, რომ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სახელმწიფო კაპელა შესარულედნენ კარლ ორფის „კარმინა ბ უ ხ ა ს“. საქმე იმაშია, რომ საქართველოში ნაკლებადაა ცნობილი კარლ ორფის სახელი, არც „კარმინა ბურანას“ იცნობს ფართო მხმენელი, ამდენად მივთხველთა უმრავლესობა ვერ აღმოაჩენდა ამ უხეშ შეცდომას, რომლის გამოსწორება აუცილებელი იყო გაზეთის მომღვეთ ნომერში „შეცდომების გასწორების“ წესით.

კიდევ ბევრია სათქმელი, მთავარი კი ისაა, რომ პრესის მუშაკებმა საქმიანი ურთიერთობა უნდა დაამყარონ ქართველ მუსიკისმცოდნეებთან და პირიქით. მრავალი საკითხია გადასაჭრელი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სპეციალური ცენტრის შექმნა, ცენტრისა, რომელიც შემოიკრებდა მუსიკისმცოდნეთა და ჟურნალისტთა აქტებს — უკვე გამოცდილებასაც და ახალგაზრდობასაც. ამ გზით მოხერხდება ნაკლებანებათა აღმოფხვრა, მუსიკალური ჟურნალისტის განვითარება!



პირამიდა გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი ამ დარგთაგანია, რომელიც ყველაზე ახლოსაა ხალხის ცხოვრებასთან, მის ყოფასა და საქმიანობასთან. ამასთან, იგი ყველაზე წმინდად ინახავს უძველეს შესანიშნავ ტრადიციებს.

ქართული პროფესიული კერამიკა ეროვნული ხელოვნების ტრადიციებით სარდილოს და სათუთად იცავს მის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს — პრაქტიკული სარგებლობის მოტანასთან ერთად, ადამიანს მიაწოდებს ესთეტიკური სიამოვნება. სწორედ ასეთი, სიხალისის მონიჭებელია ნიჭიერი ქართველი კერამიკოსის ალდე კაკაბაძის დახვეწილი და ხალასი ხელოვნება.

ალდე კაკაბაძე

იკტი მაჩაბელი

ალდე კაკაბაძის შემოქმედებაში ძლიერად იგრძნობა ორგანული კავშირი ხალხურ ხელოვნებასთან, ქართველ კერამიკოსთა თაობების მიერ შექმნილ ეროვნულ მხატვრულ ტრადიციებთან. ეს კავშირი იმდენად ბუნებრივი და თავისთავადია, რომ განსაზღვრავს ამ მხატვრის სტილის თავისებურებას, ხაზს უსვამს მის მხატვრულ ინდივიდუალობას.

ალდე კაკაბაძე ერთი იმთავანია, ვისი შთაგონებული შემოქმედებითი მუშაობისა და საქმისადმი ფანატიკური ერთგულების წყალობით თანამედროვე ქართულმა კერამიკამ ღირსეული ადგილი დაიკვირდა. მხატვართა სწორედ იმ თაობამ, რომელსაც ალდე კაკაბაძე ეკუთვნის, თითქოს ხელახლა აუღო ალღო კერამიკის იშვიათ თვისებებს, მის, როგორც შესანიშნავი მხატვრული მასალის, შესაძლებლობებს. შემუშავდა ნიადაგი განსაკუთრებული სიმკვეთრით გამომქვადებულიყო თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მთავარი ტენდენციები. ქართველმა მხატვარ-კერამიკოსებმა მაღალი ოსტატობით გამოიყენეს კერამიკის დამუშავების უძველესი ტექნიკური საშუალებები და ახალი მიგნებებით, ახალი აღმოჩენებით გაამდიდრეს იგი.

თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილ ალდე კაკაბაძის შემოქმედება კარგა ხანია ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული პოეტურობით, დახვეწილი გემოვნებითა და მაღალი ოსტატობით. აკადემიაში სწავლის წლებიდან მოყოლებული მხატვარს, ნიჭთან ერთად, თავისი საქმის იშვიათი სიყვარული გამოარჩევდა. ამიტომაც, რომ მის მონაწილეობას რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებზე ყოველთვის რაღაც ახალი მოაქვს ხოლმე ამ დარგის მოყვარულთათვის.

ალდე კაკაბაძეს დიდი წარმატება ხვდა საერთაშორისო გამოფენებზეც: მისი ნამუშევრები დიპლომით აღინიშნა კერამიკის საერთაშორისო გამოფენაზე ჟენევაში (შვეიცარია, 1966 წ.). საპატიო დიპლომით — საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე ფაენცაში (იტალია, 1970 წ.), პირველი ხარისხის დიპლომით — მსოფლიო გამოფენაზე ვალორისში (საფრანგეთი, 1970 წ.); წარმატებით მონაწილეობს იგი კერამიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე შიკაგოში (უნგრეთი, 1970 წ.); გამოფენებზე: მონრეალში (1967 წ.), ალჟირში (1967 წ.), თუგოსლაიაში (1968 წ.), გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1969 წ.), საფრანგეთში (1970 წ.), იაპონიაში (1970 წ.), იტალიაში (1970 წ.).

ფართოდ აღიარებულმა მხატვარმა თავისი პირველი პერსონალური გამოფენა მშობლიურ ქალაქში მხოლოდ წელს მოაწყო, დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ. ეს გასაკვირი როდია იმთავის, ვინც იცნობს ალდე კაკაბაძეს — არაჩვეულებრივად მომთ-



მოებდა, შემოქმედებით პროცესი გრძელდებოდა და კვლავაც გაგრძელდება, ოღონდ ამგვარი თვისობრივი დაკრძალვის პროცესი ყოველთვის არ შეიძლება ამკარა იყოს. იგი წარმოებს ფარულად და დგება დრო, როცა შედეგი მთელი სისასუსით გამოჩნდება.

აღლე კაკაბაძის სამუშეართა გამოფენამ ნათლყო ეს შედეგი. გამოფენა იქცა დასტურად იმისა, რომ ქართული კერამიკოსები საინტერესო და ნაყოფიერი ძიებების გზით განაგრძობენ სვლას.

კერამიკაში, დეკორატიული ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანეს დარგში, ქმედითად აისახება ეპოქის მოწინავე მხატვრული ამოცანები, სტილის ახალი ნიშნები. სამყაროს სახელოვნების გაფართოება, ადამიანის მიერ ახალ სიმაღლეთა დაპყრობა ძველისაგან განსხვავებულ, სრულიად ახალ მხატვრულ მეტყველებას საჭიროებს. გამომსახველობის ახალ შესაძლებლობათა ძიება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება კერამიკაში. წარმოებს ახალი პლასტიკური ფორმების, ორნამენტის წყობის, დღევანდლობის თანმიმდევრული კოლორისტული ძიებები.

ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა აღლე კაკაბაძის ნაწარმოებთა გამოფენაზე. გამოჩნდა იმიტომ, რომ მხატვარი, როგორც აღინიშნა, ერთი იმათაგანია, ვისაც წილად ხვდა ქართული ხელოვნების ამ უძველესი დარგის აღორძინება, ვინც 50-იანი წლების დასასრულს გამოვიდა ქართული ხელოვნების აღმავლობის მოთავედ. ძირეული გარდატეხა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო სწორედ კერამიკის ხელოვნებაში.

ეს აღმავლობა სხვადასხვა მიზეზით იყო გაპირობებული. ხელოვნება ღრმად შეიჭრა ადამიანის ცხოვრებაში, გაძლიერდა მისდამი ფართო საზოგადოების ინტერესი, რაც თავისთავად ხელოვნების განვითარებისა და სრულყოფის მძლავრ სტიმულს წარმოადგენს. ამას უნდა დავმატოვო მხატვარ-კერამიკოსთა ახალი ნიჭიერი თაობის გამოსვლა დამოუკიდებელი შემოქმედების გზაზე. მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართველ მხატვართა მიერ უმდიდრესი ეროვნული საგანძურის შემოქმედებითი გააზრება, რამაც, მაღალ პროფესიულ ოსტატობასთან შერწყმით, შესანიშნავი შედეგი მოგვცა. მეცნიერების მიღწევებმა ძველი ქართული ხელოვნების შესწავლის დარგში კიდევ უფრო გააღრმავა მხატვართა დანიჭტრესება მდიდარი ეროვნული მემკვიდრეობით.

აღლე კაკაბაძე თავიდანვე ხარზად დაეწაფა შთაგონების ორ, ერთიმეორეზე უფრო საინტერესო და მდიდარ წყაროს — ისტორიულ კერამიკასა და ხალხურ ხელოვნებას. ეს სასველი ბიზუნიერული იყო, რადგან მხოლოდ ეროვნული მხატვრული საუჩუქის ცოდნა, მისი შემოქმედებითი ათვისება მისცემდა მხატვარს ძალას, რათა თავი დაეღწია წინა პერიოდის კერამიკული პრობლემების შტამბისაგან, გაეკვალა საკუთარი გზა. მაგრამ თვისობრივად ახალი, თანამედროვე ელვრადობის კერამიკული ხელოვნების ჩამოყალიბება მეტად რთული და მრავალმხრივი პროცესი იყო. მიზნის მიღწევა მხატვრებისაგან მოელ მათ ნიჭსა და ძალ-ღონეს, დროსა და ენერგიას მოთხოვდა.

აღლე კაკაბაძეს შესწევდა საამისო ძალა. ხალხის ნიჭისა და გემოვნების გარდა, მას ახასიათებს საქმისადმი ის ფანატური სიყვარული, რომლის გარეშე შეუძლებელია რაიმეს მიღწევა. შემოქმედს საკუთარი მხატვრული ხედვა განიანა და



ხოენსა და სერიოზულ შემოქმედს, მხატვარს, რომელიც საკუთარი შემოქმედების პირველი და ყველაზე მკაცრი კრიტიკოსია.

აღლე კაკაბაძის სამუშეართა გამოფენა ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ეს მხატვრის მხოლოდ პირადი მიღწევების ჩვენება როდი იყო. გამოფენამ გვიჩვენა ამ დარგის დღევანდელი დონე, მისი საინტერესოები. ამავე დროს მას კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ღირსებაც გააჩნდა: მხატვრის ნაწარმოებთა დემონსტრირებამ დაგვარწმუნა ქართული კერამიკის მიღწევებასა და მამოვალი განვითარების პერსპექტივებში. იგი საინტერესო იყო იმიტომაც, რომ საკმაო ხანია გაიმის სექტიკური ხმები, გაჩნდა „თეორია“ ქართული კერამიკის ერთგვარი დეკადანსის შესახებ. ასეთი აზრი, ალბათ, შემდეგმა გარემოებამ თუ განაპირობა: 50-იან წლებში შემოქმედებითი ახალი ტენდენციები. ამავე დროს მას კიდევ ერთი, თვისობრივად ახალი, კუმშარიტად ეროვნული კერამიკული ხელოვნება, რომელიც წინა პერიოდის უსაზო, ერთფეროვან კერამიკულ ნაწარმთან შედარებით, უდიდეს გარდატეხას მოწმობდა ამ დარგში. ამის გამო, როგორც ჩანს, გაჩნდა სერიოზული, ყოველ გამოფენას რაღაც ახალი, უჩვეულო მოეტანა, ეს კი ყოვლად შეუძლებელი იყო და სულაც არ ნიშნავდა ქართველ კერამიკოსთა შემოქმედებითი ძალების გამოფინებას, მათ თვითდამშვიდებასა და ძიებების დასასრულს, მიღწეულით დაკმაყოფილებას. მუშაობა გასუწყვეტლივ წარ-

ამიტომაც, რომ მისი ინტერესი ეროვნული ისტორიული კერამიკისადმი არ გადაიქცევა უბრალო მიზნაპყვობად. ალდე კაკაბაძე შეეცადა საკუთარი თვალით შეხედა ეროვნული კერამიკის საგანძურისათვის, საკუთარი გრძნობით განეცადა ქართველ ოსტატთა თათბების მიერ განედლი და გააზრებელი.

უძველესი ქართული კერამიკის დიდი ეროვნული საგანძური მხატვრის უხეხნებად, თუ რა კეთილშობილი მასალა თხნა, რისი მიღწევა შეიძლება, თუ მას შემოქმედის ხელი შეეხება. ალდე კაკაბაძე ეზიარა კერამიკული ხელოვნების უმდიდრეს სასურეს — ფორმების მრავალფეროვნებას, ორნამენტული საწარმოების სიუხვსა და თავისებულებას, კეთილშობილ ხაზთა სინარჩუნს. წინაპართა შექვიდრეობის საშუალებით ცოდნა მხატვრის ზრდის აუცილებელი პირობა იყო, მის უმეტეს, რომ ქართველმა კერამიკოსებმა იცოდნენ — რა უწყობდა და ვისგან ესწავლათ.

რა იყო ის მთავარი, რაც ხიბლავდა მხატვარს ძველ ქართველ ოსტატთა ნახელავში? უპირველეს ყოვლისა, პლასტიკური ენის სისადავე, ფორმის უაღრესი ლაკონიურობა, რაციონალიზმი, თავშეკავებულება, ძუნწი ფერადონება, ჭურჭლის აგების ლოგიკურობა და ტექნიკა.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა უძველესი ქართული კერამიკის წმინდა ტექნოლოგიური მხარის შეცნობას, რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კერამიკის შემდგომი განვითარებისათვის. ყოველივე ეს იქცა იმ მაცოცხლებელ წყაროდ, რომლიდანაც იღებს სათავეს ალდე კაკაბაძის ღრმად ეროვნული ხელოვნება. მხატვარს გააჩნია იშვიათი უნარი — ნაწველს მასალის ბუნებას, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გამოავლინოს თხაში დაფარული გამომსახველობითი შესაძლებლობანი. ტრადიციულობა მასთან ემყარება უახლეს ტექნოლოგიურ საშუალებათა ბაზას, რაც მას შესაძლებლობას აძლევს ახალ საფეხურზე აიყვანოს ქართული კერამიკული ხელოვნება.

მხატვრის ერთად თავმოყრილი ნამუშევრები თითქოს ჰქონია კერამიკისა, ადამიანის ნიჭიერებისა. უბრალო თიხიდან ზღაპრული სამყარო შექმნილი.

გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი ნამუშევარი მხატვრის შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხატვრული ამოცანებითა და ტექნიკური გადაწყვეტით, მასალის ხასიათითა და ფაქტურის ეფექტებით. მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებთ — სულ პატარა ნაწარმოებშიც კი იგრძნობა მხატვრის მღვდლურება. მაღალი პროფესიონალიზმისა და ტექნიკური სრულყოფის მიღმა გამოცდილი ოსტატის სიმშვიდე კი არ იმალება, არამედ შთაგონებული მხატვრის სული.

ამიტომაც, შეუძლებელია ღრმა შთაბეჭდილება არ მოახდინოს ამ გამოფენამ, სადაც ყოველი ნაწარმოები ქართული ეროვნული კერამიკის უძველესი პრინციპების თავისებური გამტარებელია. როგორი ნატიფი და მაღალმხატვრულიც არ უნდა იყოს კერამიკული ნაწარმოები, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მისი წმინდა პრაქტიკული დანიშნულება. ამგვარი თვალსაზრისით მიდგომა განსაზღვრავს ყოველი ნამუშევრის ესთეტიკურ ღირებულებას.

ალდე კაკაბაძის ნაწარმოებთა უბრალო თვალის გადავლევაც კი ცხადყოფს მხატვრის რთულ და სერიოზულ ძიებათა სურათს. ყოველ ნამუშევარში იგრძნობა, რომ მხატვრულ ამოცანათა გადაწყვეტა განუწყველია ტექნოლოგიური პირობე-

მების გადაწყვეტისაგან. ეს ორი მხარე ორგანულადაა შეერთებული მხატვრის შემოქმედებაში.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შავკრიალა კერამიკულ ნაწარმოებთა ჯგუფი. შემოღობისა და ალდგენითი ჭიქურების გამოყენებით დაიწყო სწორედ ქართული კერამიკის აღორძინება. ამაში გადაწყვეტი აღმოჩნდა არქაული ქართული კერამიკის ფორმებისა და ტექნიკის შემოქმედებითი ათვისება. ამ კერამიკის ხასიათი, რომელი თავისებური მკაცრი გამომსახველობა შეესაბამებოდა ქართველ კერამიკოსთა ახალი თაობის მისწრაფებებს. მკაცრი, ლაკონური ფორმები, ღრმა, შავი ტონი საშუალებას იძლეოდა შეექმნათ ჭურჭლის შემკულობაში ფირფისა და მარჯნისფერ ჭიქურთა ელვრადი ეფექტები, ძვირფასი ქვების მსგავსად რომ ელვარებდნენ. ეს იყო ქართველ კერამიკოსთა დიდი გამარჯვება, რამაც წამყვანი როლი ეკუთვნის ცნობილ მხატვარ-კერამიკოსს რევაზ იაშვილს. პრაქტიკულად მისი ნამუშევრებიდან დაიწყო ქართული საბჭოთა კერამიკის განვითარების ახალი ეტაპი, მისმა შემოქმედებამ გზა გაუკაფა შემოქმედთა მთელ თაობას.

ალდე კაკაბაძის ამ ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები უკვე აღვლენ იმ თვისებებს, რაც წამყვანი გახდება მხატვრის შემოქმედებაში: სისადავე, პლასტიკურობა, უაღრესი გამომსახველობა, დეკორატიულობის განსაკუთრებული შერამბენება. აღდგენილი ჭიქურების გამოყენებისა მხატვარი ი-





მართავს საინტერესო ტექნიკურ სიახლეებს, რითაც აღწევს განსაკუთრებულ ფერადოვნებას. რბილდება ორნამენტული დეკორის მკვეთრი კონტურები, ჩნდება ერთმანეთში ჩაღვრილი ფერადოვანი ლაქების ეფექტები.

ასალი ფორმების ძიების მსატკარო ხშირად მიმართავს ქართულ „მარანს“ — ცხოველის სტილიზებულ ტანზე დამაგრებულ, ერთმანეთთან შეერთებულ მინიატურულ ჭურჭლებს, ერთობლივად. საყურადღებოა, რომ მარნებს მსატკარო ქართულ ხალხურ სიმღერებთან ასოციაციით ქმნის. პატარა ჭურჭლებში პარმონიული ერთიანობა თითქმის ძველი ქართული მრავალხანაობის თავისებური გამოხატობაა. აღნიშნული ამიტომაც, რომ მსატკარის მიერ მარნებისათვის შერჩეული სახელები ხალხურ სიმღერათაა დაკავშირებული („ინდი-მინდი“, „მრავალკამიერი“, „სუფრული“, „საქორწილო სიმღერა“ და სხვ.). ამ მარნებში რთული, დაწვრილ მანებულ ფორმები ორგანულადაა შეყრდნობილი. ფორმების დაქუცმაცებულობის მიუხედავად, თითოეული ჭურჭელი კომპოზიციური მთლიანობით გამოირჩევა.

აღდე კავაბის კერამიკულ ნაწარმოება შორის შეხედვებით ქართულ კერამიკაში ბოლო დროს ძალზე პოპულარულ ზოომორფულ სახმისებს. პლასტიკურად უაღრესად გამომხატავლობა ირჩისა და ვერძის ფორმის სახმისები, რომელთა ნარკვევარობაში ჩანს მსატკარის ძიებათა საკულისში გზა — ნატიფი, ორიგინალურად სტილიზებული ფიგურებიდან — მონუმენტურ, დიდი ზემოქმედების ძალის კომპოზიციებამდე. იცვლება პროპორციები, იცვლება წმინდა ტექნიკური ხერხები, ამ თავისებური ნაწარმოებების სტილი. ბოლო ნიმუშებში ფორმის, ფერისა და ფაქტურის ისეთი საოცარი პარმონია მიღწეული, რომ მათი მნიშვნელობა სცილდება საკუთრივ კერამიკის სახელებს და პლასტიკური ხელოვნების სფეროში გადადის. შამოტიც მასის ოსტატური გამოყენება, მარილიმისა და ჭიქრების ფერადოვანი ეფექტების უნატიფესი ნიუანსების შეხამება მსატკარის საშუალებას აძლევს შექმნას პლასტიკისა და ფერის ერთ ამტკვევებელი მაღალმსატკარული კერამიკული ნაწარმოებები. ფერი არის სწორედ ის ელემენტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მსატკარის კერამიკულ ნაწარმოებში. იგი აქტიურადაა ჩართული საერთო კომპოზიციკაში. თეთი მონოქრომულ ნაწარმოებებშიც კი ფერი ღრმად არის გააზრებული, საგანგებოდაა მონახული ჭურჭლის ტონალობა, ფერის ინტენსივობა, მისი ხასიათი.

აღდე კავაბის ხელოვნება თავისებური სინთეზია პლასტიკის, ფერისა და ხაზისა. მსატკარი-კერამიკოსის ყოველი ნაწარმოები ერთგვარი საფეხურია შემსვლისა წინსვლისათვის და გაცვეული დასტური უკვე მიღწეულია. თითქმისა, და უნდა იყოს ტრადიციულ ქართულ დოქტრინა უფრო მარტივი რა სიდა, მაგრამ აღდე კავაბის მიერ შექმნილმა დოქტრინამ ნამდვილმა მრავალხანაობამ ახლებურად ააქდერა ეს უძველესი ჭურჭელი. დოქტრინა დეკორში მიიღი ქრომატიული გამაა გამოყენებული, ამასთან ყოველ ნიმუშში წაყვანილი რჩება ფორმა, რომელსაც ექვემდებარება ყველაფერი. თეთი უმარტივესი ფორმაც კი აღიქმება თავისთავად სკულპტურულ მოცულობად, რომელშიც უდიდესი ოსტატობითაა გააზრებული ყოველი დეტალი. ორნამენტული სამკაული კი, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, ამ ფორმის უკეთ გამოვლენას ემსახურება.

დოქტრინაში აშკარაა მსატკარის მიერ ფორმის შესანიშნავი შერჩენება. ისინი — სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის-

სანი — ფორმის უდიდეს მრავალფეროვნებას გვთავაზობენ. განსაკუთრებული პლასტიკური სისასვით გამოირჩევა დიდი ზომის რთულფორმად დოქტრინა. ორიგინალურად გადაწყვეტილი სახელები (ხანდახან მას საგანგებოდ საყრდენი გააჩნია) ორგანულად ერწყმის საერთო ფორმას და ქმნის ერთობ მონუმენტურ, ოსტატურად გამოქმნილ პლასტიკურ კომპოზიციას.

დოქტრინის შესამკობად მსატკარი გულუხვად იყენებს თავის დეკორატიულ ნიჭს: ხან გეომეტრიული ორნამენტის სარტყელს აკრავს, ხან რელიეფური სახეების თავშეკავებული აქცენტებით აღნიშნავს. დოქტრინაში ხან ჩაღვრილი ჭიქრის მოღვაწე ლაქები აერთებს, ხან კი გრაფიკული ორნამენტის ხალიჩისებური დეკორი ამოიქარება.

ნამუშევართა ამ ფაგეში ჩანს მსატკარის მიერ კერამიკული ტექნიკის ვირტუოზული ფლობა, ტექნიკური ხერხების უდიდესი მრავალფეროვნება. შვად შეზოლვისა და ალდენიითი ჭიქრების მრავალნაირი ვარიაცია მსატკარის შესაძლებლობას აძლევს მიაღწიოს დიდი ნარკვევარობას როგორც ფერადოვნებაში, ასევე ფაქტურის მხრივაც. შვაცილია და შეუღლებული მქრქალი ზედაპირის დაპირისპირება, მრავალფეროვანი ჭიქრების გამოყენება, მარილების განსაკუთრებული ფერწერული ეფექტები — ყველაფერს ეს ქმნის ტექნიკური ხერხების უმდიდრეს არსენალს.

ფორმისა და ორნამენტაციის პრობლემების კვალდაკვალ, მსატკარი გატაკებულია ჭიქრთა ძიებებით, სურს მიაკვლიოს სხვადასხვა სახის ჭიქრების ტექნიკის საიდუმლოება. ამიტომაც, ყოველი ნაწარმოები ხანგრძლივ ძიებათა მონაპოვრების გულდასმითი შეფასებისა და მათი გადარჩევის შედეგია. ეს კი ნაწარმოებებს განსაკუთრებულ დეკორატიულ გამოხატულობას ანიჭებს.

აღდე კავაბის ნამუშევრებში თავს იჩენს ქართული ეროვნული ორნამენტის თავისებური ტრანსფორმაცია. ხალხურ ხელოვნებაში ოდითგანვე გამოყენებული ორნამენტული მოტივები — სიციხის ხე, ჯვარი, ხარის თავი, შაის სიმბოლო — სრულიად ახლებურად აღიქმება მის კერამიკულ ნაწარმოებებში. მათში ძლიერად იგრძნობა ორგანული კავშირი ხალხურ ხელოვნებასთან. ეს მოტივთა უბრალო გადამღერება კი არა, შესისხლორცება ეროვნული ორნამენტული სინდღიდრისა. დახვეწილი ტექნიკა, მასალის თავისებურების იშვიათი შეგრძნება მსატკარის ამ დეკორაციულ მიგნებებსა და თავისებური აღმოჩენებს სრულიად განსაკუთრებულ ღირსებას ანიჭებს.

ამის საილუსტრაციოდ ერთი-ორი ნიმუშიც კმარა. რამდენიმე დოქტრინა გამოყენებულია ძალზე საინტერესო გრაფიკული კომპოზიციკა, რომელიც შეიცავს ჩვეულებრივ ორნამენტულ მოტივებს (ფრინველის და ვერძის გამოსახულება, ჯვარი, მზე, სიციხის ხე), ჩასმულს მარტივ ორნამენტულ ჩარჩოში. ეს ორნამენტი შორეულად მოგვიკონებთ უძველეს ქართულ ხის ჩუქურთმას, მაგრამ ტრადიციული მოტივები ისე ოსტატურადაა გადაამუშავებული, რომ, თავისი ხასიათით, უკვე სავსებით „კერამიკულია“.

დიდი ზომის სადა ღარნების ტანი, ორი კონტრასტული ფერის საშუალონი, მკვეთრადაა გამოჩენილი. მქრქალი შვიი ზედაპირი დაფარულია ამოკარული თეთრი ხაზით შესრულებული, ხალიჩისებურად გაშლილი ორნამენტული კომპოზიციკით, რომელიც მკვეთრად ვერძის ჭურჭლის ზედაპირს.

შე ფონზე მკაფიოდ იკითხება ნათელი ნახატი. გრაფიკულად გადაწყვეტილი ამ კომპოზიციის საზოგადოებრივი გრაფიკასთან ასოციაციას ბაღებს.

აღდე კაკაბაძის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის, რომ ტრადიციული ფორმები, ტრადიციული მოტივები მის მიერ სრულიად ახლებურადაა გადაწყვეტილი. კერამიკული ჯამებისა და ფიალების ნაირგვარობაში მხატვრის საუცხოო კომპოზიციური ოსტატობა ვლინდება. ფაქიზი გემოვნებითა და გამომწონებლობით იყენებს იგი მხატვრული ხერხების მთელ შესაძლებლობებს. მრავალფეროვანია ჯამების ფორმები და მათ შემკულობაში გამოყენებული ტექნიკური ხერხები. შებოლვა, აღდგენითი, ფერადი; მჭრქალი და რელიეფური ჭიქურები, მარილები. მხატვარი ხან რომელიმე ერთ ხერხს არჩევს, ხან კი რამდენიმე ტექნიკურ საშუალებას მიმართავს და შედეგიც შესაბამისად საინტერესოა. მუდმივ ექსპერიმენტულ ძიებებში ხდება ტექნიკური და მხატვრული ხერხების შერწყვა, დახვეწა, ჩნდება მათი გამოყენების ახალი შესაძლებლობანი. როგორც ჭურჭლის ფორმა, ისე მისი სამკაული მხატვრის ხელში საგრძნობ ტრანსფორმაციას განიცდის.



აღდე კაკაბაძის ჯამებისა და ფიალების დეკორი დიდი გემოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ორნამენტული კომპოზიცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებოდაა გააზრებული. რელიეფური მიძივებური ნახატიანა „მოქარგული“ შავიკრალა ჯამები, მოკაშკაშე ფირუზისფერი სარჩულითაა შემკული ჭურჭელი, ვერძის თავის რელიეფით ჯამის შუაგულში. არცერთი მკვეთრი, უხეში ხაზი. ყველგან მოქნილი, ელასტიკური კონტურები, ნარნარი, დენადი სილუეტი, ოსტატური პროფილირება, განსაკუთრებული სხისალაყე და უბრალოება.

აღდე კაკაბაძის ნამუშევრები შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერამიკაში ფერს. მის ნამუშევრებში ფერი ყველგან ორგანულადაა ჩართული ფორმის შემწნაში. მოცულობა, ხაზი და ფერი განუყოფელია. სწორედ ფერადონების მისაღწევად დაჭირდა მხატვარს დაუღალავი მუშაობა ჭიქურების ახალი თვისებების გასხაწე. იგი განუწყვეტლივ ეძებს სხვადასხვა სახის ჭიქურების სატირო ტონალობებს, ნიუანსებს. ფერის იშვიათი გრძნობა გამოარჩევს მხატვარს ქალის ნამუშევრებს.

და როგორც შედეგი ამ ძიებებისა — იქმნება მთელი სერია დეკორატიული თეფშების და ლანგრებისა, რომელთაგან თითოეული განუმეორებელია, როგორც ორნამენტული დეკორით, ასევე ფერადოვანი ლაქების საოცარი ჰარმონიულობით. ყურადღებას იპყრობს დეკორატიული თეფშები. მხატვარი მთელის გატაცებით ეძებს ახალი ტექნიკური ხერხების გამოყენების უფრო ფართო სფეროს. ქანაურზე სხვადასხვაგვარი ჭიქურისა და მარილების გამოყენებით იგი აღწევს ფერთა შესანიშნავ ეფექტებს. ბრტყელ, დისკოსმაგვარ თეფშებზე აღდე კაკაბაძე ახერხებს მთელი მოცულების გამოსაქმნას.

თეფშების შემკულობაში ორიგინალურად ჩაფიქრებული ორნამენტული კომპოზიციის გამოყენებული: მარტივი ორნამენტის ზოლებით წრე დაყოფილია სიმეტრიულ არეგბად, რომელნიც სტილიზებული ორნამენტული მოტივებითაა შექმნილი. ტრადიციული ორნამენტის გამოყენებული აგრეთვე ხალიჩისებური დეკორით დაფარულ დეკორაციულ თეფშებზე. ინტენსიური ფერების ორიგინალური შეხამებებით, თავისებურ დეკორთან ერთად, განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მხატვ-



რის ამ ნაშედეგებს. ეს არის მეტად ორიგინალური, ქართული და თავისი ხასიათით ამავე დროს უაღრესად თანამედროვე ნაწარმოებები, უჩვეულო დეკორატიული ეფექტებით. სპეციფიკური ტექნიკური ხერხების გამოყენებამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

საკვებით ბუნებრივია, რომ ასეთი დაუდგარი სულის მხატვარი ვერ ჩაიკეტებოდა საკუთარ სახელსონოში. იგი მუდამ ისწრაფვის იხილოს თავისი ძიებების, ტექნიკური ექსპერიმენტების შედეგები, პრაქტიკულად შეამოწმოს ანა თუ იმ სახელის მხატვრული ღირებულება. ნაწარმოების დასრულებისას მას უკვე მომავალი ჩანაფიქრი აღუღვებს. ამავე დროს მხატვარი საიდუმლოდ არ აქცევს მის მიერ აღმოჩენილ ახალ ტექნიკურ ხერხებს, ხალისით უზიარებს თავის მონაპოვარს კოლეგებსა და მოწაფეებს, მათ, ვინც პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს ადგამს დღეს ხელოვნების სიმწიფეებით აღსაჭე გზაზე გულისხმიერი აღმზრდელი ალდე კაკაბაძე უკვე ათი წელია, რაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში კერამიკის კათედრაზე.

ალდე კაკაბაძის კერამიკა დახვეწილი გემოვნებითა და სრულიად განსაკუთრებული პოეტურობითაა აღბეჭდილი. მისი მხატვრული ენა მეტად ორიგინალური და, ამასთან, ღრმად ქართულია. გიზიდავთ ამ ქმნილებათა მაჟორული ტონალობა, უსასწლორ ოპტიმიზმი, ადამიანის, სიცოცხლის სიყვარული, შინაგანი კეთილშობილება, როგორც ანარეკლი თვით მხატვრის პიროვნებისა.

ალდე კაკაბაძის შემოქმედებაში იგრძნობა თანამედროვე ხელოვნების მარად ცოცხალი კავშირი უშორეს ეროვნულ საწყისებთან. ნიჭიერმა ქართველმა მხატვარმა შეძლო უხილავი ძაფი გაება წინაპართა ხელოვნებასა და დღევანდლობას შორის და ამით ქართული კერამიკა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ეს უდიდესი სიხარულია შემოქმედისთვის, რომელიც თავისი ცხოვრების მიზანს ხედავს ხელოვნების უანგარო სამსახურში და რომელიც თავისი შემოქმედებით ძალების ნამდვილ აყვავებას განიცდის.

სანდრო ბოტიჩელი

თამაზ სანიკიძე

სანდრო ბოტიჩელი განსაკუთრებული მოვლენა ხელოვნების ისტორიაში. განსაკუთრებული არა მარტო იმიტომ, რომ იგი აღორძინების ხანის იტალიის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარია, არამედ უფრო იმ განუმეორებელი თავისებურების გამო, რომელიც მის შემოქმედებას ახასიათებს.

ბოტიჩელი ლეონარდო და ვინჩის და მიქელანჯელოს უფროსი თანამედროვე იყო, მაგრამ თუ მაღალი რენესანსის ამ ტიტანთა შემოქმედებამ საფუძველი დაუდო ახალი დროის მთელ ევროპულ ხელოვნებას, ბოტიჩელის უშუალო მიმდევარიც კი არ ჰყოლია. მისი ნაწარმოებების სტილი, მანერა, კომპოზიცია, ხაზი, ფერი მხოლოდ და მხოლოდ ბოტიჩელისეულია.

ბოტიჩელისთვის მაღალი რენესანსის მხატვრული პრინციპები მიუღებელი აღმოჩნდა. იგი ვერ შეეგება ესთეტიკურ მრწამსს ეპოქისა, რომელმაც თავი მოუყარა მთელი წინა ხანის იტალიელ მხატვართა ძიებებს რეალისტური ხელოვნების სფეროში და შექმნა კლასიკურად სრულყოფილი მხატვრული სახეები. ბოტიჩელი ადრეული რენესანსის პოზიციებზე დარჩა, მაგრამ იგი არც კვატროცენტისტია, ამ ცნების ტრადიციული გაგებით. კვატროცენტოს ოსტატთა მუდმივი ექსპერიმენტ-



ფლორა. ფრაკმენტი სე-
რათისა „გახაფხუელი“.



ბი, დაუკოებელი ინტერესი ყოველგვარი ცხოვრებისეული წვრილმანების მიმართ, სწრაფვა ბუნების მოვლენების მსატერული ხერხებით შემეცნებისადმი და მოპოვებული შედეგებით ხშირად გულუბრყვილო აღტაცება, ბოტიჩელისთვის უცხო იყო.

ბოტიჩელი ადამიანის სულის იდუმალ, მხოლოდ მისთვის ხილულ სამყაროს ასახავს, წარმტაც ალგორიებად გარდაქმნის ყოფიერების ურთულეს პრობლემებს. იგი ფაქიზი, ამაღლებული გრძნობების პოეტიკა და საკუთარ სულში გარდასახულ რეალობას გვიჩვენებს. ბოტიჩელის შემოქმედება ლირიკული აღსარებაა მნატურისა, რომელმაც უაღრესად რთული, ინტელექტუალურად დაძაბული ცხოვრების გზა განვლო.

ბოტიჩელის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული მის მშობლიურ ფლორენციასთან, სადაც XV საუკუნის ბოლო მესამედში მკვეთრი კონტრასტებით აღსავსე ატმოსფერო სუფევდა ფლორენცია — სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ძლიერი და წარმატებული ბურჟუაზიული რესპუბლიკა, მწვავე ეკონომიური და სოციალური კრიზისის მიჯნაზე იდგა. ქალაქს ფაქტიურად მდიდრების გვარის წარმომადგენლები განაგებდნენ. ლორენცო მედიჩი — ეს „გახაფხუელი ტი-

რანი“, ჭკვიანი პოლიტიკოსი და დიპლომატი, პოეტი, ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე და მცენარე, არავითარ საშუალებას არ თავილობდა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის. ამან გამოიწვია საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის ურთიერთობის გამწვანება. გახშირდა გამოსვლები მდიდრების წინააღმდეგ. ლორენცო ბრწყინვალის გარდაცვალებისთანავე (1492 წ.) ფლორენციელებმა მდიდრები განდევნეს ქალაქიდან. ამავე ხანებში იტალია ფრანგებმა დალაშქრეს. ფლორენციისთვის საუკუნე დომინიკელი ბერის, ჯიროლამო სავონაროლას „შავი ტირანიით“ დასრულდა. ეს მოვლენები მიმედ განიცადა თავისი ქალაქისა და ქვეყნის დიდმა პატრიოტმა სანდრო ბოტიჩელიმ.

ფლორენციის კულტურულ ცხოვრებაში, ერთი შეხედვით, სულ სხვა სურათი ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიის სხვა ქალაქები (ვენეცია, პადუა, ურბინო, რომი) ამ ხანებში კულტურულად დიდად დაწინაურდნენ, რენესანსული ჰუმანიზმის სამშობლო — ფლორენცია ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მათ შორის პირველობას. მეტიც, ფლორენციის სულიერი ცხოვრება ასე მრავალფეროვანი არასოდეს ყოფილა.

ლორენცო ბრწყინვალემ თავის კარზე შემოიკ-

რიბა სახელგანთქმული იტალიელი ჰუმანისტები, პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები. მათ შორის იყო ფილოსოფოსი მარსილიო ფირინო, პოეტი ანჯელო პოლიციანო, მოქანდაკე ანდრეა ვეროკიო და მისი მოწვევა ელიზანდრო და ვინჩი, მხატვარი დომენიკო გირლანდაიო, ახალგაზრდა მიქელანჯელო და სხვები. მათ შორის იყო სანდრო ბოტიჩელიც.

მედიჩების კარზე ანტიკურობის კულტი სუფევდა. აქ შესანიშნავად იცნებდნენ ბერძენულ და რომულ ხელოვნებას, ლიტერატურას, ფილოსოფიას. ცდლობდნენ თანამედროვე კულტურა უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინათ ანტიკურ მემკვიდრეობასთან; მათ მრავალი სიახლე დამკვიდრეს მხატვრულ აზროვნებაში. მაგრამ, ამასთანავე, ფლორენციის არისტოკრატიულმა ხელოვნებამ ფაქტიურად დაკარგა რენესანსული ჰუმანიზმის ერთი უმთავრესი მონაპოვარი — ადამიანის უსაზღვრო

იოანე ნათლისმცემელი.
ფრაგმენტი სურათისა „წმ.
ბარნაბის საკურთხეველი“.



შესაძლებლობათა რწმენა. ადამიანი კვლავ აღმოაჩინა პირისპირად სამყაროს. კვატროცენტოს განსხვავებული ოპტიმიზმში განიდა ბზარი, რომელიც ყველაზე ცხადად თვით ლორენცო ბრუნიჩელემ გამოხატა თავის ერთ-ერთ ლექსში: „ვისაც მზიარულება სწავია — იმზიარულს, რამეთუ არავინ უწყის, რას მოგვიტანს ხვალნდელი დღე“.

ბოტიჩელის შემოქმედებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინეს ფლორენციის არისტოკრატიულ წრეში დამკვიდრებულმა ფილოსოფიურმა შეხედულებებმა. ფლორენციაში არსებული ნეო-პლატონისტური აკადემიის წევრთა ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ანტიკური ხანის მოაზროვნებისა და ქრისტიანული ეკლესიის მამათა მოძღვრების საფუძველზე შექმნათ ერთიანი ფილოსოფიურ-თეოლოგიური სისტემა. ნეოპლატონიკოსები, რთული და ბუნდოვანი ცნებების მოშველიებით, ანტიკურ ღვთაებებს ქრისტიანულ ღმერთებთან აიგივებდნენ.

განსაკუთრებით საინტერესოა მარსილიო ფირინოს მოძღვრება სიყვარულისა და მშვენიერების შესახებ. მისი აზრით, მშვენიერება საგანთა სრულყოფილების ერთადერთი საზომია; მაგრამ მშვენიერება მოკლებულია მატერიას. იგი ღვთაებრივი სხივია, რომლითაც განიმსჭვალება ყოველივე არსებული. მშვენიერება თვით უფლის სახეა. ხოლო სიყვარული დამაკავშირებელი ძალაა სამყაროსა და უფალს შორის. მაგრამ ნამდვილ სრულყოფილებამდე მიღწევა შეუძლებელია. და რაც უფრო შორს არის უფლისაგან მიწიერი არსება, მით უფრო არასრულყოფილია იგი. მიუღწეველი სრულყოფილება მარადილი სევდაა ადამიანისა.

ასეთ ატმოსფეროში უხდებოდა ბოტიჩელის ცხოვრება, და ამ გარემოებათა გაუთვალისწინებლობა მის უმთავრეს ნაწარმოებებს მხოლოდ გარეგნულად მომხიბვლელ, ესთეტიკური ტკობის საგნებად აქცევს მათურების თვალში.

მეორე მხრივ, მხედველობაში მოსალეზია ისიც, რომ ბოტიჩელი კვატროცენტოს რეალისტურ და ჰუმანისტურ ტრადიციებზე იყო აღზრდილი. მხოლოდ მან შეძლო რენესანსული რეალიზმისა და ნეოპლატონისტური იდეალიზმის ორგანული შერწყმა მხატვრულ სახეებში.

ფაქტები მხატვრის ცხოვრებიდან ძალზე ცოტაა ცნობილი. რენესანსის ხანის იტალიელ ხელოვანთა ბიოგრაფი ჯორჯო ვაზარი, როგორც ჩანს, მას დიდ ფიგურად არ თვლიდა და ამიტომ მისი ცხოვრების აღწერისას სათანადო გულმოდგინება არ გამოუჩენია. მხოლოდ ჩვენს დროში დადგინდა მხატვრის დაბადების ზუსტი თარიღი — 1445 წელი. დაიბადა იგი ფლორენციელი ხელოსნის, მარინო დე ფილიპების ოჯახში. მის აღზრდაში დიდი როლი შეესრულებოდა უფროს ძმას, რომლის მეტახაზელი — ბოტიჩელი შემდგომში თვით მხატვარმაც დამკვიდრა ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით. ცნობილია ისიც, რომ იგი



საიუველირო სასწავლებელში სწავლობდა. მკვლევართა ვარაუდით კი მას სიმპაწვილეთში საკამოდ მრავალმხრივი ტუმანისტური განათლება უნდა მიეღო.

ვაზარის გადმოცემით, ბოტიჩელის მასწავლებელი იყო ფილიპო ლიპი. მართლაც, ბოტიჩელმა პირველ ნაწარმოებებს აშკარად ეტყობა ლიპის ზეგავლენა. ერთ-ერთი მათგანი („მადონა“ ფლორენციის აღსაზრდელთა სახლიანთისა“) ლიპის ცნობილი „მადონა“ (უფიციეს გალერეა) თითქმის ასლს წარმოადგენს. მაგრამ მოწაფისა და მასწავლებლის ნაწარმოებებს შორის მხოლოდ ფორმალური მსგავსება შეიძლება დაეინახოს. ლიპიმ, პირველმა კვატორჩენტისტთა შორის, ღვთისმშობლის პროტოტიპად გამოიყენა რეალური პიროვნება — კომპაია ფლორენციელი გოგონა. სურათი მიუღო თავისი მხატვრული და აზრობრივი შინაარსით მაყურებელზე ეფექტური შთაბეჭდილების მოხდენას ისახავს მიზნად. ლიპი ხალისიანი, ცოცხალი, ტემპერამენტით აღსავსე მხატვარია. ბოტიჩელი და დონჯი და გულჩინოსრობილია. მისი მადონა დედის განზოგადებულ სახეს წარმოადგენს, რომელიც საკუთარ ფიქრებსა და განცდებშია ჩაფულული.

გეტად თავისებურია ბოტიჩელის ტიპაჟიც. აქედან მოყოლებული მის ნაწარმოებებში ხშირად მერყეობიან მაღალი და ტანწვრილი, სახის მოგრძობილი და რბილი ნაკეთების მქონე პერსონაჟები. მხატვრის ხელწერის ორიგინალობას უფრო ნათლად ავლენს კიდევ ერთი „მადონა“, რომელშიაც ანგელოზი საესელ ღვთისმშობლის მარჯვნივ. ამ უკანასკნელს უნდა ქრისტიანული მუსულმანური ფიგურების გამოსახულება თოხნის, ფანჯარის წინ, რომლის მიღმა შორეული პეიზაჟი ჩანს. სურათის ეს მოკლე აღწერაც, ლეონარდო და ვინჩის ზოგიერთი ნაწარმოების ასოციაციას იწვევს. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, ერმიტაჟისეული „მადონა ბენუა“, რომელიც ამავე წლებშიში შესრულებული. ეს ასოციაცია შემთხვევითი არ არის იმიტომაც, რომ ბოტიჩელი და ლეონარდო სწორედ ამ დროს, XV საუკუნის 70-იან წლებში დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ლეონარდო დიდად აფასებდა ბოტიჩელის, მაგრამ ამ ორი ნაწარმოების ერთმანეთთან შედარება თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენად განსხვავებული იყო მათი მხატვრული მრწანსი და პრინციპები.

ორივე სურათის კომპოზიციური წყობა ერთნაირია. ორივემაც სცენა ინტერიერშია წარმოდგენილი. იქაც და აქაც პერსონაჟების მთელი ყურადღება კონცენტრირებულია ერთ საგანზე. პირველში ეს არის ანგელოზის ნობათი — ყურჩენი და პურის თავთავები, მეორეში — ოთხყურა ყვავილი. მაგრამ ლეონარდოს ყვავილი სჭირდება მხოლოდ იმისთვის, რომ პერსონაჟების სულიერ და ფიზიკურ მოძრაობას ერთ წერტილში მოუყაროს თავი და ამით მჭიდრო

ფსიქოლოგიური კავშირი დაამყაროს მათ, ბოტიჩელის სურათშიც აზრობრივი ცენტრი ანალოგიურია, მაგრამ იგი არათუ აერთიანებს გამოსახულებებს, პირიქით, შინაგან თიშავს მათ. სიმარტოვის მელანქოლიური განწყობილება დაუფლებია თითოეულს. მათ სულელი გათიშობის უფრო აღრმავებს განათების თავისებურებაც. მსუბუქი ჩრდილები ისე თავისუფლად არის განაწილებული სხეულზე, თითქოს სინათლის წყაროც ცალ-ცალკე აქვთ. ლეონარდოს სუბმატო კი გამოსახულებათა გარემოში ნიუანსებით მდიდარ, ერთიან, ინტიმურ გარემოს ქმნის.

ამ დროისთვის ბოტიჩელმ, როგორც ჩანს, საკმაოდ კვატევა სახელი. მის ფლორენციის ვაჭართა ამქარმა „ძალის“ ალგორითული ამოსახულება დაკვიტა. მხატვარმა ფიგურა ახალგაზრდა ქალის სახით წარმოისახა. სხედის დაბალი პირი-ზონტი მას მონუმენტურობასა და დიდებულებას მატებს. „ძალა“ და სანტა მარია მაკროეს ეკლესიისთვის განკუთვნილი „წმ. სებასტიანე“ იმაზე შეტყვევებს, რომ ახალგაზრდობისას ბოტიჩელი დიდად იყო გატაცებული კასტანიოს, პოლიაოლოს და ვეროკის შემოქმედებით. მკერდი ნახატი, მკვეთრი შუქ-ჩრდილი, ფიგურების სკულპტურული პლასტიკურობა მკაფიოდ გამოარჩევენ მათ ბოტიჩელის სხვა ნამუშევართაგან.

ბოტიჩელის „წმ. სებასტიანე“ სხვა ნიშნებითაც მოვავგონებს ანტონიო პოლიაოლო ანალოგიური სიუჟეტზე შექმნილ ნაწარმოებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მსგავსება ძირითადად გარეგნულია. პოლიაოლოს სებასტიანეს რომელიც ჯარისკაცები შემორტყმინდ გარემოში და ისრებში და სურათის სურათისაგან დატანჯულ წმინდანს თვალები ზეციკენ მიუპყრია და იქიდან ელის შევლას. იგი უფლის რჩეულია და ამდენად ყველაფერი ადამიანური მისთვის უცხოა. ამ ნაწარმოებში ბოტიჩელმ პირველად სცადა ანტიკური გმირისა და ქრისტიანული წმინდანის სინთეტიკური სახის მოცემა. ამის საშუალებას ხომ მიუღო სიუჟეტიც იძლეოდა.

ასეთი პრობლემებით გატაცებული მხატვარი დიდად სასურველი წვერი უნდა ყოფილიყო; ფლორენციის არისტოკრატიული საზოგადოებისა და მართლაც, 70-იანი წელის შუა წლებში იგი უახლოვდება ლორენცო მედიჩის კარზე ასებულებული ლიტერატურულ-ფილოსოფიურ წრეს. აქედან იწყება მხატვრის შემოქმედებითი მოწიფეულობის პერიოდი. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული, ათათხუთმეტი წლის მანძილზე, შეიქმნა თითქმის ყველა ის შედევრი, რომელთაც ვინცნობთ სანდრო ბოტიჩელის ხელოვნებას.

ამ პერიოდს განეკუთვნება „გაზაფხული“ და „ვენერას დაბადება“. ამავე წლებშია შესრულებული „პალადა და კენტავრი“, „მარსი და ვენერა“, „ლეთისმშობლის განდიდება“ (ტონდო), სიქსტეს კაპელის მოსატკლობას რომში, ვილა ლემის ფრესკები.

ფიჩინოსა და პოლიციანოს წრეში განსაკუთრებით გაიზარდა მხატვრის ინტერესი ანტიკური მემკვიდრეობისადმი, მაგრამ ანტიკური ხელოვნება ბოტიჩელის თავისებურად აქვს გააზრებული. ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსების მსგავსად, მისთვის ანტიკურ მემკვიდრეობას წმინდა იდეალური ღირებულება აქვს. ბოტიჩელისთვის „ისტორია“ გონებით გარდაქმნილ გარდასულ დროთა დიდების სვედიანი გახსენებაა და არა რეალური წარსული. იგი თანამედროვეობის თავისებური არქექტიპია.

მაგრამ არც თანამედროვე რეალობაა ისეთი, რომლის ასახვა ესთეტიკურ და მორალურ კმაყოფილებას მოუტანს შემოქმედს, ბუნებაში მშვენიერების და ჰარმონიის მხოლოდ ცალკეული ელემენტებია მოცემული. ამასთანავე, რაკი ადამიანის გონებაც ბუნების კანონებს ემორჩილება, მას არ ძალუძს სრულყოფილი მშვენიერების წარმოსახვა. აქედან ბოტიჩელი მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს: მშვენიერების სუბიექტურად გააზრებული სიმბოლო, რომელიც თავის თავში აერთიანებს „ისტორიულსაც“, რეალურსაც და იდეალურსაც,

მისი შემოქმედებითი მისწრაფებების უმთავრეს (ზოგჯერ ერთადერთ და აბსოლუტურ) მიზნად იქცევა. მასმასადაბე, რაკი მიზანი სუბიექტურია, მხატვარს შეუძლია მეტი თავისუფლება მისცეს ფანტაზიას, აღარ დამორჩილოს რეალური საგნებისა და გარემოს ასახვის უკვე კარგად ცნობილ კანონებს, მიჰყვეს საკუთარი შთაგონების კარნახს. მაგრამ იგი მაინც მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში, კვატროჩენტისტული რეალიზმის ჩარჩოებში, რომელიც ბოტიჩელისთვის კვლავაც მასაზრდოებელ წყაროდ დარჩა.

ბოტიჩელის კომპოზიციები თავისუფალია. მხატვარი ნაწარმოებთა წყობაში იშვიათად მიმართავს კლასიკური გაწონასწორების ხერხს, მაგრამ, ამასთანავე, მათში არასოდეს არაფერი არ არის შემთხვევითი. იგი გაურბის ფორმათა დახვევაებს, ფიგურებს ანაწილებს ლოკალურ კუგუფებად, რომელთა უთითოებრდამოკიდებულება ერთიანი, ზევით მისწრაფებული მოძრაობით არის კოორდინირებული. მაგრამ სხეულებისა და ფორმების საოცრად გრაციოზული რიტმი თითქოს უცებ წყდება. ეს უფრო მოძრავი სხეულების წუიერი გარნი-



სამი გრაცია. ფრაგმენტ: სურათისა „გაზაფხული“. მიტოვებული. ავტოპორტრეტი. ფრაგმენტი სურათისა „მოგვთა თაყვანისცემა“.

დებაა, რომელსაც მხატვარი დიდი გულმოდგინებით აღებუტდას.

ბოტიჩელიმ კარგად იცოდა ადამიანის ანატომიური აგებულებისა და პერსპექტივის კანონები, სხეულის შუქ-ჩრდილით მოდელირების ხერხები, რასაც მისი ადრეული ნაწარმოებებიც ადასტურებენ. რენესანსის პიონერებიდან მოყოლებული, არ დაზარებულა არც ერთი მხატვარი თუ მოქანდაკე, რომელსაც ობიექტური რეალობის ასახვის ეს უტყუარი კანონები არ გამოეყენებინოს თავის შემოქმედებაში. ბოტიჩელი უსათუოდ იყნობდა პერსპექტივისა და ანატომიის სპეციალურ ტრაქტატებს, მაგრამ იგი ამ შემთხვევაშიც ორიგინალურია.

ბოტიჩელი არ უგულვებელყოფს პერსპექტივის კანონებს, მაგრამ მისთვის პერსპექტივა ნაწარმოების კომპოზიციური აგების საფუძველს არ წარმოადგენს. და რაკი ასეა, შეიძლება მისი დარღვევა. ლეონარდო ასე მიმართავს ბოტიჩელის: „სანდრო, შენ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ მეორე პლანის ფიგურები რატომ ჩანან უფრო დაბლებად, ვიდრე მესამე პლანის ფიგურები“.



ლეონარდო დარწმუნებული იყო, რომ ბოტიჩელიმ იცოდა პერსპექტივის კანონები და ამ უტყუარობის ახსნას მისგანვე თხოვდა.

ბოტიჩელის ნაწარმოებებში კლასიკურად ტან-აწყობილ ფიგურებსაც ინიციათდ შეხვდებით. მაშინაც კი, როცა სურათი ანტიკურ სიუჟეტზეა აგებული. ამას კვლავ ბოტიჩელის ნეოპლატონისტური მრწამსი უდევს საფუძვლად. მშვენიერებას არ შეიძლება კანონები ჰქონდეს. იგი რეალობისა და ცდის მიღმაა. მშვენიერებას თვითონ ქმნის ზეშთაგონებული მხატვარი. მართლაც, ბოტიჩელის პერსონაჟებში არის რაღაც ზეადამიანური, ღვთაებრივი, რაც განუმეორებელ მომზიბველობას ანიჭებს მათ. ანალიტიკოსის თვალი თუ დაარღვევს მხოლოდ ამ სრულქმნილ ჰარმონიას.

ბოტიჩელის კოლორიტი, ფლორენციელი კვატროცენტისტების მსგავსად, არ არის ნიუანსებით მდიდარი. მასში მომწვანო და მოყავისფრო ტონები ჭარბობენ, რომელთაც მხატვარი სშირად ფაქტი გამჭვივრებად ანიჭებს. ფერს გამოშასხველობითი ფუნქცია არ აკისრია, იგი ხაზობრივ სქემას ემყვებდარება, ხაზის მეტყველებას უწყობს ხელს. ბოტიჩელის ფერწერა არსებითად ხაზობრივ რიტმზეა აგებული. იგი ფერსა და შუქ-ჩრდილითან შედარებით ხაზს ანიჭებს უპირატესობას. ნატიფი და დენადი ხაზი ხან სწრაფად შემოხაზავს ელასტიკურ სხეულს და ფორმას აძლევს მას, ხან გრძელდება უსასრულოდ, ან შეწყდება და კვლავ მოულოდნელად წარმოიქმნება, ხან მღვლეარება და ხან — დინჯი, კვეთს ერთმანეთს და კვლავ იშლება, რათა ახალი ფორმა, დეტალი, ნიუანსი შექმნას; რიტმულ კადენციებად იღვრება და მოძრაობაში მოჰყავს ყველაფერი; ხან წმინდა და გრაფიკულია, ხან მძლავრი, ღონიერი, პლასტიკური. მოძრავი ხაზი საშუალებას არ აძლევს სხეულს მყარად იდგეს სივრცეში.

ხაზი მხოლოდ სხეულთა კონტური არ არის. იგი შუქისა და ჩრდილის, საგნისა და სივრცის ზღვარზე წარმოიშობა და ერთიანად იმორჩილებს ყველაფერს. ბოტიჩელი ხაზის უღიდვის პოეტია და, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ჩინელ და იაპონელ მხატვრებთან თუ შეიძლება მისი შედარება. ხაზობრივი საწყისი მხატვრის პოეტური ფანტაზიის უმთავრესი კომპონენტია.

ბოტიჩელი ფერწერასა და პოეზიას ფაქტიურად აიგივებს ერთმანეთთან, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ლირიკული ფერწერის ხაზთა სიმფონია ახლოს დგას პოეზიასთან, არამედ იმიტომაც, რომ ფერწერულ ენაზე გადატანილი პოეტური სიტყვა მისთვის მშვენიერების სიმბოლოს ნათელხილვის საშუალებაა. ბოტიჩელის მრავალ ნაწარმოებში აღვგორიული სახეები მისი თანამედროვე პოეტური ქმნილებებით არის შთაგონებული. მათ შორისაა „გაზაფხული“, რომელიც მხატვრის ესთეტიკურ პროგრამას, კრედოს წარმოადგენს შემოქმედებითი მოწიფულობის ხანაში.

„გაზაფხული“ („პრიმავერა“) ბოტიჩელიმ ლორენცო დი პიერ-ფრანჩესკო მედინის დაკვეთით შესრულა 1478 წლის ახლო ხანებში. მკვლევართა ვარაუდით, „პრიმავერას“ საფუძვლად დაედო პიორცინიანოს ერთ-ერთი ლექსი (თუცა არ არის გამოირცხული ფლორენციული ხალხური ბალადების, ან ანტიკური მითების, ან ფინანოს რომელოზე გამონათქვამის ზეგავლენა მხატვარზე.)

ნაწარმოებს შევავართ მოვადრეულ, ზღაპრულ ბაღნარში, სადაც წუთის წინ ანტიკური მითოლოგიის გმირები მუსიკის პანგეზე თითქოს რიტუალურ ცეკვას ასრულებდნენ. ისინი ოდნავ ეხებიან დედამიწას და მათ სიმუსუქუმი არის რაღაც სისზარულად. რვავე ფიგურა სხვადასხვა პოზაში გარინდულა. სურათის მარჯვენა კუთხიდან მაყურებლისაკენ ენერგიული ნაბიჯებით მიდის ფლორა. იგი იმდენად პაეროვანია, რომ მის ფეხქვეშ ბალახი არ თიულდება. იგი ტონს აძლევს სხეულს და ხაზთა ამ გრაციოზულ მუსიკას და სხეულზე უმაღ იქვევს ყურადღებს (სწორედ ამიტომ სურათს „ფლორას საუფლოსაკ“ უწოდებენ) ნაწარმოების აზრობრივი და კომპოზიციური ცენტრი კი ვენერას ფიგურაა, რომელიც განმარტოებით დგას ყველაზე უკან.

ფლორას სახეში ბუნების აყვავებაა პერსონიფიციონებული. მას ყვავილების გვირგვინი ადგას თავზე. ყვავილწული ამკობს მის უჩვეულოდ მაღალ ყელს. სხეულსა და ტანსაცმელზე უხვად აქვს მიყრილი ვარდები, ბალახი, სხვა მცენარეულობა. სისარული და საციოცელ უნდა მოქიანდეს ნაყოფიერების ქალღმერთს; აგი იღიბება კიდევ, მაგრამ ეს უფრო ავადმყოფური სულის გაღიმებაა. იღუმალებით აღსავსე, ფართოდ გახეილი თვალებით შემოგვიკვირის, მაგრამ ვერაფერს ამჩნევს ადამიანიც უძლურია ამოიციოს მისი კაენის მიზეზი.

ფლორას მახლობლად ტყის სიღრმიდან მოფრინავს უცნაური არსება, ქარების ღმერთი — ზეფირი, — ბუნებაში სტიქიური საწყისის განსახიერება. იგი მოსდევს სახეშეგვიერ ნიშნებს, მისწვდომია კიდევ მას, მაგრამ ნიშნავ გაურბის. შესწინებულს ბაგეთავან კვირის ნაცვლად ყვავილები ამოფრქვევა. იგი ხელეგაწვდილი შევლას ითხოვს ფლორასაგან, მაგრამ ეს უკანასკნელი კვლავ უდრტიგეული რჩება.

ვენერა, რომლის დღეთაგებრივი სიშიშველ გულგრილად არ ტოვებდა ანტიკური ხანის ოსტატებს და რომელიც მოგვიანებით ასევე გამოსახა თვით ბოტიჩელიმ, აქ გრძელ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალწულის სახითაა წარმოდგენილი. მას გარგნულად არაფერი აქვს საერთო სიყვარულითა და სილამაზის ქალღმერთთან. სხეულის აღნაგობით, მოძრაობით, შელანქოლური განწყობილებით იგი ბოტიჩელისავე მადონებს მოგვგონებს. იგი მართლაც ღვთისმშობელია. ანტიკური მითოლოგიიდან ნახესხებია მხოლოდ იდეა. ასეთი მე-

ტამორფოზა შეიძლება აიხსნას ფინანოს ენერჯიკული გონებით, რომლითაც იგი პიერ-ფრანჩესკო მედინის მიმართავს: „შენ განსაკუთრებელი ყურადღებითა უნდა მიაქციო ვენერას, ე. ი. ადამიანურობას“. ვენერა სიყვარულის სიმბოლოა. სიყვარული, ნეობლატინიკოსთა მიხედვით, ისეთი გრძნობაა, რომელიც ყველაზე ნათლად გამოხატავს ადამიანის ახსს. ღვთისმშობელი კი ქრისტიანულ წმინდანთა შორის ყველაზე ადამიანური თვისებების მატარებელია. სწორედ აქ ივანძება ანტიკური და ქრისტიანულ ღვთაებებს შორის კავშირი და ბოტიჩელიც ალბათ ამ იდეას ეყრდნობოდა, როცა ვენერასა და მადონას ერთმანეთთან აიგივებდა.

მის შესახებ ვალერიან გუნია წერდა: „ბ. ადამიანის ჰამლეტი დიდად ახლოა შექსპირის ჰამლეტთან და საკვირველიც არ არის. ბ. ადამიანის მტკად მოძრავე სახე, ტკბილი და სასიამოვნო ხმა, ნამდვილი დიდგამური თვალტანადობა და მერე მისი სცენის კონდა ირტხა და ჭკუსთან შეზავებული, საოცრად უხდებდა ჰამლეტის როლს სამაგალითოდ ასრულებს პატრიცეუმული არტისტი პირველს მოქმედებას, მტკადრე, როცა მამის არჩილი დაფიცებას ავალებს ქვეყნელიდან. მაყურებელი აშკარად ჰხედდა, რა მწვავე დარდი და ფიქრები ნატურნატურ პატირის ჰამლეტის გულს. ბ. ადამიანი ჩვენ ვნახეთ ამ სამის წლის წინათ ამავე როლში, მაგრამ ესთანდელი ჰამლეტი ერთი-ათად აღმატებულია მამოხედულზე. ზოგიერთი სცენები ისეთი დაკავითებით და შერჩევით შესარულა, რომ აქამომდე ბნელი, გაუგებარი ადგილები დღესათი გაკვირნათა. მაგ მონოლოგი: ყოფნა, თუ არ ყოფნა? სცენა ოფელიასთან, სცენა დედასთან ხომ უკეთესი იყო მთელს მისს თამაშობაში, მტკადრე როცა ჰამლეტი მისდევს დედას გასაცილებლად კარებზედ გააჩერებს. შეხედავს თავლებში და მწარედ გულამომჯდარი ნაღვლიანის ქითინით ათრთოლებს მთელს თვატარს. ის სცენა, როდესაც ჰამლეტი წარმოუდგენს მართვის მეფის წინაშე და ნელ-ნელა მიიკლავს თავის თამაშანაცვალ ბიძასთან“, საშინელია. მაყურებელი მოუთმენლობით ჰორთის; ჰამლეტის მრისხანე თვალები კარგს აბას მოსაწყვებენ, იმისი აკანკალებული ხმა ქუხილს გვიქადას და, მართლაც წამოხტება თუ არა მეფე თავის ადგილიდან და გაევა, ჰამლეტი-ადამიანი დატვირთ ვეფხვივით წამოვარდებმა ზეხედ. თქვენ ვიღით ჩვეულებრივს სიცილს, ჯოჯოხეთურს ხარხარს, როგორც ბევრჯერ გვინახავს, მაგრამ არა, ჰამლეტი-ადამიანი მწარედ სტირის. ვე სცენა ნაოლად გვისხატავს, რომ ბ. ადამიანს ჰამლეტი გაუკვია, გაუკვია მისი უმთავრესი ხასიათი—გულწივილობა, მგრმონობარება და, თუ გნებავთ, სისუსტეც, სწორედ ისე. როგორც თვითონ ჰამლეტი ეუნებება მესამე მქმედებაში მამის არჩილს: რე მიყურებ ასე, თორემ სისხლის მაგიერ ცრემლებს დავეღიო! დიად, ჰამლეტი-ადამიანი ერთი უკეთესი ჰამლეტთაგანია“.⁶

ადამიანის ჰამლეტით აღტაცებულან არა მარტო ქართველი მაყურებლები, არამედ რუსებიც, —როდესაც პეტროსს პეტერბურგში გაუმართავს წარმოდგენები. აი როგორი მოგონება იყო გამო-



ქვეყნული ამ წარმოდგენის შესახებ 1891 წლის ივრიაში. „1884 წელს ადამიანს პეტერბურგში გაუმართავ წარმოდგენა. შესურსლებია კამლეტის როლი წარმოდგენის შემდეგ განსვენებული საბოლოო ადამიანთან სცენაზე ასულა, გადახვევია და უტყვას: „წმინდის გულით გეგუნებით, რომ საღვინში არ დამატკობი ისე თვისი თამაშით, როგორც თქვენ დამატკებეთო“.¹

ინც იცის, ვინ იყო სალვინი, არ გაუჭირდება იმის გაგება, თუ ვისზე მალა (აქნებენ და რა შეფასებას აძლევენ შესანიშნავ მახათბს აქტროს ადამიანს.

ქართულ თეატრალურ საზოგადოებრიობას დიდხანს არ დაიწყვებია ის სიაზონება, რაც მას პ. ადამიანის მიერ შესრულებულმა როლებმა მიანიჭეს. აი კიდევ ამის დამადასტურებელი ერთი მაგალითი: „იშვიათად პნახავს კაცი ისეთს მოხდენილს, შეზავებულს დიდის ნიჭითა და ნაწურითობით აღსავსე თამაშობას, როგორცა კქონდა ადამიანს ვისაც ერთხელ მაინც მოუკრავს თვალი ადამიანის „კამლეტისათვის“, „კინისა“, ან „რუდოლფისათვის“, ყოვლად შეუძლებელია დაივიწყოს ის დიდი ხელოვანი, ის დიდი ოსტატი, რომელიც ასეთის საოცარის ნიჭით ახერხებდა სხვა ადამიანად გადაქცევას, იმ სხვის გულისპასუსის თქვენ თვალ-წინ გადავლას“.²

როგორც აღენიშნეთ, ქართველმა საზოგადოებრიობამ ბრწყინვალე შეფასება მისცა პ. ადამიანის კამლეტს, კინს, რუდოლფს, ზოლო მხედველობიდან არ გამოპპარვია და არც უყურადღებოდ დატოვებია მის მიერვე შესრულებული ის როლები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ ქართველი მაყურებლის მოთხოვნილებას. მას საკმაოდ კარგად ვერ შეუსრულებია ბოჩაროვის როლი დრამაში „მხვერპლისათვის მსხვერპლი“, ურიელ აკოსტას როლი ამავე სახელწოდების დრამაში. „ბ-ნი ადამიანი თამაშობდა თვის რჯულს და უნდა გამოეტყდეთ, რომ საზოგადოდ სუსტი ურიელ აკოსტა იყო, თუმცა ალაგ-ალაგ შეუდარებლად და გასათვრად მხატვრად წვირილმან სულოვს მიძრაობას“.³

ადამიანს მისმა საუცხოო თამაშმა ასობით მეგობარი და თაყვანისმცემელი მოუპოვა. მას შემდეგ, რაც პ. ადამიანი ავად გახდა, მის დასახმარებლად ეწყობოდა წარმოდგენები: პეტერბურგში, ბაქოში. არც ქართველი საზოგადოება ჩამორჩენია ამ კეთილ წამოწყებას. 1891 წელს თბილისში მათაც გამართეს წარმოდგენა პ. ადამიანის სასარგებლოდ.

1891 წ. სტამბოლში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პეტროს ადამიანი. დამწუხრდა ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ენახა იგი სცენაზე.

ქართველმა ხალხმა ბრწყინვალე მსახიობს ვანქის საკრემლო ტაძარში გადაუხადა პანაშეიდი.

პ. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მათი „ივერია“ შემდეგი სიტყვებით იხსენებს მას: „ამისთანა კაცის დაკარგვა დიდი დანაკლისია არა მარტო სომეხთათვის, არამედ ყველასათვის. საუკუნო და სამაგალითოდ დარჩა სხენება ამისთანა მოღვაწისი, — ამისთანა კაცად-კაცისა, ამისთანა ყველასათვის ჭეშმარიტის ადამიანისა“.⁴

1916 წელს პ. ადამიანის გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ათავსებს მოკლე ნარკვევს, სადაც მსახიობის მელპოინის სწორუოვარ კურუმად აცხადებს.

„სომეხთა სცენისათვის, განსაკუთრებით კლასიკურ რეპერტუარში, ეს ერთი ადამიანი იყო, ყოველ მხრივ სრული არტისტი. მისი ადგილი ვერ კიდევ ცარიელია სომხურ სცენაზე“⁵ — წერდა იოსებ არმათილი.

ჭეშმარიტი ხელოვნება არასოდეს კვდება. მასთან ერთად სამარადისო სიცოცხლით ცოცხლობს მისი მსახურიც.

შენიშვნები:

- 1 „ივერია“, 1891 წ. № 118, 6 ივ., გვ. 2.
- 2 იქვე, № 30, გვ. 2.
- 3 იქვე, № 32, გვ. 2-3.
- 4 იქვე, № 6, გვ. 55.
- 5 იქვე, № 32.
- 6 იქვე, № 47.
- 7 „ივერია“, 1891 წ. № 75.
- 8 იქვე, № 118, გვ. 2.
- 9 „თეატრი“, 1886 წ. № 45, გვ. 539.
- 10 „ივერია“, 1891 წ. № 118, გვ. 2.
- 11 „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ. № 43.

გულდა კალაძე



ამ სახელისნოში მხატვრული წესრიგი და სიხალავით სუფევს: ირველივე სულ რამდენიმე მცირე ზომის ქანდაკება-უსკიზია, წიგნის კარადა, კედლებზე, აქა-იქ, გრაფიკული ნამუშევრები.. სახელისნოს შუაგულში კი ახალგაზრდა ქალის დიდი თეთრი ქანდაკი დგას, დაუსრულებელი: იდაყვებს ქვემოთ, ხელების მაგიერ, მავთულის კარკასის ბოლოები გამოიჩინა...

ახლა ეს ფიგურა როგორღაც სიმბოლურად აღიქმება: შუაგულად შეწყვეტილი სიცოცხლე, შემოქმედი წაყვლილი ხელებით..

გულდა კალაძის სახელისნო, ერთი თვალის მოვლებით, სულ მცირეოდენს თუ ამხერვებს იქიდან, რაც ამ კედლებში მოუტანა მათ ავტორს. მაგრამ ისიც კი, რაც ფართოდაა ცნობილი, თურმე საკმაო როდია მხატვრის შემოქმედებითი სახის სრულყოფილად წარმოსადგენად. საამისოდ როდი კმარა შორეულ მარუსზე გმირ შემოართა სადიდებლად გამოკვეთილი მონუმენტური ჰორელიეფი, საქართველოს კომკავშირის პრემია რომ მოუტანა ავტორს, ან დედაქალაქის შუაგულში ულამაზეს „ივერიაზე“ გაწოლილი ფრისი; მიკვინთის სანაპიროზე ფიჭვნარის რიტმს აყოლილი „სამია“ თუ პლასტიკურად ნატიფი ალფეგორია „შემოდგომა“.. საამისოდ არ ყოფილა საკმარისი არც წიგნის დასურათებანი, მხატვრის ფანტაზიის გაქანებაზე, უფაქიზეს გემოვნებასა და შესრულების ასევე უფაქიზეს ოსტატობაზე რომ მეტკველებს; არც ჩვენი ქალაქებს, კურორტებისა და გზების დამამშვენებელი კერამიკული პანოები..

გულდა კალაძის სახელისნოს, — ყუთებსა და საქალაქდევებს ჯერ არ გასცილებია მისი სხვა სახის ნამუშევრები. ამ მრავალმხრივ მხატვარს ჯერ არავინ იცნობს როგორც ფერწერს. ქალაქდზე ფერადი პასტილით შესრულებული პეიზაჟე-



პეიზაჟი.

ლეილა თაბუკაშვილი

რი სურათები, მოგზაურობის შთაბეჭდილებები სრულიად ახალი კუთხიდან გვაცნობენ გულდას, კიდევ უფრო თვალნათლივს ხდებიან მისი შემოქმედებითი სამყაროს ფართო სივრცეებს.

მონუმენტური სუნთქვის ქმნილებაა ავტორის ტემპერამენტი ამ ფერწერულ სურათებში ადვილს უთმობს სათუთ და ღრმა ლირიკოს-პოეტს, რომელიც გასაოცრად გრძნობს ფერთა პარმონიას და ურთიერთსმხვერების მშვენიერებას. თუმცა გულდას ამ სახის ნამუშევარს უმრავლესობა გრაფიკული მასალებითაა შესრულებული (პასტელი, გუაში, ტუში), მაგრამ მათში სპეციფიკურად გრაფიკული არაფერია. ფერმწერლის თვალი და ხედავა, სინამდვილის სურათების ცხოველხატული აღქმა და შთაგონებული, მღვლავარე ფიქსირება გამოარჩევს ამ ქმნილებებს, რომელთა შორის სულ პატარა, მინიატურულ ფურცლებსაც შეხვდებით. მაგრამ ამ მინიატურებში თვით კადრის მცირე ზომებს როდი გრძნობთ. ისინი იკითხება როგორც სინამდვილის მომხიბვლელი, შთაბეჭდავი პოეტური სურათები, და, რაც მთავარია, მათში იმდენია თვით მხატვრისეული, უჩვეულოდ დანახული და მოწოდებული, რომ არ შეიძლება არ შეიგრძნოთ ავტორის აღზაფრება, მისი უნარი—ხსუსებუდა და ძალდაუტანებლად გააღატანოს ფერადოვან ლაქებში თავიერი შთაბეჭდილებები. ასე დაგროვდა გულდაკალაძის „არქივიში“ მრავალრიცხოვანი პეიზაჟური თუ ქალაქური ხედიები, შექმნილი ძირითადად საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში მოგზაურობის შედეგად. ეს არც გასაკვირია: დიდებულმა შთაბეჭდილებებმა მოქანდაკე-გრაფიკოსში ფერმწერიც წარმოაჩინა და როგორც ფერმწერსაც, გულდა კალაძეს მთავარი სათქმელი ალბათ მაინც წინ ჰქონდა..

მემკვიდრეობითობას, ჩანს, აქვს თავისი ძალა. შემოქმედი მშობლების შვილს დედისაგანაც და მამისაგანაც გამოჰყვა გრძნობა პლასტიკისა და პოეზიისა. ამ გრძნობის განვითარებას უთუოდ ხელი შეუწყო გარემომ, აღზრდამ მხატვრობისა და პოეზიის ატმოსფეროში. იქნებ ამიტომაც, პატარა გულდამ თავდაპირველად პოეზიით დაიწყო, ლექსებს წერდა და თვითონვე ანახლებდა გამოსაცემად „საკუთარ გამომცემლობაში“. ცოტა უფრო გვიან კი გულდასეული შარყები და კარიკატურები სკოლაში ხელიდან ხელში გადადიოდა. მაგრამ მხატვრად, მოქანდაკედ გახდომა არ უფიქრია. სურთომოდღერება იტაცებდა და სურდა არქიტექტორის პროფესიას დაეუფლებოდა. მოხდა კი ისე, რომ საბოლოოდ ისევე დღეს—თამარ აბაკელიას გზა აირჩია და ისიც, როგორც დედამისი, ნიკოლოზ კანდელაკის სახელისონში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1957 წელს დაამთავრა.

სტუდენტობის წლებშივე გამოჩნდა სამხატვრო გამოფენაზე. სადღილობო ნამუშევარი — ალგორითულად ჩაფიქრებული შიშველი ახალგაზრდა ქალის ფიგურა, ყურძნის მტკენით ხელში, თითქმის მისი შემოქმედების ერთგვარ კრედიოდ იქცა შემდგომი მუშაობის გზაზე: გულდა კალაძე გატაცებით აგრძელებდა ძიებებს ადამიანის შიშველი სხეულის სილამაზის პლასტიკურად სრულქმნილი ვადმოცემისათვის და შექმნა კიდევ მხატვრულად ძლიერი, აზრიანი, ემოციური ფიგურები „შემოდგომა“, „კანთიადი“, „სამაია“ და ბევრი სხვა, რომლებშიც გამოავლინა საკუთარი აზროვნება, კომპოზიციის, ნახატის, სილუეტისა და საესე, მკერევი ფორმის გრძნობა. მაგარ მასალაში შიშველი სხეულის პლასტიკური მშვენიერების ხორცშესხმით შედგა ფეხი მან დიდ შემოქმედებით გზაზე როგორც მოქან-




განთიადი.
შემოდგომა.
ბარელიეფი სასტუმრო
„ივერიის“ შენობაზე.

დაკემ და ამგვარივე. მაგრამ ახალ მხატვრულ ამოცანაზე მუშაობა იქცა მის ბოლოთქმად...

თუ ქართულ საქანდაკო პლასტიკაში გულდა კალაძემ თავისი მკაფიო სიტყვა თქვა და კვალიც დაამჩნია ყროვნულ სახვით კულტურას, ვფიქრობთ, არანაკლები ღირებულებისაა მხატვრის შემოქმედება გრაფიკის სფეროში. ბოლო წლების მანძილზე მრავალი წიგნი და ლექსთა კრებული გამოვიდა მისი გაფორმებით და ყოველი გამოცემა უკვე ჩამოყალიბებული, მომწიფებული ოსტატის ხელოვნებას ცხადყოფს. ისევე როგორც საქანდაკო პლასტიკაში, ამ სფეროშიც გულდას თავისი სახე აქვს, ნათელი მხატვრული ენა ლიტერატურული ორიგინალის დრმა აღქმამეგრძნება განსაზღვრავს სახვითი გადაწყვეტის შერჩევას, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სიზაზღვითა და ნაწარმოების სულისკვეთების გადმომცემი გრაფიკული-პლასტიკური თუ ფერადოვა-

ნი ინტერპრეტაციით გვიზიდავს. აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ საბავშვო გამოცემები „თერთი მტრედის საიდუმლო“, „საბრალო დედბრინასა“, შალვა აფხაიდის, რევაზ მარგიანის, კარლო კალაძის, ჯანსულ ჩარკვიანის, ლევან გოთუას, სერგო კლდიაშვილის და სხვათა ნაწარმოებების მხატვრული გაფორმება-დასურათება. გულდა კალაძემ სრულყოფილად ფლობს შრიფტის, ორნამენტის ხელოვნებას, ბრწყინვალედ ხატავს, იშვიათი კომპოზიციური ალღოთი უხამებს ერთმანეთს სხვადასხვა გრაფიკულ მოტივებს, გამოსახულებებს. სილალე და ამავე დროს სიზუსტე შესრულებაში, მხატვრული მიგნებების სიუხვე და მახვილგონიერება თვალსაჩინო ღირსებებს ანიჭებს მის ნამუშევრებს წიგნის გრაფიკაში.

მაგრამ მხატვარმა ამ მხრივ განსაკუთრებულ სიმალღეს მიაღწია ქართული ხალხური ზღაპრების—„ასი ზღაპრის“ გაფორმებაში, რომელიც



1972 წელს რუსულ ენაზე გამოსცა „მერანმა“-
ეს არის ნამდვილი აკადემიური გამოცემა თავი-
სი გააზრებით, გაფორმების მხატვრული დონითა

და მაღალი კულტურით. ზღაპრების თავსართებ-
სა და ბოლოსართებს შორას ძნელია გამოარჩიო
რომელი უფრო შთამბეჭდავი და გამომსახველია-

კომპოზიციებს ეროვნულ კოლორატსა და სურ-
ნელეობას ანიჭებს ხალხური მოტივების შემოქმე-
დებით გამოყენება. სტილიზაციასა და პირობი-
თობასთან ერთად მხატვრული სახეების ცოცხალი
გამომსახველობა ცხოვრებისეული აზრით ავსებს
ნახატებს და ნათლად მიანიშნებს თვით ზღაპრე-
ბის შინაარსსა და დუდაზრზე.

გულდა კალძე — ნახატის, კომპოზიციის
ოსტატი, ეროვნულ-ხალხურ ფესვებზე მდგარი
შემოქმედი, მხატვარი—პოეტი, რომლის მიერ
შუთხული ყოველი გრაფიკული ფორმა აღსავსეა
ემოციური პლასტიკურობით და მოხდენილი ში-
ნაგანი რიტმულობით—ასეთად წარმოგიდგენს
ამ წიგნის შემამკობელ ავტორს „ასი ზღაპარი“-
დეკორატიულ-ფერადოვანი გააზრებით მართლაც

რომ ზღაპრულია გამოცემის გარეგანი, ლაქებისა
და ხაზთა კომპოზიციაში ორგანულად ჩაწერილია
შრიფტით.

„ას ზღაპარს“ საერთო მოწონება ხვდა. ლე-
ნინგრადის გამოცემლობა „პროგრესი“ ამჟამად
მას ხელმეორედ გამოსაცემად ამზადებს.

გულდა არა მარტო სახვით-პლასტიკურ ფო-
რმებში გრძნობდა მუსიკალობას, იგი საერთოდაც
ძალზე მუსიკალური იყო. ესმოდა და უყვარდა
მუსიკა, ჭეშმარიტი შთაგონებით უკრავდა ფორ-
ტეპიანოზე.

ხელოვნებაში მას არ ჩვეოდა გულგრილობა,
ხელოსნური სიმშვიდე. თითოეული მისი ნახელავი
გატაცების, დაუღალავი ძიების ნაყოფია.

გულგრილობა არ ჩვეოდა არც საზოგადოებ-

„სამაია“, ბიჭვინთა.


განთიადი.

„ასი ზღაპრის“ თავსართები.



რიც საქმიანობაში მისთვის სულერთი არასოდეს იყო ის, რაც საერთო-საზოგადო საქმეს ეხებოდა. ამიტომაც წთელი მონღოლებით იღვწოდა ქუთაისში სამხატვრო გალერეის შექმნისათვის და ბევრიც გააკეთა მისთვის ექსპონატების შესაგროვებლად.

...ხელმედაწყვეტილი დგას სახელსნოში ქალის თეთრი ქანდაკი მაგრამ ლამაზი, სისხლსავე სიცოცხლით ცოცხლობენ და კვლავაც იცოცხლებენ შორეულ მარუხზე შემართული, დადებული ანსამბლის დამაგვირგვინებელი, ქვაში სულწაღმული გმირი მფორები, ლურჯი ზღვის ნაპირზე მწკრივად მიმავალი „სამაია“, წიგნთა ფურცლებზე ხაზებსა და ფერებში ამტყველებული პოეტური სახეები...



„ქართული საბჭოთა

დრამატული თეატრის ისტორია“

შ. მახავარიანი — „ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია“. გამომცემლობა „ბანათემა“, თბილისი, 1978 წ., რედაქტორი მ. ზღვირაძე.

ბასულ წელს გამოცემლობა „ბანათემა“ ქართველ მკითხველს მიაწოდა შ. მახავარიანის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა „ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია“. წიგნი შედგება ხუთი თავისაგან, შეიცავს 454 გვერდს და როგორც ამას ავტორი გვაუწყებს, განკუთვნილია სახელმძღვანელოდ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის. შ. მახავარიანი ვხვდებით ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიას 1921 წლიდან 1941 წლის ჩათვლით. როგორც ვხვდებით, იგი ქართული კულტურისა და ქართული დრამატურგიის განვითარების საკმაოდ ვრცელ პერიოდს ეხება, რაც, ცხადია, მკვლევარისაგან ამ ვრცელი პერიოდის ეტაპებზე დაყოფას და თითოეული პერიოდის ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებას მოითხოვდა. შ. მახავარიანი ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის განვითარების ისტორია საბჭოთა საქართველოს ისტორიული განვითარების ეტაპებს დაუკავშირა, ხუთ პერიოდად დაყო და ყოველ პერიოდში საზი გაუსვა იმ ძირითად მოვლენებს ქართული თეატრის აღმავლობის გზაზე, რომელთაც ქართული დრამატურგიის განვითარების ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდათ.

შ. მახავარიანი თავის შრომას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაყრდნობისა და

ქართული თეატრის აღდგენის პერიოდით იწყებს, გვიამბობს როგორ შეიქმნა საქართველოს განათლების კომისარიატთან მთავარი სახელოვნო კომიტეტი, როგორ ჩამოყალიბდა რუსეთის სახელმძღვანელო დრამის თეატრი, ვინ იყო თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი, რა პიესები იდგმებოდა, ვისი რეჟისორობით იდგმებოდა და რა უჭირდა, რა ულხინდა და რა შესაძლებლობანი გააჩნდა ახალ ჩამოყალიბებულ ქართულ თეატრს. ყველაფერი ეს ხდებოდა საკმაოდ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, იმ დროს, როცა ხელოვნებისაგან მოდერნიზმს და რადიკალურ სიასლევებს მოითხოვდნენ. ქართული საბჭოთა დრამატურგიის ბედის განმსაზღვრელად და უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად ამ პერიოდისათვის შ. მახავარიანს მიაჩნა გენიალური ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის თბილისში ჩამოსვლა და მისი დანიშნა რუსეთის სახელმძღვანელო თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელად. სანამ ავტორი თეატრის ცხოვრებას შეეხებოდეს, გვისახიათებს კ. მარჯანიშვილს როგორც პირვინებას, გვაცნობს მის იდეოლოგიურ მრწამსს, რუსეთში და უკრაინაში მის მიერ დადგმული პიესების წარმატებას, მისი მუშაობის მეთოდებს როგორც კოლექტივთან, ასევე სპექტაკლზე. კ. მარჯანიშვილს იგი თვლის პლა-



სტიკის, რიტმისა და დინამიკის უბადლო ოსტატად და სწორედ მის ამ თვისებებს უღებს საფუძვლად პირველი ქართული საბჭოთა თეატრისა და ქართულ ენაზე დამოკუთვნილ სპექტაკლის „ცხვრის წყაროს“ წარმატებას. ლიპე ლე ვეგას პიესის წარმატება მკვლევარს რუსთაველის სახელობის თეატრის პირველ გამარჯვებულ მიაჩნია. შ. მაჭავარიანი დიდად აფასებს რეჟისორების კ. მარჯანიშვილისა და ალ. ხანტიელის ღვაწლს და თვლის, რომ ქართული საბჭოთა დრამატული თეატრი სწორედ მათ აღადგინეს, სულ მოკლე ხანში დიდ პროფესიულ სიმაღლეზე აიყვანეს და განვითარების თავისი, ორიგინალური გზა დაუსახეს.

ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის განვითარების პირველი პერიოდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კორპორაცია „დურუჯის“ ჩამოყალიბებას. შ. მაჭავარიანი გვიამბობს როგორ ჩამოყალიბდა კორპორაცია „დურუჯი“, რატომ ეწოდა ეს სახელწოდება, ვინ იყვნენ კორპორაციის წევრები, რა მიზანს ახასიათებდა კორპორაცია, გვაცნობს კორპორაციის მანიფესტის ტექსტს, გვისახელებს მანიფესტის ავტორებს, გვაუწყებს მსოფლმშედეგლობათა და ლიტერატურულ მიმართულებათა ამ უსუსლტო ნაირფერონის დროს რა დიდი დავა გამოიწვია კორპორაცია „დურუჯის“ მანიფესტის სახალხო წაკითხვან, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მანიფესტმა დასწრე საზოგადოებაზე, ვინ იყო მანიფესტის მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე, რა დადებითი და უარყოფითი როლი ითამაშა კორპორაცია „დურუჯი“ ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის განვითარებაზე. მკვლევარი კორპორაცია „დურუჯის“ შექმნას და კორპორაციის მანიფესტის გამოქვეყნებას იმდროინდელი თეატრალური ცხოვრებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ კორპორაცია „დურუჯის“ შექმნას უარყოფით მოვლენად თვლის და კ. მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის მიზეზად სწორედ ამ კორპორაციის წესდებას ასახელებს.

შ. მაჭავარიანი ამავე თავში აგვიწერს კორპორაცია „ვეერიანის“ ჩამოყალიბებას და რამდენიმე სპექტაკლის დადგმის შემდეგ, მის სწრაფად დაშლას.

პირველ თავში შ. მაჭავარიანი ეხება ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის აღდგენის პერიოდს და ამიტომ მხოლოდ იმ დროს საუკეთესო თეატრების ისტორიით ვერ შემოიფარგლებოდა. იგი იხილავს აგრეთვე ყველა თეატრის აღდგენისა, ან თავიდან ჩამოყალიბების ისტორიას. გარდა თბილისის სხვადასხვა კანონის თეატრებისა, მკვლევარი გვაუწყებს, როგორ ჩამოყალიბდნენ ან აღადგინეს საბავშვო თეატრი, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, სოხუმის, ჭიათურის, თელავის და გორის დრამატული თეატრები. შ. მაჭავარიანი თითქმის უკლებლივ იხილავს ამ

თეატრების იმდროინდელ რეპერტუარს, ხასხასე უსვამს როგორც დღეკალაქის სხვადასხვა განხრის, ასევე პრიონციული თეატრების სცენაზე დადგმული პიესების საეტიკო მნიშვნელობას და საკუთარი აზრის გასამკვიცებლად გვაწვდის ფაქტობრივ მასალას.

პირველი პერიოდის, ანუ ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის აღდგენის პერიოდის დიდ წარმატებად, კ. მარჯანიშვილის ნიჭის გამოყენების უმაღლეს წერტილად შ. მაჭავარიანი მიჩნენა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე უ. შექსპირის „ჰამლეტის“ დადგმა. მკვლევარი ჯერ იხილავს რეჟისორის, კ. მარჯანიშვილის მიერ პიესის თავისებურად წაკითხვის ინტერპრეტაციას, შემდეგ ამ ინტერპრეტაციის სცენაზე განხორციელების იდეურ მხარეს, მზა სპექტაკლის რიტმს, პლასტიკას და დინამიკას, ბოლოს კი ჰამლეტის როლში უშ. ჩხეიძის, პოლიონიუსის როლში აკ. ვასაძისა და თეფლისის როლში გ. ანჯაფარიძის თამაშის ვირტუოზობას. წიგნის მეორე გვერდები უჭირავს ამ სამი ბრწყინვალე მსახიობის მიერ როლის გაცეპას, შესრულებას და მაყურებელამდე მიტანას.

ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის მეორე პერიოდს შ. მაჭავარიანი უწოდებს თეატრის რეკონსტრუქციის პერიოდს (1926-1928). ამ წლებში რუსთაველის თეატრის პერსონალთა სხვადასხვა დაჯგუფებას შორის, ძირითადად კი კ. მარჯანიშვილსა და ალ. ამბეტელს შორის წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა და უთანხმოება, რამაც გამოიწვია კ. მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლა. ამავე პერიოდში საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობაზე ფართო კამათი გაიმართა რუსთაველის თეატრის რეპერტუარი პოლიტიკასა და შემოქმედებითი მუშაობის ირგვლივ. მომხსენებლები თეატრს უსაყვედურებდნენ მწერლებისაგან განდგომის, თეატრში მსახიობთა პერსონალური დონის დაქვეითებას.

მეორე პერიოდის საუკეთესო სპექტაკლად შ. მაჭავარიანი მიჩნია ვ. ლაერენცის ქართულად გადმოკეთებული პიესის „რდენვის“ დადგმა. რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ეს პიესა დადგა ალ. ამბეტელმა. მკვლევარი ხაზს უსვამს ალ. ამბეტელის რეჟისორულ ნიჭს, მისი სცენური მეტაფორების აზრობრივ გამომხატველობას და მასობრივ სცენების დადგმის დიდ ოსტატობას.

შ. მაჭავარიანის აზრით, იმ პერიოდში საქართველოს ყველა დრამატული თეატრი რეკონსტრუქციის პროცესით იყო დაკავებული, მათი რეპერტუარი სპერულით გამოირჩეოდა, პიესებში ჭარბობდა მიზეზური, მემორანსტული ელემენტები და ამის გამო ბევრმა პრემიერამ უღიმღამოდ ჩაიარა. რეკონსტრუქციის პერიოდს განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ პრიონციული თეატრები.

ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის გან-



ვითარების შესაბამე პერიოდი (1928-1932) იყო სოციალიზმის გამძლიო შეტევისა და პირველი ხუთწლიდის პერიოდი, როცა ქართული თეატრი ახალი ამოცანების წინაშე წარსდგა. შ. მაჭავარიანი იხილავს იმდროინდელ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას, ძველი და ახალი თაობის დავას იდეოლოგიურ საკითხებზე და მიაჩნია, რომ რუსთაველის თეატრი ამ პერიოდში დაადგა აღმავლობის გზას. ამ პერიოდის ბრწყინვალე სპექტაკლად სახელმძღვანელოს ავტორს მიაჩნია ალ. ამბეტლის მიერ დადგმული „ანჰორი“. ამ სპექტაკლმა მართლაც ახალი შოაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, პრესა ქებას ასხამდა როგორც სპექტაკლს, განსაკუთრებით მასობრივი სცენების ეფექტურობას, ასევე პიესის დამდგმელ რეჟისორსა და მთავარი როლებს შემსრულებელ მსახიობებს. ამიტომ ეს სპექტაკლი დიდხანს დარჩა რუსთაველის თეატრის რეპერტუარში. იგი რუსმა მაყურებელმაც კარგად მიიღო და რუსულ პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

ამვე პერიოდის დიპლომატიური მოვლენად შ. მაჭავარიანს მიაჩნია კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ჩამოყალიბება. ამ დღასში კ. მარჯანიშვილმა თავი მოუყარა რუსთაველის თეატრის ყოფილ მსახიობებს, ვ. ანჯაფარიძეს, თ. ჭავჭავაძეს, ე. დიანურს, უშ ჩხეიძეს, ალ. ყორჭილას, შ. დამაშვიძეს, ვ. წუწუნავას, ა. დონჩენელს, ს. ზაჭვარიძეს და სხვებს. გარდა ამისა, დასის შემოქმედებით კოლექტივს შეუერთდა ძველი მსახიობების ნიჭური ჯგუფი: ან. ქიქოძე, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, შ. გომელაური, შ. ხონიი, ნ. მაჭავარიანი, მ. სარაული და სხვები. ამ დასის შემდგომით 1928 წელს ქუთაისის თეატრის სცენაზე კ. მარჯანიშვილმა დადგა ერნსტ ტოლერის „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. ამ სპექტაკლს შ. მაჭავარიანი უწოდებს ტეშმარიტად ნოვატორულ სპექტაკლს, „ადგან მასში გამოყენებული იყო კანო, რადიო და დიდი სარკები, რომლებზეც რეჟისორი უწყნებდა კულისებს მიღმა მოქმედებას. ერნსტ ტოლერის პიესის დადგმა კ. მარჯანიშვილის ახალი წარმატება და ახალი გამარჯვება იყო, მაგრამ ამ პერიოდის პიესებსა და დადგმებს შორის მაინც ყველაზე დიდი წარმატება ხვდა წოლად კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ „ურიელ აკოსტას“. თეატრისათვის გუცკოვის ქართულად თარგმნილი პიესა საეტაპო მნიშვნელობის მოკლუნად იქცა და დასის ნიჭიერმა მსახიობებმა უშ. ჩხეიძემ, ვ. ანჯაფარიძემ, შ. დამაშვიძემ სწორედ ამ პიესაში გამოიხატინეს თავიანთი დიდი ნიჭი და შესაძლებლობანი. შ. მაჭავარიანს კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული „ურიელ აკოსტა“ ეპოქალურ მოვლენად მიაჩნია ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის განვითარების ისტორიაში.

ქართული დრამატურგიის განვითარების მე-

ათხე პერიოდს (ეს პერიოდი ავტორს რატომაც დაეწინაურდა ვლუბით არა აქვს გამოყოფილი) შ. მაჭავარიანი უწოდებს ქართულ თეატრში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდს. ამ პერიოდში პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების თანახმად გაუქმდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციები და მათ ნაცვლად შეიქმნა ერთიანი საბჭოთა მწერლების კავშირი, რასაც თეატრისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რამაც მის წინაშე ახალი ამოცანები დააყენა. მკვლევარის აზრით, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ეროვნული სტილის შემოწმება კლასიკურ რეპერტუარზე. რუსთაველის თეატრში დაიდა „პლატონი გენტი“, „შემოდგომის აზნაურები“, „სასტუმროს დიასახლისი“, „არსენა“. 1936 წელს მიეწყო რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში. რუსთაველებმა მოსკოვულ მაყურებელს უჩვენეს „ანჰორი“, „არსენა“ და „შეთდგომის აზნაურები“. ქართული დასის სპექტაკლებს მოსკოვში დიდი წარმატება ხვდა წოლად და ბევრი თეატრალური მიღგაწევი დაჯილდოებული იქნა მთავრობის ჯილდოებით. ავ. ხორავასა და ავ. ვასაძეს კი სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭათ.

რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლებს შორის ამ პერიოდის უბრწყინველეს სპექტაკლად შ. მაჭავარიანს მიაჩნია უ. შექსპირის „ოტელიო“. ამ სპექტაკლის წარმატების მთავარ მიზეზად იგი ასახელებს მსახიობების ავ. ხორავას (ოტელიო) და ავ. ვასაძის (იაგო) თამაშს. ავ. ხორავამ, შ. მაჭავარიანის აზრით, შექმნა მოგვლილი მნიშვნელობის სცენური სახე, ხოლო ავ. ვასაძემ ღირსეულად დაუმშვენა მას მხარი. „ოტელიო“ დადგმამ, როგორც ანას მკვლევარი აღნიშნავს, ცხადყო ქართული დრამატული თეატრის მოწინავეობა და ცხადად დაგვანახა ქართული მსახიობებისა და რეჟისორების მაღალი პროფესიული დონე.

ამვე პერიოდში მარჯანიშვილის სახელობის თეატრი თბილისში გადმოვიდა და დაარსდა მეორე აკადემიური დრამის თეატრი. მართალია, 1933 წელს კ. მარჯანიშვილი გარდაიცვალა, მაგრამ თეატრის კოლექტივმა შეისისხსობოცა მის მიერ დამკვიდრებული ტრადიციები, გააყვა მის მიერ გაკავფულ გზას და საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო თეატრად გადაიქცა. ამ პერიოდში თეატრმა დადგა „ნიონიშვილის გურია“, „რატეხილი ხიდი“, „სამანიშვილის დედინაცვლი“, „შამილი“, „ვერავაობა და სიყვარული“, „ძალად ექიმი“, „ქეის სტუმარი“, „ფეგაროს ქორწინება“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „აპრაქუნე ჭიმიშილი“, „შური“, „ესკადრის დაღუპვა“, „ნაპერწყლიდან“ და სხვ. ამ პერიოდის სპექტაკლებიდან შ. მაჭავარიანს თეატრის დიდ წარმატებად მიაჩნია „რატეხილი ხიდისა“ და „ვერავაობა და სიყვარულის“ დადგმა.



ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის განვითარების მეტუე პერიოდს შ. მაჭავარიანი უწოდებს სოციალიზმის გამარჯვებისა და საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წინა ხანის პერიოდს. ამ პირობებში მკვლევარის აზრით თეატრების რეპერტუარში დიდი ადგილი იჭერს თანამედროვეობის თემებზე შექმნილი პიესები, პატრიოტული, საბჭოთა სინამდვილის ამსახველი საექტაკელები. ომის წინა წლებში რუსთაველის თეატრში დაიდგა ს. კლიაშვილის პოლიტიკური სატირა „გრავის ქერი“ და „უკანასკნელი რანდი“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“, ნ. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“, განახლებული იქნა ალ. სუმბათიშვილის „დალბატი“, შ. დადიანის „გუმბინდელი“ და სრ. ამ წლებში რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმულ საექტაკელებს შორის შ. მაჭავარიანი უპირატესობას ანიჭებს ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“ დადგმას.

ამ პერიოდში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეპერტუარი უფრო მრავალფეროვანი და უფრო მასშტაბურია. თეატრმა დადგ. პ. კაკაბაძის „კოლმურნის ქორწინება“, ვ. შვეანიკინის „უბრალო გოგონა“, ვ. ვაბისკირას „მათი ამბავი“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტები“, უშ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“, ლ. არდაზიანის „სოლომონისაკირ მეჯღანუშვილი“, ვ. სარდუს „მადამ სანჟენი“, ალ. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, ვ. პუგოს „რუი ბლანში“. ამ საექტაკელებიდან თეატრის წარმატებად და მნიშვნელოვან საექტაკელობად შ. მაჭავარიანს მიაჩნია პ. კაკაბაძის „კოლმურნის ქორწინება“, ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტებისა“ და ალ. დიუმას ჯელოდრამატული პიესის „მარგარიტა გოტიეს“ დადგმა. ამ პერიოდის თეატრებში მეტისმეტად გაიზარდა ნიჭიერი მსახიობების როლი. „კოლმურნის ქორწინებისა“ და „მკაცრი ქალიშვილების“ წარმატების მიზეზად შ. მაჭავარიანი ვ. შველიძის ბრწყინვალე თამაშს თვლის, ხოლო „მარგარიტა გოტიე“ იმიტომ აღმოჩნდა კარგი საექტაკელო, რომ მარგარიტას როლს დიდი გრძნობით ასრულებდა ვ. ანჯაფარიძე.

შ. მაჭავარიანი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების გვერდით ასევე კეთილსინდისიერად იხილავს სხვა ჟანრების და პროფინციული საბჭოთა ქართული დრამატული თეატრების განვითარების ისტორიასაც.

ამგვარად, შ. მაჭავარიანმა დიდი შრომა გასწია, თავი მოუყარა არქივებში გაბნეულ მასალებს, დაალაგა ისინი სისტემატურად, ქრონოლოგიურად, მათ საფუძველზე შექმნა ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის სახელმძღვანელო და მიაწოდა იგი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს.

ცხადია, შ. მაჭავარიანს არაფრით არ შეეძლო სრულფასოვნად შეეფასებინა და ამომწურავად

ვად განეხილა ქართული საბჭოთა დრამატული თეატრების ისტორია, რადგან იმ მოცულობის წიგნში, როგორც მისი სახელმძღვანელოა, არა მარტო ყველა ქართული თეატრის ასეთი ვრცელი პერიოდის ისტორიის გადმოცემა არ შეიძლება, არამედ მარტო რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრის ისტორიასაც კი. ამიტომ წიგნში ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ საექტაკელოს მშრალად, სქემატურად დახასიათებას, შეფასების ერთგვარ სტანდარტულ ეტალონს, მნიშვნელოვანი, გარდატეხის პერიოდების მოკლედ, გაუანალიზებლად გადმოცემას და პიესის შინაარსის ხარჯზე კრიტიკული განხილვის უგულებელყოფას. გარდა ამისა, შ. მაჭავარიანი დიდ დროსა და ადგილს უთმობს დრამატული თეატრების კრიზისებს პირველ და მეორე პერიოდში. მესამე, მეოთხე და მეხუთე პერიოდის თეატრალური ცხოვრების განხილვის დროს კი მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქმის ამ წლების მანძილზე ქართული თეატრი მუდამ აღმატების გზით მიდიოდა და არ ყოფილა არც რეპერტუარის ნაკლებობა, არც საექტაკელების დიდი ჩავარდნა და არც რეჟისორებისა და მსახიობების პროფესიული დონის დაქვეითება. განა იმ დროს არ იდგმებოდა მამებლური, სქემატური, უკომფლიტო პიესები, განა თეატრის დღევანდელ კრიზისში არავითარი ბრალი არ მიუძღვის იმდროინდელ თეატრებს?

მიუხედავად წიგნში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, შ. მაჭავარიანის „ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია“ დიდ დახმარებას გაუწევს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს, საინა ქართული დრამატული თეატრის ისტორიის უფრო ვრცელი სახელმძღვანელო არ შეიქმნება.

ა. მ.



იაპონიის ეპენაბით პოგილი

წინათმბა

იასუნარი კაბაბატა ესსეში „იაპონიის მშვენივით: შობილი“ წერდა: „რა საშინელიც არ უნდა იყოს, სამყარო, თვითმკვლელობით ვერ მივალწვეთ გაცისკროვნებას. რა კეთილშობილიც არ უნდა იყოს, თვითმკვლელი შორსაა სრულყოფილებისაგან“. სინამდვილე რომ არ იყოს, ალბათ დაუჯერებელი იქნებოდა, რომ ამ სიტყვების ავტორმა 1972 წლის 16 აპრილს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. იაპონიამ კავაბატას სახით დაკარგა თანამედროვეობის ერთი უდიდესი მწერალთაგანი. მას საყოველთაო აღიარება მოუპოვეს რომანებმა: „თოვლის ქვეყანა“ და „ათასფრთიანი წერო“. ეს თხზულებანი გადმოსცემენ იაპონური კულტურისა და ძენის ხელოვნების არს. ნობელის პრემიაც სწორედ იმის გამო მიანიჭეს, რომ თავის შემოქმედებაში „დიდის განცდით ავლენდა იაპონური აზროვნების ბუნებას“, თვითმყოფ გაგებას მშვენიერებისას, სამყაროს მხატვრული ჭკრეტის სპეციალურიობას, რომელიც თავის მხრივ უძველეს ეროვნულ კულტურას უკავშირდება. კავაბატა დაჟინებით უსვამდა ხაზს თავისი შემოქმედების ორგანულ კავშირს ეროვნულ მხატვრულ კულტურასთან.

იასუნარი კავაბატა

იასუნარი კავაბატა შესანიშნავად იცნობდა დასავლეთ ევროპისა და რუსულ მწერლობას. თავისი შემოქმედების დასაწყის ეტაპზე ჯოისის გავლენასაც კი განიცდიდა, მაგრამ 1934 წელს საბოლოოდ უარყო ექსპერიმენტები დასავლეთის მონდრენიზმის სტილში და ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებს მიმართა. ყველაზე დიდი შემოქმედება კავაბატაზე მოახდინა „გენძი მონოგატარმა“ (X). ამ ქმნილებამ განსაზღვრა კავაბატას ეროვნული სულიერი წყობა. „გენძი მონოგატარი“ მისთვის არა მარტო ესთეტიკური განცდის წყარო იყო, არამედ მხატვრულ-შემოქმედებითი გემოვნებისა და პრინციპების ჩამომყალიბებელიც. მოუხმინით მწერალს: „გენძი მონოგატარი“ მწვერვალა იაპონური პროზისა. დღემდე არაფერი შექმნილა მისი დარი. ამჟამად საზღვარგარეთაც ბევრი უწოდებს მსოფლიო საოცრებას ამ ბრწყინვალე არსით ასეთ თანამედროვე ქმნილებას, ჯერ კიდევ მათე საუკუნეში რომ იშვა. არც თუ ისე კარგად ვფლობდი სიყმაწვილეში ძველენას, მაინც ვკითხულობდი ხეიანის ლიტერატურას. ალბათ სწორედ მაშინ დაატყვევა ჩემი სული ამ მოთხორობამ. მას მერე, რაც ეს ქმნილება იშვა, მარად მისკენ მიიღობოდა იაპონური ლიტერატურა. საუკუნეთა წიაღში უსაზღვრო იყო მისი



გაგლეხა. ხელოვნების ყოველი სახეობა, დაწყებული გამოყენებითი და გათავებული ბაღების განლაგების ხელოვნებით, პოეტურ რომ აღარაფერი ფიქვთ, „გენმში“ ჰპოვებდა წყაროს მშვენიერებისას“.

ესე, რომლის თარგმანსაც გთავაზობთ, 1968 წელს სტოპოლში, ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე წარმოთქვა კავაბატამ. სიტყვა დაიწყო ძენის პოეტის ღვინის ლექსით:

გაზაფხულის ფაშ — ყვავილობა,
გუგული — ზაფხულ.
სიველი — მოვარჯ.
ხოლო ზამთარი —
თოვლი მსუსხავი და უწმინდესი.

ლექსს „დასაბამი სახე“ ჰქვია. მოგვიანებით კავაბატა ამბობდა: „შეიძლება ღვინის ეს ლექსი ევროპიელთ პრიმიტიული ენენით, მე კი მატყვევებს თავისი სიფაქიზით, სიღრმითა და განცდის სინატივით“. კავაბატას განსხვავებული მხატვრული აზროვნება და თავისებური მსოფლჭვრეტა დაკავშირებულია ძენის პოეზიის ამ „დასაბამ სახესთან“.

ძენი — ბუღისმის ერთი სკოლათავანია. ამ სკოლის მოძღვრებას ჩინეთში ადგილ დასაბამი V-VI საუკუნეთა მიჯნაზე, ხოლო იაპონიაში XII საუკუნეში შეადგინა. ძენის ეთიკურ-ფილოსოფიურმა და ესთეტიკურმა სისტემამ, იაპონურ მხატვრულ ტრადიციას რომ შეერწყა, დიდი გაგლეხა მოაქვინა იაპონური კულტურის განვითარებაზე. ძენის მიხედვით ჭეშმარიტება მიღწევა წამიერად. შემოქმედებითი აქტივ წამიერი, გაგლეხებით ბუნებისა. სუბიექტი თავის წიგნში „ძენი და იაპონური კულტურა“ ასახულებს, რომ სატორის პრინციპი — საგანთა არსის „გაცისკრება“ — საგანთა ჭეშმარიტი ბუნების ინტუიციური, უცაბედი ხილვა და არა ლოგიკა განსჯა. წამიერი წვდომა საგანთა არსისა უპირისპირდება სიბრძნის რაციონალურ განსჯას. მშვენიერების განცდა და ხელოვნების ქმნა, როგორცაც ერთი და იგივე მომენტია. მათ შორის წამილია ზღვარი, აღარ რჩება ადგილი ლოგიკური აზროვნებისათვის. სუბიექტის მოსაზრებით ეს უდევს საფუძვლად იაპონურ კულტურას. ძენის ხელოვნების მიხედვით „ჭეშმარიტება სიტყვაში როდია“, ჭეშმარიტება „სიტყვათ შეხამებაშია“, მათ მიღმიერი. უმთავრეს მხატვრულ კომპონენტად დომინირებს დემილი, მინიშნება, ბოლომდე განუთქმელობა აზრისა. სამყაროს

განსჯით აღქმას რომ უარყოფს, ბუნებრივ სისადავესა და ბეგურ გულბრყვილობას მიიჩნევს ძენის ესთეტიკა ჭეშმარიტი მხატვრის თვისებად. შემოქმედებითი პროცესის უმთავრესი მომენტია არა წინასწარ გაანგარიშებული ფორმულები ნაწარმოების სიმწობისა, არამედ უღრმესი ბუნებრიზა და უშუალობა, როგორც ეს ღვინის ლექსებს ასახავთ. ძენის ესთეტიკის მიხედვით სამყარო განიხილება როგორც ჰარმონია, სუბსტანცია, დაუნაწერებელი საწყისი. ხოლო ადამიანი ამ მთლიანი საწყისის ერთ-ერთი გამოგლეხა და იმყოფება ბუნებასთან განუყოფლ ერთიანობაში.

ძენის ხელოვნების ეს პრინციპები განსაზღვრავს კავაბატას შემოქმედებით მრწამსს. იაპონური მშვენიერება იყო მისი შემოქმედების შთაგონების წყარო. ესეც სათაურც ამას მეტყველებს: „იაპონიის მშვენიერ შობილი“. მწერალი იაპონურ მშვენიერებას უკავშირება ყოველივე საუკეთესოს და თავის შემოქმედებასაც მის წილხვედრად თვლიდა. კავაბატა ამ წერილში გვეუბნება: მე იმდენად ვარსებობ, რამდენადც იაპონური კულტურა არსებობს, ნობელის პრემიასაც მიიჩნევ არა ჩემს დამსახურებად, არამედ წინაპართაგან ნაანდერძე იმ სულიერი მშვენიერისათვის, იაპონელებში რომ ცოცხლობს.

* * *

გაზაფხულის ფაშ — ყვავილობა,
გუგული — ზაფხულ.
სიველი — მოვარჯ.
ხოლო ზამთარი —
თოვლი მსუსხავი და უწმინდესი“.

ძენის ბერმა ღვინემა (1200-1253) შეთხზა ეს ლექსი და „დასაბამი სახე“ უწოდა მას.

ზამთრის მოვარჯ,
ამონეთ ნისლეულიდან,
და მიმაცოლებ.
არ განჯნას თოვლი?
ქარი არ გაბეზრებს თავს?

ხოლო ეს ლექსი ბრძენ მითოსია (1173-1232). როცა მთხოვენ სამახსოვროდ რაიმე წარწერას, ამ ლექსებს წავაწერ ხოლმე ვრცელი, გამოწვლადებითი წინაქება,

* ლექსები თარგმნა ქარჯი ღვინელები.

ამ ლექსში, როგორც დოგენისეულ ლექსებში, სადა სახეები, სადა სიტყვები, უაღრესად სადანიც კი, მიჯრილან მიწყვი, თუმცა ცალ-ცალკე წარმოაჩენენ არას იაპონიის საგანძურისას. იმავ დროს, იგი უკანასკნელი ლექსია პოეტისა.

ამ უსამაიო
და ნისლიან
გაზაფხულის დღეს
ბალღებთან
ებურთაობ ლაღად.

ქროლავეს ნიაფი,
ნათობს მთოვარე.
ემ, გავისხენით სიყმაწვილე!
ვიღალეთ ისევ
განთიადამდე!

რა მეთქმის —
არა,
ხალხს არ გაუვრბი,
მაგრამ მიხარის
მარტოობა ჩემის სულისა.



ამ სიმღერათა დარია რიოკანას სული. იგი, კმარობდა ბალახის ქობს, სადა ხალათს, ხეტიალობდა უდაბნოებში, ლაღობდა ბავშვებთან, ლაყობდა გლეხებთან, მაგრამ აროდეს განუზრახავს საქმიანი საუბრის წამოწყება რწმენისა და ლიტერატურის სიღრმეთა გამო. დაუბინდავე გზას მისდევდა: „სახედ — ღიმილი, ზრახველი — ტრფობა“. მაგრამ გვიანდელ ედოს ხანაში (XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა) სწორედ რიოკანა გაემიჯნა თანამედროვეთა ტლანქ გემოვნებას თვისის პოეზიითა და ხელწვერითი ხელოვნებით, შეინარჩუნა ერთგულება წინაპართა ბრწყინვალე სტილისადმი. რიოკანა, რომლის ლექსები და ხელწვერითი ნიმუშები ოდითგან დაფასებულა იაპონიაში, მიცვალების წინა ლექსებში წერდა, არაფერს ეტოვებო ჩემი აღსასრულის მერმე. ვფიქრობ, ამით ეწყადა ეთქვა, ბუნება ჩემი სიკვდილის მერეც ძველებს მშვენიერი დაჩვენებო. და ეს ერთადერთი იყო, რისი დატოვებაც ძალედგა ამსოფლად. ამაში იოლად განვებობთ თავად რიოკანას წინაპართადმი მგრძნობელობას და რელიგიურ სულს. რიოკანას სამიჯნურო ლექსებიცა აქვს. აი ერთი იმათგანი, ძლიერ რომ მომწონს:



ო, რაოდენი, რაოდენი უამი ეულო
მე მოლოდინის
ფსკერზე ვიღლი!
აჰ, ერთად ვართ...
რალა დაგვრჩა საოცნებარი?

სამოცი წლის მოხუცი რიოკანა ოცდაცხრა წლის მონაზონ ტეისინს შეეყარა და გონწარმევიტ შეეტრფო მას. ამ ლექსებიდან გამოსჭვივის ზეობა შეხვედრით ქალთან, ვით მარადისობასთან, ქალთან, ვით უკამოდ ნალოდინევე ტრფობასთან.

უკვე ერთად ვართ...
რალა დაგვრჩა საოცნებარი?



ასეთი სიწრფელით ასრულებს პოეტი ლექსს. რიოკანა დაიბადა ეტიგოში (ახლა ნიიგატას პროვინცია), სწორედ იმ მხარეში, რომან „თოვლის ქვეყანაში“ რომ აღვწერე. ესაა ჩრდილო კიდე იაპონიისა, სადაც იაპონიის ზღვით აღწევენ ცივი ქარები ციმბირიდან. მან აქ გაატარა

თავისი სიკვდილზე. როჯანა სამოცდათოთხმეტი წლისა მიიკვალა. მისრწინებულში, სიკვდილის მოახლოების შეგრძნებია უამს, განიცადა სატორი. და მე მგონია, მომაკვდავ პოეტ-ბერის „უკანასკნელ ხილვაში“ ჩრდილოეთის ბუნება საოცარის მშვენიერებით აციაგდა. მე მაქვს ძუნიციუპ „უკანასკნელი ხილვა“. იქ მომყავს თვითმკვლელ აკუტაგავა რიუნესკოს (1892-1927) ნაწყვეტი სიკვდილის წინ დაწერილი წერილიდან, რომელზეც შემადარუნა. „ალბათ, თანდათან მომეპოოს ის, რასაც ცხოვრების ინსტინქტი ჰქვია, ცხოველური წყურვილი — წერდა აკუტაგავა, — მე ვცხოვრობ ანთებულ ნერვების სამყაროში, ყინულივით გამჭვირავალ... მარად თანა მდევს ფიქრი თვითმკვლელობაზე. მსოფლოდ ვგაა, აროდეს ბუნება ასეთი მშვენიერი არ მომჩვენებია ადრე. თქვენ სასაცილოდ, პარადოქსად მოგჩვენებთ ალბათ: ბუნების მშვენიერებით მოხიბლული ადამიანი თვითმკვლელობაზე ფიქრობს. მაგრამ ბუნება იმიტომაც ამყვამად ასეთი მშვენიერი, ჩემს უკანასკნელ ხილვაში რომ ირეკლება“.



1927 წელს თავი მოიკლა ოცდათხუთმეტი წლის აკუტაგავამ. „უკანასკნელ ხილვაში“ მამინე ვწერდი: „რა საშინელიც არ უნდა იყოს ეს სამყარო. თვითმკვლელობით ვერ მივალწვეთ გაცისკროვნებას. რა კეთილშობილიც არ უნდა იყოს თავისმკვლელი, შორსაა სრულყოფილებასთან: არც აკუტაგავამ, არც დაძი ოსამუ (1909-1948), ომის მერე რომ მოიკლა თავი, და არც არაგინ სხვა არ იწვევს ჩემში არც აღფრთოვანებას, არც თანაგრძობას. მე ყვავდა მეგობარი მსატარია-აგანაგაიდისტი. ისიც ახალგაზრდა მიიკვალა, ისიც ხშირად ფიქრობდა თვითმკვლელობაზე. სწორედ ეს მყავდა მხედველობაში ჩემს „უკანასკნელ ხილვაში“. მას უყვარდა თქვა: „არ არის ხელოვნება სიკვდილზე უმაღლესი“. ანდა: „სწორედ სიკვდილია სიკვდილზე“. ეს კაცი, ბუდას ტაძარში დაბადებული, ბუდას სკოლაგამოვლილი, სხვაგვარად უმწერდა სიკვდილს, ვიდრე მას უმწერდ დასავლეთში, მოაზროვნეთა წრეებში, სადაც ვის არ უფიქრია თვითმკვლელობაზე“. ალბათ, თუ ჭეშმარიტად ასეა. იგივე ბერი იკიუ ავიითო თუ გნებავთ (1394-1481) ამბობენ, ორგზის უცვად თავი მოიკლაო. მე ვთქვი „იგივე“, რადგანაც იკიუს ბაღლებიც ცნობდნენ ვით ზუპარის ჯადოქარს. ხოლო მის ექსცენტრიულ გამოსრომებზე აუარებელი ანუგდოტებია გაერკელებული“. იკიუს შესახებ ჰყვებიან, რომ „ბავშვები იკალათებდნენ მის მუხლებზე და წვერზე ეფერებოდნენ. ფრინველი ტყისა მის ხელისგულზე მარცვალს კეჩავდნენ“. გადმოცემით, იკიუ ყოფილა უაღრესად სულწრფელი, მოყვას და გულდია ადამიანი. იმავ დროს, ძენის ჭეშმარიტი მიმდევარი. იგი, იმპერატორის ვაჟივითილ გახლდათ. ვგონებ: ექსპ წლისა მიამარეს ბუდას ტაძარში. ჯერ კიდევ მამინე გაამტყვანა პოეტური ნიჭი. მოგვიანებით იკიუ მოწამებრივად განიცდიდა ცხოვრებისა და რელიგიის არსს. „თუ შენ, ღმერთო, არსებობ, — დამისხეს! თუ არა, დაე ტბის ფსკერზე აღმოჩნდეს და ღმერთა ჩემით თქუნი დავაძლო“. იკიუ მართლა გადავარდა ტბაში, მაგრამ გადაარჩინეს. იყო ერთი შემთხვევა: ერთმა ბერმა დაიტოკოვს ტაძრისამ, სადაც იკიუ მოძღვრობდა, თავი მოიკლა, რის გამოც ზოგიერთი ბერი დასაჯეს. იკიუ გრძნობდა თავს დამნაშავედ და „ამაოდ დამაშურალს“ მთებში გაიხვეწა. შიმშილით ლამობდა სულის ამოსდომას.

კრებულში, და მომდევნოშიც, არის ლექსები, როგორსაც ვერ შეხედვით შუასაუკუნეების კანსებში, მით უფრო, ძენის პოეზიაში. განცვივრებით იმდენად ეროტულნი და ინტიმური წერილობანების შემცველნი არიან ისინი. იკიუ ყურად არ იღებდა ძენის მინებებსა და აღკვეთებს: შეეცქვოდა თვესს, სვამდა ღვინოს, ლაღობდა ქალებთან. თავისუფლების პირადი ნებით უპირისპირდებოდა მონასტრულ წესებს. ვინ იცის, იმ დაბინძურ, მღვღვარ სანაში, ყოფილვეული ზნეობის ხანში, ჭეშმარიტი ადამიანური ყოფიერების, ხალხთა ბუნებრივი არსობის აღდგენას ლამობდა.

ამყამადაც გამორჩეული ადგილია ჩაის ცერემონიებისათვის დაიტოკუძი მურასაკინოს ტაძარი კიოტოში. ჩაის ოთახის ნიშაში ჩამოიკიდებული კაკეშიონი — ნიშუში იკიუს ხელწერისა, ჯერავე მნახველს იზიდავს. მეცა მაქვს ორი ნიშუში. ერთ მათგანზე წარწერაა: „იოლად შეიღწევის ბუდა! სამყაროს, ძნელად-შმაკვეულ სამყაროს“. მარად თან მდევდა იგი სიტყვებით. მათავ ხშირად წავაწერ ხოლმე. ათანაირად შეიძლება ამ სიტყვათა გააზრება. ასე განსაჯეთ, უსაზღვრო მათი მნიშვნელობა. მაგრამ სიტყვების — „იოლად შეიღწევის ბუდას სამყაროს“ მერე რომ გვიჩინებოთ: „ძნელად-შმაკვეულ სამყაროს“, იკიუ თავისი ენითა არსით შემოიღის ჩემს სულში. ბოლოს და ბოლოს, თავად ხელოვნების მასშტაბითაც კი, ჭეშმარიტებას, სიკეთესა და მშვენიერებას რომ ელტვიან, წაიღო, დაფარული სიტყვებში. „ძნელად-შმაკვეულ სამყაროს“, შიშსა თუ ლოცვებში, ფარულ თუ უშუალო სახით, გარდველად მანინ თან ახლავთ. ვითარცა ბედი. „შმაკვეულ სამყაროს“ გარეშე არ არსებობს „შეხვედები ბუდას, მოკალ ბუდა. შეხვედები პატარარქს, მოკალ პატარარქს“¹⁰ — ცნობილი ღვთისა ძენის. თუ ბუდისტური სტკებში განყოფილია იმად, რომელთაც სწამთ ხსნა ზეგარდშიო და, რომელთაც საკუთარი სულიერი ძალი-

„იკიუნი“ („შემოღლი ღრუბლები“) უწოდა მან თვის ლექსთა კრებულს და ეს სახელი დარიქვა ფსევდონიმად ამ



ხმევით სწამთ ხსნა, მაშინ ძენის სექტა ჭეშმარიტად უკანას-
კაელს განეუფონება. აი, საიდან იშვა ეს მკაცრი სიტყვები.

სექტა სინის დამაარსებელმა სინრანმა (1173-1262),
რომლის მიმდევრებსაც სწამთ ხსნა ზეგარდმო, თქვა
ერთხელ: „თუ კეთილშობილნი სამთხოვეში ჰქიან, რაღა ჰქნან
ბოროტთა?“ სინრანისა და იკიუს სიტყვებს — „ბუდას სამ-
ყაროსა“ და „ეშმაკულ სამყაროს“ შორის — ბევრი რამაა
საერთო სიღრმისეული გააზრების, განსხვავებაც არის. სინ-
რანმა ბრძანა კიდევ: „არ ვიყოლები არც ერთ მოწაფეს“.
„შეხედები პატრიარქს, მოჰკალ პატრიარქი“. იქნებ ამაშია
ბედი ხელოვნებისა?

ძენის სექტა არ ცნობს კერპებს. მართალია, ძენის ტაძ-
რებში დგანან ბუდას ხატებანი, მაგრამ არც საწვრთნელ ად-
გილებში, არც ძენის დარბაზონებში არაა არც ბუდას ქანდა-
კებანი, არც ხატები, არც წმინდანები. ალიონიდან მიმწუხ-
რამდე მდუმარედ სხედან, უძრავად. თვალდაწუხულნი, ვიდრე
სრული უარყოფის ქაში არ მოიღწევა. ამ დროს ქრება
„მე“, მოიღწევა „არარა“. მაგრამ ეს სრულიებითაც არაა ის
„არარა“, დასავლეთში რომ გულისხმობენ მასში. უმაღ პი-
რიქითაა: ესაა სამყარო სულისა, სიცალიერ¹¹, სადაც აგ-
ვნი იძენენ თავადობას, სადაც მოშლილია ყოველნაირი წი-
ნალობა, ზღვარი, სადაც თავისუფალი მიმარებანია ყოველი-
ვენი ყოველისფერთან.

რაღა თქმა უნდა, ძენსაც ყავს მოძღვარნი. ისინი მონ-
ღის¹² მეოხებით წვრთნიან შეგარდებს, აცნობიერებენ ძენის
ძველთქველს ლიტერატურაში; მხოლოდ შეგირდი თავისი აზ-
რების ერთადერთ მმრძანებლად რჩება და სატორის მდგომა-
რეობასაც საკეთარი ძალისხმევით აღწევს. აქ უმაღ ინტუი-
ციას მთავარი, ვიდრე ლოგიკა, უმაღ შინაგანი გაღვიძების
აქტი — სატორი, ვიდრე სხვათაგან შექმნებულნი ცოდნა.

„სიტყვათ შეხამებაშია“ ჭეშმარიტება, „ჭეშმარიტება სი-
ტყვეში როდია“¹³. „ქუხსლამგვარი სინუფა“ წარკვეთით
წართქმული ეს წყობილსიტყვა.

პირველი პატრიარქი ძენის სექტისა ჩინეთში, დარუმ-
დაისი,¹⁴ „ცხრა წელს კედლისკენ მზირალს“ რომ უწოდებენ
კიდევ, ამბობენ, ნამდვილად იჯდა ცხრა წელი მღვიმეში,
შტერებდა კედელს, და მდუმარებაში დანთქმულს განუც-
ღია სატორი. სწორედ აქედან დაედო დასაბამი ძენს.

გერახებინა — ეზრახები.
სღუმან და — უფნობ.
რა გიძივს სულში
იღუშალი,
ბრძენო დარუმა?

აი კიდევ ერთი შემგონებლური ლექსი იგივე იკიუსი:

როგორ ვიპროთ —
რა ფიქრია გულს
დაფარული?
ფიქვთა შრიალი
სუმიეჟი.¹⁵

ამაშია არსი აღმოსავლური ფერწერისა. ცარიელ, შეუგ-
სებელ სივრცეში ყალმის ხსარტ მისმეშშია ნახატ სუმიეს
მომხიბლობა.

ტინ-ნუნმა¹⁶ თქვა: „თქვენ ხატავთ რტოს და გესმით,
ვითარ უსტვენს ქარი“. ხოლო დღევანა: „ბამბუკის შრიალში
არაა განა გზა ვასხივისონისაკენ? განა საკურის ყვაილობა-
ში არაა გაცისკრება სულისა?“ იქმანის¹⁷ დიდებით მოსილ-
მა ხელოვნანა იკენობო სენ-მოს (1532-1554) „იღუშალ და-
ლადში“ ბრძანა: „ბუმეზაზ მთებსა და წყალუხვ მდინა-
რეებს წარმოსახავს პეშვი წყვილ და ციქქნა მცენარე. აურაც-
ხელი გარდასახვების იღუშალუბანი ძალგიძს განიცადო წამი-
ერად. ჯადოქართა სასწაულებს ჰგავს ყოველი“.

იაპონური ბაღებიც წარმოსახვენ ბუნების სიდადეს,
თუი ვერცერთი ბაღები, წესისამებრ, სიმეტრიულად არი-
ან გაშენებულნი, იაპონური ბაღები ასიმეტრიულია. ალბათ
იმიტომ, რომ უმაღ ასიმეტრია წარმოსახავს ბუნების მრ-

ვალფეროვნებასა და სიდიადეს, ვინმე სიმეტრია. მართლაც, აიათოღლათის ჩვეულ სინატივის დასტურია ასიმეტრია. არაფერი არაა უფრო რთული, მრავალფეროვანი, უმეტეს წერტილმანამდე გასურებად, როგორც იაპონური საბალო ხელოვნება. იმინარად ლაგდებიან დიდი და მომცრო ქვები „მარალი ლანდმატისას“, რომ მთების, მდინარეებისა და კლდეს მინარცებელი კოეანის ტალღების შთაბეჭდილებასაც კი ქმნიან ქვათა ოგეანში. იაპონური ბონაია¹⁸ და ბონსეკი¹⁹ ლაკონიუოზის ზღვარია. „სან“-ისა-გან (მთა) და „სუ“-საგან (წყალი) შედგება სიტყვა „ლანდ-მატეი“ — „სანსუი“²⁰ და დაძუს წარმოსახვის პიუსაი ვით ბუნებაში, ისე ნახატზე, ან ბაღში, ან წარმოსახვის „ობ-ლობა, მიუსაფობა“, რაიმე „სევიანი, საცოდავი“.

თუ კი ვაბი-საბი²¹, ჩაის მცენიერებაში აგრე დიდად დაფსებული, მომიცელი „პარონიისი. იაპონიაში, ჩაის ცერე-მონიისას, ჩაის თაბის ნიშან დღესაც ერთი გაუმოვლი ყვავილი დგას მხოლოდ. დროისმეორე ირჩევენ ყვავილებს, ზამთარში—ზამთრისას, მაგალითად, გაუმოვლი²² ან კან-შალია „გეობისას“, რაც მომცრო ყვავილებით გამოირჩევა სხვა ჯიშებისაგან. იღებენ ერთ თეთრ კოკორს. თეთრი ფერი ყველაზე წინად და ყველაზე სასევა. შეიცავს ყველა დანარ-ჩენ ფერს. ნამიანი უნდა იყოს კოკორი. შევიდოთან ყვავილი წყლით დაწმით. მაისში, ჩაის ცერეზონიისათვის, სელა-დონის ლარნაკში მოსათავსებლად თეთრი იორდასლაძის კოკორია განსაკუთრებით მშვენიერი. იგიც ნამიანი უნდა იყოს. სხვათა შორის, სასურველია არა მარტო კოკორი, ფაიფუ-რის ლარნაკის კარგად დანამავც წყლით, კიდრე მასში ყვავილი ჩაიდგმებოდეს.

იაპონიაში ყვავილათვის ძველებური იგები (XV-XVI სს.) ფასოს ყველაზე მეტად ფაიფურის ლარნაკებს შორის. ყველაზე ძვირნიც ისინი არიან. წყლით დანამისას იღვიძებენ, ცოცხლდებიან ისინი. უმსურვალეს ცეცხლზე ხდება მათი გაცოცხლება. ჩალის ბოლი და ფერფლი ფინებია მის ზედაპირის და რაგია სიმსურვალე კლებლობის, ლარნაკი ქუქურით იფარება თითქოს. ეს არაა ხელგარჯილობითი ხელოვნება, არც ნახატატარია, თავად ლუწისმეორია იგი: მიხეულ თვისებებზე და ჯიშობაზე ჰკიდია მასეკლონიერული შესაგება ყვავილი. ძველებურ იგებზე სინოტივის მეოხებით იქნენ მგრძობიარე ელვარებას დიდი, ირიბი, მკვეთრი ჩუქურთმა და ყვავილის ნამათა ერთად ერთიან რიტში იწყებს სუნთქვას.

ჩაის ცერემონიის ადათების მიხედვით ხმარებამდე ნამა-ფენი აგრეთვე ფინჯანს, მასაც რომ მიანიჭონ ბუნებრივი სიმ-შვენიერე. იკნობო სენ-ომ „იოდული ლადლი“ ბრძანა: „მინდვები, მთები, ნაპირები—თავიანთ ხალხურ ხედვები“. ყვავილის ასლებური გაგება შემოიტანა მან იქებანის მისეულ სეაოლით, აღმოაჩინა, რომ დაბზარულ ლარნაკშიც და გამზარ რტორეც ხელეწიფებთ ყვავილებს გამოიწვიონ გა-

ცისკროვნება. „უმალეს სიბრძნეს აღწევდენ წინარები ყვავილთა შესამებთ.“ ეს ძენის ზემოქმედებით გაიღვიძა სუნთქვოს სულმა იაპონის მშვენიერებას და კიდევ ალაბთ იმ-ტომ, „მშვეთვარ ხანაში რომ მიხუდა ცხოვრება.“

„ისე—მონოგატარში“²³ ძველთქველეს კრებულში იაპონურ უტამონოგატარებს შორის, მრავალი პატარა ნოველაა. ერთი მათგანი მოგვითხრობს, თუ რამდენი ყვავილი გამოდგა სტუმარი წვევისას არივრა ორხიხარამ. „იყო რა უფაქიუსე ადამიანი, მან ლარნაკში ჩასო არაჩვეულებრივი ყვავილი გლიცინისა: სიგრძით სამნახევარი ფუტი იყო მისი მოქნილი ღერო“. რა თქმა უნდა, გლიცინია, სამნახევარი ფუტის სიგრძისა, არაჩვეულებრივი მოვლენა, დაუკუნრებელიცაა, მაგრამ ხეიანის კულტურის სიმბოლოს გვერეტ ამ ყვავილით. გლიცინია ყვავილი ელვანატური, ქალური—წყობილად იაპონური. ყვავილობისას, ნიავისაგან მსუბუქად დარწმუნო იზნიქება შეუმწყვლად, ნარნარად, სათუთად, ხან მომინარე ზაფხულისპირა მობობინე სიმწვანეში, ხანაც მალული; იგი შესანიშნავად წარმოსახავს მონონ ი ავარს.²⁴ სათერად მებდენი უნდა იყოს გრძელღეროანი გლიცინია.

დასალოებით ათასი წლის მიღმა, თავის ყაიდად რომ შეითვისა ტანის ეპოქის²⁵ კულტურა, იაპონიამ შექმნა უბრწყინვალესი კულტურა ხეიანისა. ისეთივე არაჩვეულებრივი საკვირველება იაპონელებში შობილი მშვენიერების გრძნობა, ვითარცა ზემოთ აღწერილი გლიცინია. პოეზიაში 905 წელს იშვა პირველი სამიშპრატორ ანთოლოგია „კოკინსიუ“. პრუსული, X-XI საუკუნეებში მოგვიწინებ იაპონური კლასიკური ლიტერატურის შედევრები: „ისე-მონოგატარი“ (X სა-კუნეში), მურასაკი სიკიბუს „გენძი— მონოგატარი“ (970-1002); სეი სიონგანის (966-1017, უკანასკნელი მონაცემებით) „მაკურა-ნო სისი“ („ჩანაწერი სასურველი პოეზიისა“). ხეიანის ეპოქაში ჩაისხა კულტი მშვენიერებისა, რომელიც არა მარტო რვა საუკუნის მანძილზე ახდენდა გავლენას მე-რამდენი ლიტერატურაზე, განსაზღვრა კიდევ მისი ხასია-ნი²⁶. „გენძი-მონოგატარი“ მწვერვალა იაპონური პოეზიისა. დღემდე არაფერი შექმნილა მისი დასადარი. ამჟამად სასურვარეთაც ბევრი უწოდებს მსოფლიო საოცრებას ამ ბრწყინვალე, არსით ასეთ თანამედროვე ქმნილებას, ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში რომ იშვა. არც თუ ისე კარგად ვფლობი სიყმაწვილეში ძველ ენას, მაინც ვკითხულობდი ხეიანის ლიტერატურას. ალბათ, სწორედ მაშინ დაატყვევა ჩემი სული ამ მოთხრობამ. მის მერმე, რაც ეს ქმნილება იშვა, მარად მის-კემ მილიტოვალ იაპონური ლიტერატურა—საკუნეთა წიად უსაუფრო იყო მისი გავლენა. ხელოვნური ყოველი სა-ხეობა, დაწვეული გამოყენებითი და გათავებული ბაღების განლაგების ხელოვნებით, პოეზიაზე რომ არაფერი ვთქვით, „გენძი“ პოეზება წყარის მშვენიერებისას.

მურასაკი სიკიბუ, სეი სიონგანი, იშუმი სიკიბუ, აკამო-ე მემირი და სახელგანთქმული სხვა პოეტ ქალები, დიდგარ-როვანი ბანოფები იყვნენ. საკაო კულტურის წარმოადგენ-და ხეიანის კულტურა. ამიტომაც იგი ქალური. ამ კულტურის უმაღლესი აყვავების ხანა იყო „გენძი-მონოგატარისა“ და „მაკურა ნო სისი“ ხანა. ამ სიმწიფის მწვერვალადან დაღ-მარდაბნის განიცდის უკვე. მისი დიდების მიწურებს მოასწა-ვებდა მასში გამოშვებულე სევდა. ეს იყო მანა იაპონიაში საკაო კულტურის აყვავებისა.

უახლოეს ხანში იმდენად დაუძლურდა სამიშპრატორ კა-

რი, რომ არისტოკრატიიდან (კუგე) მხედარ-სამურავების (ბუსი) ხელში გადავიდა ძალმოსილება, დაიწყო კამაკურას ხანა (1192-1333). ნეიძის (1868) დასაწყისამდე, დაახლოებით შვიდ საუკუნეს გასტანა სამურავების სახელმწიფოებრივმა მმართველობამ.

მაგრამ, არც საიმპერატორო წყობას, არც საკარო კულტურას არ ჩაუვლია უკვალოდ. კამაკურას ხანის დასაწყისში შეადგინეს კიდევ ერთი ანთოლოგია ლექსებისა — „ახალი კოკინსიუ“ (1205), ხეიანის „კოკინსიუს“ პოეტური ხელოვნების კანონებს რომ ავითარებდა. რა თქმა უნდა, მასშიც შეინიშნება სიტყვათა თამაშით გატაცება, თუმცა იოენის, აუგენისა და იოძის²⁷ უმთავრესი ხასიათით, გრძნობათა ვეფერულობით, თანამედროვე სიმბოლოსტურ პოეზიას უახლოვდება. პოეტმა საიგიო-ნოსიმ (1118-1190) შეაერთა ხეიანისა და კამაკურას ეპოქები.

ვფიქრობდი მასზე,
ამნაირად ჩამთვლიმა კიდევ.
და ის მოვიდა...
ო, რომ მცოდნოდა, ზმანება იყო ეს ყოველი,
მე აროდეს გავიღვიძებო.

სიზმრის ბილიკზე
უპოვარი
დაჯებებო,
მაგრამ, რატომღაც,
აქ ერთხელაც ვერ შევეპარე.

ეს ლექსები „კოკინსიუდანაა“, პოეტ ქალის ონო-ნო კომატისა. და თუმცა, სიზმრებზეა ისინი, რეალურად არიან აღსაცემნი. „ახალი კოკინსიუს“ მერე აღმოცენებული პოეზია, ერთთავად ნატურასთანაა ახლო.

ბამბუკის ქალით
ბელღურების ფივივი
ისმის.
შვის ანარეკლი
შემოდგომურ ფერში იღვრება.

ბალში სად ოდენ
ხავის²⁸ ბუჩქი ჩამოყურსულა,
ამოდ ქრის ქარი გაზაფხულისა.
მზეი ბინდისა
კედლებს მიღმა მიეწვერება

ეს კი კამაკურას მიმწახარია, ლექსები იმპერატორ ქალის ეიფუკუსი (1271-1342). იაპონელთათვის ჩვეულ უუაქი-ზეს სედას რომ განასახიერებს, ჩემი აზრით, ფრიად თანადროულად ქვრის.

ბერი ღოგენი, შემთხვევლი ლექსისა „წმინდა და ცივი თოვლი ზამთარში“ და ბრძენი მოე, შემთხვევლი ლექსისა „ჩემი გამცილებელი ზამთრის მთვარე“, — ორივენი „ახალი კოკინსიუს“ ეპოქას განეკუთვნებიან.

მოე და საიგიო ერთურთისადმი მიძღვნილი ლექსებით ბასობდნენ პოეზიაზე:

„ყოველთვის, როცა მობრძანდებოდა ბერი საიგიო, სჯიდა ლექსებს, ამობოდა: მე ჩემი, სხვათაგან განსხვავებულა შეხედულება მაქვს პოეზიაზე მართალია, მეც ვუმღერ ყვავილებს, გუგულებს, მთვარეს, ერთი სიტყვით, ყოველ მოგულენას სამყაროსისა, მაგრამ არსებითად, ყველა ესენი ერთი ხილულობაა, თვალებს რომ აბრმავეგენ და სმენას ახშობენ.





ჩვენ რომ ლექსებს ვთხზავთ, განა ჭეშმარიტია პიტყვები იგი? როს ყვაგილებზე წერ, ხომ არ ფიქრობ, ეს რომ ჭეშმარიტად ყვაგილებაა. როს მივარეუე წერ, არ ფიქრობ მივარეუე. ჩვენ წარმოსახავთ მხოლოდ იმისა დარს, რაც გვესრს, რისკენაც მივლტვებით ნიადღე. განწვენება წითელი ცისარტყელა და გვერნება ფერმკრთალი ზეცა შეიფერაო. ამოწთება მზე და გაიცისკროვნებს უსასრულო ზეცას. განა თავად შეიფერა და გაიცისკროვნა ზეცა? და ჩვენც, ამა ზეცისა დრად გაფერანებთ ჩვენს სულში ნაირგვარ სავნებს ნაირფერებად, რაიც უკვლიოდ ჭჭრება. მაგრამ მხოლოდ ასეთ პუზიას ძა-

ლუმს წარმოსახოს ჭეშმარიტება ბუდასი“ (მიოეს ბიოგრაფია იდასი“, მისი მიწაფე ტვის გიკასია).

ამ სიტყვებში შეფარულია იამონური, უფრო სწორად, აღმოსავლური იღეა „სიკარეილისა“, „არაყაფილობისა“. ჩემს მოთრბებშიც შენიშნავენ „არყოფილობას“, მაგრამ ეს სულაც არაა ის, ნიმილიზმ რომ უწოდებენ დასავლეთში. ჩემი აზრით, თავად ჩვენი სულიერი აგებულების საფუძვლენია განსხვავებული. დიგენის დროისმიერი ლექსები, „დასაბამ სახედ“ სახედლებული, წლის თოხი დროის მწვენებას რომ უმღერიან, არის კიდევაც ძენი.

შ ე ნ ი შ ნ ა ნ ბ ე :

1 უტა-მინოგატარი ლიტერატურის განსაკუთრებული სახეობაა, სადაც ლექსები შენიაცვებულია პროზასთან. აღმოცენდა ხეიანის ეპოქაში (IX-XII ს.).

2 ზუსტად „მაქან“ — ჯდომა ძენის მღვობარებაში, ფეხებგადაჯვარდინებული, უძრავად, მღუმარედ, თვალდახუტული.

3 ტანკას მტრული კანონი, რომელიც არ იცნობს რთობას, გულისხმობს 5-7-5-7-7 მარცვლიან სტრიქონთა შენიაცვლებას, სულ ოცდაათმეტ მარცვალს.

4 ზუსტად — ჩაისი გზა“ — „ტიადლო“, გზა სიწმინდისა და სიღაჭიზისა, პარმიონული მფლიანობის მიღწევისა გარემომცველ სამყაროსთან.

5 სატორი — გაიცისკროვნება, გახსოვინება, ნირგანასაგან განსხვავებით ჭეშმარიტების წამიერი წვდომა მოულოდნელი შენიგანა გადაღებით.

6 მთხბაცუ — ლიტერატურის ძანრი, ზუსტად: „მიდევნება ყალამზე“, ჩაწერა ყოველივესი, რაც თავში მოგვით, ესეც.

7 იკიუს შესახებ გამოდიოდა ანგედოტებისა და მოთხობების წიგნები: 1700 წელს „იკიუს-ბანასი“, 1725 წელს „იკიუს ბანასი“ და სხვ.

8 იაბონური ლექსები ჩინურ ენაზე.

9 კავშირი — ნახატ-გრაფილი, ანდა ხელწერილობითი ნიმუში, შესრულებული აბრეშუმზე და ქაღალდზე.

10 ჩინეთში, ტანის ეპოქაში (VII-X სს.), სექტა ჩანის (იპ. ძენი) ისტატის ლინ-ცის სიტყვები.

11 „სიცილიერე“ — როგორც განწმუნდა, განთავისუფლება ადამიანული ყოფიერების არსებელი ფორმებისაგან, ვანახლება ადამიანის ჭეშმარიტი პირველუნებისა — გამჭვირაველ პირველყოფილი ყოფიერების არსისაგან დაბრუნება.

12 მინდი — დიალიგი ოსტატსა და შევიარდს შორის, მათი საუბრის აზრის მიღწევა არა რაციონალური, არამედ ინტუიციის გზით. შევიარდის ამოცანა — შეაღწის მასწავლებლის სულიერ მღვობარებაში, მის სულიერ რიტმში.

13 ჭეშმარიტება ჭეჭრება, სიტყვათმიმიერიცა, წიგნებითა და სიტყვებით არ გადმოიყვამ. შეუძლებელია მისი შეგენება, უნდა განიცადო. ექსტატიკური აღმის წაის ცნაურება“, — ამბობდა სუძუკი.

14 დადუმის უდიდესი მოძღვარი — ინდოეთის პრინცის ბო დიდარმის ბაბონური სახელი, VI საუკუნეში სექტა ჩანის დამაარტებელი ჩინეთში.

15 სუძუკი — ნახატი შესრულებული ტუმით. სუძუკი ამ სახე-

ბის ფერწერის მეოთხს ასე ახასიათებს: „უქმედ გერვენებათ, თითქოს ყალბი მოპარობს თავისთავად, გარეშე მხატვრის ნებულობის, ოდნავადაც რომ არ უშლის მას მოპარობას... თუ ყალბსა და ქალაღს შორის რაიმე აზრი ან განზრახვა აღმეტება, ქარწულდება მთელი ეგვეტია“.

16 ტინენი (1687-1763) — ჩინელი მხატვარი და პოეტი.

17 იქებანი — ყვაგილთა შესახება ლინკაში, ყვაგილები ლინკაში.

18 ბონსი — ცეროდენა ხე ლანგარზე.

19 ბონსი — ჭეჭვის მინიატურული ბაღი ლანგარზე.

20 ვიხა-სიბი — ეს წყობილიცევა აღნიშნავს ჩვეულებრივ, შეუშნეველ ბუნებრივ სისადაეს მშვენიერებასს.

21 რიკიუ (1522-1591) — ჩაის ცერეუნიისა და იქებანის ააბონული ოსტატა.

22 პარადუმენე ყვაგილოვანი ბუქჩნარი.

23 „ისე“ — მონოგატარი“ — მოთხრობა ისეს შესახებ (X ს.). მის აბტორობას პოეტ არიგარა ნაიხიზისა მიაწერენ.

24 მონონო ავარე — „მოშობილობა სავანით“, უზენაესი სილა-მანზე, ყოველ სავანში რომა მძაღლი და, რის გასამედვენებადაც პოეტია მოწოდებული; სილამანზე, პარმიონულობის შეგარტებას რომ ბაღებს დამაიმამე, ერთიანობა საყვარისთან.

25 ტანის ეპოქა (VII-X სს.) — ეპოქა ჩინური კულტურის ყვაგიებისა.

26 როცა იასუნარი კავბატა „ნინონ ნო ბის“ — „იაბონური მშვენიერების“ შესახებ ლაბარაკობს, ყოველივის მხედველობაში აქვს მშვენიერების მძაფრი შეგარტება, მშვენიერების წვდომის ნიჭი ცხოვრებისეულ ნებისმიერ მოვლენაში, მშვენიერებისაგან ქედ-მოხრა მის ყოველ გამოვლენაში. ეს თავისებური ესთეტიზმი — იაბონულითა ცერეული ბუნების ერთი თვისებათაგანია.

27 იიონი — მოშობილელი, მომავადოებელი; იიუნა — ფარული იღუმელი, ფარული არსი სავანთა, ხელავენის გასამედვენებად რომა მოწოდებული. იიონი — დაუმთავრებელი, ის, რაც იგულისხმება, რაც „სიტყვათმიმიერიცა“ — იგევე, ფარული არსი სავანთა ყველა ესენი იაბონური ესთეტიკის ძირითადი კატეგორიებია.

28 ხავი — დეკორატიული ბუქჩნარი.

29 „არაკა“ (ანუ „არყოფილობა“) — აღმოსავლური მსოფლმხედველობით ჩვენი გვეების საწინააღმდეგოა. „არაკა“ — სამყაროს მთლიანობა, სიადამე იმების და რომელსაც უბრუნდება ყოველი რეალური სამყარო მხოლოდ გამოვლენა ამ საყველთაო „არაკასი“.

თარგმან ლარი ალიონოზაძე.



თან ერთად, ფილმისათვის შესატყვისი მუსიკის შექმნისათვის კითხვას აყენებდა. ამრიგად, ხმოვანი კინოს მოახლოვება რეჟისორისთვის უკვე 20-იანი წლების შრომებშიც, რომლებიც მრავალად მოიპოვება. საკმარისია გავიხსენოთ უნგრელი თეორეტიკოსის ბელა ბალაშის (ქართული კინოს დიდი მეგობრის) გამოკვლევა, ინგლისელი ხელოვნებისმცოდნის ფრედერიკო ტალობტის, ფრანგი ლეონ მუჟინაქისა და სხვათა შრომები და უმაღლეს ნათელი გახდება ხმოვანი კინოსკენ მიმართული ძიებების მრავალგვაროვნება.

პესნიკა — ფილმი

ახრობრივი კომპონენტი

მუხჯი კინოს ეპოქაში აღინიშნება ისეთი ცდებიც, როდესაც რეჟისორები ხედვითი მასალის თანმიმდევრობას აგებდნენ მუსიკალური ფორმის მიხედვით. ამის ბრწყინვალე მაგალითია პუდოვკინის ფილმი „დედა“ (1926 წ.), რომელშიც ავტორმა მასალის ორგანიზაცია სონატური ციკლის კომპოზიციური კანონების საფუძველზე მოახდინა.

ხედავით მასალის აგვის ამდგვარ მეთოდს მიმართა ნ. შენგელაია მაც თავის ბრწყინვალე ფილმში „ელისო“.

მუხჯი კინოს ეპოქაში მუსიკა წარმოადგენდა გამოსახულების ემოციური ზემოქმედების გასაძლიერებელ საშუალებას. იგი მთელი ფილმის მანძილზე ხმოვანდება. მაგრამ ფილმის ავტორები ერთბაშად იშვიათად (განსაკუთრებული პრემიერების დროს) ირჩევდნენ ისეთ მუსიკალურ თანხლებას, რომელიც კინოსურათს ესადაგებოდა. ზოგჯერ ამა თუ იმ კინოკომპანიის მუსიკალური განყოფილებანი ფრავენტებისაგან ადგენდნენ ერთგვარ მუსიკალურ კრებულებს, რომლებშიც ითვალისწინებდნენ ფილმის განწყობილებას, ტემპსა და რიტმს. გაფილმებთ უფრო იშვიათად იწყებოდა მუსიკა სპეციალურად ფილმისთვის, რომელიც უმაღლესად მაღალხარისხიანი გამოიჩინებოდა. ასეთი იყო ე. მაიხელის მუსიკა ფილმებისთვის „ჯავშნოსანი“, „პოტიომკინი“ და „ოქტომბერი“. ცნობილია, რომ გერმანიის ზოგიერთი პროდუქციის მმართველები ფილმში „ჯავშნოსანი“ „პოტიომკინის“ კი არ კრძალავდნენ, არამედ მხოლოდ მის მუსიკას, როგორც ნაწარმოების იდეის გამომხატველს. სამუშაოდ, ეს სიტუაცია უფრო-უკველად გაქრა და იძულებული ვართ დავუყვარდნოთ მხოლოდ ცნობილი კინოთეორეტიკოსის აიგორ მონტეგუუს გადმოცემას.

ოღლა თაბუკაშვილი

ჩემი პირობით 20-იანი წლების დამდეგს, როცა კინემატოგრაფი მუხჯი იყო, საბჭოთა და სახელმწიფოების რეჟისორები და თეორეტიკოსები ცდილობდნენ თავიანთ შრომებში იმ სპეციფიკური ფაქტორების გამოყოფასა და განსაზღვრას, რომლებიც ქმნიდნენ საკუთრივ ფილმის ხელოვნებას. ასეთი იყო გერმანელი მეცნიერის, ესთეტიკის სპეციალისტის რუდოლფ გარმის წიგნი „ფილმის ფილოსოფია“ (რუსულ ენაზე ითარგმნა 1927 წელს), რომელშიც მან ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: მუსიკა კინოში, მიმასველობითი მუსიკა და მისი კრიტიკა, მექანიკური მუსიკის პრაქტიკული გამოუსადეგრობა, სპეციალური საფილმი მუსიკის პრობლემა, ფილმის შინაგანი მუსიკალური, მუსიკალური აკომპანემენტის ესთეტიკური ამოცანები, მუსიკისა და ფილმის კავშირი. მართალია, ავტორს მხედველობაში ჰქონდა მუნჯი კინოსურათის მუსიკალური თანხლება, მაგრამ ამავე დროს იგი ცდილობდა მუსიკის ადგილის განჭვრეტას მომავლის საცქერო ხელოვნებაში. მის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს შემდეგში კინორაქტიკოსები ანხორციელებდნენ. რ. გარმი წერდა, რომ „მუსიკა კინოში (გულისხმობდა ფილმის აკომპანემენტს) არა მარტო აღწერს და განმარტავს მოქმედებას, არამედ ქმნის კიდევ განწყობილებას. ამიტომაც ესოდნენ მნიშვნელოვანი მისი ამოცანები. მუსიკა ფილმში არ უნდა იყოს თვითმხუნური. მუსიკალურმა აკომპანემენტმა უნდა შექმნას ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთის გამამდიდრებელი მომენტები“. გარმი, თეორეტიკოს ლანჩეს-

ხმამ ნამდვილი რეფლექტია მოახდინა კინოხელოვნებაში. სიტყვამ, მუსიკამ, ხმაურმა საფუძვლიანად შესცვალა კინოს სპეციფიკა, მისი გამომსახველობითი საშუალებანი, სტილისტიკა, პოეტიკა. ბევრის შემთხვევაში კინემატოგრაფიაში ეკრანის მრავალი დიდოსტატი შეკრათ. ჩარლი ჩაპლინი და რენე კლერი თვლიდნენ, რომ „კინოს სპეციალი ელლია“.

მხოლოდ ეიუნგშტეინი, როგორც ეს ვიციობრებულა კინოს ისტორიაში, არ შეუშინდა ხმას, მიიღო და მიესალმა მას. თავის საპროგრამო გამოკვლევაში „რეტრიკალური მონტაჟი“ იგი მოუწოდებდა იმ წინააღმდეგობის დაძლევისკენ, რომელიც არსებობდა გამოსახულებასა და ბგერას, ხედვისათა და სმენითი სამკაროებს შორის.

მას შემდეგ, რაც ფირვე გამოსახულებასთან ერთად, მუსიკის ფუნქციონირება გახდა შესაძლებელი, კინომუსიკით დაინტერესდნენ გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორები. პირველ ხმობან საბჭოთა ფილმებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1931 წელს გადაღებული „ერთი“ („Один“, რეჟისორები: კონსტანტინ და ტრაუბურგი) და „ოქროს თოები“ (რეჟ. იუტკევიჩი), რომლებშიც თანამშრომლობდა ახალგაზრდა კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი. ავტორებმა ამ ფილმებს შეუქმ-



ნეს ძალზე გამოძახებული ბეგარი გაფორმება. რომელშიც მუსიკა, ხმარეს ეფუძნები და მეტყველება ორგანულად ერწყმიოდნენ დრამატულ მოვლენებს.

მილოდნენ წლები. კინემატოგრაფისტები სულ უფრო ღრმად წვდომდნენ სივრცის კინოს ბუნებას. თანდათან მიმდინარეობდა ფილმის შინაგანი სტრუქტურის გარდაქმნა: ფილმის სხვა კომპონენტებთან ერთად, ველოუციის განიცდიდა და მუსიკაც, ყოველივე ამან კინოსელთაგან ყველაზე უფრო პოლიფუნქციურ ხელოვნებად აქცია.

კინემატოგრაფი აერთიანებს ხელოვნების სხვადასხვა დარგის თვისებებს. იგი ერთდროულად ლიტერატურაცაა, თეატრიც, მხატვრობაც, მუსიკაც. მაგრამ კინოხელოვნების მიერ განცდილია გზამ თვალსაჩინო გასადა ერთი კანონზომიერება — კინოს, უპირველესად ყოვლისა, ავსებს და ამდიდრებს ამ ხელოვნებათა განმსხვავებელი თვისებები. კინემატოგრაფიული სინთეზისათვის საჭიროა ან სი ხელოვნების სპეციფიკური თავისებურება, რომელიც საკერძო გამოხატულების ილუსტრირებას კი არ მოახდენს, არამედ გააღრმავებს და გააძლიერებს მას თვით გამოხატულებისათვის მიუწვდომელი საშუალებებით, რომლებიც მის ქვეტექსტში იგულისხმებიან.

ერთი სიტყვით მხედველობაში გვაქვს თვისობრივად ახალი სახეობა, რომლის ელემენტები, ერთი მხრივ, მჭიდროდ უკავშირდებიან ურთიერთს, ხოლო, მეორე მხრივ, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მთლიანობა როდესაც სპობს შემადგენელ ნაწილებს, პირიქით, ეს ნაწილებს ინარჩუნებენ გამოსავის შინაგან ძალს და მთლიანობას ენასაზღვრებიან. ისინი (ველოუსიზმით დივალურ ვარიანტს) სწვევები საერთო ამოცანას, მაგრამ სხვადასხვა გზით. ისინი ფილმის თანაავტორები არიან და ამავე დროს ინარჩუნებენ სუვერენულ დამოუკიდებლობასაც.

როცა ეგრანისა და მუსიკის ურთიერთობის პრობლემაზე ვფიქრობთ, უნებურად გვაკონდაც კრიაბინის სიტყვები — „მუსიკას აზრი აცოცხლებს“. ამასვე ადასტურებს საბჭოთა კინოს ისტორია, მისი კლასიკა, სახელმძღვანელო, ეიუნშტეინისა და პრუკოფივის თანამშრომლობით შექმნილი ფილმები, რომლებიც ხორცი შესახებ სკრიაბინისეულ სიტყვებს. ამასვე ადასტურებენ ეიუნშტეინის თეორიული გამოკვლევები.

ს. პროკოფივის ერთ-ერთ თავის გამოსვლაში აღნიშნავს: „ეიუნშტეინი იმდენად დიდ აზრობის უწყვეტ მუსიკას, რომ ზოგჯერ მზად იყო მსხვერპლად გაეღო კინემატოგრაფიული მასალა, რათა მისი მუსიკალური ეკვივალენტი არ დარღვეულიყო“.

ეიუნშტეინი გვიამბობს, თუ როგორ მუშაობდა იგი კომპოზიტორთან ერთად მუსიკალური და ხედვითი კომპონენტების თანაფარდობაზე, მოუთმენლად ელოდა იმ მომენტს, როცა ერთი რივის (დაეუშავთ მუსიკალურის) ელემენტები შეესიტყვებოდნენ მეორე რივის ელემენტებს. ეიუნშტეინი მუსიკისა და გამოხატულების პარალელისმის სასტიკი წინააღმდეგე იყო. იგი მისწრაფოდა მიძრაობათა სრული თანახვედრობასაც.

მუსიკალურ მიძრაობას ძალუქს არა მარტო გამოსახვის საკერძო მიძრაობა, არამედ გამამაფროს კლდე, მოხანძროს მისი პტორიათა. თუ მუნჯე კინოში მუსიკალური ხას ვამოხატულებიდან გამომდინარე იქმნება, თანამედროვე კინემატოგრაფიაში გამოსახულება შეიძლება სასუბით დაეუშორილთ მუსიკალურ ჩანაფიქრს. რა თქმა უნდა, აქ არ ვულის-

სმობთ თემატურ თანხვედრობობას (პეისაჟური გამოსახულება — პეისაჟური მუსიკალური ჩანახატი). სხვათა შორის, თემატური თანხვედრობობა დამასასიათებელი იყო წარსულის კინოწარმოდებთათვის. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ქართულ კინოში კომპოზიტორები და რეჟისორები იბრძვიან ამდგვარი სტერეოტიპის წინააღმდეგ.

ახალგაზრდა კომპოზიტორები, ქართული მუსიკალური კულტურის ტრადიციებთან ერთად, კინემატოგრაფიაში შემოიტანეს თანამედროვე მსოფლმეგრანება და კინემატოგრაფიული ლექსიკის ცოდნა, რითაც საგრანძობლად გაამდიდრეს ჩვენი ფილმების ბეგერი-ხედვითი ნახაზი.

კომპოზიტორის საავტორო პოზიციის პრწყინავლ ნიმუშია ფილმ „შერეკლების“ მუსიკალური კონცეფცია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კინოწარმოების საერთო გადაწყვეტაში.

მუსიკისა და კინოს ურთიერთობის საკითხზე საგანგებოდ ვეგსურე ჩვენს რეჟისორებს. მაინტერესება მათი დამოკიდებულება ფილმის ამ არსებითი კომპონენტის — მუსიკის მიმართ.

რეჟისორებმა რ. ჩხეიძემ, შ. მანაგაძემ, ე. შენგელაიამ, ო. იოსელიანმა, ლ. ლობთბერიძემ, ნ. მანაგაძემ, ბ. ხოტივარმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი. ზოგიერთმა მხარი დაუჭირა ფილმის კომპილაციურ მუსიკალურ გადაწყვეტას, უმრავლესობა კი კომპოზიტორისაგან ილუსტრაციულ, ან ლიტმტივურ მუსიკას კი არ მოითხოვს არამედ ფილმის შესატყვის მუსიკალურ დრამატურგას.

მოვიყვან ნაწყვეტებს ჩვენი რეჟისორების საუბრიდან: რაშქი ჩხეიძემ — „კომპოზიტორსა და რეჟისორს შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი. მე, როგორც ფილმის დამდგმელმა, კომპოზიტორთან ერთად უნდა მივაგზო ფილმის ბეგერი დრამატურგისა და მოგახდინო მისი ორგანოზაცია ხედვით რიგთან. ამიტომაც კომპოზიტორი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ფილმის შექმნის პროცესში. უნდა ვებრძოლთ მუსიკალურ ილუსტრაციულს.“

არ ვეთანხმები ასეთ გამოთქმას — მუსიკა კინოში; მუსიკა ხომ ფილმის ტოლფასოვანი წევრია, ამიტომაც ესაა კინოშიც ისევე, როგორც კინოდრამატურგია, კინორეჟისურა, კინოოპერატორის ისტატობა.

ბეგრათა რიგი კონტრაპუნქტულად, დისონანსურად უნდა ენაცვლებოდეს ხედვით რიგს. ეს ბაღებს ახალ სახეებს. ამ გზით მივალვით განზოგადებულ აზროვნებას.

სამკრთისა გავისყენოთ ჩეხობის ცნობილი პიესის „სამი დღის“ ფინალი, სადაც ავტორი მუსიკალური რემარკებით აქარწყლებს საერთო განწყობილებას და ქმნის ახალ ემოციებს. აქ თვალსაჩინოა კონტრაპუნქტის შემოქმედების ძალა, რომლის ენაზეც პირადედ მე ასე მივიღებო.“

ლანა ლღობაძემ — „საწესხაროდ, ძალიან ხშირად კომპოზიტორები წერენ ისეთ მუსიკას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფილმის დრამატურგიულ სტრუქტურასთან. თუ კომპოზიტორი ორგანულად შედის ფილმის მხატვრულ ქსოვილში, მის დრამატურგიულსა და გამომსახველობით სტრუქტურაში, მაშინ იგი კონტრაპუნქტულად, ან საერთო მინარეზბასთან გავხარბში მიყვება ობობობის და ამ გზით ქმნის ფილმის მუსიკალურ-დრამატურგიულ კომპონენტს. ასეთი კომპონენტები შექმნეს ჩემს მიერ დადგმულ ფილმებში კომპოზიტორებმა ნ. მამისაშვილმა და გ. ყანჩელმა.“



ფილმის ბეგრით პარტიკულარში მუსიკალური რიგი ორ- განულად უნდა შეერწყას რეალურ ბეგრებსა და ხმაურებს.

ჩემი აზრით, ფილმის მასალა უფრო შეზღუდული უნდა იყოს. მასში უნდა ჭარბობდნენ მუსიკალური რეჟერები, რომლებიც მოგვცემენ ზუსტსა და სასოფან დახასიათებებს.

და კიდევ ერთი მოსაზრება — კინოში საჭირო არ არის დიდი ორკესტრების ხმობანა. მცირე შემადგენლობის ანსამბლებს, თუნდაც კობოს ან ფლეტის სოლის შეუღლება შეეძლება მკვეთრი ემოციური განწყობილება, რა თქმა უნდა, ფილმის დრამატურული სტრუქტურის შესაბამისად.

ელარი შენბელსი — „ჩემთვის არ არსებობა რეცეპტები. გადაიღია ფილმები უკვე არასებური მუსიკის მიხედვითაც ისეთი შემთხვევებით ყოფილა, როცა კომპოზიტორს მუსიკა დაუწერია უკვე გადაღებულ ხედვითი მასალის საფუძველზე. რა თქმა უნდა, სასურველია რომ კომპოზიტორი აქტიურად მონაწილეობდეს კინემატოგრაფიული შემოქმედების პროცესში. ასე ვმუშაობ მე კომპოზიტორ ვიყავი ყანჩელსა და ჯანსუღ კახიძესთან. ისინი ფილმის თანაბრფორმად არიან. როცა მათთან ერთად ვმუშაობდი, დავრწმუნდი, რომ კომპოზიტორი ფილმის გაფორმებულ კა არაა, არამედ მისი შემქმნელი. მაგრამ კომპოზიტორს პროფესიულ ნიჭთან და გამოცდილებასთან ერთად, უნდა გააჩნდეს კინემატოგრაფიის სპეციფიკის შეგრძობების უნარი. ჯ. ყანჩელი და ჯ. კახიძე, რომელთა გემორწმუნება მე საესტეტი ვენდობი, სწორად ერკვევიან კინოს სპეციფიკაში. ისინი ზუსტად გრძობენ სად როგორი მუსიკაა საჭირო. ჩვენი თანამეგობრობა გვიყარება ურთიერთ პიროფიციულ დნობას, ასე მაგალითად, როცა ჯ. ყანჩელი გვთხოვს „შერკატლებს“ სცენარს, მაშინვე თქვა, რომ მუსიკას ჯ. კახიძესთან ერთად დავწერდი. ჯ. კახიძე კი ქართული სალხური მუსიკის სტრუქტურას ბრწყინვალედ გრძობს. მართლაც, მუშაობის პროცესში ჩვენ დავრწმუნდით თუ რაოდენ მდიდარია და განსაკვიფრებელია მრავალფეროვნაა ფილმის ფოლკლორული მელოდების რიტიკა. და რაც უფრო ღრმად რეჟისორისა და კომპოზიტორის ურთიერთვაგება, მით უფრო თავისუფლად მოქმედებს კინოში კომპოზიტორი“.

მოსარ იოსელიანი — „სამწუხაროდ, მუსიკა ფილმში უმეტესად ატარებს გაფორმების ფუნქციას და არა დრამატურულს. ეს ჯერ კიდევ მუხჯი კინოდან მოდის, ფილმი ბალეტს ემსგავსება, როცა ცერანზე მიზნაა. როცა სევდა — მაშინ მუსიკა, როგორც წესი, ღირსეულია. ეს კინემატოგრაფიული გამოხატავლობითი საშუალებების სისუსტის გამოვლენაა. როცა რეჟისორი გრძობს, რომ გამოსახულება მაყურებელში არ იწვევს სათანადო ემოციებს, იგი კომპოზიტორის დახმარებას მიმართავს და ცდილობს მუსიკით გაამძაფროს ფილმის ემოციური მხარე. ამიტომაც გვიჩანს ხლმე, რომ მუსიკა ასეთ ფილმში საჭიროა მხოლოდ ემოციური შეფერილობისათვის.

ჭემპარტიკ კინონაწარმოებში კი, სადაც ხდება სინამდვილის სახეებით ოპერირება, ბეგრის ყოველი წყარო უნდა იყოს რეალური — გაემორიცხავ გრამაფონს, რადიოს, ორკესტრს რომლებსაც ჩვენ ვხედავთ ეკრანზე — მუსიკა ყოველთვის ხმაურთან უნდა იყოს შესაბამელი. თუ ფანჯრიდან ფორტპიანოზე ვარჯიშის ხმები ისმის, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ, იგი აუცილებლად უნდა იყოს ხმაურთან აღრეული, სხვაფერი ყველაფერი კარგავს აზრობრივ დანიშნულებას.

ამგვარად, მე საკუთარი შეხედულებანი გამაჩნია ფილმში კომპოზიტორი მუსიკის გამოყენებაზე. ძირითადად მიჭმარება მუსიკური, ეროვნული, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის კომპილაციის მეთოდი.

იმ შემთხვევაში, როცა ფილმი კონკრეტულ თამაშს მოითხოვს, როგორც ეს არის „იყო შაშვი მგალბოლში“, ამცონობის საჭიროება რომ არ წამოიჭრას, უჭკობესა ნაწინა ნაწარმოების გაორკესტრება. როგორც კი იწყება მუსიკალური მასალის აღქმის პროცესი, მაყურებელი მაშინვე ეთიშება ფილმის საერთო რიგს, მის ბეგრათხედვით სახეს.

პირადი ვე, ჩემს ფილმებში მივმართავ ლეიტმოტივების ფორმალურ ხერხს. „გიორგობისფერი“ — რადიოგადაცემის რეჟერები ქნინან სოციალური წრის სახესა და გაგებას. ან კიდევ ქუნიდან მომდინარე სასულ ორკესტრის ფერადობა, რომელსაც საესტეტი რეალური ხმობანება აქვს, დაბადებულია იმ მელრადი რეჟერინდან, რომელიც ცხოვრებისეული ორომბრალიის აზრს გამოხატავს.

რაც შეეხება ფილმში მუსიკის მონტაჟს, მან უნდა შექმნას შეუმწველი ფონი, რომელიც გააფართოვებს კადრის ჩარჩოებს — შექმნის ატმოსფეროს. ასეთ შემთხვევაში გამოსახულება და ბეგრათა რიგი კონტრასტულობის პრინციპით იგება. ასე მაგალითად, დრამატოზმით აღსაყუ ეპიზოდის დროს, რადიო მტად მხიარულ, მსუბუქ მელოდებს გადმოსცემს — ერთობადა იქმნება სრულიად საპირისპირო აზრობრივ ხაზი.

ჩემი აზრით, მუსიკა (თუ ხმაური) ფილმში სონატურობის პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული. და თუ გამოსახულებაც ამ პრინციპითაა ორგანიზებული, მაშინ ფილმი იძენს კომპოზიციურ სიმწყობრს“.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა მუსიკალურ ტელეფილმებზე. ეს სრულიად შესუვალებელი სფერო. შორსაა სრულყოფისაგან.

მუსიკალური ტელეფილმი მრავალ ჟანრს შეიცავს. ესაა. ფილმი-ოპერა, ფილმი-ბალეტი, ფილმი-კონცერტი, ფილმი-მონოგრაფია (რომელიმე კომპოზიტორსა ან შემსრულებელზე), ფილმი-რეჟიუ. ბუნებრივია, რომ თითოეული მათგანი ყვრდნობა ჟანრის კანონზომიერებებს. მაგრამ ტელევიზიისთვის დამახასიათებელი საშუალებების გამოყენებით ეს ჟანრები ახალ სახესხვაობას იძენენ. ამიტომაც ტელებალეტი საგრძნობლად განსხვავდება საკუთრივ ბალეტისაგან და ს. მსამწუხაროა, რომ ხშირად მუსიკალურ ტელეფილმებში ხედვითი რიგი აშობს ბეგრით რიგს. ამიტომაც ფონად იქცევა ის, რაც ძირითადი უნდა ყოფილიყო. ამის შედეგად მუსიკის როლი დაიკენება ილუსტრაციულობის დონემდე. მუსიკამ კი უნდა ჩამოაქნასაკოს სახითი და სიტუაციები, გამოხატოს საერთო განწყობილება, ეკრანზე მიმდინარე მოქმედება.

ერთი სიტყვით, მუსიკალური ტელეფილმების სპეციფიკა საფეჭლანა შესწავლასა და ანალიზს მოითხოვს. ასეთი საკითხები მრავალადა ისეთ ფართო პრობლემაში, როგორიცაა ეკრანი და მუსიკა. შესასწავლია აგრეთვე მუსიკის საკითხი დოკუმენტრსა და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტრუქტურაში, მიუზიკალა და სხვა ჟანრებში. ეს საკითხები ერთობლივად უნდა გამოიკვლიონ ჩვენმა მუსიკათმცოდნეებმა და კინომცოდნეებმა.



ალმანახი

„ურესკა“

„...რაც შეეხება ტურნალს, ჩვენი ყველაზე უნდა ვეცადოთ მჭობნის მჭობი გავზადოთ იგი...“

ბელონსკის წერილებიდან.

ედიშერ გიორგაძე

ჩვენი დედაქალაქის წიგნის მაღაზიების თაობებიდან ისევე როგორც ადრე, კვლავ ელვის სისწრაფით გაქრა ალმანახ „ურესკას“ ბოლო ნომერი.

ამ ალმანახს, რომელსაც მიზნად დაუსაზავს გათვითცნობიეროს მოზარდი თაობა მხატვრობის, ქანდაკების, არქიტექტურის საკითხებში, დიდალი მკითხველი ეტანება. მოზარდების გარდა უფროსებიც დიდი ინტერესით კითხულობენ მას.

„ურესკა“ უკვე რამდენიმე წელია, რაც არსებობს გამომცემლობა „ნაკადულს“ ბაზაზე.

საქმე დასაწყისიდანვე კარგად აეწყო. ალმანახის პირველსავე ნომერში ჯეროვანი შესაგებობით იქნა გაშუქებული ქართული, რუსული და უცხოური ხელოვნების საკითხები. აქ გამოქვეყნდა წერილები, რომლებიც ეხებოდა ცნობილ ქარ-

თველ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს, გამოქვეყნდა რუს მხატვარს ვასილ სურიკოვს, განხილულია გახლდათ კვატროჩენტოს ეპოქა, მოცემული იყო აფენის აკროპოლისის აღწერილობა, ჩვენი არქიტექტურის სიამაყე—სვეტიცხოვლის ისტორია, მოქანდაკე ვლგუკა ამაშუკელი მკითხველებს მოუთხრობდა, თუ როგორ იმუშავა ძველზე „ქართლის დედა“. ალმანახს თან ერთვოდა ხელოვნების ლექსიკონი, რომელიც მკითხველებს აწვდიდა სახვითი ხელოვნების ტერმინების განმარტებებს, რუბრიკა, „საინტერესო ამბების სამყაროში“, ეძღვნებოდა თემას, რა ასაკში შექმნეს დიდმა მხატვრებმა თავიანთი შედეგები.

დაბეჭდილ იქნა შემდგომი რეპროდუქციები: ი. ნიკოლაძის „ჩახრუსაძე“, ვ. სურიკოვის „დიდა მეთოფეა დასჯისა“, მისივე—„ბოიარინია მოროზოვა“, ბოტიჩელის „ალეგორია გაზაფხულის თემაზე“ და სხვა.

ალმანახს ამკობდა ლადო ასათიანის შესანიშნავი ლექსი: „ჩემი თბილისი და ფიროსმანი არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“.

„ურესკის“ გარშემო თავი მოიყარა საქმეში ჩახედულ და გემოვნებიან ავტორთა კოლექტივმა. დიდი სიყვარულით მიუდგა საქმეს მწვენი სასიკვადლო მუცნიერი ვახტანგ ბერიძე, რომლის ერთად შერწყმული ღრმა ერთდიცია და სადად და ლამაზად, გასაგებად თხრობის უნარი შედგამოჭრილი აღმოჩნდა ამ ალმანახისათვის.

შემდგომ ნომრებში „ურესკაში“ მიმოიხილა ქართული მხატვრების ფოტო თიბისი, სერგო ქობულაძის, ლადო გრიგოლიას, ურა ჯაფარიძის, სოსო გაბაშვილის, არქიტექტორ ვლ. ალექსიმესხიშვილის და სხვათა შემოქმედება.

წარმოდგენილ იქნა რიგი რუსი მხატვრების: ვიქტორ ვასნეცოვი, ალექსანდრ ივანოვი, კარლ ბრიულოვი, ვასილ ვერეშჩაგინი და სხვა.

ალმანახი მოგვითხრობდა ძველი ეგვიპტური, ძველი რომის და კლასიკური ბერძნული ქანდაკების შესახებ, გავწვიდა ცნობებს ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქებისა, ბოლნისის ძეგლების გარშემო და აშუქებდა მრავალ სხვა საინტერესო თემას.

„ურესკის“ ყოველ ნომერში სისტემატურად ქვეყნდებოდა ბულგარელი ხელოვნებათმცოდნე დრაგან ტენევის ციკლები: „ტიტანების საუკუნე“ და „ხელოვნების წარმტაცის ისტორია“. ეს უღადავად კარგი მიგნება გარლდათ, ვინაიდან ტენევი მოკლედ, მაგრამ ამომწურავად გადმოგვცემს დიდ მხატვართა შემოქმედების არსებით მომენტებს, შინაარსულად ახასიათებს მხატვრობის პერიოდებს. ამასთან ერთად მისი სტილისათვის დამახასიათებელია სისადავე და შთაბეჭდავი პოეტურობა. ტენევის ციკლებში მოთხრობილ იქნა რაფაელის, ლიონარდოს, გიოლანდოს, მანჩაროს, დონატელის, ბრამანტეს, ელ გრეკოს, რიბერას, ველასკესის, ტიციანის, ტინტორეტოსა და სხვათა შესახებ.

ასე წერილად იმითომ ჩამოვივალეთ ყოველი-
ვე, რომ გვეჩვენებინა, თუ რა ფართო მასალა იქ-
ნა გაშუქებული ამ აღმანახებ, რომლის მხო-
ლოდ ექვსიოდ ნომერია ჯერჯერობით გამოსული.
თემატიკის კარგ შერჩევასთან ერთად, უნდა
აღინიშნოს წერილების პროფესიული დონე და
წყობილი ქართული, რაც განსაკუთრებით გა-
სახარია, ვინაიდან ჩვენ ხელოვნებათმცოდ-
ნეთაგან ამ მხრივ არც თუ დიდად ვართ განები-
ვრებული. ბევრი ძალზე საინტერესო და ამასთან
გამართულად დაწერილი სტატიაა გამოქვეყნე-
ბული „ფრესკის“ ნომრებში.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოთ კიტი მა-
ჩაბლის წერილები: ათენის აკროპოლისი, კლა-
სიკური ბერძნული ქანდაკება, რომელი ქანდა-
კება, ეგვიპტური ქანდაკება, ათენის ეროვნული
მუზეუმში, შუამდინარეთის ხელოვნება.

თითოეული ეს სტატია ძალზე საინტერესოა,
თანაც ეს მცირე ზომის წერილები ბევრის შემე-
ცველია.

კარგადაა დაწერილი ი. ლორთქიფანიძის
„ვასილ სურტიკოვი“, სადაც ავტორი იხილავს
მხატვრის ორ გამორჩეულ ტილოს („დილა მე-
თოფეთა დასკისა“ და „ბოიარინია მოროზო-
ვა“).

ემოციურია ჯ. კაშიას „დავითიანი ესთქე“,
სადაც ავტორი გადმოგვცემს საკუთარ შთაბეჭ-
დილებებს, აღძრულ მოქანდაკე მერაბ ბერძე-
ნიშვილის ნამუშევრით („დადიო გურამიშვი-
ლი“). ამ რანგის წერილებს განეკუთვნება გ. მა-
სხარაშვილის „გრიგოლ ტატიშვილი“ (ავტორი
გვესაუბრება პირველ ქართველ გრაფიკოსზე), თე-
დო ბექიშვილის „ლიტერატურულ გმირთა ძვე-
ლი“ და ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე ირი-
ნე მამიაშვილის — „ვასილ ვერუშაგინი“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვახ-
ტანგ ბერიძის შთამბეჭდავ სტატია „სვეტიცხო-
ველი“. სულ რაღაც ორ ფურცელშია ჩატყული
ამ ძველი და უსწარმასწარა ტაძრის დიდი ისტო-
რია, თანაც ისე, რომ არსებითი დეტალები არაა
გამორჩენილი.

„ტაძარში შესულს უნდა ასხოდეს“ — წერს
ვ. ბერიძე, — მარჯვენა მხარეს რომ პატარა სკამ-
ოცველია ჩადგმული, XIII-XIV საუკუნის
უნდა იყოს და თითქმის იერუსალიმის ტაძარს
უნდა გამოსატყავდეს. კანკელი XIX საუკუნისაა
და არაფერი საერთო არა აქვს ტაძრის წინან-
დედ სახესთან ან რაღაც ძველი მხატვრობა დაი-
ღუპა, სვეტიცხოვლის შიდა სახის მხატვრული
მოტიანობის წარმოდგენას დიდად ენებს გვიან-
დელი ხატები და სხვა მორთულობა, რომლებიც
მხატვრულად მდარე ხარისხისაა.“

საერთოდ, ვახტანგ ბერიძის შესახებ ვიტყუ-
დით, რომ კარგი იქნებოდა და აუცილებელიც
მის მიერ სამხატვრო აკადემიაში წაკითხული

ლექციების კურსის სტენოგრაფირება და ადამე-
ტედა „ფრესკის“.

ეს აზრი, ჩვენს გარდა, ალბათ კიდევ მრავალს დააბადებია, მისი ჩინებული ლექციების მსმენელს.

ასე გამოიყურება შოგადად აღმანახი „ფრე-
სკა“. უფრო და უფრო უმჯობესდება იგი. ამასი
ადვილად დაერწმუნდებით, თუ თვალს გადავაუ-
ღებთ ბოლო, მეექვსე ნომერს.

იგი მოცულობით ორჯერ აღემატება თითო-
ეულ წინა ნომერს. აქ, შოგადი სასიათის წერი-
ლების გარდა, ქართული ხელოვნების დეტალურ
ი საკითხებშიცაა განხილული.

მაგალითად, აქ მოთავსებულია თემურ საყვარ-
ელიძის მეთად აზრინი სტატია „რემბრან-
დტის ავტოპორტრეტები ჰაავის მუზეუმშიდან.“
სადაც იგი იხილავს მხატვრის ბოლო ავტოპორ-
ტრეტს.

და აქვეა სიძველეთა ცნობილი შემგროვებ-
ლის, პაპუნა წერეთლის ძალზე საინტერესო
მცირე წერილი იმის შესახებ, თუ როგორ აღმო-
ჩინა მან მხატვარ შარლემანის მიერ შესრულე-
ბული ქართული ნაბეჭ.

ამდენი დადებითი ითქვა, იქნებ სასაყვედუ-
როც გაგვანია რამე?

პირველ რიგში ის, რომ აღმანახი გამოდის
წელიწადში ერთხელ. „ფრესკის“ მიზანი ხომ
ისაა, გარკვეული სახის სისტემატური ცოდნა
მიაწოდოს მკითხველს. ასეთი დიდი დროითი ხა-
რეჯის გამო გი წინა ნომერში წაკითხული მასა-
ლა იოლად ექველავა ბავშვებსა. არაა გათვალის-
წინებული ფსიქოლოგიური ფაქტორიც (მოლო-
დინი საინტერესო რაიმესი): განა შესაძლოა
მიფილი წელიწადი ელოდი აღმანახს? აღმანახი,
სულ მცირე, ორჯერ მაინც უნდა გამოდიოდეს
წელიწადში.

„ფრესკა“ მცირეა მოცულობითაც. ვერა და
ვერ ხერხდება ამის გამო მასალის ჩატევა და
ბევრ წერილს აშკარად ეტყობა ხელოვნურად
რომაა შეკვეცილი. (თუკი ჟურნალი შემდგომში
ისეთი მოცულობისა იქნება, როგორიცაა მეექვსე
ნომერი, მაშინ სასაყვედურო არა გვეუბნის რა.)

სასაყვედუროა რეპროდუქციების ხარისხიც.
მიუხედავად იმისა, რომ ფერად ბეჭდება ამ ბო-
ლო ხანს შესამჩნევად გაუმჯობესდა. მაინც შე-
ჯინდება ამ მხრივ ჩავარდნები. ჩავარდნებია, ასე
გახანჯეთ, თითოეულ შვათ რეპროდუქციების
ბეჭდვაშიაც.

შოგჯერ ლექსიონიც სცოდავს ბუნდოვნების
მხრივ. ენაბით მაგ ტრომპის განმარტება.

„ტრომპი — ნახევარბაბრის, კონქის ნაწი-
ლის, ან გუმბათის ნაოთხარის ფორმის კამერა,
რომელიც მოთავსებულია სათავსოს კუთხეში,
სწორკუთხა გეგმინი მოცულობიდან წრიული ან
მრავალწახანაგოვანი გუმბათის ყელზე და მართ-

კუთხა სათავისიდან რვა ან თექვსმეტკუთხიან ზე-
და ნაწილზე გადასასვლელად“.

რა უნდა გაიგოს აქედან მოსწავლემ, ანდა
არასპეციალისტმა მკითხველმა?! თუნდაც სპე-
ციალისტმა რა უნდა გაიგოს?!

რაც შეეხება საინტერესო ამბების რუბრიკას,
იქაც ზოგჯერ ვხვდებით სრულიად არასაინტე-
რესო ამბებს.

მაგალითად, თუკი შთამბეჭდავია ის ფაქტი,
რომ ხალხმა არ დასთმო მიქელანჯელოს „დავი-
თი“, როცა მას აღუბა დაუპირეს, ანდა ვან გო-
გის საუთის ისტორია, რომელიც დოქტორ რეის
საქათმეზე ჰქონდა აფარებული, რას ეუბნება,
აბა, მკითხველს ე.წ. რეალისტი მხატვრის ამბა-
ვი, რომელმაც ლორდთა პალატის დახატვიას
ორი ლორდი მძინარე დახატა, ვინაიდან იგი რე-
ალისტი იყო.

განა არ შეიძლებოდა უკეთესი მაგალითების
მოძებნა, რომლებიც უფრო მეტად მიგვაახლო-
ვებდა შემოქმედებით პროცესს, ანდა საინტე-
რესო მაინც იქნებოდა?!

და კიდევ, აღმანახში აუცილებლად აქტიურად
უნდა თანამშრომლობდნენ ჩვენი გამარჩენილი მხა-
ტვრები და ხელოვნებათმცოდნენი, აგრეთვე მწერ-
ლებიც, რომელნიც ჯერჯერობით ახლოს არ გაკა-
რებიან მას.

გამოვიდა მეექვსე ნომერი „ფრესკისა“.

ახლა, შეიძლება ითქვას, აღმანახისათვის
დამთარდა ის „ყმაწვილური ასაკი“, როცა ბე-
ვრი რამის პატიება შეიძლებოდა, როცა თავის-
თავად ფაქტი მისი არსებობისა იყო მისასაღმე-
ბელი და სასიხარულო.

მას ახლა უკვე მეტი მოეთხოვება. სიამოვნე-
ბით უნდა აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობით
„ფრესკამ“ ცხადყო თავისი შესაძლებლობანი.

მას არ აკლია მეურვეობა გამომცემლობის
მხრივ. ჰყავს საქმისადმი გულისყურიანი მუშა-
კები: პასუხისმგებელი მდივანი ასმათ კიკვიძე
და მხატვარი ვიბო ყავლაშვილი, რომელიც პირ-
ველი ნომრიდან მოჰყვება ამ აღმანახს.

წინ დიდ, საინტერესო და ძნელი სამუშაო.
აღმანახი „ფრესკა“ ამჟამად ისეთ გზაჯვარე-
დინზე იმყოფება, საიდანაც იწყება ფართო სა-
ვალო.

არცთუ იოლია იგი. რადგან აღმანახი უპრე-
ცედენტოა, არა თუ მარტო საქართველოში. ასე-
თი სახის აღმანახი დღესდღეობით არ იბოვება
კავშირის მასშტაბითაც.

ასეთი საწინდარიდან გამომდინარე, ვიმე-
ლოვნებთ, რომ „ფრესკა“ დასძლევს ყველა სი-
ძნელეს და გამართულად ივლის ამ სავალზე.

თეატრი

და

გაყურებელი

ფოთის ვალერიან გუნის სახელობის თეატრში
გამართა საუბარი „მრველი მაგიდის“ გარშემო. სა-
უბარში მონაწილეობდნენ ფოთის სარაიონთაშორისო
თეატრის მოავარი რეჟისორი და დირექტორი რომან
აბულაძე, საქართველოს კვ ფოთის საქალაქო კომიტე-
ტის აგოცაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამ-
გე იასონ დოზაია, ფოთის შრომელთა დებუტატე-
ბის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის
კულტურის განყოფილების გამგე დავით ფიცხაღავა
ფოთის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი თე-
მურ ჩუბინიძე, „საქსოფლტექნიკის“ ფოთის უბნის
უფროსი ვლადიმერ გიგაშვილი, რესპუბლიკის დამა-
ხურებელი არტისტი გიგა ცხრაძე, მსახიობი ნოდარ
მანარაძე და სხვები.

უფრანლ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის და-
ვალეობით, მრგვალი მაგიდას“ სხდომას თავმჯდომარე-
ობდა დრამატურგი და კრიტიკოსი ბურაშ ბათიაშვი-
ლი.



დრამატურგი
ბურაშ ბათიაშვილი.

გვარძელემა. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ №16 2-9.



გ უ რ ა მ ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი : როგორც თქვე-
ნთვის ცნობილია, ჟურნალმა „საბჭოთა ხელოვნება“
წამოიწყო დისკუსია თემაზე „თეატრი და მაცურებელი“.
დისკუსიის ასეთი თემატიკური დახასიათება რედაქციისთვის პირობითია და მისი მიზანი სულაც არ არის მხოლოდ ამ ერთი საკითხით შემოიფარგლოს პირიქით, იგი მოწოდებულია იყოს საველინობო, საყვარადლო მსჯელობა თეატრის სხვადასხვა კომპონენტზე — დრამატურგიაზე, რეჟისურაზე, აქტიორულ ხელოვნებაზე. მეიხსველს ვესაუბროთ არა უშუა-
ვრესად იმაზე, რაც გავაკეთებთ, რაც უკვე დაძლე-
ულია, არამედ იმაზე, რაც გვიჭირს, რაც ხელს გვიშლის ნორმალურ შემოქმედებით მუშაობაში.

ცნობილია, რომ ფოთის თეატრის წინაშე, ბე-
ვრი გადაუტრეული ამოცანა დგას, მაგრამ იგი არ არის გამონაკლისი, მის დღეშია პერიფერიის ბე-
ვრი თეატრი ეს გასაჭირი კი ბევრი დღეს ასევეს თეატრის შემოქმედებით დონეს უხერხულად კია მაღალ შემოქმედებით კატეორიანზე ლაბარაკი, მაშინ, როცა თეატრის თავზე დამოკლეს მახვილივითი კეილია ბევრი ისეთი პირობებმა, რომლის გადაწყვეტლობაც მრავალ კომპრომისულ ნაბიჯს გადაადგმევიანებს თეატრის ხელმძღვანელობას. ეს კომპრომისი კი ბოლოს თეატრის მხატვრულ დონეზე ახდენს გავლენას.

რადენიდაც ვიცი, მიმდინარე წლის დამდეგს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა პერიფერიის თეატრების მდგომარეობა და სადოტაციოდ დაუშვა გარკვეული თანხა. ამით თეატრებს დაემატათ დოტაცია. როგორ გააუმჯობესა ამან თეატრების მდგომარეობა? როგორ ვიყენებთ ამ დიდად საჭირო და შნი-
შენლოვან ხელშეწყობას? ამ საკითხის განხილ-
ვით დაიწყოთ ჩვენი საუბარი. კარგი იქნება, თუ პირველ სიტყვას თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი რომან აბულაძე იტყვობა.



რომან აბულაძე, თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი.

რო მ ა ნ ა ბ უ ლ ა ძ ე : დოტაციის საკითხს აველაზე მტკივნეულია რაიონის თეატრებისათვის. მართალია, დოტაცია მოგვემატა და ამით უძძიმესი ტვირთი შევიდმსუბუქდა, მაგრამ არ მომხდარა მდგომარეობის საფუძვლიანი შეცვლა.

რა გავკეთა კონკრეტულად ჩვენი თეატრისათვის? შემეძირდა წარმოდგენების რაოდენობა. თუ ყოველწლიურად 410 წარმოდგენა უნდა გვეჩვენებინა, ახლა ეს ციფრი 375-მდე შემცირდა. ეს არა რეალური ციფრია და არ რატომ: წელიწადში 375 სპექტაკლი რომ აჩვენო, 40 მსახიობისაგან შემდგარი დასი მაინც უნდა გვეადგეს. ჩვენ კი 21 მსახიობი გვყავს: 11 მამაკაცი და 10 ქალი, ე.ი. საშუალება არა გვაქვს პარალელური სპექტაკლების დადგმისა. თუ პიესაში 15 მოქმედი პირობა, უნდა შეგვეძლოს ორმოციდან ავირჩიოთ ის 15 მსახიობი, რომელიც სწორედ ამ სპექტაკლს სჭირდება ახლა კი რა ხდება? ხშირად მსახიობს ვაძლევთ როლს არა მისი შემოქმედებითი მონაცემების მიხედვით, არამედ წმინდა ტექნიკური

შესაძლებლობის გათვალისწინებით: თავისუფალი იგი თუ არა აქედან გამომდინარე, სპექტაკლის დაბადებამდე მივდივართ კომპოზიციურ, შემოქმედებით დონეზე ლაბარაკი უხერხულივთ კია.

ამას წინათ ფოთის თეატრიც სარაიონთაშორისო გახდა. ამ ღონისძიებას უნდა გავხარად თეატრის სამოქმედო არეკა და შემოსავალიც, მაგრამ იმის გამო, რომ ადგილებზე ხელმძღვანელობა ამ დღინაშემწელოვან ღონისძიებას ჯერონდად არ აფასებს, ჩვენ ვებოკლებით. ფოთის თეატრის ემსახურება ხობის, ცხაკაბის და ა.შ. მის რაიონებს ცხაკაბაში ასე თუ ისე ვრცელდება თეატრის აზონენებები, მინიმალურად გავრცელდა აბაშაშიც, მაგრამ ხობის რაიონმა კატეგორიული უარი განვიცხადა, განზე გავვიდდა. ამ რაიონების სიფლებში არ არის ისეთი უკულტურის სახლები, რომ სპექტაკლები ნორმალურად ვაჩვენოთ.

გ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი : ცხადია, ეს შევავლენას ახდენს, ერთი მხრივ, თეატრის ავტორიტეტზე და, მეორე მხრივ, თეატრისა და ამ რაიონების მშრომელთა ურთიერთობაზე.

რ ა ბ უ ლ ა ძ ე : ახდენს და მერე როგორ! მოსახლეობა პრეტენზიას აცხადებს ჩვენი სპექტაკლების მხატვრულ დონეზე, რაც საცხებით სამართლიანია. რაიონებში ვერ გავზრდავთ რიკიან სპექტაკლებს, რადან არც ერთ კულბს არ გააჩნია ისეთი სცენა, რომ მინიმალურად მაინც დაგვაკმაყოფილოს და მსახიობს შეუქმნას სათამაშო პირობები. ჩვენც იმულებული ვართ კომპინირებული, მეკონსერვული დეკორაციებით წავიდეთ სოფლებში, იქვეა მიზანსცენების შეცვლა, მისი დაქვემდებარება ამ დეკორაციებისაში, უფრო სწორად, უდეკორაციობისათან რასაკვირვებია, ეს სოფლებისა თუ რაიონების მაცურებლებს არ მოსწონთ, მაგრამ არის მეორე უბედურება: სპექტაკლი ბრუნდება სტაციონარზე, ვთამაშობთ ჩვენს სცენაზე და ვხედავთ, რომ იგი შეიცვალა, ჩვენთვის ნაცნობი სპექტაკლი დიკარგა: ამით უღებულობთ ორწინვე შემოქმედებით ზარაკს — ვვლაც იქ ვარგებთ საქმეს და ვვლაც აქ. ორი-სამი ვაკვებით სპექტაკლის შემდეგ სტაციონარზე ვლარ შეიძლება სპექტაკლის ჩვენება. არადა, გასულიყო სპექტაკლების ჩატურებისობაც არ ივარგებს, რადან იგი შემოსავლის ერთერთი წყაროა და გვემათაც გვაქვს წელიწადში ვვვვამთ 8 ახალ სპექტაკლს, ე.ი. თითოეული სპექტაკლი თვე-ნახევარში და უფრო ნაკლებ დროში უნდა მომზადდეს. გაბოლის, რომ დასის ყოველ მსახიობს, გინდა თუ არა, შეგვიყვება როლს თუ არა, უნდა მივცეთ როლი. არჩევანის საშუალება და უღლება ჩვენ არა გვაქვს.

გ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ი : თეატრისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორია მისი ტექნიკური დატურვილობა, აკმაყოფილებს თუ არა იგი სადღესობის მოთხოვნებს.

რ ა ბ უ ლ ა ძ ე : თეატრს აქვს მხოლოდ მო-

ძველებული საბარგო მანქანა და ავტობუსი. გასვლითი სპექტაკლების დროს საბარგო მანქანით დეკორაციები მიგვკავს, ავტობუსით კი მსახიობები მიდიან. მაგრამ გვიან ამ წესიდან დეკორაციებით დატვირთული ძველი მანქანა სწორად გვღალატობს გზაში და იძულებული ვართ, იგი ავტობუსს გამოვაპაოთ. ასე ჩადის თეატრი სოფელსა თუ რაიონულ ცენტრში!

ბოლო დროს გადაწყვიტეთ თავი ავარილით ამ დავეიდარაბას და ავტოსატრანსპორტო კანტორაში ექირაოთ ხოლმე საბარგო მანქანას, მაგრამ ზოგჯერ სპექტაკლის შემოსავალი საბარგო მანქანის ხარჯებს ვერ ფარავს.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: საქართველოს კვ ტრალური კომიტეტის დადგენილება სარაიონ-თაშორისო თეატრების შექმნის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ნუთუ ავტობუსზე ასე უგულსიყუროდ გვიღებინან ამ კარგ წამოწყებას? ან იქნებ არსებობს რაიმე თბიერებული მიზეზი?

რ. ა ბ უ ლ ა ძ ე: არსებობს — არ გაანჩინათ სათანადო ბაზა!

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: თქვენ სწორად აღნიშნეთ ხობის რაიონის შესახებ. შარშან, ზაფხულში, სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მიკონტინებული ვიყავი ხობის, აბაშიასა და ცხაკაიას რაიონებში; ხობში მართლაც ცუდი მდგომარეობაა. არ არის არც ერთი ასე თუ ისე ვარჯისი სასცენო მოედანი, ნუთუ არაფერი შეიცვალა ამ ერთ წელიწადში?

რ. ა ბ უ ლ ა ძ ე: არაფერი. მაგრამ მთავრია არა თბიერებული მიზეზები, ე. ი. არა ის, რომ არ არის კეთილმოწყობილი კლუბები, კულტურის სახლები და ასე შემდეგ, არამედ საერთოდ თეატრისადმი დამოკიდებულება. სწორად გავიგოვინა რაიონის ხელმძღვანელებისაგან, რომ მათ, ჩვენს გარდა, ათასი რამ აწყვეტ კვირთად, მაგალითად: გასტროლირები საქართველოს ფილარმონიდან, რაიონის ფეხბურთელთა გუნდი და ა. შ. რა თქმა უნდა, მართლესი არიან, ვერაფერს იტყვი, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა გერჩება, რომ ჩვენ ზედმეტი ტვირთი ვართ.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: აქ არის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ფოთის თეატრის მსახიობი გიგა ებრალიძე ბატონო გიგა, თქვენ კარგა ხანია ამ თეატრში მოღვაწეობთ, საინტერესო იქნებოდა თქვენეი მოსაზრებანი ჰეროფერის თეატრის მსახიობზე, მისი შემოაბის ავ-კატეზე.

გიგა ე ბ რ ა ლ ი ძ ე: როცა ვლაპარაკობთ თეატრისა და მაცურების ურთიერთობაზე და აღვნიშნავთ, რომ მაცურებელი ისე ინტენსიურად აღარ ეტანება თეატრს, როგორც უწინ, ნუ დაგვა-ვიწყდება, რომ ამაში ჩვენც ვართ დანაშაულები. ალ-ბათ ვერ ვაგმაყოფილებთ მაცურებელს ჩვენი სპექტაკლებით. პრემიერის შემდეგ სპექტაკლის ბედი აღარაფერს აინტერესებს, ხოლო თუ თეატრში ახალი რეჟისორი მოვიდა, ძველი რეჟისორის სპექ-



გიგა ებრალიძე, მსახიობი.

ტაკლს უგულვებლყოფს. იმას კი არ იფიქროს წინებს, რომ სპექტაკლის მოხსნით თეატრის ტერიტორია სცემს.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: ახლახან პატივეიმულმა რომან აბულაძემ ილაპარაკა გასვლითი სპექტაკლების შესახებ და აღნიშნა, რომ მეტად რთულ მდგომარეობაში გიხდებით მუშაობა.

გ. ე ბ რ ა ლ ი ძ ე: გასვლითი სპექტაკლების რიგიათი ორგანიზაცია აუცილებელია და საჭირო. თეატრმა მხედველობაში უნდა მიიღოს დეკორაციების დუბლირება. შეუძლებელია ერთი ფართია და უბრალოდ გამართული დეკორაციებით თამაში. აბაშაში, ხობში, ცხაკაიაში სპექტაკლები ვერ მიდის კარგად. დეკორაციები უნდა წავიღოთ სრულად, ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც სტაციონარულ სცენაზეა. მაშინ შეიძლება ლაპარაკი ნამდვილი შემოქმედებითი დონეზე.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: ამაში მზალიხ ედება არა იმდენად თეატრს, რამდენადაც იმ საქმის მესვეურებს, რომლებსაც ვევალებათ კლუბებისა და კულტურის სახლების სათანადო აღჭურვა. როცა რაიონში არ არის რიგიათი თეატრული შენობა, როგორ უნდა გაიმართოს დეკორაციები? ამას ვარდა, საჭიროა სპექტაკლის ორგანიზაცია, მაცურების მიზიდავაზე ზრუნვა. ასე, რომ განწყობილება უნდა იყოს შემოქმედებითი და არა ფორმალური.

გ. ე ბ რ ა ლ ი ძ ე: მაცურებლის ფორმალურ დაზოიდებულებას თეატრისადმი სტაციონარულ სცენაზეც სწორად ეჭვადეთ. ნამდვილი მაცურებელი ყოველთვის მოვა სპექტაკლზე, რაოდენ ცუდიც არ უნდა გამოვიდეს იგი. არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სპექტაკლის უნახავად აძაგებენ მას.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: ფოთის თეატრის მსახიობი ნოდარ მახარაძე ამავე დროს თეატრმოცუნდეც არის. საინტერესო იქნებოდა თეატრმოცუნდის პოზიციებიდან დანახული ფოთის თეატრის წინაშე მდგარი პრობლემები.

ნოდარ მახარაძე: მინდა აღვნიშნო, რომ ამ ბოლო სესიონებში ჩვენს თეატრში იგრძნობა ახალი შემოქმედებითი ხერხების დანერგვა, მიმდინარეობს საინტერესო პროცესები. მგე-რა, რომ ყველაფერი ეს ზეგავლენას მოახდენს მაცურებელზეც ახლა ამბობენ, თეატრი ჩამორჩება მაცურებელსაო. ეს არ მიმანია სწორ შეხედულებაზე ჩვენთან, ჰეროფერისა, მაცურებელი განსართბ სპექტაკლს უფრო ეტანება. საჯობს პირდაპირ ვთქვათ—ჩვენ არა გვყავს გულშემატკივარი მაცურებელი, რომელიც ჩვენთან ერთად განიცდის სპექტაკლს, ადელეგებს მის ბედი, ზრუნავს თეატრზე.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: იქნებ ეს იმისი პრა-ლიც იყოს, რომ თეატრმა საერთოდ ხელიდან გა-უშვა მაცურების ამუხრდის ინიციატივა?

ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე: დიას. ეს ინიციატივა წა-ართვა კინომ, ტელევიზიამ. ჟურნალ „საბჭოთა

ნოდარ მახარაძე, მსახიობი.



ხელოვნების“ მიერ გამართული დისკუსიის ზოგიერთმა მიმართულმა გამოთქამა მოსაზრება, რომ ჩვენი თეატრები ერთმანეთს იმეორებენო. ჩემი აზრით, ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. ადრე რუსთაველის ამ მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში რომ „ყვარყვარე თუთუბერი“, „ღალატა“ ან სხვა სპექტაკლები დაიდგმოდა, პერიფერიის თეატრები მის ზუსტ ასლს გადაიმი-ღებდნენ ხოლმე. სპექტაკლს დავამდა სხვა რეჟისორი, თამაშობდნენ სხვა მსახიობები, სპექტაკ-ლები კი ერთმანეთს ჰგავდნენ. არ იყო სპექტაკ-ლის სხვაგვარი გადაწყვეტა. ასლა კი სულ სხვა პროცესები მიმდინარეობს—პერიფერიის თე-ატრები თავის გზას დაადგნენ. ეს სწორი გზა და ქართული თეატრი მომავალში ბევრს მოიგებს ამით.

პერიფერიის თეატრებს ძალიან უშინაო ხელს შემოხვევითი ადამიანები, რომლებიც მსახიობებ-ად გვეკვლინებიან ხოლმე. ხშირად მოდიან არა სამუშაოდ, არამედ გასართობად. ასეთი რამ სხვე-ბის პროფესიონალიზმსაც ჩრდილს აყენებს.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: რამდენადღაც ვიცი, ფო-თის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი თემურ ჩუბინიძე აქტიური მაცურებელია ფოთის თეატრისა, ამიტომ საინტერესო ექნებოდა მისი შეხედულებანი და დაკვირვებანი.

თ ე მ უ რ ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე: ამ თეატრში უმ-რავლესობა ახალგაზრდობაა და ეს მისასაღებელ ფაქტორად მიმაჩნია. ამას კი მოსაძებლს სურვილი, რომ ამ ახალგაზრდებმა მეტი იმუშაონ, მეტი ეძიონ. თეატრში შუადღისას მთავრდება რეჟეტი-ცია. ამის შემდეგ დარბაზი და სცენა საუკუბითი თავისუფალია. რატომ არ უნდა დარჩეს მოწადი-ნებული მსახიობი რეჟეტირის შემდეგ თეატრში და არ უნდა შეეცადოს აიმაღლოს შემოქმედებე-თი დონე პარტიოთან ერთად? გაიმეოროს ზო-გიერთი სცენა, გადასვლა...

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: თქვენ, როგორც მაცუ-რებელს, გაგამყოფებთ თუ არა თქვენი თე-ატრის რეჟერტური?

თ. ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე: ფოთის თეატრს ერთი ღირ-სებაც აქვს. „საბჭოთა ხელოვნების“ ფურც-ლებზე წამოწყებულ დისკუსიასი თითქმის ყვე-ლა ერთმანდა ანდინნავს, რომ ქართული თეატრი ჯერჯერობად არ უწყობს ხელს ახალგაზრდა დრამა-ტურებებს, არ დამს მათს პიესებს, მოცვანილია მაგალითებით. ფოთის თეატრი კი ხშირად მიდის შემოქმედებით რისკზე და დგამს ახალგაზრდა დრამატურების პიესებს და ძალიან საინტერე-სოდაც.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: აქ არის „საქსოფლ-ტექნიკის“ ფოთის უბნის უფროსი ვლადიმერ გი-გაშვილი. ბატონო ვლადიმერ, რას იტყვით თქვე-ნი ქალაქის თეატრის შესახებ?

ვ ლ ა დ ი მ ე რ გ ი გ ა შ ვ ი ლ ი: ფოთის თე-ატრის ფარდა ი ვაკელის „შამილით“ გაიხსნა. იმ დღიდან თეატრის მაცურებელი ვარ და ბედ-



თემურ ჩუბინიძე,
ფოთის მუსიკალური სას-
წავლებლის დირექტორი.



ვლადიმერ გიგაშვილი,
ფოთის მშრომელთა დემუ-
ტატების საქალაქო საბჭოს
აღმასრულებელი კომიტე-
ტის კულტურის განყოფი-
ლების გამგე.

ნიერ კაცად მიმაჩნია თავი, როცა თეატრში მთ-
ვალ და დარბაზს სასესეს უხედავ. მინდა გან-
ვიხილო შემთხვევითი და აღვნიშნო ორი გარემო-
ება: პირველი — ქართული თეატრს არ შეუძლია
ცხოვრება ჰეროიკულ-რომანტიკული პიესების გა-
რეშე. ქართველმა დრამატურებმააც ასეთი პიესე-
ბი უნდა შექმნან. მეორე — შარშან ჩვენი ქალა-
ქის თეატრში ჩამოვიდა თეატრალური ინსტიტუ-
ტის ექვსი კურსდამთავრებული. ეს ჩვენთვის ზე-
იმი იყო, მაგრამ ის გამოვიდა? ხუთმა უკვე მიგ-
აბატოდა.

ჩვენს თეატრს სჭირდება ორკესტრი. უამი-
სოდ ვერ წარმოიმდგენია კარგი სპექტაკლი.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: უკანასკნელ წლებში
დადგმული სპექტაკლებიდან რომელმა დაგაინტე-
რესა, რომელია მიიქცია თქვენი ყურადღება და
რატომ?

გ. გ ი ვ ა შ ვ ი ლ ი: ოთარ ჩხეიძის „იგორ-
გიძე“.—სწორედ იმიტომ, რომ მისში ჰეროიკულ-
რომანტიკული სტილი შევიცანი.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: საინტერესოა მშრომე-
ლთა დემუტატების ფოთის საქალაქო აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების
განგის დაჯიტი ფირცხალაგას მოსაზრებანი. რა
ღონისძიებებს მიმართავს საქალაქო საბჭოს აღ-
მასრულებელი კომიტეტი თეატრის მდგომარეო-
ბის გასაუმჯობესებლად?

და ე თ ი რ ც ხ ა ლ ა გ ა: თავდაპირვე-
ლად უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება: უკანას-
კნელი ორი-სამი სესონის მანძილზე ფოთის თე-
ატრმა საკრძოლვად გააუქმებდა შემოხობა. აქ
იგულისხმება არა მხოლოდ თეატრის მხატვრული,
შემოქმედებითი ღონის ამაღლება, არამედ მისი
პროფარობის ზრდაც მაცურებელთა შორის. იქ-
ნებ ყოველივე ამას აღმასრულებელი კომიტეტის
ღონისძიებებმაც შეუწყვეს ხელი, შარშან კუ-
ლტურის განყოფილების ინიციატივით წამოვი-
წყეთ ე.წ. თეატრის დღის ორგანიზაცია. კვირაში
ერთხელ განვიხილავდით თეატრთან დაკავშირე-
ბულ საკითხებს, ვაანალიზებდით განცლილ მუ-
შაობას. წარმოება-დაწყობებების მშრომელე-
ბი ორგანიზებულად ესწრებოდნენ სპექტაკლებს
ამით გვიინდობა, რომ მოსახლეობას, ქალაქის ინ-
ტელექტუალს, მოსწავლე ახალგაზრდობას სისტე-
მატურად განვიხილა ჩვენი თეატრის სპექტაკლები,
ყოფილიყო კამათი, სჯა-ბაასი. ამაშ შედეგიც გა-
მოიღო — პირველ ხანებში საქვე კარგად წავი-
და, შემდეგ კი არ მოხდა? სასოფარობებამ წა-
ახალი სპექტაკლი, განიხილა კიდევ, დაიბადა
ერთგვარი ინტერესი, მაგრამ მერე მას დროულად
ვერ მივაფიქრებ ახალი სპექტაკლი და ინტერე-
სიც მინულდა.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: ვი აბათო, იმის ბრალია,
რომ ფოთი პატარა ქალაქია და მაცურებლის-
თვის სპექტაკლი მალე დაქვდება.

დ. ფ რ ც ხ ა ლ ა გ ა: მთავარი მიხნც ი-
ს არის, რომ სასოფარობებრივი ორგანიზაციები არ

იჩენენ სათანადო ინიციატივებს, არ ცდლობენ თეატრის გამოყენებას იდეოლოგიური აღზრდის ტრიუნადად. მიუხედავად ამისა, ჩვენ მინც ვფიქრობთ, რომ კულტურის განვითარების ინიციატივა შედევს გამოიღებს, თუ მას კიდევ უფრო დავხვეწთ და მობოლურს გახვდით. ამიტომ განზრახული გვაქვს ეს წამოწყება სესხონადად განვასხლოთ და მასში ფართოდ ჩავაბათ მისაწლებოთ. არ მინდა გვერდი ავუარო ერთ მნიშვნელოვან გარემოებას — ჩვენც უნდა გვექონდეს მეტი პრობლემატური ხასიათის სპექტაკლები. არის საკითხები, რომლებიც პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ ზოგჯერ თეატრი კვლავ გეთავაზობს ისეთ პრობლემას, რომელიც მაყურებლის ინტერესის საგანს აღარ წარმოადგენს.

გ. ბათიაშვილი: თქვენ ვულისხმობთ თანამედროვე ქართული დრამატურის პრობლემას?

დ. ფირცხალავა: ზოგჯერ თქვენს ცოტა ცალმხრივად ენით თანამედროვეობა განა „ვაი ჭკუისაგან“ თანამედროვე არ არის? გრიბოედოვი იმიტომბა კლასიკოსი, რომ მასში ყოველი დროის კაცი იპოვის საინტერესოს, თავისი ეპოქისათვის საჭირობოროტოს. მე მგონია, სულ სხვაა ნაწარმოების ცხოვრებისეულობა და სხვა — თანამედროვე პრობლემატიკა. მაყურებელს ბრძოლა აინტერესებს სცენაზე, აინტერესებს ვიდაციის მორალური დამარცხება, ვიდაციის მორალური თუ ფიზიკური გამარჯვება. ახლა კი პიესის ყოველი პერსონაჟი ერთი აზრისაა, ერთხანია. სადღა კონფლიქტი? ჩვენ უნდა ჩავუფიქრდეთ ამ გარემოებას.

გ. ბათიაშვილი: გვასხებათ თუ არა პერსპექტივაში თეატრის მდგომარეობის გამოწვევებს, მისი შემოქმედებით ავტორიტეტის ამაღლება და როგორ?

დ. ფირცხალავა: მე ვიცი ფოთის თეატრის მიერ განვლილი გზის ყოველი ეტაპი, ან შემისწავლია, ან თავად მოესწრებივარ; თუ ყველანი ერთად მოვიხილავთ. ბევრი ცოტა საქმის გაკეთება შეიძლება ლინისიბეზაბა კიკელი დიდი, მაგრამ ამჯერად ხაზს ვაგუსვან მხოლოდ იმას, რაც დედაქალაქიდან უნდა მოდოდეს. საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებას ადრე უფრო მეტი კონტაქტები ჰქონდათ პერიფერიის თეატრებთან ახლა კი ყველაფერი იუბილევზე ადრესების გამოგზავნით ამოიწურება. ადრე იყო ასეთი პრაქტიკა — დედაქალაქის ესა თუ ის წამყვანი მსახიობი მონაწილეობდა ხოლმე ჩვენი თეატრის სპექტაკლებში, ჩამოდიოდნენ არა მარტო მსახიობები, არამედ რეჟისორებიც. აი, ამას წინათ ჩვენმა თეატრმა ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაიარლი“ დადგა. რატომ არ შეიძლება სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების ინიციატივით ჩამოსულიყო რუსთაველისა თუ რუსთავეის თეატრის რომელიმე მსახიობი და რამდენიმე სპექტაკლში



ვ. ლ. გოგოლაშვილი, მაყურებელი.

მიელო მონაწილეობა? ასეთი რამ გაზრდის თეატრის ავტორიტეტს მაყურებელთა შორის?

რას აკეთებს რესპუბლიკური პრესა? მაგალითად, განა თვალაველმა კაცმა იცის რა და როგორ იდგება ფოთში? ან მე კი ვიცი, როგორია თელავის თეატრალური ცხოვრება?

მნიშვნელოვანია კადრების საკითხიც. აქ ილაპარაკებ იმ ექვსი კურსდამთავრებულის ფოთსახსებ, რომლებიან შარშან ჩამოვიდნენ ფოთის თეატრში და ამან გარკვეული სიხსლევ მოიტანა, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა — ხუთმა უკვე მივატოვა გვიანდა სკოლებში შევექნათ თეატრში მუშაობის თეატრალური კომპლექტები. განა ცოტა ტალანტი მოსულა ხელფანებაში თვითმომქმედებდნენ? თუმცა, არის ერთი წინააღმდეგობა — სკოლებს ისე აუწებენ, რომ იქ არ არის გათვალისწინებული დარბაზები, სცენა. მიუხედავად ამისა, ამ გზას მინც დავადგვიტოვებ: ამ კომპლექტებს ისევ თეატრის რეჟისორები და ნიჭიერი მსახიობები უხელმძღვანელებენ.

გ. ბათიაშვილი: იასონ დლობაია — საქართველოს კვ ფოთის საქალაქო კომიტეტის აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამე — თავისი სამსახურებრივი მოვალეობით პირდაპირ არის დაკავშირებული თეატრის ცხოვრებასთან. ამასთან ერთად, იგი ავტორია პიესისა, რომელიც სწორედ ფოთის თეატრში იდგება. აქედან გამომდინარე, მას უკეთ იცის თეატრის აუკარგი.

იასონ დლობაია: უპირველეს ყოვლისა, მინდა მიველოთ იმ კვითვს საქმეს, რაც დისკუსიის სახით წამოიწყო ჟურნალმა „საპეოთა ხელფანება“. ჩვენი ცხოვრების ამ ეტაპზე დისკუსია უაღრესად საჭიროა და იმედი მაქვს, ის თანდათან უფრო საინტერესოს სახეს მიიღებს. მაყურებლის პრობლემა სოციოლოგიური კვლევის საგანი უნდა გახდეს, უამისოდ ვაგვიტორდებან საქმის სწორ გზაზე დაყენება. ჩვენში ძალიან ცოტა კეთდება მაყურებლის აღსაზრდელო, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია აბა ვნახოთ, რამდენი მაყურებელი ჰყავს რუსთაველის სახელობის თეატრში „იულიუს კეისარს“. თეატრები ისე არიან მოწყურებული მაყურებელთან შესვლად, რომ რას არ დავამენ, რა ხერხებს არ მიმართვენ საკვალთ ფაქტის მოწმენი ვართ — მაყურებელი პრიმიტიული, ადვილად ასათვისებელი, გასართობ სახასიათებს უფრო ტყანება. თუ მაყურებელთან სერიოზულად, დაბეჯითებით არ ვიმუშავებთ, სერიოზული დრამატურგია აღარ გაიჭატანებს სცენაზე. კლასიკურ რეპერტუარს, ახრს, ფიქრს თეატრში განდევნის რაღაც ესტრადის შავგარია.

გ. ბათიაშვილი: მინდა გკითხოთ: თეატრალური ინსტიტუტის ხუთმა კურსდამთავრებულმა, სწორედ იმ ძალამ, რომელიც ძლიერ სჭირდებოდა თეატრს, რატომ დატოვა ფოთი?



იქნენ ამ ახალგაზრდებს არ შეექმნათ სათანადო პირობები?

ი. დო ლ ბ ა ი ა: პარტიის საქალაქო და აღმასრულებელი კომიტეტები ასე ინტენსიურად არასოდეს ჩარეულან თეატრის ცხოვრებაში, როგორც ახლა. რომან აბულაძისა და დავით ფირცხალავას ენერგიული მუშაობის შედეგი იყო იმ ექვსი ახალგაზრდის ჩამოყვანა. მათ ჩამოსვლის თანავე მიენიჭათ გარკვეული კატეგორია, პირობებიც შეექმნათ, კმაყოფილებიც იყენენ, მაგრამ ორი წლის შემდეგ თვლი დღდაქალაქისკენ გაექცათ. მათ დღდაქალაქში სტატუსტაბა არჩიეს ფოთში მსახიობობას.

რ. ა ბ უ ლ ა ძ ე: იმ ახალგაზრდობის მეტი წილი რუსთავის თეატრშია დღეს. უნდა ვიკითხო — რომელ თეატრს უფრო სჭირდებოდნენ ისინი, რუსთავისას თუ ფოთისას? რასაკვირველია, ჩვენ. აქ ეს ახალგაზრდები თეატრის აქტიურ ძალად იქცეოდნენ, რუსთავის თეატრი კი უმითოდაც ილიად გავიღოდა, რადგან იქ სულ სხვა კატეგორიის ძალებია თავმოყრილი.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: ხომ არ შეიძლება თეატრალური ინსტიტუტის ერთი ჯგუფი მხოლოდ ფოთელი ახალგაზრდებით დაკომპლექტდეს, რომლებიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ თეატრს დაუბრუნდებოდნენ?

ი. დო ლ ბ ა ი ა: თეატრის დირექტორთან და კულტურის განყოფილების გამგისთან ბევრი ვითაბიურეთ ამ საკითხზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თურმე დღესდღეობით ფოთში არ არის ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც მოიწოდებოდა თეატრალური განათლების მიღებას. რისი შედეგია ეს? მხოლოდ იმისა, რომ სასკოლო ასაკიდანვე არ წარებნათათ სათანადო აღმზრდლობით მუშაობას მაგნიფიკანს, არ ვუღვივებთ მათ თეატრის სიყვარულს ახლა კი გადაწყვიტეთ, რომ ფოთის თეატრში გახსნათ საბავშვო თეატრი. ბავშვები თეატრში აღიზრდებიან და ამ პროფესიისაკენ ლტოლვაც ექნებათ, ისინი წელიწადში ერთ-ორ სპექტაკლსაც წარმოადგენენ.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: ეს კარგი ღონისძიებაა.

ი. დო ლ ბ ა ი ა: მინდა ისიც დავუთქვამ, რომ ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ არ არის საკამარის ტრანსპორტი, კეთილმოწყობილია ქუჩები. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ შეიძლება ადამიანი ნახევარ საათს ელოდოს ავტობუსს. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ადამიანი თავს შეიკავებს თეატრში წასვლაზე. ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ამ გარემოებას და ახლა პირველ რიგში დგას ქუჩების კეთილმოწყობის საკითხი, მაგრამ უნდა აღვნიშნო — ეს არ არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ მაკურბეგლი არ დადის თეატრში. საქმე ისაა, რომ დღეს ტელევიზიის საშუალებით ყოველ მოქალაქეს შეუძლია უყუროს ჩვენი ქვეყნის საკუთარ თეატრებს

სპექტაკლებს, რომლებშიც ბრწყინვალე, გამოვლენილი კავშირში ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ.

რ. ა ბ უ ლ ა ძ ე: მით უმეტეს ეს მეტს გვაგვალვებს თეატრის მუშაობის, მაგრამ, მოდი, ამ ჩვენს საუბარს ნუ დავამთავრებთ ფორმალური და საკმაოდ გაყვეილი სიტყვებით, „მეტს გვაგვალვებს“ და „ჩვენც შევეცდებით“. ჩვენ, რასაკვირველია, შევეცდებით, მაგრამ თუ გინდა ნამდვილია ვუმსახუროთ თეატრს, ნამდვილად გააკეთდეს დიდი საქმე, უფრო რეალურად უნდა შეგხედოთ მოვლენებს, გაკეთვალისწინოთ შექმნილი სიტუაცია, პარტიისა და მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების საკეთილსურული სახით უნდა აღწევდეს ყოველ თეატრალურ დღდაქალაქთან რაოდენ შორსაც არ უნდა იყოს იგი.

გ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი: დღეს აქ ბევრი რამ ყურადღაღები მოვისმინეთ. თეატრის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სამი მნიშვნელოვანი რგოლი არსებობს. ესენია: ადგილობრივი ხელმძღვანელობა, კულტურის სამინისტრო და თეატრალური საზოგადოება. მინდა ერთ გარემოებასაც გადავსვა ხაზი — ცნობილია, თუ რაოდენ დიდი ამოცანების წინაშე დგანას ახლა აღნიშნული რაიონების ხელმძღვანელები: კოლხეთში უდიდესი სამუშაოები მიმდინარეობს. შესაძლოა, ისინი ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ თეატრსაც მიხედონუნდა ვირწმუნოთ, რომ ეს მდგომარეობა გამოწვრიდება. ასევე მნიშვნელოვანი ამოცანები გვიჩნება კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებას. ბევრი აქ წამოხრილი საკითხის გადაწყვეტა სწორედ მათი საქმეა. ჩვენ ყოველწლიურად აღვნიშნავთ ქართული თეატრის დღეს, მაგრამ რატომღაც ეს დღე თბილისის თეატრებისა უფროა, ვიდრე ქართული თეატრისა საერთოდ. ცხადზე უცხადესია, რომ პერიფერიის თეატრებს აკლათ ყურადღება, მათს სპექტაკლებზე თითქმის არაფერს წერს რესპუბლიკური პრესა, მსახიობისა და რეჟისორის შრომა შეუმჩნეველი რჩება, ამიტომ მათ ეკარგებათ ინტერესი. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ქართული თეატრის დღე შეიქცია ქართული თეატრის კვირეულად, რომლის განმავლობაში პერიფერიის თეატრები ვანგილიო წლის თითო საუკეთესო სპექტაკლს წარმოადგენენ. მსახიობის სახლში. ეს იქნებოდა ნამდვილი ზეგნი, თუ გნებავთ, შემოქმედებითი შეჯიბრით. თეატრალურმა საზოგადოებამ ამ მიმართულებით უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯი.

იმედი მაქვს, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მეშვეობით გამართულ ჩვენნი დღევანდელხსენება კიდევ ერთხელ შეასწავებს ზოგიერთ ინსტანციას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და კეთილმოზობილური საქმეა თეატრზე ზრუნვა.

იასონ დოღობაია, საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის ავტორიტეტისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.





კობონიკა

და უიქრები*

აკაკი ვასაძე

თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა 1924 წლის სესონი სანდრო შანშიაშვილის პიესა „მათრახის პანაშვილით“ დაგვეწყობო. კოტე მარჯანიშვილი ალექსანდრე ახმეტელთან ერთად შეუდგა რეპეტიციებს. „მაგიდის რეპეტიციები“ არა გეგონია, პირდაპირ მიზანსცენებზე გადავდივით. ბატონი კოტე, მიზანსცენების განმტკიცების მიზნით, სანდროს ავალებდა დილის რეპეტიციებს, ხოლო საღამოს რეპეტიციებზე შესწორებას შეიტანდა თუ არა წინა მოქმედებაში, განაგრძობდა შემდგომი მოქმედების მიზანსცენირებას. ასეთი ტემპით მუშაობის უფლება რეჟისურაში მხოლოდ ბატონ კოტეს ჰქონდა... ეს რეპეტიციები გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მსახიობებზე. მათ კი არა, უბრალო სცენის თანამშრომელსაც კი მოუნდებოდა მოქმედებაში ჩაბმულიყო. ჩვენს თეატრში რამდენჯერმე განხორციელდა ცნობილი მარჯანიშვილისეული რეჟისორული ხერხი — ახალი უსიტყვო მოქმედი პირის შეყვანა სპექტაკლში (მაგალითად, კნუტ ჰამსუნის „ცხოვრების ბრწყინვალეში“ მსახიობ მიხეილ თარხანოვის „უსიტყვო ძმის“ როლს ასრულებდა ნიკოლოზ ალექსანდროვი. მეიერხოლდმა ასეთი ხერხი 1926 წელს გამოიყენა თავის ცნობილ დადგმაში „რევიზორი“. კოტემ კი, თუ არა ვცდები, ეს განახორციელა 1910 წ.).

ბატონი კოტე პიესას ისე კითხულობდა, როგორც დირიჟორი ოპერის პარტიტურას. რეჟისორმა, პიესის ლიტერატურულ ღირსებებთან ერთად, უნდა გაარკვიოს მისი ამოცანა, მისი გამოლო მოქმედება, მოქმედ პირობა ხასიათები, მათი ურთიერთობა, ზუსტად უნდა განსაზღვროს რა ჟანრისაა ნაწარმოები — კომედია, სატირა, ფარსი თუ ვოდევილი, დრამა, მელოდრამა თუ ტრაგედია და ყოველ მათგანს ძირითადი გამომსახველი ხერხი მიუსადაგოს. პიესის წაკითხვისას მთავარია, როგორ გაივთ იგი რეჟისორმა, როგორ შეასხა სორცა ნაწარმოებს. ბატონ კოტეს პიესაში ღრმად ჩახედვისა და მოქმედების განვითარების მთავარი ეტაპების ფიქსაციის გასაოცარი უნარი ჰქონდა. ამით აიხსნება, რომ მის ცნობილ სპექტაკლებში ყველა მსახიობი მხატვრული ანსამბლის ჩარჩოში იყო მოქცეული და თითოეული მათგანი (როლის სიმცირე-სიდიდისაგან დამოუკიდებლად) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა.

სესონი მართლაც სანდრო შანშიაშვილის „მათრახის პანაშვილით“ გაგხსენით. მას მოჰყვა შექსპირის „კვინორელი მხიარული ჯალბი“. შემდეგი პრემიერა — ისევ სანდრო შანშიაშვილის „ლატარა“ იყო. ამგვარად აგებულმა თეატრალურმა სესონმა მაყურებლის გულგრილობა გამოიწვია. ხელოვნების კომიტეტსა და ჩვენ თეატრს შორის დამოკიდებულება თანდათან მწვაავდებოდა, რადგან გამოცხადებულ პროგრამასა და გეგმას ვერ ვასრულებდით. ბატონ კოტეს კინოსურათის გადაღება ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული, და თეატრს ვეღარ უთმობდა საჭირო დროს, რაც კორპორაციის დიდი უმრავლესობის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. ზოგიერთები კორპორაციის წესებს აღარ ემორჩილებოდნენ და ხშირად, თეატრის ფიკურ ნორმებსაც არღვევდნენ. სამწუხაროდ, ამას ისინი სჩადიოდნენ, ვინც ბატონ კოტეს სახელს იყენენ ამოფარებულნი.

კორპორაციული დისციპლინის განსამტკიცებლად, საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ დასამტკიცებლად წარმოადგინა

* ვაგრძელება, დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 4-9.



ადრინდელი წესდების გადამუშავებული პროექტი. მდგომარეობა კიდევ უფრო ვარაუდული კოტეს წერილობით-მა განცხადებას „დურუკისადმი“, რომელშიც კატეგორიულად გვიცხადებდა, რომ ის ხელს იღებდა კორპორაციის წევრებაზე და თეატრის ხელმძღვანელობაზე უარს იცო-და, რომ ზოგიერთებისათვის საჭირო არ ყოფილიყო. ჩვენ არ აღმოგვანდა უნარი ამ რთულ ვითარებაში გარკვევას. დაიწყო ვეგუფობა. კორპორაცია, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იყო ამისა, მაგრამ ბატონ ჯო დაუპირისპირდებოდით, ამას ვინ წარიბოდებდა? მეტი ვერაფერი მოვისაზრეთ, ერთ-მანეთს სიტყვა მივეცი, — საჯაროდ არ გავგებინლა ეს ამბავი, მაგრამ ფაქტი ფაქტად კარგა, ამერიკიდან კორპორაციის აზრი ან დადგენილება დიკჩე მარკანიშვილისთვის საკადრებულად აღარ იყო. ვერძინობდი, ამ საბედისწერო დღი-დან იწყებდა კორპორაცია „დურუკის“ რღვევა, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალი საბჭოთა თეატრის აღორძინებაში შინაურების შეტმა არაკენ იცოდა.

პირობისამებრ, ჩვენც და ბატონ კოტესაც ისე გვეჭირა თავი, თითქოს არაფერი მომხდარიყო, მაგრამ ზოგიერთებს, საკმაოდ დისონანსი შემოქონდა ჩვენი ურთიერთობაში და შემდგომშიც გადამწყვეტი როლი ითამაშეს კოტე მარკანიშვილისა და ალექსანდრე ასხეტელს შორის, საერთოდ კორპორაციის წევრთა შორის, განხეთქილების გადრმავევამი.

შეცდომა იქნებოდა, განხეთქილების მთავარი მიზეზი მხოლოდ ცალკეული პიროვნებისთვის გადაგებრბობინა. ურთულეს საქმეს — ეროვნული თეატრის ფორმების ძიებას შევძელივდი, მაგრამ ერთიც ვასაბავისწინებელი იყო: კერძოდ, ჩვენი თეატრი სახელმწიფო მიუჯერებლად ერთადერთი დამატებული თეატრი იყო, რომელსაც გარკვეულ მხატვრულ პროგრამას სთხოვდნენ. თეატრი, ამ მხრივ, ფართოდ ვერ გაულებდა კარებს ექსპერიმენტებს, მით უმეტეს, რომ თვითონ კოლექტივი ერთი აზრის არაკენ იყო, ამას უმატებოდა კორპორაციის წევრებს შორის უთანხმოებაც. შეიძლება ჩვენი კორპორაციულობით ხელ-ფეხსაც ვუკრავდით თეატრის ხელმძღვანელს. მაგალითად, თეატრის რეპერტუარში პანტომიმის შეტანაზე ბატონ კოტეს არ დავეთანხმეთ. ჩვენი აზრით, კინოხელოვნების ასეთი აღმავლობის უქოქაში აზრი არ ჰქონდა პანტომიმურ წარმოდგენაზე შრომას. ჩვენი მტკივნეული უარი მან დიდის გაჭირვებით გადაყლაპა, პირადად მე კი საშინლად გამაზანდა, მაგრამ პანტომიმის დადგმაზე ფიქრს მაინც არ მოუშვა, განაწილა კიდევ როლები ჩვენი სტუდიის ექსპრადმთავრებულ ახალგაზრდა მსახიობთა შორის და მუსონბასაც შეუდგა. ეს გახლდათ თამარ ვახვახიშვილის მუსიკაზე შექმნილი პანტომიმა „მუთაშვი“. ჩვენ ჩვენს აყრს კუთვდა ვიცავდით და აფეიქრობდით, დრო თავისთავად ყველაფერს გაარკვევდა. ამასთან, ჩვენი და ბატონი კოტეს თაობების გამოხატულებას შორის დიდი ზღვარი იყო და ჩვენი კორპორაციული წესები თანდათან ისევე აუტანელი ხდებოდა ხელმძღვანელობისთვის, როგორც კორპორაციისთვის ზოგიერთების თვითნებობა და აქტიური გაყოფილება.

ჯერ კიდევ 1922-23 წლების სეზონის დასასრულს სარეჟისორო თთახში ვიყავით რამდენიმე მსახიობი, რომ ბატონი კოტე პაოლი იაშვილთან ხელდაყარული შემოვიდა და ჩვეულებრივ უფრო მხიარულად მოგვესალა. მერე მაკედონზე პატარა ოთხკუთხედი წვინი დაავლო: — აბა, მიხურეთ კა-

რი და წავივითოსთ! — ყდაზე მსხვილი ასოებით რუსულად ეწერა ფრანკ ვერფელ „შვიგელ-მენში“ („სარკის კაცის“ კინოფილმი).

სენადა ვიყვირი... ისეთი გრატაციებით კითხულობდა ბატონი კოტე, რომ ყველას „ფუნტეტი ოვხუნას“ კითხვა მოგვაგინა. დავინტერესდით პიესის სიუჟეტითა და მოქმედების განვითარების ახალ უჩვეულო საშუალებათა სიხვეით. ოთხი საათის განუწყვეტელი კითხვის შემდეგ მარკანიშვილმა განმაცხადა, დანარჩენი ხვალ წავივითხობო, მაგრამ ყველას გვიწოდდა ოთხი ბოლომდე მოგვესმინა, თუნდაც კითხვას კიდევ პიესა საათი მონდომებოდა.

— პიესის დასრულებას კიდევ საათნახევარი დასჭირდება, — დავავაშვიდა ბატონმა კოტემ.

ვერმანელი ექსპრესიონისტების დრამატურების პირველად ფრანკ ვერფელის „შვიგელ-მენშით“ ვეგნობოდით. პიესამ ძალზე გავგიტყვა. მისი თარგმნა პაოლის დაავადა ბატონმა კოტემ იმ ვარაუდით, რომ 1923-24 წლების სეზონში დადგმულიყო, მაგრამ პაოლი იაშვილმა ვერ მოიცილა მისი სათარგმნელად. როგორც იქნა, 1924-25 წლების სეზონში გადაწყდა მისი გაშვება სანდრო შანშიაშვილის თარგმანით. ბატონი კოტე დიდად იყო მოწადინებული, რომ თვითონ დაეღვა ეს სპექტაკლი, მაგრამ კინოსა და თეატრში ერთდროულად მუშაობა მიმეც იყო და მხოლოდ პიესის მონტაჟზე შექმნა, რომლების განაწილება და პირველი სურათის გავლა მოასწორო. ეს დადგმაც ალექსანდრე ასხეტელს გადაეცა. პიესის მონტაჟი ოსტატურად ჰქონდა ბატონ კოტეს შესრულებული. მან მოგავაწოდა სპექტაკლის ახალი აპოკრიფიკური წყობა. ჩვენთვის — მსახიობისა და რეჟისორ ალექსანდრე ასხეტელისთვისაც უცნობი იყო ის სასცენო საშუალებები, რომლითაც ექვსი წლის წინათ დაწერილი ეს პიესა უნდა განხორციელებულიყო, იქნებ ამიტომაც, რეპეტიციების დროს პიესამ ისე აღარ გავგიტყვა, როგორც ორი წლის წინათ. მაშინ რომ დადგმულიყო „შვიგელ-მენში“, ალბათ უფრო დროის შესაფერისი იქნებოდა. მთავარი როლის — თამაშის შესრულება მე მქონდა დაიცოებული. როლში ტექსტის უჩვეულო სიდიდე იმდენად ხაზს ამაწვებდა, რამდენდაც ის, რომ სახის შინაგანი ხაზი არათანმიმდევრულად ვითარდებოდა. სურათები, რეჟის მსგავსად, მხოლოდ გარეულად უკავშირდებოდა ერთმანეთს.

უნიჭიერებას მსატარავა ირაკლი ვამერეკლმა, მიუხედავად იმისა, რომ შინაშინავედა გადაჭრა კოსტიუმების პირობებზე და ეპილოგისა და პროლოგის დეკორატიული მორთულობა, ჩემი აზრით, სპექტაკლის მილიანი დეკორატიული გაფორმება მაინც ვერ შესწორა.

ვერც ბატონი კოტეს კორექტურამ უშველა საქმეს. სპექტაკლი კი გავუშვით, მაგრამ ჩვენმა კრიტიკოსებმა გვიპოვეს „სუსტი ადილი“ და არ დაგვიდღეს. უკანასკნელმა სურათსა კი, რომელიც ძალზე ვიქტორი იყო (თხუთმეტასწლეურობი კინეზე, ორთავე მხარეს შავეში გამოიყვანილი ბუფონისანთლებით ხელში ჩამწკრივებულან, ხოლო თეთრბარანგია-ნი თამაღ — მე, ვეზულხელდაფილი მიგობლდაც ზევით, რომ ცხოვრებით დაღლილი და იმედგაცრუებული ბერად შევდეგ) საბამი მისცა კრიტიკოსებს, რომ ჩვენითვის მისტიციზმისკენ გადახრა დაებარალებინათ. რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ, ეს სპექტაკლი, მიუხედავად მაყურებლის დასწრებისა, რეპერტუარიდან ამოგვადიანდა. პირადად მე, როგორც მსახიობი, ამით აუტანელი ტვირთისადაც გავთავი-

სულდი. საქმე ის გახლავთ, რომ ფიზიკურად და სულიერად ისე მდიდარი თამაშის როლის შესრულება, რომ წარმოდგენის ბოლოს ისეთი შეგრძნება მიიწინა, თითქმის მარტოოდენ კანის ანარა დაფრჩი. ამის გამხელა მარტო ჩემს მეუღლესთან გაეხედა, ისიც მაშინ, როდესაც ამ სპექტაკლის შემდეგ დილის თხზ-ხუთ საათამდე ვერ დავიწყნარი და ძიძა არ მომეკარა. მან კი სრულიად უბრალოდ ახსნა ეს მოვლენა: — ზედმეტად განიცდი, ერთთავად დაძაბული ხარ სპექტაკლში, სადღაც უნდა დასიყვინო! რატომ მიტოვებ, აკაკი, არ რომელი შენი უეცარი გადასვლები შეუქიდან ჩრდილზე და მსუბუქი, უშუალო კილო მეტყველებსა?

მისი სიტყვები მინშინა და გულსაც მიხვდა. ძნელი ყოფილა როლის ერთბაშად შეცნობა და შეგრძნობა. ვინ იყის, როდის გეწყვეს ასეთი ბედნიერება შემოქმედებით ცხოვრებაში? რაოდენ ძვირფასია ამ დროს ერთგული მეგობრის ფიზიკური თვალის და გულწრფელი სიტყვა.

1925 წლის 29 იანვარი — „დურუჯის“ დაარსების დღე „შვიგელ-მენშით“ აღვნიშნეთ. წარმოდგენა ასე დავიწყეთ: მხოლოდ ზარის შემდეგ ფარდა იხსნება. სცენაზე, გარდა შიშველი კედლებისა და მორთავ სახანძრო ნათურისა, არაფერი ბუნებრივად პირველი ლოფიდან ჩამოვხედილი კიბე და პარტურის შუაგულიდან სცენაზე გადებული ხიდი მაყურებლის ცნობისმოყვარობას აღვივებს... ეს სპექტაკლი თიხჯერ გვაქვს ნანახი და ბელეტაჟიდან ჩამოშვებული კიბე არ შეგვიმჩნევია? ან ეს ხიდი რად დასჭირდათ? რას აპირებენ ეს გიჟები? — თურმე ასე ვითრებოდნენ ერთმანეთს დარბაზში მყოფი მაყურებლები. როდესაც ბელეტაჟის ლოფიდან დავეშვივით კიბეზე და მერე ხიდი პარტურიდან სცენაზე გავდივით, მაყურებელთა გაოცებული შურა მოგვეყვებოდა. მსახიობთაგან ზოგს საკუთარი ტანსაცმელი ეცვა, ზოგი თვატარული კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ზოგს გრძობის ყუთი ეჭირა და სპექტაკლისთვის საჭირო რეკვიზიტები დატვირთული ყველანი ერთად „ლილეს“ რიტმზე სცენისკენ მივაბიჯებდით. „ლილეს“ შემდეგ სცენის მიწყობა და მსახიობთა მომზადება სპექტაკლისთვის დასრულების წინაშე გათავაშა. ყოველივე ეს სცენის მუშებში უხერხულობას იწვევდა, მაგრამ საერთო რიტმიდან მანაც არ ამოვარდნილან და ისე მუშაობდნენ, როგორც დახურული ფარისი უკან. თუცა, „რიტმიდან ამოვარდნისგან“ დაზღვეულნი არ ვიყავით, რადგან ერთი ჩამომვლი ისე დაიბნა, რომ თამარ ჭაჭუაძეს ხელბეჭე დაწკაპო ფეხსაცმლის ჩაცმა!... ამ სულელურმა შემხმევემ (თითქმის განაგებ წინასწარ მოვიტყველებმა), საოცრად განტვირთა მაყურებლის დაძაბული ყურადღება და სიცილი გაემიწვია. დარბაზშიც და სცენაზეც უნებურად შეიქმნა უშუალო განცდა, უცებ დამყარდა კონტაქტი და სპექტაკლი ახარველდნობრივი სიმსუბუქით გაითავაშა.

ერთ სასცენო ჭეშმარიტებასაც მივაკლივ. როცა ტრაგიკულ როლს თამაშობ, ლაღად თუ არ გადაციე მაყურებელს, შრომა ფუჭად ჩაგივლის. ყოველ შემთხვევაში, 29 იანვრის წლისთავი სიმბოლურად ისე გამოხატავთ, რომ მსახიობი ყოველთვის მზად უნდა იყოს გარდასასვლელისთვის, ის არის პროფესიონალი, მას შეუძლია მაყურებლის წინაშე გარდაიქმნას, მის თვალწინ ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში.

...1925 წლის იანვრიდან თვატარში თითქმის შეწყდა რეპეტიციები. ხელოვნების საბჭოსა თუ კომიტეტს ახალი დადგმისთვის თანხა არ განაჩნდა. მასმა დაუსრულებლმა რეორგა-

ნიზაციამ თვატრის ისედაც რთული სამკურნეო მდგომარეობა კიდევ უფრო არია. სეზონის დასრულების შემდეგ მთელი კოლექტივი გასტროლების მიწყობის პროექტითა სულდგმვა რომად, (15 მარტიდან 15 მაისამდე). შემდეგ გამოირკვა, რომ თვატრის დირექციას მოგზაურობისთვის წინასწარ გასაწევი ხარჯების გაღება არ შეეძლო. ამგვარად, გასტროლების საკითხიც მოიხსნა. მომავალი მუშაობის შესახებ გარკვევით არაფერი ვიცოდით და, ბუნებრივია, კორპორანტებმა გადაწყვიტეთ საზსუფლო მისამზადებელი მუშაობის და მომავალი სეზონის საკითხის დასის კოლექტივის კრებაზე გამოვეყვანა. კოლექტივმა დაადგინა: პირველი ივნისიდან დაიწყოს მისამზადებელი მუშაობა, მიუხედავად იმისა, სათანადო ორგანოები დაამტკიცებდნენ თუ არა მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვას.

გამოვკარით კვტ მარჯანიშვილის მიერ ხელოვნური-ლი კლასადგება: „პირველი ივნისი, შექსპირის „ჰამლეტი“. პიესის წაკითხვა. სავალდებულოა მთელი დასის დასწრება“.

თეატრალური სკოლა. სამხატვრო თეატრის გასტროლები ტბანისლავსკის ხელმძღვანელობით

1924-25 წლების სეზონში თვატარმა არსებულმა დრამატულმა სკოლამ დიდი მუშაობა გაწადა აკაკი ფადავას მეთაურობით. აკაკიმ დაითანხმა კოტე მარჯანიშვილი და ცნობილი დირიჟორი ივანე ფალიაშვილი და მათი დახმარებით თანხა საოპერა სტუდია. ამ სტუდიამ ალიზარდა ოპერის თვატრის მომავალი კადრები: დავით ზარდები, დავით ანდლუაძე, შალვა ცირილაძე, პეტრე ამირანაშვილი, ევატრინე სოხაძე, ნადეჟდა ცოხია, დიმიტრი მჭედლიძე, შალვა ხაშაშვიდი და სხვები. თვატრის ორკესტრში უკრავდნენ: იონა ტუტაია, გრიგოლ კილაძე, ვგენი მიქელაძე, შალვა აზმაფარაშვილი, ივანე გოგიელი, ირინე მდივანი და სხვები. საოპერო სტუდიას მისათვის უკვე მზად ჰქონდა ჩინორაზას „ფარული ჰოსიწინა“ კოტე მარჯანიშვილის დადგმით, ივანე ფალიაშვილის დირიჟორობითა და მხატვარ ირაკლი გავრიელის გაფორმებით. საოპერო სტუდიის სპექტაკლებისთვის სპეციალურად გადააკეთეს რუსთაველის თვატრის „სარკის დარბაზი“, რომელსაც შესასვლელი საცნობარო დარბაზიდან აქვს. ოცდათხუთმეტკაციანი ორკესტრისთვის სპეციალურად ამოჭრეს ობატკი. სცენა სამოცდაათი-თხუთმეტ სანტიმეტრით იყო ამაღლებული.

ეს წელიწადი ჩემთვის დაუვიწყარია იმიტომ, რომ მე რეჟისორ-მასწავლებლად ვიყავი მიწვეული მსახიობის ოსტატობასა და სასცენო მეტყველებაში. სასცენო მეტყველება ძირითადად ცნობილ დრამატურ ნიკოლოზ შევტკაშვილს მიჰყავდა, ზოლო მსახიობის ოსტატობა — აკაკი ფადავასა და ალექსანდრე ახმეტელს. საოპერო ჯგუფშიც რამდენიმე საათი მქონდა სასცენო მეტყველებაში, რასაც დიდი ინტერესითა და ხალხით ვატარებდი. ქართველ მომღერლებს მეტყველების ბრწყინვალე ტრადიცია დაუტოვა შეუდარებელმა ვანო სარაჯიშვილმა, რომლის სიმღერის დროს ყოველი თანხმობანი ხმოვანივით ქვდრდა. მის მიერ ერთხელ შესრულებული მუსიკალური ფრზა. სასცენო რეჟიმოდა მსმენელის მესიერებაში. ვანო სარაჯიშვილის ნადირი („მარგალიტის მამიბეღლი“) ღვთაებრივი, ლირიული, ამაღლებული განწყობის შემქმნელი განუმეორებელი შედევრია. მი-



სი სოზე „კარმენში“ — მეორე მოქმედების არიზო („ხედავ, რა წმინდად ვინახავ იმ ვარდას“... ამ მესამეში — „შეხედვით გეკუპა“; ამ მეოთხე აქტში დღეტი კარმენთან — „განა ვეშეკვები, გიხვო, გვედრებო“... ეს ნამდვილი დრამატული დიალოგი საოცრად შთამბეჭდავი, დაუვიწყარია. ასეთი იყო იგი აბუსალომშიც, მაღალშიც, „ტრეტიკაში“ „აიბოში“, „ვერტერში“, „მანონში“, „დომონში“. ხმა ცვეპოლვანი ჰქონდა, ვაკაცური ტემბრი, მაგრამ, რაც მთავარია, მსახიობი იყო, რომელსაც თავისი სულიერი დედაც, თითო-ღვა, მხოლოდ სიმღერით შეეძლო გადმოეცა და ეს სიმღერა მასში ორჯერად იხადებოდა — თითქოს გულიდან იღვრებოდა თავისუფლად, დალად და გადამღებად. სიტყვები მისი ჩქარვებით როდი ეკარგებოდა, პირიქით, ისინი უფრო მეტის აზრით სწუდებოდნენ მიმდრღობის ზეგას და, მელოდიასთან ერთად, სიტყვაც საოცრად მოქმედებდა მაყურებელ-მსმენელზე.

ჩინარობის „ფარული ქორწინება“ რეიტატეობითაა სასეზე და თუ მომღერალს სუფთა დიქცია არა აქვს, თუ მტყვევლად არ მღერის, ფარფარი მთახერხებეს. მუსიკალურ ნაწარმოებზე რევისორულ მუშაობას ნაწილობრივ ბატონ კოტე მიერ „მასკოტა“-ს დადგმის დროს გაყვანილ. ამჯერად ოპერაზე რევისორის და დირიჟორის მუშაობის წესებმა უფრო დამინტერესა და, როცა ამის საშუალება მომეცემოდა, მათ ერთობლივ რეპეტაციებს ვესწრებოდი. ასეთ რეპეტაციებზე ჩემთვის სათელი გახდა, რომ რევისორისა და დირიჟორის მსხატრული ჩანაფიქრი ნაწარმოების პარტიკურას უნდა ეწყარებოდეს. პარტიკურის მიხედვით განისაზღვრება მისი ჟანრისა და მოქმედი პირობის სახითობიც.

ბატონ კოტეს ჩემი საკერსო ნაშრომები — მოლიერის ერთმოქმედებანი კომედი, „ბარბულიეს ეჭვიანობა“ ვაჩვენებ პირველი კურსის სტუდენტებთან დრამატულ ჯგუფში. სიხარულსაგან მეშვედ ცაზე ვიყავი, რადან ბევრი იყნა ბატონმა კოტემ და რას ვიფიქრებდი, თუ სანქტალის დამთავრების შემდეგ სწორედ იმ ადგილებს დამიწუნებდა, რომელთაც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მასწავლებელზე.

— ჩემი აკაკი, როცა უშუალო იმპროვიზაციით მიგყავს ბარბულიე — ეს სასაცილოა, სწორედ ასე უნდა მუშაობა მოლიერის ერთაქტიან პიესებზე, სადაც ის „კომედიად დელ არტის“ დიდი გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ როცა „გაბაზა“ ნაურებელი მდამიოდან“ სესხებოდა მზა ფორმებს, ჯერ ერთი, ყოველი გამმოტანა ხელოვნებაში მხოლოდ გამმოტანაა და, მეორეც, სამკეს ეს არ შეეღოს. ამიტომ, რევისორა ვლადებულა, უპირველეს ყოვლისა, ავტორის აზრს ჩასწავლეს. ავტორისეული ფორმა განახორციელოს. თავის ერთმოქმედებთან პიესებში მოლიერი მოქმედებას ბოლომდე თანმიმდევრულად როდი ანეთარებს — ამას ნახტომებით აკეთებს და უფრო ამა თუ იმ გამორჩეული გარკვეული ამპლუსის მსახიობისთვის დაწერილ სცენარს ჰგავს, ვიდრე მხატვრულად დასაბუთებულ სახეს.

მადლობის მეტი რა მეტყობა, მისი ნაწილა შენიშვნაც (საპრობო ბეგრი ლაპარაკი არ უყვარდა ბატონ კოტეს) დღემდე სახელმძღვანელო მითითებდა მიმამჩნია.

1925 წლის თეატრალური გაზაფხული თბილისში მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლებით აღინიშნა მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის, ლეგენდარული ხელოვნის, კონს-

ტანტინე სერგის ძე სტანისლავსკის მეთაურობით. პირველად ვსტუდობდით თბილისში უფროს მსახიობთა პლეადას (მოსკოვის, ლუსკის, ლეონიდოს, გრიბუნის; ახალგაზრდებს: ვინა შევიჩენოს, ტარსოვას, ხმელიოვს, დობრონაევსა და სხვებს.

რეპერტუარში ჰქონდათ: ალექსი ტოლსტოის „მეფე თეოდორე იანსის ძე“, მაქსიმ გოგის „ფსკერზე“, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენი შეცდება“. როგორც იც წეოს, ახლაც, საოპერო თეატრში გასტროლები გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარეობდა, რათა მაყურებელთა განაცხადი დაეკმაყოფილებინათ.

ივანე მიხეილის ძე მოსკოვის მეფე თეოდორე, ლუკა — პიესიდან „ფსკერზე“, მანკლა — „ძმები კარამაზოვები“ და გულტკვინი — „ზოგჯერ ბრძენი შეცდება“, ეს უნიჭიერები ხელოვანის მიერ შექმნილი ისეთი სახეები, რომ ვერც ერთი დროის მაღალი გემოვნების მქონე თეატრალი გვედებს ვერ აუღწის. ვასილ ივანეს ძე კაჩალოვის ბარონი („ფსკერზე“), ივანე კარამაზოვი („ძმები კარამაზოვები“) და ლუმივი („ზოგჯერ ბრძენი შეცდება“; ან კონსტანტინე სერგის ძე სტანისლავსკის პეტრე შუისკი „მეფე თეოდორეში“, სტანინი — „ფსკერზე“ და კრუტიცი — „ზოგჯერ ბრძენი შეცდება“; ლეონიდოვის — გასა პეული („ფსკერზე“), დიმიტრი კარამაზოვი („ძმები კარამაზოვები“) და როდლენი („ზოგჯერ ბრძენი შეცდება“); ლუსკი — თეოდორე-მამა სპექტაკლში — „ძმები კარამაზოვები“, შამაგვა — „ზოგჯერ ბრძენი შეცდება“, მექუდა — „ფსკერზე“, ვასილ შუისკი — „მეფე თეოდორეში“; დაუვიწყარი ოლგა ლეონარდოს ასული ანტიერ-ჩეხოვა — ნასტა („ფსკერზე“), ტურუსინა („ზოგჯერ ბრძენი შეცდება“; ახალგაზრდა მსახიობიდან: ვანა შევიჩენოს მინერანახიერებული ვასილას („ფსკერზე“); ალა ტარსოვას გრუშენკა („ძმები კარამაზოვები“) და კლუპატარა ლოვანა („ზოგჯერ ბრძენი შეცდება“); ნიკოლოზ ხმელიოვის კარასტოლოვი („ფსკერზე“), დობრონა-ვოვის ალიოზა „კარამაზოვი“, და ვინ მოსთვლის ყველას, პაწია ეპიზოდური როლებიდან მოყოლებული მთავარ როლებამდე, რომლებიც მხატვრული სახეების მშვენიერ გალერეას ქმნიდნენ. მათ მიერ შექმნილი სახეები ისე აღბეჭდა ჩემში, რომ დღემდე ცოცხლად ჩამჩენია სულსა და გონებაში.

ალექსი ტოლსტოის პიესა „მეფე თეოდორე“, რომელიც სამხატვრო თეატრმა პირველად 1898 წელს დადგა, ამ გასტროლების დროსაც (27 წლის შემდეგ) საიფარე შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. ისტორიული სინამდვილე დოკუმენტურად იყო დატყობი ტანსაცმელსა და დეკორაციულ მორთულობით. ეს „მუხეუბური“ გაგონი ხელს არ უშლდა ივანე მოსკოვის (თეოდორეს სახეში) ფრესკიდან გატოცხლებული სტატიო შემცხარის შემოსულით სასახლეში და ბაუშური მიაბიტიო მითხას: — „მეჯანიბეგ, ჩემს ქვეშ დად შეუდგა ცხენი ყაღვლეზე“. საგმარბის იყო ეს პირველი ფრაზა ივანე მოსკოვის მოსკოვურ გილოზე ეთქვა, რომ მაყურებელი თავის სედავლებს ქვეშ მოექცა. მოსკოვინი ამ სახეში ცხოვრობდებოდა და მხატვრული სიმარბითი ხიბლავდა ყველას. მის მიერ ყოველგვარი პოზორობის ვარგემ შექმნილი თეოდორე ის ადამიანი იყო, რომელიც საკუთარ უმწეობას გრძნობდა და ცდილობდა უწყინარ გვირგვინსონად მოეჩვენებინა თავი ქვეყნდროშებისთვის. ივანე მოსკოვინი შეუდარებელი იყო თეოდორეს როლში, მაგრამ ჩემში იგი იმ



მხრივაც იწვევდა ალტაცებს, რომ მხატვრულ ანსამბლს არ-
სად არღვევდა და არც სოლისტიბოდა. პირიქით, მხატვრულ
სახეს პარტიზონობაში მჭიდრო თვითერთობისა და დამოკი-
დებულების ნიადაგზე ქმნიდა, ყველას კი დიდსა და მცირე-
ს, რეისორის მტკიცე ხელი წარმართავდა. ასეთი ანსამბ-
ლურობა მოსკოვის არც ერთ სხვა თეატრში არ შეიმჩნეოდა

ასეთივე გენიალური ანსამბლური გემბილავდა ყვე-
ლას მაქსიმ გორკის „ფსკერზე“. სატინი — სტანისლავსკის,
ბარონი — კაჩალოვი, ლუკა — მოსკოვინი, ვაკა-პეპელ —
ლეონიდევი; ბუნზივი — ლუესკი, ნასტა — კნობერ-ჩეხოვა,
ვასილია — ფაინა შერშენკო, კოსტილიოვა — ხმელიოვი,
გოროდოვი — გრიბუნინი, აქტიორი — ალექსანდროვი —
ის სახეები ჩამოვთვალე, რომლებიც უნიკალური კოლექციის
სახით სიბერემდე შემორჩნენ ჩემს მესხერებას.

და მართლაც, სტანისლავსკი — ეს ულამაზესი კაცი —
განუყოფრებელი იყო სატინის როლში. მისი ბუნებრივი მო-
ნაცემები ისე შეესაბამებოდა სატინის სასიასს, რომ თით-
ქოს სხვას არ შეეძლო მისი განსაზიერება. ისეთი სიღრმითა
და უხადლო განცხდით, წინაშე პაოტის გადმოსცემა სტა-
ნისლავსკი გორკის ქადაგებას ადამიანზე, შრომაზე, რომ მა-
ყურებელს არაწვეულებრივად აღაგზნებდა, აღუღებდა. ფი-
ნალში, როდესაც სატინი იგებს აქტიორის თვითმკვლელობის
ამბავს, გრვივნავსათი ამოსვლდებოდა მკერდიდან მწარე, სა-
სოწარკვეთილი სიცილი. ასე აგვირგვინებდა სტანისლავსკი
ამ სპექტაკლს. ჟრუბატელის მომგერელი იყო ეს სცენა... ბედ-
ნიერად ვფიქროვ, თავს, რომ იმ დროს მიმიხდა მუშაობა ქარ-
თულ სცენაზე, როდესაც მსოფლიოში ეს უდიდესი ხელოვანი
ცხოვრობდა და როგორც არტისტი და რეისორი განუყოფრე-
ბელ შედეგებზე ქმნიდა.

ასევე ვირტუოზულად ანსაზიერებდა კაჩალოვი ბარონის
სახეს. დამაჯერებელი მოუთხრობდა იგი მაყურებელს, თუ
როგორ მიხვდა ფსკერზე. იმ წუთში ყოველგვარი ხელოვნუ-
რობა გამოირიცხებოდა იყო. კაჩალოვი-ბარონი ისე გვიტაცებდა
თავის ცხოვრებით, თითქმის ჩვევს ვახლდით მას იმა თავვა-
დასავლების დროს.

კაჩალოვის ბარონი მოვლენა სასცენო ხელოვნებაში.
არანაკლები ოსტატობით იყო განსაზიერებული მოსკოვინის
მიერ ლუკა — „სიმბრძნე-სიყვარულს“ სატი ამ სპექტაკლში.

უდრესი სითბოთი წარმოვკვიდინა მოსკოვინმა წესრიგის
მოყვარული, ყველას მანუგეშებელი და დამამზებლებელი კე-
თილი მოხუცის სახე და გვიჩვენა, თუ რა ფართო დიპაპსო-
ნის მსახიობი იყო.

მის შემოქმედებით დიპაპსონზე მეტყველებდა, ერთი
მხრივ, დოსტოევსკის „ქმეში კარამაზოვებში“ შესრულებული
ნენიორის როლი, ხოლო, მეორე მხრივ, ოსტროვსკის პიე-
საში „ზოგჯერ ბრძენიც შეიძლება“ განსაზიერებელი ჟურნა-
ლისტ გალუტკინის სახე. ეს ორი სახე ისევე განსზავებდა
ერთმანეთისაგან, როგორც დღე და ღამე. მოსკოვინი როგვე
სახეში რეალური და დამაჯერებელი იყო.

ოსტროვსკის პიესაში („ზოგჯერ ბრძენიც შეიძლება“) **სტანისლავსკი კრუტიციკის როლში სცენური გარდასახვის თვალსაზრის მაგალითს გვიჩვენებდა. გლუმოვის როლს კაჩალოვი ასრულებდა, ხოლო გოროდოვლინისა — ლეონიდევი. თითოეული სპექტაკლის ეს იყო უმშვენიერესი ზღაპარი, ნამე- დღილი ფიქერვერკი!**

ყველა მსახიობი, სტანისლავსკის მეთაურობით, თავის შე-

მოქმედებაში ამპლუსი ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდა. ა-
მპლუსი საზღვრების დარღვევის აუცილებლობაზე სწორედ
მაშინ დაფიქრებდა ღრმად და შემდგომში, შეძლებისდაგე-
ვად, შეეცადა ჩემს შემოქმედებით პრაქტიკაშიც დამეხერგა-
ნის მსახიობი, რომელიც ერთი ამპლუსი ტყვეა — როგორ
ბრწყინავდა არ უნდა იყოს ამ თავის ამპლუსში — მაინც
არ არის დიდი პროფესიონალი. პროფესიონალიზმი და ოს-
ტატობა ამპლუსის დარღვევა, დაშლა, უარყოფია. აი, ეს ფი-
ქრები შთამინერგა სამხატვრო თეატრის მსახიობთა ნასვამ.
ყოველი მათგანი შემოქმედებით ინდივიდუალობით
სოფლიად განსზავდებოდა ერთმანეთისაგან, ხოლო სცენაზე
ერთი დღე-მამის შვილებითა იცვნენ შესხატბილებურნი.

სამხატვრო თეატრის დასი საინტერესო, ორიგინალური,
სულიერად მდიდარი პიროვნებების კავშირს წარმოადგენდა
ყოველი მათგანი აქტიორული ოსტატობის მაღალ კლასს გვი-
ჩვენებდა. ფსადულებელი იყო ამ თეატრის წვლილი ქართუ-
ლი თეატრის განვითარებაშიც. მხოლოდ ერთი რამ მაო-
ცებდა, შექსპირის „იულიუს კეისარი“ და „ქ.მლტვი“ რომ
არ გამოვიყვანა. დიდი ხნის შემდეგ, ჩემივე შემოქმედებით
პრაქტიკით მიგზვდი, ამ დიდებულ თეატრის მიერ შექსპი-
რის „მოურველობის“ საიდუმლოებას. მაშინ გვაოცებდა სა-
მხატვრო თეატრის სცენაზე თანამედროვე პიესის დადგენა
ჩვენმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ ისიც იცნოდა, რომ „მემა-
ტხენები“ ლიტერატურასა და თეატრში სამხატვრო თეატ-
რის სკოლას და აკადემიზმს ებრძოდნენ. რასაკვირველია,
ჩვენ არ ვიყავით სამხატვრო თეატრის მალაი ოსტატობის
ბრმა თავიანთიმცემლები, უკვე ვარჩევდით ავსა და კარეს
მის ხელოვნებაში, მაგრამ იმასაც ვხედავდით, რომ სტანის-
ლავსკი თავისი „სისტემით“ ყველაზე ახლოს იყო იბაბჭოთა თე-
ატრის პრინციპებთან.

სამხატვრო თეატრის გასტროლობმა მაშინ, კიდევ ერთ-
ხელ დავგაოწმუნა ქართული თეატრის რეფორმატორის — კო-
ტე მარჯანიშვილის შემოქმედებით გზის სისწორეში: თავი-
საც თეატრი დადგამაში იპოვის ღრმა შესაბამისობას როდეს
დროის მაყურებლის სულიერ მოთხოვნილებას და ავტორის
დემოკრატიულ ტენდენციებს შორის, ამ დროს მისი მიზრუ-
ნება კლასიკური დრამატურებისაგან ისტიორულად და მსა-
ტვრულად განნოთხიერი და გასართლებულია.

შთაბეჭდილების ასეთი გრანდიოზული დღოთი მიღებამ
წილილება დაამთოს კიდევ ახალგაზრდა მსახიობი, თუ მას
ერთნებულ ხელოვნების ტრადიციული კულტურა არ ექნება.
ვასო აბაშიძისა და ლადო მესხიორის ტრადი-
ციებზე აღზრდილს, მიტაცებდა და მაოცებდა სამხა-
ტვრო თეატრის მსახიობთა თამაში, მაგრამ არ მანდევდა.
უყურებდა წარმოდგენებს, შემდეგ ვისცხდებოდა ქართული
სცენის სახელოვანი კორიფების მხატვრულ სპაზთა გალერე-
ას, ჩვენი თათბის ახალგაზრდა ძალების მონაცემებას ვი-
თვალისწინებდი, წარმოვიდგენდი ჩვენს შუაძლებლობებს
და ქართული სათეატრო ხელოვნების დიდი მომავლის საო-
ცარი რწმენა მესახებოდა.

საკუთარი ძალებიდან რწმენას ისიც გვიჩერავდა, რომ
ჩვენს საქმეს სათავეში კოტე მარჯანიშვილი ედგა, რომლის
რეჟისორული ხელოვნების მაღალპროფესიულ თვისებებს
ასეთი გასტროლობი კიდევ უფრო ნათეს ხდიდნენ და მოგ-
ვიწოდებდნენ უფრო მეტი უკომპრომისი შემოქმედებითი შრო-
მისკენ. ამაზე კი, სამწუხაროდ, თვითონ ჩემს წრეშიც ზოგი-

ერთები არ ზრუნავდნენ, არ ფიქრობდნენ... ზოგს ასევე ეგონა, ჩაყოფდა ბატონი კოტე ხელს თავის ცნობილ „საივრში“, რომელიც ათასი დადგმის ექსპეზიბიტი და რევისორული ექსპოზიციით იყო სახსე, და ყოველ ჩვენგანს ორიგინალური მხატვრული სახის ყალიბს დაურევებდა. ამისთვის კი საჭირო იყო საკუთარ თავზე ყოველდღიური მუშაობა, მსახიობის ფსიქო-ფიზიკური აპარატის დახვეწა, მისი სისტემატური წრთობა. ხოლო „პრინაიდონისა“ და „პრემიერის“ ფსიქიკის ნაშთების აღმოფხვრისთვის შინაგან ინდივიდუალურ ცხოვრებაში ზოგი თავს არ იწუხებდა. შემოქმედებით კოლექტივში, მსახიობისთვის ყველაზე რთული საქმეა საკუთარი ადგილის პოვნა, მთავარია შეასრულო შენი მისია, მოძებნო შენი თემა, შენი როლი, რომელშიაც ყველაზე უკეთ გამოამჟღავნებ შემოქმედებით მონაცემებს — შენს ინდივიდუალურ თვისებებზე კი არ მორიგებ ყველა როლს, არამედ ინდივიდუალურ თვისებას მიუსადაგებ ამ თუ იმ მხატვრულ სახეს, ანუ შენ გახსნი სახეს და არა სახეს შეაქმნევენ შენს თავს. ამ საქმეში რეჟისორის გამჭრიახი თვალი და მსახიობის შესაძლებლობის წინასწარი განჭურვების დიდი უნარი უნდა გეხმარებოდეს, თორემ საკუთარი შეხედულების მიხედვით, ამა თუ იმ ბუნებრივი მონაცემების მეშვეობით, შეიძლება შექმნა კიდევ ესა თუ ის სახე, მაგრამ ის სრულყოფილი და პროფესიული კი არ იქნება, არამედ მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა. სულეერ სამყაროში რეგოლუცია არ ხდება! „შემოქმედებით ნახტომად“ რომ მივიჩნევთ აქტიორის ცხოვრებაში ამა თუ იმ სახის განსახიერებას, საეტაპო ქმნილებად რომ გამოვაცხადებთ ამა თუ იმ მხატვრულ სახეს, — ეს ჩვენს სულში მომწიფებული ნაყოფის კანონზომიერი დაბადებაა და არა მოულოდნელი სასწაული. ამ სულეერ პროცესში მონაწილეობას იღებს მწვრთნელის თვისებებით დაჯილდოებული რეჟისორი.

ბატონმა კოტემ კონსტანტინე სერგის ძე და სხვა თავის მეგობრები საოპერო სტუდიაში მიიწვია და ჩიმაროზას „ფარული ქორწინება“ აჩვენა. ჩვენს წარმოდგენები კი ვერ ვაჩვენეთ, რადგან სუონი დასრულებული გვქონდა. სტანისლავსკის მოწონა ახალგაზრდა მომღერლების ნამუშევარი. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა ერთუნულმა თვისებებმა. „ქართველ მსახიობს, ტემპერამენტით, სლავიანთა ხალხებში, შეიძლება სორვატი მსახიობი შევადაროთ, — გვითხრა მან. უამრავი შეკითხვა მივეცი დიდიხატის სხვებთან ერთად მეც შევეკითხე:

— როგორ უყურებთ მემარცხენეობას თეატრალურ ხელოვნებაში? — მხედველობაში მაქვს მეთერხოლდის, ვახტანგოვისა და ტაიროვის დადგმები?

კონსტანტინე სერგის ძემ ძალიან მოკლედ გამცა პასუხი: — თუ არ ვუყურებ თეატრს იმ თვალთ, მარცხნივ დგას იგი თუ მარჯვნივ, მთავარია კარგი სპექტაკლი მაჩვენოს.

დილის 7 საათზე, ვასილ კაჩალოვის და ივანე მოსკვილის მეთაურობით, კოტე მარჯანიშვილის მიერ მოწყობილი ბანკეტიდან სიმღერით ეუახლოვდებოდით სასტუმრო „ორიანტს“. მთელი ეს „კავალკადა“ სადარბაზო კარებამდე თყი ნაბიჯის დაშორებით, უცებ გააჩუმა ივანე მოსკვინიმა, ბოდიში მოიხადა, მადლობა გადაგიხადა გულთბილი მიღებისთვის და ჩვენდა გასაოცრად, ფეხსაცმლის გახდა დაიწყო. მერე კი წინდების ამრა ფეხაკრეფით შევიდა სასტუმროში. დავიბენით. კანალოვმა აგვისხნა: — „შეიძლება „მოხუცი“



„პროტესტი“. კორობკოვი — ა. ვასაძე. 1929 წ.



„ღვარძლ“. გუნიაივი — ა. ვასაძე. 1933 წ.



„ხოლოების დღი“. ვახველვილია. ვასაძე. 1929 წ.



(სტანისლავსკი) ახალი ამდგარია და ხმაზე ვარჯიშობს, მე და მოსკენი მის გვერდით ნომრებში ვცხოვრობთ და ამიტომ ჩემდა, უხმაროდ გვიდა შევიპარეთ ჩვენს თახებში... უფროსიანდნი ასეთი პატივისცემა ხუმრობას აღარ გავდა, თვალსაჩინო გაკეთებულ ჩაკეთიერებს ბახსით შესურებულ მათი ხელოვნების თავყანისმცემლებს. სამაღლე არც ერთს არ აკულდა ხელოვნებში, მაგრამ ამ საქციელთს იბინი კიდევ უფრო გაიხარებენ ჩვენს თავში. ხოლო მათოცხადებით წლის თავსკმი სტანისლავსკის მიერ ხმაზე ვარჯიშობა — ხანსაცაიდ მოვეჩვენა.

შემსპირი რუსთაველის ტიპარში

ჰამლეტი! მოიწყობით სწყვეთ მსახიობის მორთოლვერ ბავს. ჰამლეტი... ვინ იქნება? ვინ მოხვდის, რამდენია პრეტენდენტი?... რომელი მსახიობის სულში არ წის ეს საოცარი სახე... ყოველ კულტურულ ადამიანს ხომ იგი თავისებურად ჰყავს წარმოსახული...

რუსთაველის თეატრი „ჰამლეტს“ დგამს... ხმა სწრაფად გავრცელდა ქალაქში... ვინ შეასრულებს „ჰამლეტის“ როლს?... არც დასმა იცის, არც — მაყურებელმა... ვის აირჩევს ამ როლისთვის ბატონი კოტე? ეს საკითხი ძაბავს ყოველი მსახიობის გონებას... ყოველი ჩვენთავანი, ვისაც თვითდაკვირვების უნარი აქვს, თვითანალოზშია, მაგრამ როგორ აქვს ჩაფიქრებელი ეს სახე ბატონ კოტეს, არავინ ვიციტ... ეს კი მტკიცედ გეწამს, მას რომ არ ეპოვა ამ როლის საიმედო შემსრულებელი ჩვენს კოლექტივში, „ჰამლეტის“ დადგმას ხელს არ მოიადებდა. მით უმეტეს 1925 წლის სეზონში, როდესაც საეატრო ხელოვნების მიერ კლასიკური მემკვიდრეობის ათვისება ჯერ კიდევ სადისკუსიო საკითხად მიაჩნდა ოფიციალურ საბჭოთა კრიტიკას.

ბატონს კოტემ იცოდა, რომ ამ გზაზე ბევრ დაბრკოლებას წააწყდებოდა, მაგრამ ალბათ სწამდა თავისი ახალგაზრდა კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალისა და მტკიცე შემართული შემოვიდა სარეჟიციო დარბაზში... ვარეგნულად დამშვიდებული მოვეჩვენა, მაგრამ მაგიდის ქვეშ მისი მარჯვენა ფეხის მორთოვარე თამაში შინაგან მღელვარებას ამჟღავნებდა. სულგანაპული ვისხედით. გაფაციცებით უგოდებდით ყურს ყოველ მის სიტყვას, რომლითაც ჯერჯერობით დინავ ახად ფარდა თავის რეჟისორულ ჩანაფიქრს და ჰამლეტის როლის შემსრულებლად დასახელა... მცირე პაუზა... უმჯობეს ჩნებო!

უშანი მთლად გაწითლდა... მისმა ახლო ამხანაგებმა ვიცით უშანის მგზნებარე ტემპერამენტი... თავის ტოლგონი, ამ მხრივ, ყველაზე მეტად გამოირჩევა... მაგრამ მაინც ახალგაზრდა მსახიობი და ჯერ კიდევ ძნელია განსჭირტო მისი თემა შემოქმედებაში. ამას თითქმის არაფერ ელოდა, მაგრამ, აი, ბატონმა კოტემ მასში, დიდ აქტივორულ შესაძლებლობასთან ერთად, დაინახა დიდი უშეკლობა და გულწრფელობა! მაგრამ ვატყობთ, უშანგის მორცხობა და სიფრთხილე უკვე მეტისმეტად ხანგრძლივია... შეიძლება მსახიობი დაშინდეს კიდევ. ამას ყველაზე ადრე ბატონი კოტე აშინებს და სახლში იბარებს უშანგის. უშანგის თითქმის ალა სჯერა, თავისი წყლიანი თვალებით ამხანაგების სახეებზე უნდა ამოიკითხოს იბისიყ დამდასტურება, რასაც თვითონვე განიცადის — სიფრთხილე და ჭკვი. მაგრამ მის ახლო მდგომი ამხანაგები ვამხნევეთ, ვამშვიდებთ, ვურჩევთ ბატონ კოტეს უარი არ

უთხრას. თუ რამე გაუჭირდა, ნუ ეშინია, დავეხმარებოდით... თაც შევეიძლია... ალბათ უშანგემ იგრძნო თავისი ამხანაგების გულწრფელი დამოკიდებულება, რომ თავგანდუნი შეუღდა მზადებას უმძიმესი ტვირთის საწყევად.

როლებში ვერ განაწილებულთ: კლავდიუსი მე მჭინდა დაკისრებული, გეტრუდა — ნინო დავითაშვილს, ცაცა ამირჯიხის, ელენე დონაურს; პოლინიუსი — ნიკო გოცირიძესა და ალექსანდრე თაყაიშვილს; ოფელია — ვერვიკ ანჯაფარიძეს, ხანსაც გამრქველს, მალიკო მრეკლემოსს, ხათუნა ჭიჭინაძეს, ლაერთა — აკაკი ხორავას, შორაციო — დავით ჩხეიძეს, როზენკრანცი — ერთოლიანს, პირველი მესაფლავე — შალვა დამბაშძეს, მეორე მესაფლავე — ვასო გომიაშვილს, ანრდელი — ვენე ჯიქიას, ფორტინასი — მიხეილ ლორთქიფანიძეს, პირველი აქტიორი — გიორგი დავითაშვილს, მეორე აქტიორი — მალაქველიძეს, მარცვლიუსი — პავლე კანდელაკს, ბერნარდო — ივანე აბაშიძეს.

— ადამიანური უნდა იყოს ყველაფერი, ანრდილიდან დაწყებული ჰამლეტამდე, — ყველანი ცოცხალი ადამიანები უნდა იყვნენ, — გვეუბნებოდა ბატონი კოტე, — მომაკვდინებელი შეცდომა იქნება მხოლოდ ჰამლეტის სახის ფილოსოფიურ სიღრმეს დავეყრდნით. ამით წარმატებას ვერ მივაღწევთ. ეს უმაღლესი ფილოსოფიური ტრაგედია ისე უნდა შევესრულოთ, რომ ერთი წუთით არ გუვალატო სცენურ სანახაობრობასა და სიმართლეს. ამისათვის ეს არის საჭირო? ადამიანური გრძნობანი და კიდევ ადამიანური გრძნობანი!

ჰამლეტი უაჩრებს წმინდა ადამიანია, ადამიანური სინდლის განსაზიერება, რომელიც მოვადლებულ წრეში მოხვდა და მოწამებრივად იტანჯება, მაგრამ, როდესაც უმაღლესი მსაჯულის — თავისი სინდლის მეხიხებით ბოლომდე შეიცინოს მის გარშემო არსებულ სიციურებსა და სიბრძნეს, ებრძვის ამ ჭეშქეს, ამ სიღამაშულს, ჭაბოს და ამოაშრობს კიდევ. ოღონდ საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე.

ჩემი მთავარი პირობაა, ეს ენება განსაკუთრებით ჰამლეტის შემსრულებელს, თავი დაანებოს ამ ტრაგედიას. ამ სახეზე დაწერილი კრიტიკული სტატიების კითხვას. ლიტერატურაში იმდენი ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული, რომ მსახიობს თავგზა ენება, სავსი შეხედულებებით გამოიჭედავს ტვიზს და საკუთარს კი დაკვირვებს. შეიძლება მან მშვენიერი ციტატებიც შეაგროვოს, მაგრამ სახის უშუალო აღქმაში ციტატები ვერ დახმარება. აქ მთავარია და გადაამწყვეტი — რით ასაჩრდოებს მსახიობი საკუთარი წარმოსახვის უნარს? აქ საჭიროა საკუთარი გული და გონება! ინდივიდუალურად იფიქრებ მხოლოდ და მხოლოდ თქვენ სახეებზე! ნუ დაგვარებათ რამდენიმეჯერ გადაიკითხით მთელი პიესა, რამდენჯერმე! — გვეუბნებოდა ბატონი კოტე.

ბატონი კოტე თავისი რეჟისორული ფიქრებით აღმიზანებდა, ძაბავდა მსახიობების, მხატვრის წარმოსახვის უნარს და მანამდე ადამრქვავდა მათ, სანამ მსახიობს სამოქმედოდ შემართულს არ დაინახავდა. იგი გამოცდილ მეფოლადესაიო მსახიობის ავიგონებულ შემოქმედებით ღუშელს ამპლიტუდის მიხედვით შეუკეთებდა ხოლმე საწითოს მასალას.

მე, როგორც ვეგრამ ჩემმა ამხანაგმა, ვიციდი ბატონი კოტეს ზოგადი კონცეფცია რეჟისორის მუშაობის შესახებ, რომელიც ორ პერიოდად იყოფოდა. პირველი — პიესის ექს-

პლიკაციის დამოუკიდებელი მომზადება და, მეორე — მსახიობთან ერთად მისი დამუშავება... მაგრამ იმდენად დიდი და განსვავებული იყო მის მიერ შექმნილი სარეჟისორო პარტიკულა, „პამლეტის“ ავტორისეულ ტექსტთან და მოქმედებების განლაგებასთან შედარებით, რომ მას უდავოდ დიდი დრო დასჭირებოდა თავისი რეჟისორული ჩანაფიჭის განსახორციელებლად. მთელი სცენები ხელახლა უნდა აეწყო და ჩვენთან გადმოეტანა საშუალოდ. იმდენად საინტერესო იყო ჩემთვის ბატონი კოტეს დამოუკიდებელი სარეჟისორო მუშაობა, რომ ყოველთვის, როგორც კი ამას საშუალება მიმეცემოდა, ვცდილობდი შეუმჩნეველ შევსულიყავი მის კაბინეტში, როდესაც იგი მხატვართან საუბრობდა და მასთან ერთად მალავებდაკაბინეტიდან მკეტეს აკეთება და, ან რეჟისორის თანაშემწესთან პიესის მონტაჟს ჰქმნიდა თუ კომპოზიტორთან მუსიკას განიხილავდა და ამა თუ იმ სცენის ტემპსა და რიტმს განსაზღვრავდა... სამექტაკლისთვის სპეციალურად დაპროექტებისთვის დაწერილი ჩაიკოვსკის მუსიკა აირჩია, ხოლო ჰაქერიაკი და კოსტუმები ჩვენს ნიჟიერ ახალგაზრდა მხატვარს ირაკლი გამრეკელს მიანდო.

მაქეტზე მუშაობის დროს ნათლად ჩანდა, რომ სამექტაკლში ბატონი კოტე მხატვრისგან უმთავრესად მოთხოვდა სცენურ დაზუსტს მსახიობისთვის. სხვა განმოსახველი საშუალებანი მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ეპიზოდის ადგილმდებარეობისთვის. თორმეტსაფეხურიანი კიბეორი მოედინა და ორი საფეხური თამაღებული დაზგა (ცხრა მეტრი სიგრძითა და ხუთი მეტრი განით) ერთი მეორის გასწვრივ იყენებ სცენის საბრუნავ ვრუხე გასლავებული, საბრუნავი წრის მეშვეობით თორმეტსაფეხურიანი კიბე, პირობითა და, ხან ელმინორის ციხე-დარბაზის სადარაჯო პოსტს წარმოადგენდა, ხან მუფის ტახტთან მისასვლელ საფეხურებს, ხან ანრდილისა და პამლეტის დიალოგისათვის განმარტოვებულ სიმაღლეს, ხან სასაფლაოზე ჩამოსასვლელ კიბებს და ხან კიდევ ფინალურ სცენაში, პამლეტის ცხვერის გასასვენებელ გზას. დეკორატიული მხატვრობით სცენაზე არაჩვეულებრივად ინტეგრირებული ატმოსფერო იყო შექმნილი კლავდიუსის მომხანინებელი ლოცვისა და პამლეტის სამკდრო-სასიცოცხლო კითხვების ეპიზოდის გასათამაშებლად... ყველა სცენა ლურჯი პანორამით იყო შემორკალული.

— მოძრაობა, დინამიკური უნდა იყოს დეკორაციები არა იმიტომ, რომ ახალი სასცენო საშუალებების გამოყენებით თავი მოვიწიოთ, არამედ იმისთვის, რომ ყოველმხრივ ხელი შევეწყვიტო სამექტაკლის მოქმედების ცოცხლ განვითარებას და ყოველი მოქმედების განწყობის თვალნათლივ განმოსახვეს. ფერი, სინათლე, ტანსაცმელი, მუსიკა, ნივთი, ილუსტრაციას კი არ უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ სცენისას, არამედ სიტუაციის შინაგანი არსის გამოხატაველი უნდა იყოს, როგორც მაყურებელზე ზემოქმედების „გამაღდენებელი“ საშუალებანი. ამიტომ მხატვარმა ყველა ახალი ტემპნიკური მიღწევა უნდა გამოიყენოს თეატრში, დეკორატიული გარემოს სწორ შექმნას გადაწყვეტიტი მიმინებლობა აქვს სამექტაკლისთვის — ამბობდა ბატონი კოტე.

ბატონ კოტეს დიდი სიფრთხილობით მივაყავა უშანგი ამ რთული როლის დასაძლევად. უშანგიც თავისი ნიჭის უშუალოდით მიყვებოდა დიდოსტატს და უკვე რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ რეჟისორის მოთხოვნას უპასუხა წაახიობის გულის შემძებრებლა ბუნებაში ეს მოეწა, ცამობა, ნამდილო იმ-

პულსად იქცა ყოველი ჩვენთავანისთვის. ჩვენს თვალში იბნებდა უშანგი — პამლეტი: იგი მუსიკის რიტმზე, მხატვრობის ჩამოღობა კიბეზე და გრძობდა. ფართო შავი ლანდის კუდი, იდუმალი ფერწერებით უკან მოსდევდა. უშანგის ნაკვერჩხლებით ანთებული თვალების შემოხედვა მისი მუსხარების გასაზარებლად გვაზადებდა... და ისიც გულდადოუტუქული, ვიყავაური თავსევეებით იწყებდა მონოლოგს:

„რად არ მემულება ეს სხეული, ესრთ მაგარი, რად არ გარდნება და ცის ნამათ რად არ იქვეყა?“—

ამ ფრაზას ისე იტყოდა, თითქოს მწერე ჩვილს გულიც თან ამოაყოლო. ზოლო როდესაც მონოლოგში იმ ადვილს მიადრეკდა: „დეკორინდა და მერე ვისთან? ბიძა ჩემთანა!“ — და „ისევე გავს ბიძაჩემი სახით მამაჩემი, ვით მე ჰერ-კულუსს!“ — დეკონისის და ირონისის იგივე ერთანტლის მომგერული ხმა ამოსკვებოდა, რომ სიტყვებით მისი გადმოცემა შეუძლებელია. მიუხედავად უზომო ენერჯიის დახარჯვისას, ამ ადვილს განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვრებას ყოველთვის როდი ახერხებდა უშანგი. თითოეული ჩვენთავანის სუსტი მხარე ბატონმა კოტემ კარგად იცოდა და განსაკუთრებით უშანგის მუშაობას აქვეყდა ყურადღებას. მე შე-დარებით უფრო ჩემს ნებაზე ვიყავი მიშვეებული ბატონმა კოტემ ისეთი პირობები შემიქმნა კლავდიუსის სახის გასასწავლად, რომელიც ყველაზე უფრო შევსაბამებდა პამლეტის მხატვრულ ანტიბოდს. კლავდიუსის სახემ ისეთი შინწიწილობა, ისეთი დარტყლება მოიპოვა ჩვენს სპეციალში, როგორც არც ერთ სხვა თეატრში არ მოუპოვებია. კლავდიუსის სახეში სქვენდირებული იყო ბოროტების ტრაგედიულობა პამლეტის სიტუიის ტრაგედიულობასთან ტოლფასოვანი შეპისპირებით. კლავდიუსი ტრაგედიულად განიცდიდა თავის ბოროტებას. თუ მსაჯულს (პამლეტს), განაჩენის გამოტანის ფიქრში, მთელი დამე თვალთ არ მოუხუტავს, რეზონანსეც (კლავდიუსს) კომმარა არ ასვენებს იმავე დამეს. რეისორამ ისინი სამლოცველოში შეაფეთა ერთმანეთს, რადან უწმინდესი მოსაბრთლე — პამლეტი, განაჩენის ბრმა აღმასრულებელი როდია, ის არც თვალთმკეცობს და არც სიჯიფეს იგონებს. ეს ძალიან დააკინებდა ყოვლის სიკეთით აღსავსე პიროვნებას, საშინელი ბოროტმოქმედებით შეძრწუნებულ მის სულს უნდა დასტურტი მიიღოს სარწმუნოებისაგანაც-გვეყავს თუ არა უღვება დანის დარტყმას, დანის დარტყმით-ვე ეუპასუხოთ?... განა შეიძლება პამლეტმა განაჩენი აღასრულოს მარტოოდენ ცივი ვიწებით და არა უწმინდესი გულთაც?... ის არც დღემაცოცხლოს, არც სეკუტაციოს, ის ყველაზე მერწობიარე ადამიანია და თუ კლავდიუსი სამლოცველოში იმითომ მიდის, რომ ლოცვით განიბანოს „კაენის ცოლვა“ იმ ხელიდან, „რომელსაც ძმის სისხლი ისე სქულად ცხია“, პამლეტი იმითომ მისულა ეკლესიაში, რომ დღერთს შეეიბიოს, გა რთი შეგებრბოდის მოზღვავეულ ბოროტებას? აქ, სამლოცველოში ამიტომ მოვეყარე თავი მსაჯულსაც და დამნაშავესაც, აქ დაზღვირისპირე ერთმანეთს აღსარებდა ბრალდებულისაც და ბრალდებულისაც... ეს ახალი სცენური პირობები უფრო შეეფერება ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგს და კლავდიუსის ცნობილ ლოცვის ეპიზოდებს, რომელნიც პიესაში ცალკე სცენებითაა მიცემული“ — აგვასხნა ბატონმა კოტემ.



და, მართლაც, უმანგის მიერ შესრულებული „ვიფან-არ-ყოფნა“ ამ პირობებში უფრო მიზანშეუძლიად გამოჩნდა. ეს მონოლოგი აღსარებას გავდა, გულიდან თავისუფლად რომ იღვრებოდა, როგორც მდღეარე ფიქრი ადამიანის მწარე ხვედრზე.

„ვინ მოითმენდა უამისოდ ჟამთა სიმწარეს, მშვიდობის პოვნა რომ შეგვეძლოს დანის ერთ დაკრით!“ —

ეს იყო მონოლოგის უკანასკნელი სიტყვები, რომელთა დამთავრების შემდეგ, უმანგი ღონედაცლილი შუბლით მიეცინებოდა ამბოხს. სწორად ამ დროს, მოულოდნელად თავს წაავადნო და, ერთ ადგილას გაქავებული, ერთმანეთის დიდხანს ვსოზავდით თვალებით, მერე უმანგი ნელ-ნელა უკან იხედდა და უტერად გაიქცეოდა სამოცველოდან... მე კი სუნთქვაშეგურული, მისი თვალების შერით ნონუსესული, საკვარძალზე ანკარაშიმთეუცხოდ ძლივს მივიღე და მომხდარი ვითარების შეფასებას ვიწყებდი. თან, იმასაც ვისვენებდი, რომ სალოცავად მოვიღე... პირჯვრის გადაწარა მინდა, მაგრამ ხელი ისე დამძიმებული მქაქს, რომ ვეღარ ვწევ მალა, თან, ჰამლეტის სადაც ჩასაფრებული თვალები ისევე მითავალავებენ. „რა საზარი ცოდვა ვიკისრე... კაენის ცოდვა... ძმის სიკვდილი“... — ჯვარცმას მიმტრებელი ვბუტბუტებ, მაგრამ ლოცვას ვერ ვმადვ... უბრაოდ ვდგავარ და არ ვაიცი პირველად რა ვთქვა? თავს ძალა დავატანე, ავწიე მარჯვენა ხელი და ორივე მხრიდან შევთავალეურე: „განა ამ წყულ ხელს ძმის სისხლი ისე სქლად ტყბია, რომ ვერ გაბანოს მადლიანმა ცის წვიმამ იგი და თეთრ თოვლით არ აქვიოს?“ უახრად გაშლილი თითები პირჯვრის დასაწარად მოვამზადე და: „მაშ ვილოცებ მე, ცოდვა იგი წაუსული არის!“ — ვამბობ გაუბედავად და თან ეგვით საკუთარ თავს ეკვირვებთ: „მაგრამ რა ლოცვა მოუსდება ჩემს შეცოდებას?“ — აბა, ვიბოვე ლოცვის სიტყვებს: „მომიტყვე მე სასოზარო კაცის მკვლელობას!“ ეს რა აღსარება წამომცდა ბედგურულს? — „ეს არ იქნება, რადგან ვმფლობებ ყოველსავე მას, რისთვისაც ეს ცოდვა ვიკისრე, ჩემსა დიდებას, ჩემსა გვირგვინს, ჩემსა მეუღლეს. ვინც ტბებდა ცოდვით, მიტყვევას ვით ეღირსება ამ წარმავალ წუთისოფელში“. ამ ფიქრებში ჩაფულავი, საკვარძალში ვემედიოდა და სასოზარეულო წარმოცულებამი:

„ამა წარმავალსა და გარყენილსა წუთისოფელსა, ოქროს ვარაყით დაფერილსა წუთისოფელსა, შეუღლიან რომ უკუავადოს მართლმსაჯულება და ხშირად კანონს ყიდულობენ ბოროტკულად“.

